

საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით გარსიაშვილის არქივი

თბილისი  
2007

არქივი აღწერა, პირთა საძიებელი და კომენტარები დაურთო და გამოსაცემად მოამზადა მანანა ყვავილაშვილმა

რედაქტორი: ე. იმნაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

შ. პაპალაშვილი

## შ ე მ დ გ ე ნ ლ ი ს ა გ ა ნ

დავით ზაქარიას ძე გარსიაშვილი დაიბადა 1870 წელს სოფელ საგარეჯოში. მამამისი დავით გარეჯის მედავითნე იყო. იგი ადრე გარდაიცვალა და ოთხი მცირეწლოვანი შვილი დედამ \_ ნინომ გაზარდა.

1879 წელს დ. გარსიაშვილი შევიდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში. 1887 წელს სწავლა განაგრძო სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1893 წელს დაამთავრა. იმავე წელს მღვდლად აკურთხეს და გაამწესეს კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში. აქ მან 1922 წლის ივნისამდე იმსახურა. 1896 წელს ამავე ეკლესიასთან გაიხსნა სამრევლო დაწყებითი სკოლა, სადაც იგი ოთხი წლის განმავლობაში ყველა საგანს ასწავლიდა.

1914-1918 წწ. დ. გარსიაშვილი გაწვეული იყო პირველ მსოფლიო ომში, მსახურებდა სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე ჰოსპიტლის მღვდლად. 1922 წელს დ. გარსიაშვილი გადაიყვანეს ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში, 1934 წელს \_ სიონის საკათედრო ტაძარში, ხოლო 1945 წელს დაინიშნა კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვრად, სადაც სიკვდილამდე მსახურებდა.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კალისტრატეს (ცინცაძე, 1932-1952 წწ.) განკარგულებით დ. გარსიაშვილი დანიშნული იყო თბილისის სამღვდელთა მოძღვართა მოძღვრად. გარდაიცვალა 1957 წელს.

დ. გარსიაშვილის პირადი არქივი მისი ვაჟის, არჩილის ოჯახმა გადასცა საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილებას 2001 წლის ნოემბერში. მასალები ხუთი საქალაქისაგან შედგებოდა, სადაც თავმოყრილი იყო აღურიცხავვერდებიანი, სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტები. ისინი დაჯგუფებული იყო შინაარსის მიხედვით, რაც არქივის დამუშავებისას არ დაგვირღვევია. მასალები დავნომრეთ და შემდეგი სახით განვალაგეთ: ბიოგრაფიული ქადაგებანი პირადი მიმოწერა, მოგონებები, ფოტომასალა.

ორიოდე ოფიციალური დოკუმენტის გარდა, ბეჭდვითი მასალა არქივში არ მოიპოვება. ძირითადად არის ხელნაწერები, რომლებიც შესრულებულია მეღწიანთა მიერ.

მცირე ნაწილი – ფანქრით, ხშირად ჩასწორებულია, ზოგიერთი ფურცელი – დაკარგული.

ბიოგრაფიულ მასალებში მოცემულია გარსიაშვილების გენეალოგია. აქვეა თვით დ. გარსიაშვილის ხელით დაწერილი ბიოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე. ვრცელი ბიოგრაფია კი, როგორც ტექსტიდან ჩანს, მის ვაჟს, არჩილს ეკუთვნის. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ არქივის მასალები მეტად საინტერესო ინფორმაციას იძლევა გასული საუკუნის 20-იან წლებში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ.

არქივში ცალკეა გამოყოფილი დ. გარსიაშვილის მიმოწერა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქებთან: კალისტრატესთან, ლეონიდესა (ოქროპირიძე, 1919-1921 წწ.) და მელქისედეკთან (ფხალაძე, 1952-1960წწ). “მე-19-ე საუკუნის განმავლობაში საქართველოს ჭეშმარიტ მეთა და ასულთ მონობის უღელქვეშ უხდებოდათ მუშაობა სამშობლოს საკეთილდღეოდ... საქართველოს ასეთ შვილთ დაფარულ ზრახვას შეადგენდა “ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო”... დღეს ხორცს ისხამს, მართლდება” – წერს 1919 წლის მარტში დ. გარსიაშვილი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ლეონიდეს და არ მალავს აღფრთოვანებას ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის გამო. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ეს მასალები მხოლოდ რეალური ვითარების მშრალი გადმოცემა როდია, არამედ, ქართული ეკლესიის გაძლიერების მიზნით, კონკრეტული წინადადებების შეთავაზებაცაა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელთათვის. ამ თვალსაზრისით საინტერესოა დ. გარსიაშვილის წერილი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კალისტრატესადმი, რომელიც საქართველოში რუსეთის მიტროპოლიტის, ალექსის მოსალოდნელ ჩამოსვლას ეხება. ეპისტოლარული მასალებიდან მხოლოდ ერთი შეეხება პირად საკითხს, კერძოდ, კონფლიქტს დ. გარსიაშვილსა და კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის დეკანოზ ლ. ტლაშიაძეს შორის, დანარჩენი მიმოწერა მხოლოდ ქართული ეკლესიის პრობლემებს განეკუთვნება.

1921 წელს საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა: დამყარდა ათეისტური, ბოლშევიკური ხელისუფლება. გახშირდა სასულიერო პირთა დევნა, რაც საერთო ისტორიაში გადაიზარდა: ინგრეოდა ეკლესიები, ნადგურდებოდა საეკლესიო ქონება, დამცირებასა და უსაზღვრო შევიწროებას განიცდიდნენ სასულიერო პირები. ეკლესია ფორმალურად გამოყოფილი იყო სახელმწიფოსაგან, ფაქტობრივად კი, ხელისუფლება აშკარად ერეოდა ეკლესიის საქმეებში. 1924 წლის ცნობილი აჯანყების შემდეგ მდგომარეობა გაუსაძლისი გახდა. დ. გარსიაშვილის არქივში დაცული დოკუმენტები, ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. დ. გარსიაშვილის ვაჟები – გიგლა და არჩილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ. 19 წლის გიგლა, როგორც აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, 1924 წლის 1 სექტემბერს დახვრიტეს. მცირე ხნით დაპატიმრებული იყო თავად დ. გარსიაშვილიც.

ხელისუფლებისაგან მოსალოდნელი რეპრესიების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ გარკვეული ზედამხედველობა დააწესა მღვდელმსახურთა მიერ წარმოსათქმელ ქადაგებებზე. ქადაგებათა ტექსტები წინასწარ მასთან უნდა წარედგინათ. ეს იყო ზედამხედველობის იძულებითი ფორმა, რათა ხელისუფლებას სასულიერო პირთა დევნა უფრო არ გაემკაცრებინა. დ. გარსიაშვილი განეკუთვნებოდა იმ მღვდელმსახურებს, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ ამგვარ შეზღუდვებს და თავის დამოკიდებულებას ქვეყანაში არსებული ძალმომრეობისადმი იმ დროისათვის მეტად გაბედული ქადაგებებით

გამოხატავდნენ. ეს იყო წლების განმავლობაში სულში დაგროვილი შინაგანი წინააღმდეგობის თავისებური გამოხატულება. ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში, სიონის ტაძარში, ქაშვეთის ეკლესიასა თუ კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში, სადაც კი მოღვაწეობა უხდებოდა მამა დავითს, კაცთმოყვარეობისა და რწმენის განმტკიცების ქადაგებასთან ერთად, იგი თავისებურად აანალიზებდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ კატაკლიზმებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მეორმოცე დღეს წარმოთქმული ქადაგება, რომელიც ქრისტიანობის ერთ-ერთი ძირითადი მცნების – “არა კაც ჰკლა” – განმარტებას ეხება და, რასაკვირველია, ქადაგებანი, რომელნიც 1924 წლის აჯანყების შემდეგ პერიოდს – 1925-1927 წლებს მოიცავს.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ დ. გარსიაშვილი დაუფარავად უჭერდა მხარს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ამბროსი ხელაიას, მის მიერ 1921 წლის გენუის კონფერენციაზე გაგზავნილ მემორანდუმს, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას შეეხებოდა. მამა დავითი პატრიარქის შინა პატიმრობის დროსაც მის გვერდით იყო. “დღეს ჩვენ, ქართველები, დიდ სამწუხარო და გულსაკლავ ფაქტის წინაშე ვდგევართ... ეკლესიის მწყემსმთავარი... კათალიკოზ-პატრიარქი ამბროსი მსხვერპლად შეიქმნა შინა გამცემთა, იუდა ისკარიოტელის მსგავსთა უმუხთლეს, უღალატეს”... – ქადაგებდა მამა დავითი 1927 წლის 2 სექტემბერს ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში. ლოგინად ჩავარდნილი პატრიარქის ბედით შეწუხებული დ. გარსიაშვილი აღმფოთებას ვერ მალავდა: “ჩვენი დროის იუდეებო და შინა გამცემლებო! დრო გწყალობთ, არა? როდემდის ინავარდებთ, შორს არ არის აღსასრული თქვენი... რადგანაც მალე მოვა ის დრო, როდესაც გაწამებული ერის სამსჯავროზე წარსდგებით... ბოროტმოქმედთა თქვენთა სიტყვისაგებად.” მამა დავითის უშუალო ჩარევით ჩაიშალა თბილისის სამღვდელთა კრება, რომელიც ამბროსი ხელაიას მეტეხის ციხეში ყოფნის დროს მისმა მოწინააღმდეგე სამღვდელთა კრების ერთმა ჯგუფმა მოიწვია. ისინი მოითხოვდნენ საეკლესიო ყრილობის მოწვევას და პატრიარქის გადაყენებას. ამ კრებაზე დ. გარსიაშვილმა წარმოთქვა სიტყვა, რომლის შემდეგაც მას საკმაოდ ბევრი მომხრე გამოუჩნდა და კრება ისე დაიშალა, დადგენილება არ მიუღია.

მდიდარი არ არის დ. გარსიაშვილის არქივის ფოტომასალა. ძირითადად ეს არის მისი და მისი ოჯახის წევრების ფოტოები. გვხვდება უცხო პირთა სურათებიც. ჩვენ შევძელით რამდენიმე ფოტოსურათზე გაკრული ხელით მინაწერისა და გვარების ამოკითხვა. აღწერისას ფოტოები არ დაგვიჯგუფებია. დავეყრდენით თანმხლებ სიას. ფოტოებზე გამოსახულ პირთა ვინაობის გარდა, მივუთითეთ გადაღების ადგილი, ფოტოების ზომები და ფოტოგრაფთა ვინაობა.

არქივის აღწერილობას ერთვის პირთა ანბანური სამიებული და კომენტარები. მოხსენიებულ პირთა ვინაობის დასადგენად დიდად დაგვეხმარა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნესტან კირთაძის ნაშრომი “კაენ, სად არის ძმა შენი?!” წ. I. – თბ., 1998.

დ. გარსიაშვილის პირად არქივში დაცულია 108 შესანახი ერთეული.

არქივის აღწერისას მიზანშეწონილად მივიჩნიეთ (მცირედი შესწორებით) ქადაგებათა ტექსტების ცალკე გამოყოფა. ის ადგილები, რომლებიც არ იკითხებოდა, მრავალწერტილით აღვნიშნეთ.

## ბიოგრაფიული მასალები

1. «გარსიაანთ შთამოება» : [გარსიაშვილების გენეალოგია (მე-19 ს. მეორე ნახ. \_ მე-20 ს. პირველი ნახ.)]. 1952 წ. , 23 ივლისი. ხელნაწერი. 7 ფ.
2. «მე, დეკანოზი დავით გარსიაშვილი, ვმობილვარ 1870 წლის 9 სექტემბერს ძვ. სტილით“... : [ბიოგრაფია დაწერილია დავით გარსიაშვილის მიერ ქართულ და რუსულ ენებზე]. 1957 წ. , 19 ივლისი. ტექსტის ბოლოს: «დეკანოზი დავით გარსიაშვილი».  
4 ფ.
3. Свидетельство: [ზაქარია დავითის ძისა და ნინო გიორგის ასულის საქორწინო მოწმობა. გაცემულია იმერეთის სინოდის მიერ, დამოწმებულია ბეჭდით]. 1896 წ. , 26 აპრილი. ტექსტის ბოლოს: “Член Синодской Конторы Архимандрит Некодим.” მდივნისა და მაგიდის უფროსის ხელმოწერები არ იკითხება. ტექსტი შედგენილია რუსულ ენაზე. ფურცლის გვერდზე აღნიშნულია 9945. 1 ფ.
4. ხელშეკრულება. «ჩვენ ამისა ხელის მომწერნი“... : [დადებული დეკანოზ დავით ზაქარიას ძე გარსიაშვილსა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის თეორიული ელექტროტექნიკის კათედრის ასისტენტ შოთა დავითის ძე გარსიაშვილს შორის. ხელშეკრულება წარმოადგენს დავით გარსიაშვილის მიერ მოგონებების დაწერისა და შოთა გარსიაშვილის მიერ სადოქტორო დისერტაციის დროულად დამთავრების პირობას]. 1957 წ. , 13 მაისი. ტექსტს ხელს აწერენ მოწმეები: არჩილ და ბაბილინა გარსიაშვილები. 1 ფ.
5. მამის შესანდობარი: [დავით გარსიაშვილის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ საღამოსა და გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს წარმოთქმული სიტყვები. მოხსენიებული არიან: გიგლა გარსიაშვილი, ანა თათარაშვილი, ვ. მ. გრიდნევი, ნ. მ. გრიდნევი]. თარიღი მითითებული არ არის. 5 ფ.
6. «დეკანოზი დავით ზაქარიას ძე გარსიაშვილი დაიბადა 1870 წელს სოფელ საგარეჯოში“... : [ბიოგრაფიულ ცნობებს ახლავს მოგონება, რომელშიც აღწერილია მეფის რუსეთის მიერ ქართული სამღვდელთა დევნა ღვთისმსახურების ქართულ ენაზე შესრულების გამო, სასულიერო პირთა და მათი ოჯახების დაწიოკება ბოლშევიკური მმართველობის პერიოდში, კათალიკოს ამბროსი ხელაიას შევიწროება, თბილისის სამღვდელთა კრების ჩაშლა (მოხსენებულია მღვდელი ხახუტაშვილი), მამა დავითის დაპატიმრება და ციხეში გატარებული პერიოდი (მოხსენიებულნი არიან: მიშა საყვარელიძე, სონა მჭედლიშვილი, რეზო გედევანიშვილი, მღვდელი ანტონ თოთიბაძე, მიხეილ ფხალაძე (შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკი), ივ. ჯავახიშვილი, დიმიტრი ვარდიანი, ფრეზე, მარკოზ ტყემალაძე, მდივანი, გოროდცოვი, კალისტრატე

ცინცაძე, ჩიჯავაძე, კანდელაკი, ციციშვილი, არჩილ, შოთა, ბაბილინა, მარიამ, გიგლა გარსიაშვილები, პეტრე აღნიაშვილი, მურვანოვი, თოდრია, კვანტალიანი, დავით კანდელაკი და სხვ.]. თარიღი მითითებული არ არის. ხელნაწერი. 11 ფ.

7. «მან სწორად განსაზღვრა, რომ ის პირი, რომელსაც ამ უცხო გვარით იძახებდნენ, იგი იყო”... : [არჩილ გარსიაშვილის მოგონება გიგლა გარსიაშვილზე. ქართული ეკლესიის მდგომარეობა მე-20 საუკუნის 20-იან წლებში. მოხსენიებულნი არიან: დავით, გიგლა, არჩილ გარსიაშვილები, გიგა მჭედლიშვილი, პოლუმორდვინოვი, კატუშა უთმელიძე, თამარ ხომტარია-ცაგურია, ხმალაძე, გიორგი ლეონიძე, კ. ჩარკვიანი]. თარიღი მითითებული არ არის. ხელნაწერი რვეული. 6 ფ.

8. «10 ოქტომბერს ციხიდან ჩეკაში გადამიყვანეს”... : [არჩილ გარსიაშვილის მოგონება მისი დაპატიმრების (1924 წლის 10 ოქტომბერს), უშიშროების კომიტეტში (ჩეკა) გადაყვანისა და გათავისუფლების შესახებ; ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის ლიკვიდაცია; ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიის წინამძღვრის, ზინობის მტრული დამოკიდებულება ქართული ეკლესიისადმი; ქართული ეკლესია 1932\_1950-იან წლებში. მოხსენიებულნი არიან: მიტო მჭედლიშვილი, მიშა საყვარელიძე, პოლოსოვი, კატუშა უთმელიძე, გიგლა გარსიაშვილი, თამარ ხომტარია-ცაგურია, მამალაძე, ირაკლი რცხილაძე, გიორგი ტარასაშვილი, ლადო ახალშენიშვილი, მიშა კასრაძე, ირაკლი კიკნაძე, კოლია დგებუაძე, ნიკო კეცხოველი, ს. დევდარიანი, არჩილ გარსიაშვილი, ელიზბარ ჩხიკვაძე, გ. სტურუა, გოგი კახაბერი(ა), ლევან ყანჩაველი, იასონ ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, კოლია გაბაშვილი, ვიქტორ ყარანგოზიშვილი, ნ. მესხი, ქაიხოსრო ქავთარაძე, ლადო გუდიაშვილი, პაპიაშვილი, მალრაძე და სხვ.]. თარიღი მითითებული არ არის. ხელნაწერი რვეული. 39 ფ.

## ქადაგებანი

9. «შემოდგომის დასაწყისია, საყვარელო”... : [დავით გარსიაშვილის მიერ ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული სიტყვა ადამიანის ამქვეყნიური დანიშნულებისა და ბუნებასთან ურთიერთობის შესახებ]. 1926 წ. , 5 სექტემბერი. ხელნაწერი. ორი ეგზემპლარი. 16 ფ.

†

შემოდგომის დასაწყისია, საყვარელო! მზე თვის სხივებს სამყაროს უხვად აფრქვევს, ათბობს და აშუქებს მასზე მცხოვრებთა სამოქმედოდ და ასამომრავებლად. ამის ნიმუში პოეტური ნიჭითა და ღრმა რწმენით აღწერილი აქვს გრიგოლ ორბელიანს:

„ოჰ, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული!...  
დაჩუმდით... ყური მიუგდეთ \_ არ გესმით გალობს  
ბულბული?!

ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს, მის ფერუთვალავს  
მშვენებას!

სიბნელეს აქრობ სინათლით, სიკვდილით ჰზადავ  
ცხოვრებას!“

ბუნების წიაღში დაბადებული კაცი, ბუნების გვირგვინად აღიარებული, ბუნებას მჭიდროდ უკავშირდება. მიუხედავად დუხჭირი ცხოვრების პირობებისა, მრავალგვარი გაჭირვებისა, იგი მაინც მონატრებულია სიცოცხლისა, მას მაინც ემძიმება ბუნებასთან დაშორება, ეზარება სიკვდილი, სძაგს იგი, ეშინიან მისი მოახლოებისა. გავიხსენოთ ადამის საქციელი სამოთხეში... : „და უწოდა უფალმან ღმერთმან ადამს და ჰრქვა მას: ადამ, ადამ, სადა ხარ? და მან თქვა: ხმისა შენისა მესმა მავალისა შორისა სამოთხისა, და შემემინა, რამეთუ შიშველ ვარ და დავიმალე“ /დაბ. III, 9-10/. ვის დაემალა ადამი? ყური ვუგდოთ დაბადებას: „და ამცნო უფალმა ადამს და ჰრქვა: ყოვლისაგან ხისა სამოთხისა ჭამით სჭამოთ. ხოლო ხისგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა სჭამოთ მისგან და რომელსა დღესა შჭამოთ, სიკვდილით მოჰკვდეთ“ /დაბ. II, 16-17/. აი, რას დაემალა ადამი – სიკვდილით მოკვდომასა და ამ სასჯელის დამწესებელს-ღმერთს. ადამი შეეცადა სიკვდილის თავიდან აცილებას და ღვთის შეკითხვაზე „ვინ გითხრა შენ, რამეთუ შიშველ ხარ, უკეთუ არა ხისაგან, რომლისა გამცენ შენ, მისგან ხოლო არა ჭამა, და მისგან ჭამე? თქვა ადამ: დედაკაცი, რომელი მომეც ჩემთანა, მან მომცა მე ხისა მისგან და ვსჭამე“ /დაბ. III, 11-12/. ადამი, რომ არ მომკვდარიყო, ბრალს იყრის თავიდან, დანაშაულობას არ კისრულობს, მთელს სიმძიმეს თვისის დაცემისას დედაკაცს მიაკუთვნებს. დედაკაცი რას სჩადის? იგიც სიკვდილის თავიდან აცილების მდომი, ადამისა და თვის დაცემის მიზეზად გველს აძლევს სამართალში: „და ჰრქუა უფალმან ღმერთმან დედაკაცსა: რაი ესე ჰყავ? და თქვა დედაკაცმან: გველმან მაცდუნა მე და ვსჭამე“ /დაბ. III, 13/. ასე, საყვარელნო, ქვეყნის დაბადებიდანვე პირველნი კაცნიც, ბუნების უზომო სიყვარულით, სიკვდილს გაურბიან, ემალებიან, შექმნილ მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებენ .... და განა მარტო კაცს სწყურიან სიცოცხლე ამ ქვეყნად? ან მარტო კაცია ბუნებასთან შეთვისებული? ან მარტო მას ემძიმება, ეზარება სიკვდილი, ბუნებასთან კავშირის გაწყვეტა, თვისი არსებობის მოსპობა და მიწად და მტვრად ქცევა?! პირუტყვები? ფრინველნი? მწერები? მცენარეები და სხვანი და სხვანი ამ ქვეყნის ქმნილებანი? გაიხსენეთ საქართველოს დიდი მოჭირნახულის, სამშობლოს პატივისა და უფლებათა ერთგული დამცველის დიდი ილიას „გლახის ნაამბობი“ და პირველ თავშივე წაიკითხეთ მონადირის მიერ დაჭრილი ირმის საყვედური: „ირემმა დააპირა გაქცევა, მაგრამ თოფმა იგრიალა და და ირემი, აქამდინ ცოცხალი, თავისუფალი და ლალი, გაირთხო იმ ბალახზედ, რომლის კალთაშიაც პირველად აახილა თვალი ... უნდა ჰნახოთ ეს ამაყი, თავისუფალი ნადირი, რა რიგად უდრტვინველად და მშვიდადა ჰკვდება; მაგრამ მე ყოველთვის მის ცრემლ-მორეულ თვალებში ეს აღმომიკითხავს: ჩემო მკვლელო! ქვეყანა ღვთისა დიდია და ფართო ... რად შეგშურდა, რომ მეც, უბოროტოსა და მშვიდსა ერთი მტკაველი ალაგი მეჭირა?“ ... მსმენელებო, უეჭველია, თქვენი გულნიც ბევრჯელ შემფოთებულა ამ გვარ და ამაზე უარესი სურათების ხილვით, წაკითხვით ან მოსმენით .... მაგარამ დავუბრუნდეთ საღმრთო წერილს: „და ჰრქუა უფალმან ღმერთმან ადამს: რამეთუ ისმინე ხმა ცოლისა შენისა, და სჭამე ხისგან, რომლისა გამცენ შენ ხოლო არა ჭამა და მისგან ჭამე ... ოფლითა პირითა შენისათა შჭამდე პურსა შენსა, ვიდრე მიქცევამდე შენდა მიწად, რომლისაგან მიღებული იქმენ, რამეთუ მიწა ხარ და მიწადცა მიიქცე.“ /დაბ. III, 17-19/.... ასეთია ღვთის უცვალელებელი განჩინება .... ღვთის ხელშია სიცოცხლე და

არსებობა ქვეყნიერებისა და მისივე უფლების ფარგლებშია კაცის სიკვდილ-სიცოცხლე. გარეშე ღვთისა ამ უფლებით სარგებლობა არა ვისია. კაცთაგანი, მიმთვისებელი ამ უფლებისა, დიდი პასუხისმგებელია ღვთის წინაშე. ღმერთს რომ კაცის გვამში სისხლი ჩაუწვეთებია, უმაღლე სასწორზე დაუდვია და აუწონია იგი, ფასდაუდებლად აღუარებია და ისეთი ძლიერი ... ხმა ჩაუწნავს-ჩაუტანებია შიგ, რომ, როცა კი იძულებით ახმაურდება, დედამიწის პირიდან ცამდის, ღმერთამდის, ღაღადებს უძლიერესი ხმით ძალმომრეობის, უსამართლობის და უღმრთოობის წინააღმდეგ. აი, რას მოგვითხრობს დაბადების მე-4 თავი კაენის მიერ აბელის მკვლელობაზე: „აღდგა კაენ აბელის ზედა ძმისა თვისისა და მოჰკლა იგი. და თქვა უფალმან ღმერთმან კაენის მიმართ: სადა არს კაენ, ძმა შენი? და თქვა: არა უწყი; ნუ მცველ ძმისა ჩემისა ვარ მე? და თქვა უფალმან: რაი ესე ჰყავ? რამეთუ სისხლი ძმისა შენისა ღაღადებს ჩემდამო ქვეყანით“ /დაბ. IV, 8-10/. აი, რაგვარ ხმისაა სისხლი მოძმისა, რომელიც არასოდეს არ ჩუმდება, საყვარელნო, საშვილიშვილოდ გადაეცემის. ასე ძნელია, მიმიღე და საპასუხისმგებლო მოძმის სისხლის დაღვრა წინაშე ღვთისა, საზოგადოებისა და საკუთარის სინიდისისა. ამისათვის ძველი აღთქმის ფუძემდებელმა მოსე წინასწარმეტყველმა ებრაელთ და, მათი სახით კაცობრიობას, ამცნო; „არა კაც ჰკლა; ხოლო რომელმან მოჰკლას, თანამდებ არს სასჯელისა“... მაცხოვარი იესო ქრისტე კი ბრძანებს: „...რამეთუ რომელი განურისხნეს ძმასა თვისსა ცუდად, თანამდებ არს სასჯელსა; და რომელმან ჰრქვას ძმასა თვისსა: რაკა, ანუ თავ-ცარიელი-სულელი, თანამდევ არს იგი კრებულისაგან განსვლად; და რომელმან ჰრქვას ძმასა თვისსა: ცოფ, ანუ უჩკუო-უაზრო, თანამდებ არს იგი გეენიასა ცეცხლისასა“ /მათე V, 21-22/. ... რად არის დიდ დანაშაულად აღიარებული კაცის კვლა? ... მოვუსმინოთ მოსე წინასწარმეტყველს: „და თქვა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატად და მზგავსად ჩვენდა; და მთავრობდეს იგი თევზთა ზღვისათა, და მფრინველთა ცისათა, და პირუტყვთა, და მხეცთა, და ყოველსა ქვეყანასა, და ყოველთა ქვეწარმავალთა ქვეყანასა ზედა. და შექმნა ღმერთმა კაცი, ხატად თვისსა შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგინი. და აკურთხა იგინი ღმერთმან, მეტყველმან: აღორძინდით და განმრავლდით, და აღავსეთ ქვეყანაი და ეუფლენით მას“ /დაბ. I, 26-28/.... ადამიანი ქვეყანაზე საცხოვრებლად, ქვეყნის სამფლობელოდ ღმერთს დაულოცნია, უკურთხებია. ასეთი უფლების წართმევა მხოლოდ ღმერთს, უფლების მზომებელს, შეუძლიან და სხვა არავის.

კაცი სხეულითაც დიდი ღირსებისაა. მოციქული პავლე სწერს კორინთელთა: „არა უწყითა, რამეთუ ტამარნი ღვთისანი ხართ, და სული ღვთისა დამკვიდრებულ არს თქვენ შორის“ /კორ. III, 16/. კაცის სხეული, მოციქულის სწავლით, ღვთის ტამარი ყოფილა, სულის წმინდის სადგურად განჩინებული, შემოქმედის ღვთის მიერ. თუ რა ცოდვას მოიმოქმედებს ასეთი ღირსების სხეულის მკვლელი, დამრღვევი ... და რა სასჯელს უნდა მოელოდეს იგი ამის გამო, საპასუხოდ ამისა პავლე მოციქული კორინთელთადმი ეპისტოლეში განაგრძობს: „რომელმან ტამარი ღვთისა განხრწნას, ანუ დაარღვიოს, დაფუშოს, მოკლას, განხრწნეს იგიცა ღმერთმან, რამეთუ ტამარი ღვთისა წმიდა არს, რომელი ეგე ხართ თქვენ“ /კორ. III, 17/.

მაშ, გულისხმასა შთავარდი, კაცო, მოყვასო ჩემო! ხატება და მსგავსება ხარ ღვთისა სულით, სხეულით კი ტამარი ღვთისა და სადგური სულისა წმიდისა. შეიგნე საფუძვლიანად შენი ამ ქვეყნად მცირე ხნით მყოფობის ჟამს დიდი მოვალეობა და მაღალი დანიშნულება. მტკიცედ დაიცავი ძველი და ახალი აღთქმის დიდი მცნება: „არა კაც ჰკლა“. კარგად გახსოვდეს, რომ უკეთუ იშიშვლებ მახვილს კაცის, მოყვასის მოსაკლავად, შენ ... არღვევ „ტამარსა ღვთისასა“ და „სადგურსა სულისა წმიდისა“.



მით ღვთის საწინააღმდეგო ბრძოლას აწარმოებ. აცადე კაცს, მოძმესა და მოყვასსა შენსა, ბუნების კანონების ფარგლებში ღვთის განგებით მოვლინებულს, ბუნებრივად და ღვთისა განგებით მიიცვალოს ამიერ ქვეყნით. შეასრულებინე მას თვისი ამ ქვეყნად მოვლინების მიზანი და დანიშნულება. ღმერთს უბოძებია შენთვის ჭკუა-გონება, თვალთა ხედვა, ყურთა სმენა, ვრცელი მინდორი, გულად წოდებული, კეთილი თესლის დასათესად და ასეთივე ნაყოფის გამოსაღებად და ხელნი და ფერხნი არა ბოროტთა, არამედ კეთილთა საქმეთათვის. „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს“ /მათე V, 48/ გვისახავს მიზნად ქრისტე და ამ მიზანს ვერ მივწვდებით, უკეთუ მოძმის სიცოცხლეს სათუთად არ მოვეპყრობით.

ეკლესია კაცის კვლას, როგორც დიდ, ღვთის საწინააღმდეგო ბოროტებას, ქვეყნის დასაბამიდანვე ებრძვის და ჰგმობს. ეკლესიამ ფართო და სწორი გზა გაუკაფა კაცობრიობას საუკუნეების განმავლობაში კეთილისადმი.

შემოდგომის დასაწყისი, ბუნებით მშვენიერი, ლამაზი წმინდა ეკლესიამ ღრმა შინაარსიანი დღესასწაულებით შეამკო, რომელნიც შთააგონებენ კაცს მის მოვალეობას, დანიშნულებას ღვთისა, კაცისა და საკუთარი სინიდისის წინაშე. მაშ, ნუ გაურბით ეკლესიას, მოყვასო ჩემო, იქონიეთ მასთან კავშირი, ყური ათხოვეთ მის სწავლა-მოდღვრებას; დიდი საუნჯეა მის წიგნთა შინა დაფარული შენი გონების ასამაღლებლად, ცივი გულის გასათბობად, ზნეობრივად შენ განსაბანათ-განსაფაქიზებლად, სულიერ უკეთურებათა მოსასპობად. და ჰპოებ გზასა, რომელიც მიგიყვანს ამა ქვეყნის ცხოვრების ჭეშმარიტ მიზნის კარამდე. „რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ“.

ამინ

10. «ტფილისი და მისი დედა ტაძარი სიონი»: [მრევლს სთხოვს შეწირულების შეგროვებით განამტკიცოს ტაძარზე ზრუნვა]. 1935 წ. , 1 ივნისი. ხელნაწერი. ტექსტის ბოლოს: «დეკანოზი დ. გარსიაშვილი.» 2 ფ.

†

ტფილისი და მისი დედა ტაძარი სიონი! ვიშ! ვიშ! მშვენებასა და სიტურფეს ქალაქებისა და ტაძრებისა! ვიშ! ვიშ! მძლავრად სისხლმჩქეფარე ძარღვს და წრფელსა გულის ძგერასა ქართველი ერისასას! ..... ბედს მათთვის სიხარულიც მრავლად უგემებია და მწუხარებაც ზედმეტი ურგუნებია. და ორივე მაინც ისევ ურყევად დგანან ... სიონი ნათლად გამოხატავს ამის გეგმის შემდგენელთა, ხუროთმოძღვართა და მშენებელთა მაღალგონიერებას, წრფელ და წმინდა გულის დიდსულოვნობას, მხნეობას, თავდადებას ...

ძმანო ქართველნო და თქვენც, ტომით უცხოონო, სარწმუნოებით კი ჩვენნო მოძმენო! საქართველოს ეს ტაძარი, დიდი სიონი, განძია ჩვენი, ისტორიული და ეროვნული ძეგლია. წარსულ დროების ჩვენთა დიდთა მამა-პაპათა მოუვლიათ და დაუფარნიათ, რღვევისაგან გადაურჩენიათ, გადმოუციათ იგი ჩვენთვის ღვთისა საქებრად, სადიდებლად და ჩვენდა სასახელოდ. და ჩვენცა, შვილნი მათნი, მათივე მზგავსად, ვალდებულნი ვართ თვალი გვეჭიროს და ყური ვუგდოთ ამ მშვენებას ქართველი ერისას. რათა მოვლილი, დაცული და შენახული გადაეცეს შემდეგ თაობას ... ეხლაც მიმდინარე წლის გადასახადი ტაძრისა 11 ათას მანეთს აღემატება. როგორ შეძლოს

სიონმა ამის გადახდა თუ არა თქვენი დახმარებით, უსაყვარლესნო?! დიდი საქმეა, საქებურია ღვთისა წინაშე და კაცთა თვალში სიონის მოვლა და პატრონობა! ასეთ საქმის მოყვარულია მამა ჩვენი, მამათ-მთავარი ქართველი ერისა – კათალიკოსი. მოდით, მორწმუნენო, მის ირგვლივ შევიკრიბნეთ, მხარი მივცეთ მას საკუთარი წვლილის გაღებით და ნათესავთა და ნაცნობთა შორის შეწირულობის შეგროვებით, რათა ამ გზითა გადასახადის ნაწილი მაინც დაფარულ იქმნას. გულითა და სულითა „მოდღვნილი მცირედიც შეიწირების...“

მამ, ასე, ძმანო! საქმით ვიყვნეთ და არა მხოლოდ სიტყვით ქრისტეს მცნებათა მიმდევარნი, აღმსრულებელნი! „ეგრეთ ბრწყინავდინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილონ საქმენი თქვენი კეთილნი და ადიდებდენ მამასა ჩვენსა ზეცისათასა...“.

11. «სიტყვა თქმული დავით ზაქარიას ძე გარსიაშვილის მიერ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში მე-40 დღეს დღიდან ილიას წამებისა». 1907 წ. , ხელნაწერი. ორი ეგზემპლარი. 8 ფ.

†

«იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად.»

«სოფელსა შინა იყო,...და სოფელმან იგი ვერ იცნა, თვისთა თანა მივიდა, და თვისთა იგი არა შეიწყნარეს» /იოანე I, 9, 10, 11.

ამ სიტყვებით, ძმანო ქართველნო, ამერ-იმერნო! დიდებული მოციქული და მახარებელი იოანე ღვთისმეტყველი გულისხმობს კაცთა მხსნელს, მაცხოვარს იესო ქრისტეს. გვაუწყებს მის ღვაწლს ქვეყნისათვის და აგვიწერს ენით გამოუთქმელ მის უბედურ ამ ქვეყნიურ ხვედრს. ისტორია გვასწავლის, თუ რა პირობებში იშვა ხორციელად იესო ნაზარეველი ბეთლემსა ურიასტანისასა. მისი დაბადების წინა ხანა წარმართთა ხალხთა საზოგადოდ, და ისრაელთა კერძოდ, ბნელი იყო, როგორც პოლიტიკურის და საზოგადოებრივის, ისე სარწმუნოებისა და ზნეობრივის მხრივ. ნაცვლად სიმართლისა, ღირსებისა და ყოველი ადამიანის პიროვნების დაცვისა ღრმად გაედგა ფესვი უსამართლობას, დამცირებასა და პიროვნების შელახვას. იმ დროს წარმართთა საუკეთესო პირნი ნათლად ხედავდნენ და გრძნობდნენ, რომ ამგვარი მდგომარეობა კაცთა არანორმალურია, და რომ საჭიროა იყო თავის დაღწევა ამ არა სასიხარულო და არა სასურველ მდგომარეობისაგან. მაგრამ მათთა აზრით, ამ დიადი საქმისათვის კაცობრიობა უძლური იყო. საჭირო იყო ზესთა-ბუნებითი ღვთაებრივი შემწეობა. და აი, ურიათა შორის, მართლაც, ზესთბუნებითად იშვა მხსნელი სოფლისა, ნათელი ჭეშმარიტი – იესო. მიზანი მისი შობისა იყო: განათლება ქვეყნად ყოველი კაცისა დაბადებულისა. ამ მიზნით აღჭურვილმა იესომ იწყო ცხოვრება კაცთა შორის ურიათა ქვეყნის სოფლებსა და ქალაქებში და კიდითი-კიდე ჰყენდა სიტყვასა და ნათელსა ჭეშმარიტსა ადამიანთა განსანათლებლად: “იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს” /მათე V, 48/. და ისმოდა ძლიერად მქუხარე ხმა ქრისტესი და მით კაცობრიობას უსახავდა ამ ქვეყნად ცხოვრების იდეალს. ქადაგებდა მშვიდობას და კაცთა შორის სათნოებას, ძმობას, ერთობას და ურთიერთ შორის უდიდეს სიყვარულს. «მშვიდობასა დაგიტევებ თქვენ, მშვიდობასა ჩემსა მიგცემ თქვენ» /იოანე XIV, 27/... «ამით ჰსცნან ყოველთა, ვითარმედ

ჩემნი მოწაფენი ხართ, უკეთუ იყვარებოდენ» /იოანე XIII, 35/, მშვიდობა და ამგვარი სიყვარულია, ძმანო ქართველნო, ქვა-კუთხედი ამ ქვეყნად კაცთა ბედნიერებისა და წინმსვლელობისა. და აი, უფროსი და უმაგალითო სიყვარული ქრისტესი კაცობრიობისადმი! დიდებული მოძღვარი კაცთადმი სიყვარულისათვის ჯვარს-აცვა მტრობამ, სიძულვილმა, შურმა, უვიცობამ, გამცემლობამ, ვერცხლისმოყვარეობამ ... და ესე საზიზღრობა მით უფრო სავალალო და სავაგლახო იყო, რომ ღვთაებრივი მოძღვარი ქრისტე იესო «თვისთა თანა მოვიდა, და თვისთა იგი არა შეიწყნარეს», ე. ი. ხორციელად ურიათა შორის შობილი მსოფლიო მქადაგებელი სიმართლისა და ჭეშმარიტებისა იესო ურიებმავე არა დაინდეს, არ შეიწყნარეს, გასცეს, უსასტიკესი სასჯელი მიაყენეს, ჯვარს\_აცვეს, ლახვრითა გვერდსა უგმირეს. ასეთი საზიზღრობა ჩაიდინეს ურიათა, რომელთათვის იესო ხშირად იტყოდა: ”არა ვიდრე მოვლინებულ ვარ გარნა ცხოვართა მათ წარწყმედილთა სახლისა ისრაილისათა” /მათე XV, 24/. ჰოი, უვიცობავ, სიბნელევე და უმადურობავ! ფართო იყო ასპარეზი თქვენი თარეშობისა ქვეყანასა ზედა მცხოვრებ კაცთა შორის ჟამსა იესოს დაბადებისა და მისი ტანჯვა-წამებათა!

აი, რა აზრები გაგვახსენა, ძმანო, დიდებულ ილიას მოწამებრივმა სიკვდილმა. დღეს მეორმოცე დღეა მისი ვერაგულად მკვლელობისა, მაგრამ ზემო ნათქვამი აზრები მაინც უფრო და უფრო თავს გვევლებიან და არ გვშორდებიან. გავიხსენოთ ხანა საქართველოს ცხოვრებისა წარსულ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, ე. ი. დღიდან საქართველოს სამეფოს რუსეთთან შეერთებისა იმ დრომდე, სანამ წამებული ილია სამშობლოს ასპარეზზე გამოვიდოდა სამოქმედოთ და ჩვენ დავრწმუნდებით ხსენებულ დროის დიდ მსგავსებაში იესო ქრისტეს დაბადების წინა დროსთან. ილიას დაბადების და სამოძღვროდ გამოსვლის დროს იგივე უსამართლობა, ძალმომრეობა, დამცირება და პიროვნების შელახვა იყო საქართველოში გამეფებული, რაიცა ქვეყნად ქრისტეს დაბადების წინა დროს. დაუმატოთ ამას ბატონ-ყმობის გამხრწნელი ზეგავლენაცა, რაც ისედაც უფერულ ცხოვრებას ჩვენის ხალხისას, უფრო უფერულად და აუტანლადა ჰხდიდა. აი, ამისთანა გასაჭირ დროს, მაშინდელ საუკეთესო ქართველთა შორის გამოჩნდა დიდი ბუნების და ნებისყოფის ადამიანი, ახალ დროის იარაღით – სწავლით აღჭურვილი, ყოველ მხრივ განათლებული, რომელიც შესძლებდა ქართველი ერისათვის ახალი ცხოვრების შექმნას, უვალ და ეკლიან გზის გაკაფვას, მისი ევროპის ერთა ფერხულში ჩაბმას. ასრულდა ასეთი ნატვრა! მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლების დასაწყისს მოევლინა საქართველოს ილია, ვითარცა მაცხოვარი იესო და მისნი დიდებულნი მოციქულნი ქვეყნიერებას. საქართველოს და მის ძეთა საკეთილდღეოდ ილია, ვითარცა მოციქული, საზრდოთა ჰხმარობს ქრისტესა მცნებას; ჰქადაგობს კაცთა სიყვარულს, ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, თანასწორობას; გვასწავლის შრომის მოყვარეობას და უნარიანობას, მომავლისათვის ბედთანა ბრძოლას: სიტყვით თუ საქმით, თუ მწერლობით თანამოძმეთ შთაგვაგონებდა და გვინერგავდა გულში ჭეშმარიტებისადმი სიყვარულს და უხვად ჰფენდა ჩვენს შორის განათლებასა. საკმაო იყო მხოლოდ ხილვა მისი ნათელი სახისა, ანუ ხსენება მისი სახელისა და უმაღვე ზემორე ჩამოთვლილ თვისებებით ჩვენი აღჭურვა და შეიარაღება. გულადი მებრძოლი და შეუპოვარი მოქალაქე იყო ილია თვისი ერის ინტერესების დაცვის საქმეში. ჭეშმარიტად ღვაწლი ილიასი დიდია წინაშე საქართველოსა და მისი ერისა. კალამი ჩვენი უძღურია ამ ღვაწლის დაფასებისათვის. ვიტყვით მხოლოდ მოკლედ, რომ მისი ღვაწლი და მოქმედებანი სავსებით შეთანხმებულია სახარების შინაარსთან და დიდებულ გალილეველთა მეთევზურთა ტანჯვასა და შრომასთან. და აი, ამგვარი

კაცი, “თვისთა თანა მოვლინებული, თვისთა არა შეიწყნარეს”. ასეთმა საზარელმა სინამდვილემ გონს მოგვიყვანოს, გონებანი განგვიწმინდოს და გულის-სიტყვანი განგვიმართლოს, სულით და ხორციით ნულარ წავწყმდებით. საქართველოს წარსულმა ცხოვრებამ, შინაურმა თუ გარეულმა, შეჰქმნა მრავალრიცხოვანი გუნდნი მოწამეთა. ფართოა საქართველოს ეროვნული სამსხვერპლო წინაშე ღვთისა და, აჰა, ეს ერთი გვამიც წარჩინებულ ქართველთაგანისაცა მსხვერპლად შეიწირა ღმერთმან ჯვარცმულმან ქართველი ერის ხელახლად აღორძინებისა და განდიდებისათვის. ჭეშმარიტად, წამებული ილია ღვაწლით შემოსილია! დასასრულ, უნდა აღინიშნოს ქრისტეს მსგავსი თავდადებული სიყვარული ილიასი ქართველთადმი, ლამაზი პოეტური ნიჭით მის მიერ წინწასწარ თქმული:

“ღმერთო, ღმერთო!... თვალწინ მიდგა  
დიდ ტანჯული მე ძე შენი...  
ვით მით ყველა, ისეც ჩემით  
ერი ჩემი დაიხსენი.”

ძამებით მოსილნო, დაობლებულნო, ძმანო ქართველნო! აღარა გვყავს ილია \_ მამა ქომაგი, უკვე სამწუხარო ფაქტის წინაშე ვდგევართ, რასაც ველარსად წაუვალთ. ტანჯულ ილიას თქმისამებრ:

“ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,  
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...”

იუდას მიერ გულ-დასერილნო და ლახვარ-ნაკრავნო ქართლოსიანნო! “აქ არის ჩვენი მაღალი დანიშნულება და საღმრთო ვალი!”.

თვითეულმა ჩვენგანმა გულის ფიცარზედ დავიწეროთ ღვაწლი ილიასი, პირნათლად აღვასრულოთ მცნებანი მისნი და მით საშვილიშვილოდ უკვდავ ჰყვოთ სახელი მისი.

ამინ

12. «სიტყვა მე-4-ე კვირიაკესა ზედა»: [იმედის შესახებ საღვთო წერილის მიხედვით]. 1934 წ. , 23 ივნისი. თავფურცელზე კათალიკოს-პატრიარქის ხელით მიწერილია: «წარმოითქვას იმ სახით, როგორც ამ ჟამად აქვს სიტყვას, დაბეჭდვის დროს კი წითელი ბრჩხილები გაიხსნას. კ.პ.კ.». [კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე]. ხელნაწერი. 9 ფ.

†

სასოება ჩემდა მამა, შესავედრებელად ჩემდა ძე, მფარველი ჩემდა სული წმინდა!...  
სასოება! იმედი! ისევ იმედი!!! კარგი რამ არის ეს თვისება ადამიანისა. მორწმუნენო, მშვენიერია იმედიანი ცხოვრების მატარებელი კაცი. მხოლოდ ასეთი კაცია ბუნების ძლევამოსილი გვირგვინი. განსაკუთრებით კი ჭირში, რისხვაში და იწროებაში მყოფთათვის იმედი შეუდრეკელი ზღუდე, ფარი და ხმალია. მხოლოდ იმედით შეიარაღებული ადამიანის სულია განწმენდილი, განბანილი და ყოველ უკეთურ საქმეებისაგან თავისუფალი. ნათქვამის დამადასტურებელია კაცის პირადი გამოცდილება და საღმრთო წერილის სწავლა... უხვი მასალის მომცემია. იგი გვასწავლის, რომ პირველნი კაცნი-ადამ და ევა, სამოთხეში ნათელსა შინა მცხოვრებნი, ბოროტ სულის ცდუნებით, დაეცნენ ... მაგრამ იმედი, იმედი მხსნელი!

დიდმა განგებამ ღვთისამ შეცოდებულთა \_ ადამ და ევას იმედი ჩაუსახა, აღუთქვა ხსნა, შველა: მოვა დრო და „თესლი დედაკაცისა შეჰმუსრავს თავსა გველისასა“ \_ ქალწულისაგან დაიბადება მაცხოვარი და მხსნელი ქვეყანისა, მწყემსი კეთილი, რომელიც იხსნის კაცობრიობას ცოდვისა და სიკვდილისაგან ... იმედჩასახულთ ადამ და ევამ უკუ აგდეს სასოწარკვეთილება, დაცემულნი აღთქმულ მაცხოვრის მოლოდინმა კვლავ აღადგინა, წაწყმედისაგან იხსნა, გონებანი აღუმადლა, სული გაუწმინდა. თუმცა მოლოდინი მათი ხანგრძლივი აღმოჩნდა, მაგრამ იმედიანმა ცხოვრებამ კაცთა წარმომშობელნი იხსნა წარწყმედისაგან.

მამამთავარ ისააკს და რებეკას ორი ვაჟი ჰყავდათ, მარჩვიბნი-ტყუპები: ესავი და იაკობი. ძმათა შორის უფროსობის უფლებათა შენარჩუნებისათვის შური დაიბადა. მშობელთაგან დალოცვილი იაკობი გაუდგა ბიძისაკენ მიმავალ გზას გულში შიშით: ვაი თუ ესავმა შეიტყოს მისი უჩუმრად წასვლა, დაედევნოს და გზაში მოკლას იგი. იაკობმა დაღამებისას მინდორში დაიდო თავით ქვა და დაიძინა. ასე, „დღისა სიციხადით გულ დაჩაგრულსა, ძილში ეღირსა ტკბილი სიზმარი“ დედამიწიდან ცამდე აყუდებულიყო კიბე, ცა გახსნილიყო, საიდანაც ამ კიბით გადმოდიოდნენ დედამიწაზედ ანგელოზნი და კვლავ უკანვე ზეცაში ამ კიბით ბრუნდებოდნენ. ზეცაში იდგა ღმერთი და აპირობდა ქვეყნად გადმოსვლას. მოისმა მისი მანუგეშებელი ხმა საიმედო, ხმა იაკობის შიშის გასაფანტავად: მე ვარ უფალი ღმერთი აბრაამისი, ისააკისი ... ნუ გეშინი! სადაც მიემგზავრები, იმ ქვეყანაში მიხვალ მშვიდობით, იქ გაგამრავლებ და გამრავლებულს მშვიდობითვე დაგაბრუნებ შენ სამშობლოში, მშობელთა სახლში. გაიღვიძა გულს იმედჩასახულმა. ... და გამხნევებულმა იაკობმა განაგრძო ბიძისაკენ მიმავალი გზა ... აქაც იმედი!... გამჩენელი ღვთის დიდი განგება და მორწმუნისადმი ღვთაებრივი მფარველობა და მზრუნველობა.

ღვთივგაბრძნობილ წმინდა მამათა ახსნა-განმარტებით იაკობისაგან ნახული ცამდის აყუდებული კიბე საიდუმლო მნიშვნელობისაა, მსმენელებო! მათი სწავლით კიბე გამოხატველი იყო ღვთისა დედისა ქალწულისა მარიამისა, რომლის საშუალებით ზეცით გარდმოხდა ადამისათვის აღთქმული თესლი დედაკაცისა, შემმუსვრელი გველის თავისა, დამთრგუნველი საკუთარი სიკვდილითა კაცობრიობის სიკვდილისა და ძლევით აღდგომითა თვისითა ჩვენთვისაც ცხოვრების მომნიჭებელი. „ყოველი სასოება ჩემი შენდამი დამიძს, დედაო ღვთისაო, დამიფარე მე საფარველსა ქვეშე შენსა“...

ქრისტეს წინადროის მცხოვრებთა იმედი ქრისტეს მოსვლის მოლოდინში გამოხატებოდა; ქრისტეს მოსვლის შემდეგ და ჩვენიც, აქ მყოფთა იმედი რაღაში მდგომარეობს, მსმენელნო? განსხვავება არაფერშია. ქრისტეს სწავლის მიმდევერთა იმედიც იგივე ქრისტეს მოსვლაშია, მხოლოდ მეორედ მოსვლაში. აი, ჩვენი რწმენა და იმედი: მწამს ერთი უფალი იესო ქრისტე მე ღვთისა, რომელიც „კვალად მომავალ არს დიდებით განსჯათ ცხოველთა და მკვდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ...“.

იესო ქრისტე მეორედ მოვა, მხოლოდ არა მონისა სახით, როგორც პირველად, არამედ როგორც დიდებით მომავალი მეუფე, გასამართლებლად ცხოველთა და მკვდართა. მიუდგომელ და პირუთვნელ ღვთაებრივ გასამართლებას მოჰყვება ერთათვის, მართლმადიდებელთათვის, საუკუნო ბედნიერი ცხოვრება, ხოლო მეორეთათვის \_ ცოდვილთათვის \_ მუდმივი ჭირი, მწუხარება, ურვა და სულთქმა. ... როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ, რომელთაც გვსურს იმქვეყნად მართალთა ხვედრის მიღება? უნდა ვცხოვრობდეთ ისე, როგორც ქრისტეს და მის მოციქულებს

უცხოვრიათ. მადლსა ჰქმნიდნენ, მშიერთა აჰმევდნენ, მწყურვალთა ასმევდნენ, შიშველთა მოსავდნენ, ავათმყოფთა ჰკურნავდნენ, პერობილთა ინახულებდნენ, მოგზაურთა შეიწყნარებდნენ ... ქრისტიანობა მადლის ქმნით ხასიათდება. ქრისტემ, ქ. კაპერნაუმში ყოფნის დროს, ასის-თავის თხოვნით, მისი დამბლათდაცემული მსახური, დიდ ტანჯვაში მყოფი, გააჯანსაღა. ქრისტემ ამ გზით დიდი მადლი ჰქმნა. ასის-თავის მოქმედებაც სანიმუშოა და მისაბადი. იგი სამგვარ ქრისტიანულ საფუძველზედ მდგომია: მორწმუნეც, მოიმედეც და მოსიყვარულეც. მას სწამს, რომ ქრისტე, როგორც ღმერთი, განკურნავს ტანჯვაში მყოფ მის მსახურს. იმედიანი მიდის ღვთაებრივ მკურნალთან და წმინდა და მოსიყვარულე გულით შესთხოვს შველას, წყალობის გაცემას. ...და აკი იმედიც არ გაუცრუვდა...

მორწმუნენო! მაშ, ვიყვნეთ ცხოვრებით მიმზადველი ქრისტესი, მისი მოციქულებისა და წმინდათა მამათა. მადლსა ვიქმოდეთ და მით მომავალს იმედიანი თვალთ შევყუროთ. სულით ნუ დავეცემით. ჭირში, რისხვაში და იწროებაში ყოფნა თუ მოგვიხდეს, არა შევორგულდეთ. სარწმუნოებას, სასოებას ნუ შევილახავთ. გვრწამდეს და გვიყვარდეს ძე ღმერთი, ყოვლისა მპყრობელი და გვწამდეს და გვიყვარდეს სული წმინდა, გაჭირვებულთა ნუგეშისმცემელი. ვიყვნეთ პატივისმცემელნი ღვთისა დედისა – ქალწულისა მარიამისა, სასოებისა, შუამდგომლისა ჩვენისა წინაშე ძისა თვისისა უფლისა იესო ქრისტეისისა. იმედიანი ცხოვრებით შევყუროთ მომავალს და ღმერთიც ჩვენთან იქმნება თავისი მადლითა, წყალობითა და კაცთმოყვარებითა. „სასოება ჩემდა მამა, შესავედრებელი ჩემდა ძე, მფარველი ჩემდა სული წმინდა!“

ამინ

13. «სიტყვა ჯვარის ამალღების დღეს». 1930 წ. , 25 სექტემბერი. თავფურცელზე მინაწერია: «თხოვნისაებრ განთავისუფლებული ჰქმნა სიონში წარმოთქმისაგან, ხოლო წარმოითქვას ვერის ეკლესიაში. კ. პ.» [შემდეგ – კათოლიკოს-პატრიარქის ქრისტეფორეს ხელმოწერა]. ხელნაწერი. ტექსტს ბოლო ნაწილი აკლია. 1 ფ.

†

დღეს, ახალი სტილით 27-სა და ძველი სტილით 14-სა სექტემბერს, ვდღესასწაულობთ, საყვარელნო, ჯვარის-თაყვანისმცემელნო, ამალღებასა პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯვარისას. ჯვარი პატიოსანი და ცხოველ-მყოფელი განსაკუთრებით იდიდების დღეს, და დღესასწაულის წინა და შემდგომად კვირიაკეების დღეებში, რადგანაც დღესასწაული ჯვართამალღებისა მსოფლიო მნიშვნელობისა და თვისების მქონეა ქრისტიანობის დასაწყისიდანვე. რად ყოფილა ჩვენ დრომდე ასე? რად არის ასე ახლა? და რად იქმნება ასე ჩვენ შემდგომ მომავალშიც, ვიდრე დასასრულამდე სოფლისა? ჯვარი პატიოსანი და ცხოველის-მყოფელი თაყვანის იცემების და იდიდების ყოველთვის მისთვის, რომ ჯვარის ხილვა მთელი სახარების სწავლის გახსენებაა, კაცის ამ ქვეყნად მოვლინების მიზეზის გათვალისწინებაა. ხილვა პატიოსნისა და ცხოველმყოფელი ჯვარისა მკაფიოდ შეგვახსენებს და ნათლად შეგვაგონებს, რომ ღმერთს უბოძებია კაცისათვის ამ ქვეყნიური ცხოვრება არა სალხინოდ და თავის შესაქცევად, არამედ შრომისა, მოთმინებისა და მრავალთა ჭირთა და განსაცდელის დათმენისათვის. ჯვარის ხილვა

გაგვახსენებს, რომ “ნათელი ქრისტესი მოვიდა სოფლად, და შეიყუარეს კაცთა ბნელი, ვიდრე ნათელი, რამეთუ იყვნეს საქმენი მათნი ბოროტ; რამეთუ ყოველი, რომელი ბოროტსა იქმს, ჰსძულს მას საქმენი მისნი” /იოანე III, 19, 20/. ჯვარი პატიოსანი და ცხოველ-მყოფელი მთქმელია იმისა, რომ ქრისტე შეიქმნა კაცთა მიერ მოძულეებული იმისათვის, რომ მან ამხილა კაცთა მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება. ამის გამო ქრისტე ამბობდა: “მე ვჰსძულ სოფელსა, რამეთუ ვჰსწამე მისთვის, ვითარმედ საქმენი მისნი ბოროტ არიან” /იოანე VII, 7/.

14. «მე-13-ე კვირიაკე»: [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება, რომელიც ეხება იესო ქრისტეს იგავს ვენახის გამშენებელი კაცის შესახებ]. 1922წ., 22 სექტემბერი. ხელნაწერი. 10 ფ.

†

მახარებელ მათეს სახარებიდან იესო ქრისტეს შემდეგი შინაარსის იგავი მოვისმინოთ, საყვარელო!

იყო ერთი მეოჯახე კაცი, რომელმაც გააშენა ვენახი, შემოავლო მას მტკიცე ზღუდე, ააშენა და მოაწყო შიგ საწნახელი, საცხოვრებელი ბინები და ასე მოწყობილი გადასცა დასამუშავებლად მომქმედთ და თვითონ კი სხვაგან წავიდა. შემდეგ ვენახის გამშენებელმა ნაყოფის მოსაკრევად გაგზავნა ვენახში თავისი მსახური. ვენახის მოქმედთ შეიპყრეს იგი და ზოგნი სცემდნენ, ზოგთაც ქვები დაარტყეს და მოკლეს. სულგრძელმა მემამულემ ვენახში მეორეთ უფრო გამრავლებულნი მსახურნი მიავლინა ნაყოფის მოსაკრევად. ვენახის მოქმედნი ამათაც ისევე მოეპყრნენ, როგორც პირველად მივლინებულს. მომქმედთა ასეთი მოპყრობით შეწუხებულმა მეოჯახემ უკანასკნელად გაგზავნა ვენახში ძე თვისი იმ მოსაზრებით, რომ იქნებ ბოროტ შემმუშავებლებმა დაირცხვინონ მამულის მემკვიდრისა, შეიგნონ თავისი მოვალეობა და მისცენ მას კუთვნილი ნაყოფი ვენახისა. მაგრამ მომუშავეებმა, დაინახეს რა მემკვიდრე ვენახისა, გულთა შინა შემდეგი ბოროტი აზრი გაიტარეს: მოდიოთ და მოვკლათ მოსული მემკვიდრე ვენახისა და მის სამკვიდრებელს ჩვენ დავეპატრონოთ. ავით თქმული საქმეთ აქციეს. მოსული მამულის მემკვიდრე შეიპყრეს, გაიყვანეს გარეშე ვენახისა და იქ მოჰკლეს. ამ იგავის მოამბე იესო ქრისტემ მსმენელებს კითხვა დაუსვა: რას უზამს ვენახის გამშენებელი ბოროტმომქმედთა მათ? მსმენელებმა უპასუხეს: ბოროტ მომუშავეებს ბოროტადვე დასჯის ვენახის უფალი და ვენახს კი დასამუშავებლად გადასცემს სხვათა ისეთ მომქმედთ, რომელნიც წლის მოსავალს ვენახისას თავის დროზედ მას უკლებლივ მისცემენ. ასეთი პასუხის შემდეგ ღვთაებრივმა მოძღვარმა გაახსენა ყურისმგებლებს ფსალმუნთმგალობელის და წინასწარმეტყველის მეფე დავითისაგან უძველეს დროს ნაწინასწარმეტყველევ სწავლა: არ ამოგიკითხნიათო საღმრთო წერილიდან: „ლოდი, რომელი შეურაცხჰყვეს მაშენებელთ, შემდეგში იგი ლოდი შენობის-თავ-კიდეთ შეიქმნა, და ეს საკვირველება ჩვენ თვალთა წინაშე უფლისაგან იყო“ /ფს. 117, 22-23/. ამიტომაც, \_ დაბოლოვა მოძღვარმა მსმენელთადმი თქმული იგავი ქვემო მიმართვით, \_ წაგერთვათ თქვენ სასუფეველი ღმრთისა და მიეცეს იგი იმათ, რომელნიც თვისი კეთილი ცხოვრებით დროზედ ნაყოფის მომცემნი იქნებიან /მათე XXI, 33-43/.

საყვარელნო! ღვთაებრივი მოძღვარი იესო ქრისტე თვის მოწაფეებსა და მსმენელ ხალხს ხშირად სწავლას გადასცემდა იგავებით; და ასე სჩადიოდა ის მისთვის, რომ მის მიერ ნაქადაგები უფრო ნათელი და გასაგები ყოფილიყო მსმენელთათვის, რომ მათ გულსა და გონებაში უფრო ღრმად აღბეჭდილიყო სხვადასხვა საგნებთან შედარებით ნათქვამი აზრი; და თუ წარმოთქმული იგავებიდან ზოგჯერ რაიმე გაუგებარი აღმოჩნდებოდა მათთვის, იესო ქრისტე თვითვე არ აგვიანებდა მათ ახსნას. გადმოცემული იგავის შინაარსი რომ გაუგებარი არ აღმოჩნდეს თქვენთვის, შევეცდებით მის განმარტებას.

„კაცი ვინმე სახლისა უფალი“, ანუ მეოჯახე არის ღმერთი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა; მისგან გაშენებული ვენახი კი ცა და ქვეყანაა, რომლის შესახებ დიდი წინასწარმეტყველი მოსე სწერს თვის პირველ წიგნში „დაბადება“: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქვეყანა“ /დაბ. წიგ. მოსესი I, 1/. ვენახის დასაცავად შემორტყმული მტკიცე ზღუდე, ვენახში შენებული საწნახელი და გოდოლი, საცხოვრებელი ბინები, ნიშნავს იმ უხვ ღვთის მადლს, რომელიც ღმერთს ქვეყნისათვის მის შექმნისთანავე შიგ ჩაუტანებია, ანდა დედამიწის ზედა-პირზედ მოუფენია და წყალთა ქვეშ დაუფარია. წინასწარმეტყველ მოსეს „დაბადებაში“ ვკითხულობთ, რომ ექვსი დღის განმავლობაში ღვთის მიერ შექმნილი ცა და ქვეყანა თვით ღმერთსავე, როცა თვალი გადაუვლია და უნახავს, მოსწონებია: „და იხილნა ღმერთმან ყოველნი ... რაოდენი ქმნა...“ /დაბ. წიგ. ა მოსესი I, 31/.

ვინ არიან ვენახის მომქმედნი, რომელთაც ვენახის გამშენებლისაგან გადაეცათ ვენახი დასამუშავებლად? ესენი ვართ ჩვენ, ქვეყნის გვირგვინად და მეფედ მოვლინებულნი კაცნი, რომელნიც შემოქმედ ღმერთს ასე დაულოცნია: „აღორძინდით და გამრავლდით და აღავსეთ ქვეყანაი და ეუფლენით მას“ /დაბ. წიგ. ა. მოსესი I, 28/. ღვთის სიტყვებით „კაცი, ხატად და მსგავსად ღვთისა დაბადებული“, დადგინებულია მთავრად ქვეყანაზედა ... ღმერთს თვისი სახიერებით გაუჩენია კაცისათვის ბუნება მრავალფეროვანი სიმდიდრით და ასევე თვით სულიერი სიმდიდრით დაჯილდოვებულია კაციც; სამაგიეროთ კაციც სახიერებით, კეთილი ცხოვრებითა და მოძმეთა შორის მადლის ქმნით უნდა მსახურებდეს მას. ამას გვასწავლის დიდი მოციქული პავლე: „არა უწყითა, რამეთუ ტაძარნი ღვთისანი ხართ, და სული ღმრთისა დამკვიდრებულ არს თქვენს შორის“ /I კორ. III, 16/. ამავე მოციქულის სწავლით ყოველნი კაცნი: „ასულ ვართ გვამისა მისისანი, ხორცთა მისთაგანი და ძვალთა მისთაგანი“ /ეფეს. V, 30/; და კაცი, როგორც ასეთი, ქრისტეს მზგავსად უნდა მოყვასთათვის თავსა თვისსა სდებდეს. ... სიყვარული, მშვიდობა, კაცთა შორის კეთილი განწყობილება უხვად, შეძლებისდაგვარად, მადლის ქმნით – აი, კაცის მოვალეობა, დავალებული დღევანდელი იგავის თქმით, „ვინმე სახლისა კაცისაგან“... კაცმა შეასრულა დავალება შემოქმედისა? ასარგებლა მან კეთილსინდისიერათ, მზგავსად ქრისტეს ცნობილ იგავისა „კეთილ-სახიერ და სარწმუნო მონათა“, თუ იგინი დაფლა მიწაში უსარგებლოთ, როგორც ამავე იგავის „ბოროტმა და მედგარმა“ მონამა ჰქმნა? /მათე XXXV, 21, 23, 26/ იცნა მან მაღალთა შინა მყოფი უხილავი ღმერთი და უფალი ძალთა და ყოვლისა დაბადებულისა შემოქმედი და მის მიერ მოვლინებული იესო ქრისტე? ამ ქვეყნად მოკლე ხნით მოვლინებულმა „თივისა და თივის ყვავილის და კვამლის“ სადარმა კაცმა გაამეფა ზეცაში მცხოვრებ ანგელოზთა მიერ ქრისტეშობის ღამეს ბეთლემის მიდამოებში გალობით წარმოთქმული: „ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“... „ამ მწირმა და წარმავალმა და აჩრდილმა ქვეყანასა ზედა“ /I ნემტთა XXIX, 15/. ხალხური თქმითაც „წუთისოფლის სტუმარმა“ „ჰყო უკვე ნაყოფი ღირსი სინანულისა?“



/მათე III, 8/. დღევანდელი იგავი გვასწავლის, რომ კაცთა ნათესავს და მათთან ერთად მამამთავარ აბრაამის მოდგმას, ისრაელთაც, მცირე გამონაკლისის გარდა, ზემოჩამოთვლილ კითხვებზედ მაღლის ქმნით არ უპასუხნიათ. პირიქით, მათ კეთილ საქმეთა შექმნა უარუყვიათ, ბოროტება კი გაუმეფებიათ. კაცის, მოციქულის თქმით, „ამ ღვთის ტაძრის და სული წმიდის სადგურის“ დარღვევა, განადგურება და მოსპობა თავს უდვიათ ... ზოგნი მოუკლავთ, ზოგთათვის უცემიათ, ზოგნიც ქვებით ჩაუქოლიათ და სხვადასხვა მრავალი ამისთანა და ამათზე უარესი, ენით აუწერელი უბედურებანი მოუმოქმედნიათ. როგორც სამოქალაქო, ისე საღმრთო\_საეკლესიო ძველი თუ ახალი ჩვენი დროის ისტორია გვასწავლის და აურაცხელ მაგალითებზედ მიგვითითებს, რომ კაცთ დაუკარგნიათ პირვანდელი ხატება, მზგავსება ღვთისა და მეტყველებით ნაყროვან ჭამა-სმით, ჩაცმა-დახურვით თუ ჩაუცმელობითა და ყოფა-ქცევით ტყის ნადირთ და შინაურ ოთხფეხა ცხოველთ დაჰმსგავსებინ. აი, ასეთ სურათს გვიხატავს დღეს მოსმენილი იგავით იესო ქრისტე.

დაბადების სწავლით, ბოროტმა კაინმა იმსხვერპლა კეთილი და ცამდის მართალი თავისი ძმა აბელი. კაინის ბოროტმა მოდგმამ იმსხვერპლა და ბოროტებაში გახვია ადამ და ევას აბელის მაგიერი შვილის, სეთის კეთილი შთამომავლობა, რასაც შედეგად მოჰყვა მსოფლიო წარღვნა. ნოეს შვილმა ქამმა უარყო პატივისცემა მშობლებისა და საერთოდ, თავისზე ხნიერთა და მოხუცებულთა ნათესავთა, ნაცნობთა და უცნობთა, მოყვასთა და ასეთი სინიდისის საწინააღმდეგო, სამრახისი და უგვანო ყოფა-ქცევა თვის მოდგმასაც უანდერძა... იგავში იესო ქრისტეს მიერ დახასიათებულ „ვენახის მომქმედთა“ სახარების სწავლით იმიერ, სულიერ ქვეყანაში ასეთ „ქვეყანის \_ მომქმედთა“ ბედი არა სანუკვარია. მათ წაერთმევათ სასუფეველი ღმრთისაგან, მიმადლებული მაღლი და იგი გადაეცემათ ამ ქვეყნად მცხოვრებ კეთილის ნაყოფის გამომღებთ. „ამისთვის გეტყვი თქვენ: ვითარმედ მიგელოს თქვენგან სასუფეველი ღმრთისა და მიეცეს ნათესავსა, რომელნი ჰყოფდნენ ნაყოფსა მისსა“ /მათე XXI, 43/...

საყვარელნო! მაღლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღვთისა და მამისა და ზიარება სულისა წმიდისა იმ ერთა ზედა არის, რომელთაც შეისწავლეს სახარება, შეეთვის-ნენ და შეესისხლხორცნენ მას და მასში აღწერილი მცნებანი ცხოვრებაში განახორციელეს. ამგვარ ერთა ოჯახის წევრი ჩვენ, ქართველებიც ვართ. მეოთხე საუკუნის დასაწყისიდან წმიდა ღირსი დედის, ნინოს შრომათა და ღვაწლთა დავალებით და მისი ვაზის ჯვრის მაღლით ჩვენც ჩაბმული ვართ ამ საერთო საქრისტიანო ფერხულში, რომელსაც მაღლის ქმნით იესო ქრისტეს მსახურება ეწოდება. წარსულში მამა-პაპათა, მათ სასახელოდ ქრისტეს სახელისათვის პირნათლად უმსახურიათ, მათ ღმერთი უდიდებიათ სამშობლოს საზღვრებში თუ მის გარეშე უცხოთა შორის და წმინდა ნინოს მიერ ნაკარნახევი საქმე დაუსრულებიათ – მრავალსაუკუნოვანი საქართველოს ისტორია მოწმობს, რომ წინაშე საშინელი სამსჯავროსა ქრისტესა მათ მაღლიანი ცხოვრებით უფლება მოუპოვებიათ ქრისტესთან ერთად თქმისა “მამაო, მე გადიდე შენ ქვეყანასა ზედა, საქმე აღვასრულე, რომელი მომეც მე, რათა ვჰყო“ /იოანე XVII, 1, 4/ ... ვაი, რომ არ გვშვენის თქმა ამგვარი აღსარებისა, საყვარელნო! ბოროტთა საქმეთა ჩვენთა ამის უფლება დაგვაკარგვინეს...1907 წელს არ დავინდეთ, მსგავსად ურიებისა, დიდ ჭირ-ნახული მოამაგე ილია ... მამულისადმი სიყვარულით აღვსილი გული ცხელი ტყვიით განვუგმირეთ ... ეს უღვთო სიკვდილი დღემუდამ გაგვახსენებს მახარებელ იოანეს სწავლას, ქრისტე იესოს შესახებ თქმულს: „თვისთანა მოვიდა და თვისთა არა შეიწყნარეს“ /იოანე I, 11/... საყვარელნო! ჩვენ მამა-პაპათა თვისი კეთილი ცხოვრება-

მოქმედებით შეუწყნარებიათ „ნათელი ჭემმარიტი,“ რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალს სოფლად. ...იესო ქრისტეს მადლის საქმეში, ქართველებო, პოეტ ვახტანგ ორბელიანის თქმისამებრ: „ჯვარი იმ ვაზის, მადლი იმ ჯვარის, ჩვენ სამშობლოზე, ჩვენ ერზე იყოს“.

ამინ

15. «მე-4-ე კვირიაკე შემდგომად პასექისა»: [ხსენება დიდთა მამათა და მოძღვართა ნიკოლოზისა და შიო მღვიმელისა...» ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1932 წ. , 20 მაისი. თავფურცელზე: «დეკ. დ. გარსიაშვილი». 4 ფ.

†

წლევანდელს, ძვ. სტილით 9 მაისობას, როდესაც ხსენება დიდთა მამათა და მოძღვართა ნიკოლოზისა და შიო მღვიმელის ზედ დაერთო ბრწყინვალე პასექის მე-4-განრღვეულისად წოდებული კვირიაკე, საყვარელნო მორწმუნენო, ეკლესიის მიერ წმიდა სახარებიდან და სამოციქულოდან სადღეისოთ განწესებულმა საკითხავებმა მისცეს ამ კვირიაკეს ასეთი სახელწოდება, რადგანაც ორთავე საღმრთო წიგნებიდან ჩვენ ყურთ მოესმა სასწაულები ქრისტესი და მის მოციქულის პეტრესი განრღვეულთა განკურნების შესახებ. კაცთა ზნეობრივი აღზრდისათვის დიდი მოძღვრება დაუტოვებია იესო ქრისტეს განრღვეულის განკურნებით.

ურიათა ერთ საეკლესიო დღესასწაულის დროს იესო ქრისტე აღვიდა იერუსალიმად, \_ მოგვითხრობს მოციქული და მახარებელი იოანე ღვთისმეტყველი. იერუსალიმის ტაძართან სამსხვერპლოდ განმზადებულ ცხოვართა საბანებელი ტბა იყო, რომელსაც ებრაული ენით “ბითეზდა” ეწოდებოდა. ბითეზდასთან ხუთი ოთახი იყო აშენებული, სახარებაში “სტოვებად” წოდებული ... სხვა სენის ავთამყოფთათვის. წელიწადში ერთხელ ანგელოსი გარდამოვიდოდა და წყალს აღამღვრევდა. რომელი ავთამყოფიც წყლის ამღვრევისას პირველი ჩავიდოდა საბანელსა და იბანებდა, იგი უმაღვე განიკურნებოდა შეპყრობილ სნეულებისაგან. სნეულთა შორის იყო ვინმე კაცი, რომელსაც დაეყო უძღურებასა შინა ოცდათვრამეტი წელი. შევიდა იესო თავშესაფარში იქ მწოლარეთა საწუგემოთ ... იხილა რა ესე ავთამყოფი, გული-ხმა-ჰყო ხანგრძლივი უძღურება მისი, უთხრა: გნებავსა, რათა განიკურნო? უძღურმა უთხრა: «უფალო, კაცი არა მყავს წყლის ამღვრევისას, რომ დროზე ჩამაგდოს საბანელში, ვიდრე მე მოვიდოდე, სხვა უწინარეს ჩემსა შთავიდის და განიკურნის. უთხრა მას იესომ: აღზდეგ, აღილე ცხედარი შენი და ვიდოდე. და მაშინ განიკურნა კაცი იგი და აღილო ცხედარი თვისი და წავიდა. ხოლო იყო შაბათი დღე იგი,» \_ დასძენს მახარებელი. ეტყოდეს მას ურიანი: შაბათი არის და არა ჯერ არს შენდა აღებად ცხედარი შენი? მან მიუგო: რომელმან განმკურნა მე, მან მითხრა: აღილე ცხედარი შენი და ვიდოდე. ჰკითხავდეს მას ურიანი: ვინ არის კაცი იგი, რომელმან გითხრა შენ: აღილე ცხედარი შენი და ვიდოდე? განკურნებული არ იცნობდა თვის განმკურნებელს, რადგანაც იმ ადგილას, ხალხის სიმრავლის გამო, იესო ქრისტე მიეფარა. შემდეგ იესო შეხვდა მას ტაძარში და დაარიგა: «აჰა, განიკურნე, ნურღარა ჰსცოდავ, რათა არა უძვირესი რაიმე გეყოს შენ. წავიდა იგი კაცი და უთხრა ურიათა: იესო არის, რომელმან განმკურნა მე.»

აჰა, საყვარელო მორწმუნეო, ერთის მხრივ, დიდებული მოძღვარი იესო ქრისტე თავისი უხვი საღმრთო მადლითა, კაცთ-მოყვარებითა, წყალობითა და შებრალებითა; მეორეს მხრივ, ურიანი თავისი უმადურებითა, კაცთმომულეობითა, გულქვაობითა და შეუბრალებლობითა. 38 წლის განმავლობაში უღონო განრღვეულს საწოლი სამარეთ შეჰქმნოდა, დაუფვლელი მკვდრის მზგავსი გამხდარიყო, ამა ქვეყნიური ცხოვრება მისთვის ფუჭი და გამოუსადეგარიდა იყო. ცხოვართა საბანელი ტბის განმკურვნელი თვისება მას მიუწვდომლად გადაჰქცეოდა. მას შველა ესაჭიროებოდა.... მისთვის საჭირო იყო კაცი სიყვარულით აღსავსე გულისა, მადლით ცხებული, შემბრალებელი ... იერუსალიმში მცხოვრებთა და იერუსალიმის ტაძარში ურიათა ქვეყნის ყველა კუთხიდან ყოველ წელს მომდინარე აუარებელ მლოცველთა შორის ასეთი კაცი არ იყო ... განრღვეულის პასუხი: «უფალო, კაცი არ მივის, რათა ოდეს წყალი ესე აღიმღვრეს და შთამცა-მაგდოს მას შინა, ხოლო ოდეს მივიდოდი, სხვა უწინარეს ჩემსა მივიდის და მიიღის კურნებაი და მე უძლურ მდებარე ვარ» /დასდ. მწუხ. კვირ. IV-სა შვიდ. შემდგომად პასექისა/ მიუდგომელი და პირუთვნელი დახასიათებაა მამამთავარ აბრაამისაგან შთამომავლობით გაამპარტავნებულ ისრაელებისა. მათ ახსოვდათ “დღე იგი მეშვიდე შაბათი”... უვიცნი და სიბნელეში მყოფნი ჰგონებდნენ, რომ ამ დღეს უსაქმობით, გულხელდაკრებით, ლაყბობით, ენათა ქავილით, სხვათა თვალეში ბეწვის დანახვით, გაკიცხვა-გაჭორვით მოსეს რჯულს ასრულებდნენ და მტკიცედ იცავდნენ და არ ფიქრობდნენ კი რომ “აქ არის ერთი რამ საჭირო” /ლუკა X, 41/ – ღვთის დიდება და სიყვარული მოძმისათვის კეთილთა საქმეთა ქმნით, კაცთმოყვარეობით და მადლის გაცემით. მათ მიწა-წყალზედ, იმდენ ხალხში, კაცი არ იყო შემგნებელი და სხვათაც შთამაგონებელი, რომ “შაბათი კაცისათვის დაებადა, და არათუ კაცი შაბათისათვის” /მარკოზი II, 2/. “შაბათი არს, და არა ჯერ-არს შენდა აღებად ცხედარი შენი” /იოანე V, 10/. აი, სიბნელეში მსხდომარეთა და სრულის გარეგნული სახით შემთვისებელთა მედიდური მსჯელობა – კაცი 38 წელი “მომკვდარ იყო და განჰსცოცხლდა” /ლუკა XV, 24/ და მას ცოდვით უთვლიან ცხედარის აღებას მხოლოდ იმისათვის, რომ დღე მისი განკურნებისა შაბათი იყო.... სულ სხვაფრთვია ქრისტეს მსჯელობა, საყვარელო! აჰა, მოისმინეთ განრღვეულისადმი უზომო სიყვარულითა და გულით ნათქვამი სიტყვები: “შენთვის კაც ვიქმენ და ხორცი შევისხენ, და შენ იტყვი, ვითარმედ კაცი არ მივის? აღსდევ, აღილე ცხედარი შენი და ვიდოდე, რამეთუ ყოველივე ჩემ მიერ შესაძლებელ არს, ყოველივე მმორჩილებს მე, ვითარცა კაცთ-მოყვარე ვარ” /დასდ. მწუხ. კვირ. IV-სა შვიდ. შემდ. პასექისა./ კაცთმოყვარეობამ დაათმენინა იესო ქრისტეს ტანჯვა-წამებანი ჯვარსა ზედა ... ქრისტეს მოციქულნიც მტკიცე და ურყევლნი მიმბაძველნი შეიქმნენ თვისი ღვთაებრივი მოძღვრისა... მოციქული პავლეც ჩვენ ამას გვიანდერძებს და გვავალებს: როგორც მე ვბამავ ქრისტეს, ისე თქვენ იყავით ჩემი მიმბაძველიო ... ერთი ასეთი ნიმუში მიმბაძველობისა ამოღებულია ილია ჭავჭავაძის “გლახის ნაამბობიდან: “სწორედ ამ დროს ქუჩიდან ერთი აყალმაყალის და აღიაქოთის ხმა შემოვიდა. მტკვრის ნაპირზე ვიდექით და მღვდელიც ხომ იქვე იდგა. მღვდელი გაფითრდა და ისე, როგორც იყო, უცბად ეცა ქუჩის კარებსა ... რა ამბავია, ძმებო, რა ამბავია? დაუყვირა მღვდელმა ხალხს. რაღა ამბავია, შენი ჭირიმე! კაცი იხრჩობა, – დაუძახა ვილაცამ. ამის თქმა და მღვდლის ფეხის მოსხლეტა ერთი იყო. ისე თავშიშველი გაფრინდა გაფოთებული. ხალხი და დედაკაცობა შეგროვილიყო მტკვრის გადასახედზედ ... რომ დაინახეს მღვდელი მოდისო, – ერთობ სიხარულით დაიგრიალეს: “მღვდელი მოვიდა, მღვდელი! მადლობა ღმერთსა, ქრისტიანი სული აღარ დაიხრჩობაო!” სჩანს იმ მღვდლისაგან კვლავაც

ბევრი მაგისტანები ენახათ, რომ ეგრეთი იმედი ყველას მოეცა. მღვდელმა ხმა არავის გასცა, ზედაც არავის შეჰხედა. იმისი თვალეზი მოუსვენრად დაჰყურებდა მტკვრის დენასა, თითქო უკანასკნელი საუნჯე იქ ელუპებო. თვალის დახამხამების უმაღლ გაიძრო ტანისამოსი და გადმოყარა ჩემკენ. მე შევხედე: გაფითრებული იყო და დაღონებული. ერთი ეს კი თქვა: ირჩობა ჩვენისთანა ადამიანი და არავინ შველის? შემდეგ სწრაფად გადისახა პირჯვარი, ახსენა სახელი ღვთისა, იშვირა ფეხი და გადავარდა წყალში. მაშინ კი თან გადაჰყვა ტყაპა-ტყუპით შვიდიოდე ბიჭი, თითქო მღვდლის საქციელმა წაახალისაო. ცოტა ხანს თვალიდან დაგვარგე მღვდელი. მე იმისი დახრჩობის შიში მომეცა. “რა ვქნა, ხომ არ დაირჩო?” – წამოვიძახე ჩემთავად. ჰმ, – ჩაიცინა ჩემ გვერდით ერთმა კაცმა: მაშ, შენ ეგ ვერ გიცვნი. – მიპასუხა მე და გაშტერებით თვალი წყალს ააყოლა: მაგას ღვთის კაცს ეძახიან. არც წყალი ერევა მაგ დალოცვილს, არც ცეცხლი ეკიდება. აგე, თუ არ გჯერა, სად ამოჰყო თავი!” გამიშვირა ხელი და დამანახვა გახარებულმა მღვდელი ... ის დალოცვილი როგორც გემი, ისე არღვევდა წყალს ... ნუ გეშინიან! ამხნევებდა ხალხი ... მღვდელს არ ეჭირვებოდა ხალხის წახალისება და გულის გამაგრება. იმისი სიმაგრეც და წამხალისებელიც ის ცეცხლი იყო, რომელიც, თვითონ რომ სთქვა, ყოველ კაცს გულში უნთიაო ... როცა ნაპირზე გამოიტანეს, როგორც ძმასა, ზედ დასტრიალებდა გონება-მიხდილ მუშასა. როგორც იყო გამოაბრუნეს ის საწყალი. თითონ მღვდელი მუშაზე ნაკლებ შესაბრალისი არ იყო. შემოდგომა გახლდა, სულ გალურჯებული იყო, სიცივისაგან კბილით კბილსა სცემდა და ჰკანკალებდა. გლახავ! მიუბრუნდა ვიდაცას მღვდელი. თუ ღმერთი გწამს, ამაღამ შენ სახლში ბინა მიეცი ამ საცოდავსა, მადლია. – ბატონი ბრძანდები, – უპასუხა იმანაცა ... შე დალოცვილო! შენ თავსავე უნდა შველა, – მივატანე მე. – აგერ ჩემი მშველელი სად არის! – მითხრა ეს თუ არა, ცა დამანახვა და გამეცალა ... ის მუშა კი მოარჩინა სიკვდილსა და თითონ კი კინაღამ სული მიაბარა უფალსა. ისე ავად გახდა, რომ კინაღამ თან არ გადაიტანა.”

საყვარელნო! როგორც ვხედავთ, ღმერთს ჩვენთვის, კაცთათვის გული მოძმის სიყვარულისათვის მოუცია, ღონე და შეძლება გაჭირვებულის მოძმის საშველად მოუმაძღვებია. მას მოწმობს “გლახის ნაამბობის” მღვდლის თავგანწირული საქციელი. მას მოწმობენ მოციქულთა მზგავსი სიტყვანი და საქმენი დღეს ეკლესიისაგან ხსენებულთა წმიდათა დიდთა მოძღვართა მამათა ჩვენთა ნიკოლოზისა და ღირსისა შიო მღვიმელისა. მას მოწმობენ საქართველოს მრავალტანჯული ეკლესიის მარტვილთაგან სისხლთა დათხევანი მოძმეთა უზომო სიყვარულისათვის. როდესაც ვხედავთ გაჭირვებაში მყოფ მოძმეს, მაშინ არც გული უნდა ჩავკლათ და არც ღონე და შეძლება დავმალოთ და დავიშუროთ... ”სხვა შენთვის და შენ სხვისთვის – აი, გზა ცხოვრებისა, აი, ხიდი ცხოვნებისა, აი, გასაღები სამოთხისა!” /“გლახის ნაამბობი”/.

მკვდრეთით აღდგომილო, სახიერო, ყოვლად ძლიერო და ყოველთა შემწყალებელო და ხელის ამპყრობელო უფალო იესო ქრისტე! “მკლავითა მტკიცითა შეჰქმენ კაცნი, ხოლო მოხვედ რა ქვეყნად, განრღვეული ცხოვართა საბანელსა სიტყვითა შენითა აღადგინე, და სისხლმდინარე განჰკურნე, და ასული იგი ქანანელისა მწარისა სენისაგან განათავისუფლე, და ვედრება იგი ასისთავისა არა უფულებელს-ჰყავ, ამისთვის ჩვენცა გიგალობთ და გილადადებთ! ლოცვითა წმიდითა დღეს ხსენებულთა მამათა ჩვენთა მღვდელმთავარის ნიკოლოზისა და შიო მღვიმელისა შეგვეწიენ, გვაცხოვნენ, შეგვიწყალენ და დაგვიცვენ ჩვენ.»

ამინ

16. «კვირიაკესა ხორცთა კალოებისა»... : [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1927 წ. , 27 თებერვალი. თავფურცელზე: «წარმოითქვას ნაჩვენები შემოკლებით». კ.პ.კ. [კათალიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე]. ხელნაწერი რვეული. 13 ფ.

†

მოახლოებულია წმინდა დიდმარხვა, ძვირფასნო და საყვარელნო! დგება განსაკუთრებული დრო ადამიანთა განწმენდისა და უკეთურებათა მოსპობისა, კაცად კაცადის სინიდისის მხილებისა, გულში ჩახედვისა, გონებით ზეცას ამალლებისა, ღმერთთან ბაასისა. ჩვენ მორწმუნენი ვალდებულნი ვართ მოვემზადნეთ, რათა ღირსეულად მივეგებოთ მას. ამ მიზნით წმინდა ეკლესიას წინ წარუმძღვარებია მომზადებითი ხასიათის კვირიაკენი. ერთი მეზვრისა და ფარისევლისა, მეორე – უძღები შვილისა და მესამე – ხორცთა აღებისა.

ხორცთა აღების კვირიაკეს ჟამს იკითხება მახარებელ მათეს წმინდა სახარებიდან იესო ქრისტეს სწავლა მის მეორე მოსვლის დროს საშინელ სამსჯავროზე.

ურიათა შორის მონის სახით შობილი და მოვლინებული ქრისტე კვალად მოვა ღვთაებრივი დიდებითა თვისითა და ყოველნი ანგელოზნი მოვლენ მის თანა, – ასე ბრძანებს წმინდა სახარება მათესი და დასჯდება იგი საყდართა დიდებით თვისითასა. მაშინ იესო ქრისტეს წინაშე შეიკრიბებიან ყოველნი ნათესავნი და გაირჩვიან იგინი ურთი-ერთისაგან, როგორც მწყემსმა გაარჩიოს ცხოვარნი თიკანთაგან. ცხოვარნი დადგებიან მარჯვენით მისსა, ხოლო თიკანნი – მარცხენით. იტყვის მეუფე მარჯვენით მდგომთ: მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამიდგან სოფლისა. რამეთუ მშობიდა და მეცით მე ჭამადი; მწყუროდა და მასვით მე; უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ მე; შიშველ ვიყავ და შემმოსეთ მე. სნეულ ვიყავ და მომხედეთ მე. საპყრობილესა ვიყავ და მოხვედით ჩემდა.

მაშინ მიუგონ მართალთა მათ: უფალო! როდის გიხილეთ შენ მშობერი და გამოგზარდეთ? ანუ წყურიელი და გასვით შენ? როდის გიხილეთ შენ უცხოდ და შეგიწყნარეთ? ანუ შიშველ და შეგმოსეთ შენ? როდის გიხილეთ შენ უძღური, ანუ საპყრობილესა და მოვედით შენდა? მიუგებს მათ უფალი: ამინ გეტყვით თქვენ: რავდენი უყავით ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ. მაშინ ეტყვის მეუფე მარცხენით მდგომთ: წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისთათვის. რამეთუ მშობიდა და არა მეცით მე ჭამადი; მწყუროდა და არა მასვით მე; უცხო ვიყავ და არა შემიწყნარეთ; შიშველი ვიყავ და არა შემმოსეთ; უძღურ ვიყავ და საპყრობლესა და არა მოხვედით ჩემდა. მაშინ მიუგონ მათცა: უფალო! როდის გიხილეთ შენ მშობერი, ან წყურიელი, ან უძღურებასა, ან საპყრობილესა და არ გამსახურეთ შენ? მიუგებს მათ მეუფე: ამინ გეტყვი თქვენ: რავდენი არ უყავით ერთსა ამას მცირეთაგანსა, მეც არა მიყავით. და წარვლენ ესენი სატანჯველსა საუკუნოსა, ხოლო მართალნი ცხოვრებასა საუკუნესა.

საყვარელნო! თუ კაცს უნდა ციური სასუფეველის მოპოვება, წმინდათა თანა განსვენება, სადა იგი არა არს ჭირი, მწყუხარება, არცა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული, და ცხოვრება იგი დაუსრულებელი, მისთვის საჭირო და სავალდებულო

ყოფილა კეთილთა საქმეთა ქმნა, მოწყალების გაცემა – “ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ” /მათე V, 7/. საშინელ განკითხვის დღეს ღვთისაგან ჩვენ შეწყალებულნი ვიქმნებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკუეთუ ჩვენც შევიწყალებთ ღარიბთ, დავრდომილთ, ჭირში და იწროებაში მყოფთა მოძმეთა ჩვენთა.

კეთილთა საქმეთა ქმნით მორწმუნენი გამომხატველნი არიან ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და ღვთისადმი წმინდა სიყვარულისა. მოციქული იაკობი წერს თავის კათოლიკე ეპისტოლეში: “რა სარგებელ არს, ძმანო ჩემნო, უკუეთუ ვინმე სთქვას სარწმუნოება მაქვს და საქმენი არა ჰქმონდენ?” /კ. იაკობ. II, 14/, “რამეთუ ვითარცა ხორცნი თვინიერ სულისა მკვდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოებათვინიერ საქმეთასა მკვდარ არს”

/კ. იაკობ. II, 26/.

დღეს წაკითხული სახარებიდან უფალი ღმერთი იესო ქრისტე მოგვიწოდებს, რომ მარხვის დაცვას თან უნდა სდევდეს კეთილთა საქმეთა ქმნა. კაცი სიტყვით მორწმუნე და საქმით არაფრის მქმნელი, უნაყოფო ხის მსგავსია: “ყოველმან ხემან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოიკვეთოს და ცეცხლსა დაედვას” /მათე III, 10./.

მაშ, ძვირფასნო, დავასრულოთ ბაასი შემდეგი ჩვენდა სამოდვროდ წამებული მოამაგე ადამიანის მიერ თქმული, ქრისტეს მოძღვრებით ნაკარნახევი სწავლით:

“კაცად მაშინ ხარ საქები,  
თუ ეს წესი წესად დარგე:  
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, –  
აბა მე დღეს ვის რა ვარგე?”

ამგვარი მიზნების შესასრულებლად, აჰა, მორწმუნენო, ფართო ასპარეზი, წმიდა და დიდი შვიდკვირეული მარხვა, წმიდა ეკლესიის მიერ დაწყებული ქრისტეს მკვდრეთით ბრწყინვალე აღდგომის ღირსეულად კაცთაგან მისაგებებლად. რომელთაც გული გერჩით და სული კეთილისადმი აღზნებული გაქვთ, გამოდით კეთილის თესლის დასათესად, რათა კეთილივე მოიმკოთ ქრისტეს საშინელი სამსჯავროს განკითხვის დღეს.

ამინ

17. “მე-7-ე კვირიაკესა”... : [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება პავლე მოციქულის წერილზე რომაელთადმი]. 1926 წ. , 8 აგვისტო. ხელნაწერი ჩასწორებულია. 2 ფ.

†

მოციქულის პავლეს მიერ რომაელთადმი მიწერილია: “კაცად-კაცადი ჩვენი მოყვასსა სათნო – ეყოფოდნენ კეთილისათვის აღსაშენებლად” /რომ. XV, 2/. მოყვანილი აზრი მოციქულისა ასეთია: თვითეული ჩვენგანი უნდა ასიამოვნებდეს, მსახურებდეს მოყვასსა სიკეთის ქმნისათვის, “მისი დამწყსნისათვის”. და “თუ ქრისტეცა არა თავსა თვისსა სათნო ეყო” /XV, 3/ განაგრძნობს მოციქული, ე.ი. ქრისტეც არა თავსა თვისსა მსახურებდა. ქრისტეს მიზანი იყო ამ ქვეყნად მოსვლით მსახურება კაცთა მხოლოდ და მხოლოდ კეთილთა საქმეთა ქმნითა, “კეთილისათვის აღსაშენებლად”, “ეგრედ ჰბრწყინავდინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქვენნი კეთილნი და

ადიდებდნენ მამასა თქვენსა ზეცათასა” /მათე V/. ბრძანებს ქრისტე და მით გვისახავს მიზანს ჩვენის ამ ქვეყნად ცხოვრებისას. მცირე ხნით მოვდივართ ამ ქვეყნად, საყვარელნო! წინასწარმეტყველნი დავით ფსალმუნთამგალობელი კაცის ამ ქვეყნად მცირე ხნით მოსვლას ასე ახასიათებს: “კაცი, ვითარცა თივა არიან, დღენი მისნი, ვითარცა ყვავილი ველისა ეგრე აჰყვავდეს”... აი, კაცის სიცოცხლე ამ ქვეყნად რაგვარია – სიცოცხლე მისი თივისა და ყვავილის ბედის სადარია. მაშ, ყოვლისა დაბადებულისა შემოქმედის ღმრთისა და უფლის მიერ ამ ქვეყნად მოკლე ხნით ცხოვრებაში რა აზრია ჩაქსოვილი? კეთილთა საქმეთა ქმნა! კეთილთა საქმეთა შექმნისათვისაა დაბადებული კაცი ღმრთის მიერ. ესაა მიზანი და აზრი ჩვენი ამ ქვეყნად ცხოვრებისა. ქრისტეს და მის მოციქულთა ამ ქვეყნად ცხოვრება კეთილთა საქმეთა ქმნაში განვლო. ქრისტეს მიერ ორთა ბრძანათა და ყრუ და ეშმაკეულის კაცის განკურნება უტყუარი დამამტკიცებელი საბუთია თქმულისა. 3 1/2 წელიწადი ჰქადაგა დაუღალავად ქრისტემ ურიათა შორის და არც ერთი სიტყვა მისი არ თქმულა, არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს მას, რომ თან კეთილი საქმენი არ დაჰრთოდეს. რად უნდა ვიქმოდეთ კეთილთა საქმეთა? ქმნა ამა საქმეთა მოყვასთა შორის იწვევს ზეციური მამა ღმერთის დიდებას. ესაა მიზანი კეთილთა საქმეთა ქმნისა კაცთა მიერ: “რათა იხილნენ საქმენი თქვენნი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქვენსა ზეცათასა,” – გვიანდერძებს თვით ქრისტე მაცხოვარი. გეთსამანიის ბაღში მამისა მიმართ ლოცვასა შინა იტყვის იესო: “მე, მამაო, გადიდე შენ ქვეყანასა ზედა, საქმე აღვასრულე, რომელი მომეც მე რათა ვჰყო” /იოანე XVII, 4/. მხოლოდ კეთილთა საქმეთა ქმნისათვის ტარიგი მწყემსი და მაცხოვარი სოფლისა იესო გოლგოთის მთაზედ უსჯულოთა ურიათა მიერ ჯვარსა ზედა დაემსჭვალა და ლახვრითა განიგმირა. კაცთადმი უზომო სიყვარულმა დაათმენინა ქრისტეს სახარებაში მოთხრობილნი ენით გამოუთქმელი ვნებანი.

საყვარელნო! მძიმე პირობებში ვცხოვრობთ; გაჭირვებანი ჩვენნი დიდი, აუტანელი და დაუბოლოვებელია; განსაკუთრებით მორწმუნეთათვის, ღვთის მადიდებელთათვის. რა ვქნათ? რა გზით ვიაროთ ვიდრე აღსასრული მოგვიახლოვდებოდეს? რით ვინუგემოთ? როგორ ვუწამლოთ დაწყლულებულთა გულთა ჩვენთა? ერთადერთი წამალი ჩვენიც იგივეა, რაც რომაელთათვის პავლე მოციქულის მიერ წარგზავნილი: “რამეთუ რავდენი იგი წინასწარ... ჩვენდა სამომღვრებლად დაიწერა, რათა მოთმინებთა მით და ნუგეშინის-ცემითა წიგნთათა (საღმრთო წერილის წიგნები) სასოება გვაქნდეს. ხოლო ღმერთმა მოთმინებისამან, ნუგეშინის-ცემისამან მოგეცინ თქვენ იგივე ზრახვად ურთიერთარს ქრისტე იესოს მიერ. რათა ერთბაშად, ერთითა პირითა ადიდებდეს ღმერთსა და მამასა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, ამისთვის შეიწყნარებდით ურთიერთარსს, ვითარცა იგი ქრისტემან შეგიწყნარათ თქვენ სადიდებელად ღმრთისა” /რომ. XV, 4-7/. მოთმინებთა და ნუგეშინის-ცემითა საღმრთო წერილის წიგნთა ქონა სასოებისა; ერთსულოვანად ერთითა პირითა დიდება ღმრთისა და მამისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ერთმანეთის შეწყნარება ისე, როგორც ქრისტემან ღმერთის სადიდებლად შეგვიწყნარა ჩვენ. აი, საყვარელნო, სადღეისო წამალი ჩვენიც, რაც ღმერთმან მადლითა, წყალობითა და კაცთმოყვარებითა თვისითა მოგვმადლოს ჩვენ ყოველთა.

18. «ვნების კვირიაკეს დიდ ოთხშაბათს»: [საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას წინააღმდეგ მოწვეული კრების გამო]. 1927 წ. , 20 აპრილი. ქადაგების წარმოთქმის ადგილი მითითებული არ არის. ხელნაწერი ჩასწორებულია. 3 ფ.

†

იოანე მარდიშვილის და ბენიამინე კანდელაკის მიერ გამიტროპოლიტებულ ქრისტეფორე ცხუმ-აფხაზეთის, ეპისკოპოზ დავით ქუთათელის, ეპისკოპოზ სტეფანე ბოდბელის, დეკანოზ დიმიტრი ხახუტაშვილის, დეკანოზ იაკობ ტატიშვილის, კოტე სვიმონიშვილის და ყოველთა მათ ამყოლთა ხსოვნას ვუძღვნი 1926 წლის დეკემბრის 24 დღესა ქუთაისში ავაზაკურ და ბოროტ კრების მოწვევისა და შედეგებისათვის.

ჩვენ ქრისტიანები გვქვიან, საყვარელნო, რადგანაც ქრისტეს სწავლის მიმდევარნი ვართ. ქრისტეს მიერ ბოძებული სახარება ხელთ გვიჭირავს, მას ვკითხულობთ, ვსწავლობთ, ვხელმძღვანელობთ და მის მცნებათა მიხედვით ჩვენი ცხოვრების ჩარხს ვატრიალებთ. მაგრამ განა ქრისტიანობა ჩვენი წინაშე კაცთა მხოლოდ ცარიელი სიტყვებით უნდა გამოიხატებოდეს? მხოლოდ „უფალო შეგვიწყალონ“-ის კითხვით თუ გალობითი წართქმით ერთ და სამ გზის, ცხრა, თორმეტ, ოცდაათ თუ ორმოც გზის შესაძლებელია ზეციერისა მამისა ჩვენისა ქება-დიდება? არა! სახარებიდან ვიცით ქრისტეს ბრძანება: „არა ყოველმან, რომელმან მჰრქვას მე: უფალო! უფალო! და შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა; არამედ რომელმან ჰყოს ნებაი მამისა ჩემისა ზეცათასა“ /მათე VII, 21/. აბა, გავიხსენოთ ფარისეველთა და მწიგნობართა როგორ ამხილებდა ციური მოძღვარი! «ორგულნო! კეთილად წინასწარმეტყველებდა თქვენთვის ისაია, იტყოდა რა: მახლობელ არს ჩემდა ერი ესე პირითა მათითა, და ბაგითა მათითა პატივ-მცეს მე; ხოლო გულნი მათნი შორს განშორებულ არიან ჩემგან. ამაოდ მმსახურებენ მე, რამეთუ ასწავებენ მოძღვრებასა და მცნებასა კაცთასა“ /მათე XV, 7, 8/ არა მხოლოდ სიტყვებით გვშვენის ღვთის ქება-დიდება, წმიდა დიდ-მარხვის სუფთად შემნახველნო და საზიარებლად ამ წმიდა ტაძარში ბეჯითად მოსიარულენო, არამედ კეთილთა საქმეთა ქმნით. ერთი თორმეტთა მოციქულთაგანი იუდა ისკარიოტელიც 3 1/2 წელიწადი განუშორებლივ თან სდევდა ღვთაებრივ მოძღვარ იესოს და განუწყვეტლივ ისმენდა მის სწავლა-დარიგებას. იუდაც იყო მომსმენი სხვა მოწაფეთა და მრავალ ხალხთა თანადასწრებით მაცხოვრის მიერ მთიდან წარმოთქმულ შემდეგ სწავლისა: „ეგრეთ ბრწყინავდინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქვენნი კეთილნი, და ადიდებდენ მამასა თქვენსა ზეცათასა“ /მათე V, 16/ მაგრამ რა გამოვიდა? იგი საბოლოოდ საქმით შინაგამცემი შეიქმნა დიდებული მოძღვრისა.

დღეს ვნების კვირიაკის დიდი ოთხშაბათია, საყვარელნო ქრისტეს ერთგულნო და თავდადებულნო მოწაფენო! დღეს თვითოეული ჩვენგანი გულის ღრმა ტკივილებს განიცდის. რათა? იმიტომ, რომ შინა ღალატის და უმაგალითო შინაგამცემლობის სახე სვეტივით თვალწინ აგვყუდებია. იმიტომ, რომ ამ დღეს თვის საკუთრებად სთვლის და ჩემულობს იუდა ისკარიოტელი. დღეს იუდას დიდი ზეიმი გაუმართნია, მონაწილეთ კი არავის გვიხდის; და ჩვენც, ერთგულნო და ჭეშმარიტნო ქრისტიანენო, ნუ შევეცილებით ზეიმობაში; იგი დღესასწაულობს დიდ გამარჯვებას, ... ჩვენ მის გზით სიარულს არა ჩვეულნვართ. რაშია საქმე? იმაშია, რომ უსჯულოთა თანა საიდუმლოდ გამართული მოლაპარაკება უწარმოებია და მარჯვეთაც დაუმთავრებია იგი. ციდან



მოვლინებული ქვეყანასა ზედა კაცთა შორის ახალ მცნებათა \_ ღვთის დიდებისა, მშვიდობისა და სიყვარულის მომცემი და მქადაგებელი თვისი დიდი მოძღვარი ქრისტე იესო გაუცია; და სასყიდლათ მის მტერთაგან \_ მღვდელმთავართა, მწიგნობართა, მოხუცებულთა და ორგულთაგან, \_ ოცდა ათი ვერცხლი მიუღია. აი როგორ ახასიათებს წმიდა ეკლესია იუდას გამცემლობას ... აბა ყური დაუგდოთ მის მწუხარე საგალობლებს: „იუდამ, გალობს ეკლესია, დღეს განუმარტნა ხელნი უსჯულოთა მიღებად ვერცხლისა“. ჰოი, იუდას უბადრუკებასა! იგი ამ დღეს „ისწრაფდა ზაკულად ამბორსა მას განცემისასა“ და „გულის წყრომითა შეიკვროდა, აქვნდა მირონთა წილ სუნ-მყრალი სიბოროტე. შურმან არა უწყის პატივი უმჯობესთა“. „მწარე არს დახსნილება“. „მოწაფე ეზავებოდა უსჯულოთა“. „ესე ისწრაფდა განცემად უფასოსა“. დღეს იუდა წარსულია „უსჯულოთა მძლავრთა თანა, რომელთა ეტყვის: რა გნებავსთ ჩემდა მოზღვად, და მე თქვენ, რომელსა ეძებთ, თვით ქრისტე მიგცე“. იუდავ უბადრუკო! ღვთაებრივი მოძღვარი შენი ამბორის ყოფით განსცვალე ოქროდ; უსასოებით დაჰზნელდი ვერცხლის მოყვარევ და შინა გამცემელო! აჰა, ჯილდო კაცობრიობის მიერ ამა დიადი შენისა სამსახურისათვის მოძღვნილი, მიიღე, დასტკბი, განიხარე, უკვდავ იყავ, და იამაყე საშვილიშვილოდ. სახელი შენი კრულ არს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა უკუნითი უკუნისამდე, რადგანაც შენ გაეცი „ტარიგი, მწყემსი და მაცხოვარი, რომელმან აღივსვნეს ცოდვანი სოფლისანი“ /იოანე 1, 29/.

დღეს ჩვენ, ქართველები, დიდსამწუხარო და გულსაკლავ ფაქტის წინაშე ვდგევართ, საყვარელო, და საზიარებლად სამზადის შემდგარნო! ზეციური და ქვეყნიური ეკლესიის მწყემსმთავრის მაცხოვარ იესო ქრისტეს ხილულ-ხორციელი ტანჯულ-წამებული მცხოვანი კათოლიკოზ-პატრიარქი ამბროსი მსხვერპლად შეიქმნა შინა გამცემთა, იუდა ისკარიოტელის მზავსად, ჩვენი დროის მღვდელმთავართა, მოხუცებულთა, მწიგნობართა, ფარისევლთა და ორგულთა ... უდროთ უმუხთლეს, უღალატეს..... პირმომცინარნი და ქება-დიდების შემსხმელნი წარსული წლის დეკემბერში იდუმალ გაიხიზნენ ქ. ქუთაისს და იქ, ამერ-იმერთა უძღებ შვილთ მიმხრობით, ჩუმი კრება მოუწყვეს დაავადებულ მოჭირნახულეს, ქართული ერის უნუგეშო სვე-ბედის დამტირებელს, მისი „მომავლისათვის ბედთანა მბრძოლს“. ცალი ფეხით უკვე სამარეში მყოფს, ორიოდ დღისდა სიცოცხლის მქონესდა, დამბლად დაცემულს, გვერდში ლახვარი უგმირეს და გულში ისარი სტყორცნეს. უგუნურებმა და მთავრობისა და ვერცხლის მოყვარებმა ისედაც საიქიოსაკენ პირმიბრუნებულს წმინდა მამამთავარს უკანასკნელი სიცოცხლის წამები მოუშხამეს და მოუსწრაფვეს. უწმინდესი და უნეტარესი კი, მომსწრე შვილთა ამნაირი სულმდაბლობისა, უღირსი ქცევისა, სახე გაბრწყინებული და პირმომცინარი, ჯვარცმულ ქრისტე იესოს მსგავსად, ევედრებოდა მათთვის „ზეციერ მამას“ „მამაო! მიუტევე ამათ; რამე თუ არა იციან, რასა იქმან“ /ლუკა XXIII, 34/.

ჩვენი დროის იუდებო და შინა გამცემლებო! დრო გწყალობთ, არა? დროთი ისარგებლეთ? მერე, რა გგონიათ? როდემდის ინავარდებთ და იპარპაშებთ? შორი აღარ არის..... „აღსასრული თქვენი მოახლოებულ არს“..... „და გეგულვებისთ თქვენ აღშფოთება,“..... რადგანაც მალე მოვა ის დრო ნეტარი, როდესაც გაწამებულ ერის საშინელსა სამსჯავროსა წინაშე წარსდგებით ბოროტმოქმედებათა თქვენთა შესახებ სიტყვისგებად. სძრწოდეთ, სძრწოდეთ, გამცემლებო, კაცუნებო, კაინებო, იუდებო, ნადირალებო! საშინელ და საზიზღარ თქვენს საქციელს „ხმა ერისა \_ ხმა ღვთისა“ ახლო მომავალში საშინელ მსჯავრს დასდებს თქვენივე თვალთა წინაშე, და მაშინ? მაშინ გვიანდა იქნება თქვენ ენა \_ ბაგეთაგან ამოხდომილი დიაცური წუწუნი,

სულისთქმა ქალა-ჩუნა და სასოწარკვეთილი ვაი-უი ... დღეს თუ თქვენ დიდის რიხით ზეიმობთ და კისკასობთ, ჩვენ კი, გულჩაკლულნი, ვსდუმვართ და ვიგლოვთ, ხვალ, გვრწამს, რომ იძულებული შეიქნებით ჩვენ ვაჟკაცურ, მძლავრ და ენერგიულ შემახილს თქვენდა გულსაკლავად და დასასამარებლად ისმენდეთ და სოროების საძებნელად გარბოდეთ... ამნაირად ცოდვის მოყვარენო! სძრწოდეთ დღეს აბუჩად აგდებულ მორწმუნე ქართველი ერის სამსჯავროისაგან, ვინაიდან ამ ერის დაუცხრომელი საღმრთო ლიტანიობის დღეა, დღე შვებისა და ფუფუნებისა, მოახლოებულ არს ... და მაშინ ვაი თქვენ! ვაი თქვენ! და კიდევ ვაი თქვენ და თქვენისთანებს! ...

19. «კვირიაკესა შემდგომად ნათლისღებისა»... : [წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1929 წ. , 17 იანვარი. თავფურცელზე: «თანახმად სურვილისა წარმოსთქვას თავისსავე ეკლესიაში კ. პ. ქრისტეფორე». ხელნაწერი. 2 ფ. იხ. ქადაგება №20.

20. «ქრისტე შობის დღენი განვლეთ, საყვარელნო!»... : [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1926 წ. , 4 იანვარი. ხელნაწერის ბოლოს: «წირვაზედ ბრძანდებოდა კ-პატრიარხი ამბროსი» [კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია]. ხელნაწერი. 3 ფ.

†

ქრისტე შობის დღენი განვლეთ, საყვარელნო! ბეთლემის მიდამოებში ცხოვართა დარაჯად მდგომ მწყემსთა მზგავსად ვიხილეთ გონებით საუცხოვო სახილველი ზეციურ მცხოვრებთა ანგელოზთა გუნდი და ყურთა ჩვენთა ესმა გულის დამამშვიდებელი და დამატკბობელი ანგელოზთა მიერ წარმოთქმული ღრმა შინაარსის საგალობელი: “დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა, და კაცთა შორის სათნოება”.

მწყემსნი წავიდნენ ბეთლემის გამოქვაბულში, იხილეს ჩვილი, მარიამისაგან იმ ღამეს შობილი, ჩვრებში გახვეული და ბაგასა მიწვენილი., მოხუცებული ხურო იოსები. თაყვანი სცეს ახლად შობილს, ნახული და გაგონილი უამბეს მარიამსა და იოსებს, ძღვნად და საჩუქრად მიაართვეს ცხოვარი. აჰა, ვარსკვლავი იგი დიადი და ბრწყინვალე, შემჩნეულ იქმნა მოგვთა მიერ. მის ჩვენებითა და გამოკითხვით მოვიდნენ ისინი ურიასტანისასა, ჰპოვეს გამოქვაბული, შევიდნენ, იხილეს ყრმა იგი მარიამისთანა, დავარდეს და თაყვანი სცეს მას. და შესწირეს მას ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მური. მზგავსათ მწყემსთა და მოგვთა ჩვენც, მორწმუნენო, მოვედით ქვაბსა ამას შინა, ტაძრად წოდებულსა, ვიხილეთ შობილი ქრისტეს ხატი, დავვარდით და თაყვანი ვეცით ამბორს ყოფითა და მოუძღვენით ოქროისა, გუნდრუკისა და მურის ნაცვლად, სისუფთავე და სიწმინდე გულთა და სულთა ჩვენთა და მისდამი მტკიცე რწმენა ჩვენი. განვიახლეთ ხსოვნაცა წმინდათა ჩვილთა ათ-ოთხმეტი ათასთა ქრისტესათვის მომწყდართა იროდის მიერ ბეთლემში.

მეფე იროდი სახეა უღმობლობისა, შეუბრალებლობისა, უღმრთოობისა და სისასტიკისა. მისი ბრძანებით ქ. ბეთლემსა და მის მიდამოებში 14 000 უსუსურნი

ბავშვნი გაჟლიტეს, რათა იესოც მათში მოკლულიყო. შემდეგნაირად ახასიათებს ჩვილთა მშობლების უნუგეშო მდგომარეობას მახარებელი მათე წინასწარმეტყველ იერემიასთან ერთად: “ხმა რამათს ისმა გოდებისა და ტირილისა და ტყეებისა მრავალი, რაქილ სტიროდა შვილთა თვისთა და არა უნდა ნუგეშინის ცემის, რამეთუ არღა არიან”. იროდისებური უღმობელი და უღმრთო საქმე მრავლად ახსოვს მსოფლიო ისტორიას და, კერძოთ, ჩვენს ისტორიასაც.

იროდიმ კუთვნილი სასჯელი დაიმსახურა ამ ქვეყანაზე. გადმოცემა გვასწავლის, რომ მისი გვამი სიცოცხლეშივე მატლთა საზრდოდ გარდიქვა. გვწამს, რომ სიკვდილის შემდეგაც იგი იქ, იმ ქვეყანაში, დამსახურებულ სასჯელს ღებულობს. ასეთივე ხვედრი უნდა იყოს იროდის გზით მოსიარულეებისათვისაც.

ხვალიდან დღენი ნათლისა ღებისა, განათლებისა, განწმენდისა და განზანისა არიან. განვიბანნეთ, განვიწმინდნეთ და მოვისპოთ უკეთურებანი სულთა და გულთა ჩვენთა და ამით აღვასრულოთ ვალდებულებანი ჩვენნი წინაშე ღვთისა, კაცთა და საკუთარი სინიდისისა.

ამინ

21. «27 კვირიაკე... კაცი ამ ქვეყნად მოვლინებულია კეთილთა საქმეთა მოქმედებისათვის»... : [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1925 წ., 30 სექტემბერი. ხელნაწერი დაზიანებულია, ტექსტი \_ ჩასწორებული. ტექსტის ბოლოს: «დეკ. დ. გარსიაშვილი». 2 ფ.

†

ერთს შაბათ დღეს იესო ასწავლიდა ურიათა შესაკრებელში, ანუ სამლოცველო სახლში. იქ აღმოჩნდა დედაკაცი და დაავათმყოფებული უძღურების სულით თვრამეტის წლის განმავლობაში. მის გამო წელში მოღუნული ვერ გასწორებულყო და ზევით ახედვა არ შეეძლო... რა ნახა იესომ ეს დედაკაცი, მოუწოდა მას და უთხრა: დედაკაციო! შენ თავისუფლდები შენი უძღურებისაგან. და შეახო მას იესომ ხელი და მაშინვე დედაკაცი გასწორდა წელში და იწყო ღვთის დიდება. შესაკრებელის მთავარი გაწყრა, რომ ქრისტემ შაბათს დღეს განკურნა დედაკაცი, მიჰმართა ხალხს: საქმეთა ქმნისათვის ექვსი დღეა დაწესებული, და აი, ამ დღეებში მოდით განსაკურნებლად და არა შაბათ დღესაო. იესომ მიუგო: ორგულო! ნუ თუ შაბათ დღეს თვითეული თქვენგანი ბაგაზე დაბმულ ხარს ანუ ვირს არ აუშვებს და წყლის დასალევად არ წაიყვანს? და ეს თვრამეტი წლით დაავათმყოფებული ასული ხომ აბრაამის შთამომავალია, საჭირო არ იყო მისი განთავისუფლება უძღურებისაგან? შერცხვათ ქრისტეს მოწინააღმდეგეებს, ხოლო იქ მყოფ ხალხს კი უხაროდათ იესოს მიერ შექმნილ კეთილ საქმეებისა გამო.

საყვარელნო! ურიათა შესაკრებელის მთავრის მაგვარნი მედროვენი ეხლაც, ჩვენ გაწამებულ დროსაც, მრავლად არიან .... მაღლის ქმნისათვის, კეთილთა საქმეთათვის, წყალობისა და კაცთმოყვარებისათვისა ვართ მოწოდებულნი ამ ქვეყნად მცირე ხნით, და არა ბოროტებისა, ავკაცობისა, ავზრახვათა და ბოროტად ამეტყველებისათვის. თვითეული ჩვენგანის გვამი, დიდებული მოციქული ჰავლეს თქმით, “ტამარია ღვთისა” და ამ “ტამარში” დამკვიდრებულია “სული წმიდა”, თვისის მაღლით განწმენდელი ჩვენი ბიწიერებისა. აი, რა დიდი დანიშნულებისანი

ვართ. თუ გვინდა ამ ღირსების შენარჩუნება, ნუ ვიქნებით პირუტყვთა მზგავსნი. შევიგნოთ ჩვენი ამგვარი დიდი და მაღალი დანიშნულება. გვახსოვდეს, რომ ადამიანური ცხოვრებისათვის, კაცური კაცობისათვის და დიდი იარაღი გვაქვს ღვთისაგან ზეცით ბოძებული – “მაღლი სულისა წმიდისა”. სულის წმიდის მაღლით ბუნებით სუსტნიც ძლიერდებიან, სპეტაკი ნების ყოფის პატრონნი შეიქმნებიან. მაშ, შევევედროთ ზეციდან მაღლის უხვად მფრქვეველსა ცხოველისმყოფელსა სულსა წმიდასა: “მეუფეო ზეცათაო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო”, შენ, ვითარცა გულთამხილავმან, უწყი დღევანდელი ჩვენი აუტანელი ბოროტი მოქმედებანი, ჩვენი ჭირნი, წყლულებანი და ნაკლულევანებანი, – “მოვედ ჩვენს შორის და წმიდა გვევენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა”.

ამინ

22. «კვირიაკესა მე-2-სა შემდგომად ყოველთა წმიდათასა... ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის ბრწყინვალე დღეებმა განვლეს”... : [ქადაგების წარმოთქმის ადგილი მითითებული არ არის]. 1925 წ. , ხელნაწერი ჩასწორებულია. ტექსტს დასასრული აკლია.. 2 ფ.

†

ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის ბრწყინვალე დღეებმა განვლეს, ძვირფასნო! დიდებული ზეცად ამაღლება უფლისა ვიხილეთ ზეციდან მოფენილი მაღლი სულისა წმიდისა განვიცადნეთ. ყოველთა წმიდათა ხსენებაც აღვასრულეთ. ყოველთა წმიდათა კვირიაკიდან კი იწყება მთელი რიგი კვირიაკეთა, რომელთა უქმობის ჟამს იკითხება სახარებიდან თუ სამოციქულოდან რჩეული მოძღვრებანი ქრისტესი და მოციქულთა და დასამწყვსნელად სულთა ჩვენთა.

რა არის, საყვარელნო, საფუძველნი ქრისტეს მოძღვრებისა და დიდებულთა მოციქულთა და წმიდათა მამათა მიერ ქადაგებულისა ყოველსა ქვეყანასა და კიდეთა სოფლისათა? ესე საფუძველია მშვიდობა, სიყვარული და სათნოება. ქვეყანასა ზედა მშვიდობის დამყარება, კაცთა შორის სიყვარულის განმტკიცება და სათნოიანი-კეთილი ურთიერთობის განწყობილების შექმნა დაუდევს მტკიცე საძირკვლად ქრისტემ მოციქულთა და მათ მიმბაძველთა ყოველთა წმიდათა კაცობრიობის ამ ქვეყნად წინმსვლელობას და ბედნიერ ცხოვრების შექმნას. დიადი და წმიდა მიზანია, მორწმუნენო, უკეთესი მიზნის ძიება და პოვნა ამა ქვეყნად შეუძლებელია. რა გვარ შეიძლება ამ მიზნის შეთვისება, მისი განხორციელება და ცხოვრებაში გატარება? ხომ ცნობილია, რომ ჩვენ კაცნი, ბუნების გვირგვინად წოდებულნი, ხასიათით სუსტნი ვართ. ბოროტების გზით სიარული უფრო გვეხერხება, გვეადვილება, ვიდრე კეთილის გზით. კაცი, თუნდაც გონებით ამაღლებული, ხშირად გულ-ქვაა, ხშირად იგი ბოროტების განხორციელება; მოქმედებით, ყოველი ნაბიჯის გადადგმით, მარჯვენის მრუდედ მოქნევით, ენის ბოროტად ამეტყველებით, თვალთახედვით იგი ღვარძლის მთესველია, ქვეყნის ამომგდებია, მისი დამრღვევ-დამქცეველია. დღევანდელი ჩვენისა ცხოვრება ნათქვამის უტყუარი დამამტკიცებელი საბუთია. მძხოლოდ ზეცით მონაბერი, ზეცით მონიჭებული ღვთაებრივი მაღლია საჭირო ქრისტეს და მის მოციქულთა მიერ დასახულის განსახორციელებლად,

კეთილმსმენელნო! “და აჰა ესერა, მე მოგივლინო თქვენ აღთქმა იგი მამისა ჩემისა; ხოლო თქვენ დასხედით ქალაქსა ამას შინა იერუსალიმსა, ვიდრემდე შეიმოსოთ ძალი მაღლით” /ლუკა XXIV, 49/. ესე “ძალი მაღლით” - ძალი სული წმიდის მაღლისა, მაღლია ზეციერ მამა ღმერთისა. გალილიაში მცხოვრებთა უბრალო მეთევზურთა მთელი ქვეყანა მოინადირეს, რით? .....

23. «მე-18-ე კვირიაკე... წყალი ღმრთის მიერ შექმნილ მრავალფეროვან ბუნების მშვენებაა, საყვარელნო!”... : [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1926 წ. , 24 ოქტომბერი. ხელნაწერი. ტექსტს ბოლო ნაწილი აკლია. 3 ფ.

†

წყალი ღმრთის მიერ შექმნილ მრავალფეროვან ბუნების მშვენებაა, საყვარელნო! ... როგორც სარწმუნოება, მოციქულ იაკობის თქმით, “თვინიერ საქმეთა მკვდარ არს” /კათ. იაკ. II, 20, ისე ბუნება უწყლოთ მკვდარი იქნებოდა. წყლის მნიშვნელობა ბუნებისა და კაცისათვის მრავალგვარია ... ჩვენი მიზანია მცირე სიტყვით აღვნიშნოთ მხოლოდ ის მნიშვნელობა, რომელსაც ხედავდა ქრისტე იესო ... ამ დასახული მიზნის მასალას გვაძლევს დღეს წაკითხული სახარება. სიდიადე, სიმრავლე და სიმძლავრე ოკეანეებისა, ზღვებისა, ტბებისა და მდინარეებისა არ არის დამაბრკოლებელი და შემფერხებელი ... კაცის გამბედაობისა. ადამიანის ამ თვისებათა გამო აშენებული ხომალდები, ერთთავად უშიშრად და შეუპოვრად წყლებზედ მოსრიდენი, კაცს არათუ მარტო მატერიალურ სიმდიდრეს ჰმატებენ მას, სულიერ სიმშვიდესაც მოუპოვებენ და განაცდევინებენ. გონებრივად და ფიზიკურად მომუშავეთათვის წყალი ხომ დასვენების პირველი უებარი წამალია. ზაფხულის დასასრული, მთლად ზაფხული და შემოდგომის დასაწყისი ნათქვამის უტყუარი საბუთია. ამ დროს მამზრალნი და ტვირთმძიმენი დაკარგულ გონებრივ და ფიზიკურ ძალ-ღონის მოსაკრეფად, შესამატებლად და აღსადგენად წყლისაკენ მიილტვიან, მიემურებიან. ისინი მძიმე ჯაფით შემენილ, მონაგებ-მონაპოვარ უკანასკნელ კაპეიკს არ ზოგავენ წყალზე მოგზაურობით სარგებლობისათვის. უფალ იესო ქრისტეს სამშობლო – ურიათა ქვეყანა, პალესტინა ამ მხრივ საუცხოვო გეოგრაფიული მდებარეობისა არის. მას უჭირავს ხომალდთა მიმოსვლისათვის ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთის საუკეთესო ნაპირი. ეს ქვეყანა, დიდი წინასწარმეტყველის მოსეს აღწერით, ძველ დროიდან დიდი ნაყოფის მომცემი იყო.

ეს იყო მიზეზი, რომ მეზობლად მდებარე სახელმწიფოთა შორის გაუთავებელი ცილობა და შეჯიბრება იყო გამართული ამ ქვეყნის დასაპყრობად, თავიანთ ქვეყანასთან შესაერთებლად. ნამდნარი ლიბანის მთები დასაწყისია მდინარე იორდანესი, რომელიც ორ თანასწორ ნაწილად არის გამყოფელი წმიდა ქვეყნისა. მდინარე ერთვის წმიდა ქვეყნის ჩრდილო ნაწილ გალილიაში მდებარე ტბას, რომელსაც ადგილმდებარეობისა გამო ეწოდება გალილიის ტბა, ანუ ტბა ტივერიადისა, და კიდევ, ტბა გენესარეთისა, რადგანაც აქ, ამ ტბის ნაპირებზედ, იმ დროს გაშენებული იყო ქალაქები ტივერიადა და გენესარეთი. საამურ ლიბანის მთებიდან გამომდინარე მდინარე იორდანეს საამო გემოს წყალი, განწმედელი წინამორბედისა და ნათლის-მცემელის იოანეს ხელით მასში ნათელღებულის იესოს ღვთაებრივი მაღლით,

ხსენებულ ტბის წყალსაც სასიამოვნო გემოს წყლად ჰქმნის თვის ამ ტბაში შერევით. მის გამო ამ ტბაში უძველეს დროიდან უხვად იცის გემრიელი თევზი, სუფთა, უვნებელი და გამრთობი ხელობა მეთევზაობა, საყვარელნი, ამ ტბის ირგვლივ მდებარე ქალაქებში და სოფლებში მცხოვრებლებ შორის გავრცელებული იყო. ეს ხელობა იყო ბევრისათვის გამომკვები და საცხოვრებელი წყარო. იგი იყო მიზეზი ამ ტბის ირგვლივ მცხოვრებთა მჭიდროთ დასახლებისა, სოფლებისა და ქალაქების გაშენებისა. ოცდაათის წლის იესომ, ურიათა შორის სიბნელის გასაფანტად და სინათლის შესატანად, იწყო რა ქადაგება ღვთის დიდებისა, ჭეშმარიტებისა, მშვიდობისა, სიყვარულისა და სათნოებისა, თავიდანვე აირჩია დღეს წაკითხულ სახარებაში ნახსენები ტბა გენესარეთისა, როგორც საუკეთესო ასპარეზი დასახულ მიზნის მისაღწევად, განსახორციელებლად. აქ ხშირად იმყოფებოდა ქრისტე მქადაგებლის და მოძღვრის როლში დილიდან შეღამებამდის. იგი, ნავში მჯდომი, ნაპირიდან მცირე მანძილიდან მოშორებული, ყველასათვის, ტბის ნაპირზე მდგომთა დასანახად, ჰქადაგებდა სასუფეველსა ღვთისასა, უშიშრად ჰქმნიდა და ავრცელებდა ახალსა მცნებასა ღვთისა და მოყვასის სიყვარულისას თავდავიწყებამდის, ჯვარზედ სიკვდილამდის. ხალხი, მდგომარე ტბის კიდესა, გულდასმით ყურს უგდებდა და ითვისებდა ბოძებულ ახალ მცნებებს. აი, ახლაც გენესარეთის ტბის კიდესთან “ორი ნავნი” და ერთი ამათთაგანი სვიმონ-პეტრესი. მეთევზურნიც სვიმონ-პეტრე, ძენი ზებედესნი იოანე და იაკობი და სხვანი, მსხდომარენი ტბის კიდესა შემკეთებელნი თვისთა ბადეთა. აი, დიდებული მოძღვარიც, კრავი ღვთისა, მოსრული სოფლად ცოდვილთა ცხოვრებად, მათ ცოდვათა აღმღებელი, მდგომარე ხალხთა შორის ტბის კიდესა, ჯდება სვიმონ-პეტრეს ნავში და სთხოვს მის მფლობელს მოაშოროს ნავი ტბის ნაპირს. მოძღვრის სიტყვა სვიმონ-პეტრესათვის ხომ მუდამ ბეჭედი იყო, რის გამო იგი დაუყოვნებლივ ასრულებს ბრძანებას მასწავლებლისას. ერთგული და პირნათელია კრავი ღვთისა და ძე მამისა ... მჭერმეტყველურად ჰქადაგებს: “კაცთა სიყვარულს, ძმობას, ერთობას, თავისუფლებას” ... ”სიკეთისათვის გულისა თრთოლას,” ... შემწუხრდა. მოსმენილ მოძღვრებით ხალხი კმაყოფილია; მაგრამ იგი მაინც არ სტოვებს ტბის კიდეს, ცქერად და სმენად გადაქცეულა, უნდა ახლა მხოლოდ მზერა და ცქერა ქრისტეს ნათელი და წმიდა სახისა ...

24. «29-ე კვირიაკე... ქრისტეს მიერ ქმნილი სასწაული ათთა კეთროვანთა კაცთა განკურნების შესახებ»: [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. თარიღი მითითებული არ არის. ხელნაწერი. 3 ფ.

†

დღეს წმინდა სახარებიდან წაკითხული იქმნა ქრისტეს მიერ ქმნილი სასწაული ათთა კეთროვანთა კაცთა განკურნების შესახებ. კვალად გავიხსენოთ ამა სასწაულის შინაარსი, საყვარელნი! ... ურიათა ქვეყნის ჩრდილო ნაწილის – გალილიიდან მაცხოვარი გაემგზავრა მოწაფეებით ხსენებულ ქვეყნის სამხრეთ ნაწილის ურიათა დედაქალაქ იერუსალიმს. გზათ მიმავალი იესო, შედიოდა რა გალილიასა და სამარიას შორის მდებარე ერთ სოფელში, შემჩნეულ იქმნა საშინელი სენით – კეთროვანებით – ავთამყოფთა ათთა კაცთა მიერ. მათ იცნეს დიდებული კაცთმოყვარე, კაცთაშემბრალებელი, კაცთა დიდ ღირსების მქადაგებელი, კეთილთა

საქმეთა და საკვირველი სასწაულთ-მომქმედი, დასდგენენ შორს აღიმალეს ხმა თვისი და იტყოდეს: იესო მოძღვარ, შემიწყალენ ჩვენ! იხილა რა ისინი იესომ სთქვა მათ: წარვედით და უჩვენეთ თავნი თქვენნი მღვდელთა. იმ დროს გადამდებ ავათმყოფობისაგან განკურნებულნი ეჩვენებოდნენ მღვდელთ მათგან შესაფერ საბუთის მისაღებად, რათა მათ დაუბრკოლებლივ, შესძლებოდათ დაბრუნება ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრებთან შეწყვეტილ დამოკიდებულების ხელახლად აღსადგენათ. განშორდნენ რა ზეციურ მკურნალს კეთროვნებით შეპყრობილთ იგრძნეს განწმენდა საშინელის სენისაგან. ერთმან ათთაგანმან ნახა რა, რომ განიკურნა, დაბრუნდა მაშინვე განმკურნებელთან და ხმითა დიდითა ადიდებდა ღმერთსა, და დავარდა წინაშე ფერხთა იესოსთა და ჰმადლობდა მას. და ესე ღმრთის მადიდებელი მადლობის მთქმელი იყო სამარიტელი. სამარიტელები, ურიათა თვალსაზრისით, არა ადამიანნი იყვნენ, არამედ მათგან ძალღებად მიჩნეულნი. მაშინ იესომ უთხრა ღმრთის მადიდებელს და მადლობის მთქმელს: ათნივე არ განიკურნენით? და ცხრანი სადღა არიან? ისინიც რათ არ მობრუნდნენ და არ ადიდეს ღმერთი მსგავსად ამ უცხოელისა? ჯილდოთ სამარიტელის ასეთი ქცევისა იესომ უთხრა მას: აღსდგე და წარვედ, სარწმუნოებან შენმან გაცხოვნა შენ.

საყვარელნო! საშინელებაა კეთროვნებით ავათმყოფის სხეულის მდგომარეობა. საკმარისია გახსენება მრავალტანჯული იობის ცხოვრებისა, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ამ სენით გამოწვეული ადამიანის სხეულის საშინელი ტანჯვა-წამებანი. მაგრამ იობისავე თავგადასავალი მკაფიოდ გვიკარნახებს, რომ ხსენებული ავათმყოფობის დათმენა შესაძლებელია, თუ კი კაცი სულით მდიდარი, ძლიერი და მტკიცეა, ხოლო თუ კაცი წმინდა მიზან დასახულია, სალ კლდესავით ღვთისადმი რწმენით შეუდრეკელია, თუ კაცს იობისამებრ შეთვისებული და გათვალისწინებული აქვს, როგორია მისი დასაწყისი და რანაირი იქმნება მისი დასასრული. „თვით მე შიშველი გამოვედ მუცლითგან დედისა ჩემისა, შიშველიცა განვიდე მუნვე“ /იობი I, 21/. ასეთია იობისათვის მოსვლა ამ ქვეყნად, ასეთია მისთვისვე გასვლაც ამ ქვეყნიდან.

იობისთანა კაცი, კეთროვანებით ავათმყოფი, იმდენათ არაა შესაბრალისი, შესაბრალისი და საცოდავია კაცი სულით კეთროვანი. სულით კეთროვანია კაცი, არ დამფასებელი და არ დამზოგველი სხვის სიცოცხლისა, მრუდე და ავაზაკური ხელით დამრღვევი მოყვასის სხეულისა, რაიცა არს მოციქული პავლეს თქმითა „ტამარი ღვთისა და სადგური სულისა წმიდისა“, კრავისებრ ცხოვრების მქონეთა და მოყვასთათვის მედგარ მებრძოლთა სიცოცხლის უღმრთოთ მომსპობი. სულით კეთროვან კაცის მიერ დაღვრილი უმანკო და წმინდა სისხლი დედამიწიდან ცამდის ლაღადებს მუდმივ ხმამაღლა. ასეთნი სულით კეთროვანნი უდანაშაულო ძმის აბელის მკვლელი კაინისა და დიდებულ მოძღვრის იესოს გამცემის იუდას მზგავსი არიან. ამგვარ სულით კეთროვანთა დასასრული ამ ქვეყნათ ისეთივეა, რანაირი დასასრულიც ჰქონდათ კაინსა და იუდასა. საბრალონი და პირუტყვთა მზგავსნი კაცუნები დედამიწაზედ მცოცავნი არიან.

კაცი მრუში, გარყვნილი ყოფა-ქცევისა, ნათესაობის უარისმყოფელი, მოძმის თუ ამხანაგის ოჯახურ სიწმინდის შემლახველიც, სულით კეთროვანია. ქურდი, მპარავი, ავაზაკი, მტაცებელი სხვისი ნაშრომ-ნადაგისაც, სულით კეთროვანია. მახეზღარი, ცილისმწამებელი, ენით მრუდი და ბილწიც – სულით კეთროვანია. ასეთ კაცთა მიზეზით რავდენი უდანაშაულონი და სასარგებლონი ოჯახის და საზოგადოებისათვის ნათელნი პირნი არიან დაღუპულნი სამუდამოდ.

ერთი სიტყვით, საყვარელო! ყოველივე არა კეთილი, არა ღვთიური, არა ვაჟკაცური, არა სინდისიერი მოქმედება ვისიმე, სულით კეთროვანების ნაყოფია. კაცის დანიშნულება კი სულ სხვას გვიკარნახებს: კაცი სხეულით „ტამარია ღვთისა და სადგურია სულისა წმიდისა“, სულით კი, დაბადების თქმით, ხატება და მზგავსებაა ღვთისა. ამგვარ დიდ დანიშნულების შეთვისება-შეგნებისათვის საჭიროა ქონა დიადი წმინდა სულისა, საღი აზროვნებისა, მოყვასისადმი სუფთა და ფაქიზი სიყვარულით აღსავსე გულისა; საჭიროა აღჭურვა სახრების შინაარსის შეთვისებით – შესწავლით, რაც ღმერთმან მაცხოვარმან ჯვარსა ზედა და დამსჭვალულმან და ლახვრითა განგმირულმან და მესამესა დღესა მკვდრეთით აღდგომილმან მოგვცეს ჩვენცა და სულით კეთროვანებსაც.

ამინ

25. «მე-15-ე კვირიაკე... საქრისტიანო ქვეყანამ ორი დიდი სჯულმდებელი იცის... ძველი აღთქმის – მოსე... ახალ მცნებათა მომცემი – ქრისტე“... : [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1926 წ., 3 ოქტომბერი. ხელნაწერი. ტექსტის ბოლოს: «დეკ. დ. გარსიაშვილი“. 3 ფ.

†

საქრისტიანო ქვეყანამ, საყვარელო, ორი დიდი სჯულმდებელი იცის. ერთია ძველი აღთქმის სჯულმდებელი წინასწარმეტყველი მოსე, ქრისტეს მოსვლამდის მცხოვრები; მეორეა ახალ მცნებათა მომცემი იესო ქრისტე. მოსე და იესო ქრისტე წარმოშობით ერთი ეროვნებისა, ურიათაგანნი, ერთმანეთისაგან დაშორებულნი არიან დიდი მანძილით – რამდენიმე საუკუნით. გარნა ორივენი შეთანხმებით ორ დიდ და პირველ მცნებაზედ ამყარებენ მათ მიერ კაცთათვის ბოძებულსა სჯულსა. სინას მთაზედ მოსეს მიერ ღვთისაგან მიღებულ ორ ფიცარზედ დაწერილ ათ მცნების პირველი ოთხი მცნება გვასწავლის სიყვარულს ღვთისასა, ხოლო დანარჩენი ექვსი – სიყვარულსა მოყვასისასა. ნამდვილ მორწმუნეთათვის სავალდებულოა ათი მცნების ცოდნა. დღეს წაკითხული სახარებაც ამას გვიდასტურებს ... ”სჯულის მოძღვარი ვინმე მოუხდა იესოს, გამოსცდიდა მას და ეტყოდა: მოძღვარ, რომელი მცნება უფრო არს სჯულსა შინა? ხოლო იესო თქვა მას: შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, და ყოველითა სულითა შენითა, და ყოველითა გონებითა შენითა. ესე არს დიდი და პირველი მცნება. და მეორე მზგავსი ამისი: შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“. და დასძენს ქრისტე. ამ ორთა მცნებათა ყოველი სჯული და წინასწარმეტყველნი დამოკიდებულნი არიან; და ესრეთ, საყვარელო! ზეციური მოძღვარი იესო ქრისტე ძველი აღთქმის ათ მცნებას, მოსეს მიერ ურიათა სახით კაცობრიობისათვის მიცემულს, ... კაცთა სახელმძღვანელოდ კვლავ ადასტურებს, სავალდებულოს ჰქმნის, ყველა სჯულს და წინასწარმეტყველთა და სხვათა მოძღვარეთა სწავლას ამ ორ მცნებას უკავშირებს...

ჩვენც, მორწმუნენო, გვწამს ღმერთი, გვიყვარს იგი, ჩვენი გული და გონება მისკენ მიილტვის, “ხელთა მისთა შევედრებთ სულთა ჩვენთა” /ლუკა XXIII, 46/. ყოველი ადამიანიც რომელი ეროვნებისაც არ უნდა იყოს იგი, კაცად მიგვიჩნევია, მოყვასად დაგვისახავს; იგი სულით ხატება და მზგავსებაა ღვთისა; სხეულით კი ... “ტამარია ღვთისა და სადგური სულისა წმიდისა;” და რომ პიროვნება კაცისა ხელშეუხებელია;



მისი სიცოცხლე, ღვთის მიერ ნაბოძები, ფასდაუდებელია; და რომ კაცის სიცოცხლის მომსპობნი ძმის მკვლელის კაინის და დიდებული მოძღვრის გამცემის იუდა ისკარიოტელის ხვედრისანი არიან. მაგრამ, საყვარელნო, ჩვენ, მორწმუნეთ, როცა ღვთის უარისმყოფელნი გვიკვირებენ – არ არის ღმერთი – ამით კაცის მაღალ დანიშნულებესაც ხომ აბათილებენ. ამ სახით უარეს დევნასა და დამცირებას განვიცდით რწმენის ნიადაგზედ. რა ვქნათ? როგორ მოვიქცეთ ჩვენ, ზნეობრივად დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი? ამგვარ მოაზროვნეთ მეფე დავით წინასწარმეტყველი სხარტად ახასიათებს: “სთქვა უგუნურმან გულსა შინა თვისსა – არა არს ღმერთი”. ჩვენც ასევე გვეთქმის მათ მიმართ ... გავიხსენოთ დიდი ილიას

“რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ,  
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშრად მოვფინოთ ხალხში,  
თუ კაცმა ვერ სცნო, ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა,  
რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი.  
ავციოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართლის ბედმა  
და დაე, გვძრახონ, ჩვენ მის...ძებნით გავლიოთ დღენი”

ტყუილია ურწმუნოთა მითქმა-მოთქმა, ვითომც ღვთისნიერობის გარეშე შეიძლებოდეს ქვეყანასა ზედა კაცთა შორის მშვიდობისა, სიყვარულისა, ძმობისა და ერთობის დამყარება. არასოდეს, საყვარელნო! ვინც საზრდოდ არ ხმარობს ქრისტეს მცნებას, და ამ ქვეყნად უნდა სიყვარულის განმტკიცება, ის ტყუილად დაშვრება და ჰაერში კოშკების მშენებელს მიემზგავსება. კაცთა შორის კეთილ ურთიერთობის შექმნისა და განმტკიცების ქვა-კუთხედი სიყვარულია ღვთისა, ღვთის არსებობის აღიარება – მხოლოდ კაცის ამგვარ შეგნებას და რწმენას შეუძლიან ყოველი ადამიანის მოყვასად მიჩნევა და აღიარება, მისი შეგუება-შეწყნარება. ურწმუნონი მოითხოვენ ღვთის ხილვას, დასარწმუნებლად უნდათ ხელებით შეეხონ. უგუნურთა არა იციან, რომ არა სხეულია გამომხატველი ღვთის ხატებისა, სახიერებისა. მახარებელი იოანე ღვთისმეტყველის სწავლით: “ღმერთი არა სად არვის უხილავს, უკეთუ ვიყვარებოდეთ ურთიერთარს, ღმერთი ჩვენ შორის ჰგის და სიყვარული მისი ჩვენ შორის აღსრულებულ არს.” /I კათ. IV, 12/ ... ღმერთი სიყვარული არს, და რომელი ეგოს..... სიყვარულსა ზედა, ღმერთი მისთანა ჰგის, და იგი ღვთისა თანაჲ/კათ. იოანე IV, 16/.

აი, საყვარელნო! სად ყოფილა ღმერთი, ვის შორის და სად უნდა ვეძიოთ იგი, როგორ შეგვიძლია მისი ხილვა. ღმერთი სიყვარული ყოფილა და იგი იქ არის, სადაც კაცთა შორის არის სიყვარული, მშვიდობა, სათნოება, ძმობა, ერთობა, თავისუფლება ... და არა იქ, სადაც კაინისებური ძმათა მკვლელობაა, ეხლანდელ დროის მრუმობაა, მტაცებლობაა.

იესო ქრისტე, მეო ღვთისაო და მეო მამისაო, ... ჯვარცმულო ტანჯულო, უხვად მოგვმადლენ შენი მაღლი სულისა წმიდისა, “რათა ვიყვარებოდეთ ურთიერთარს” /იოანე XV, 17/ და ვითარცა შეგიყვარა შენ მამამან, შენც შემეყვარენ ჩვენ, რათა დავადგრეთ სიყვარულსა შენსა” /იოანე XV, 9/.

ამინ

26. «მე-11-ე კვირიაკე... მოყვასო ჩემო!... შეიგნე ამ ქვეყნად მცირე ხნით მყოფობის ჟამს დიდი მოვალეობა და დანიშნულება”... : [ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1926 წ., 4 სექტემბერი. ხელნაწერი.

თავფურცელზე: «წარმოითქვას ქვაშვეთის წმინდა გიორგის ტაძარში». ხელმოწერა გაურკვეველია. ტექსტი \_ ჩასწორებული. 7 ფ.

იხ. ქადაგება №9.

27. «დიდმარხვის მე-3-ე კვირიაკე... ჯვრის თაყვანისცემის კვირიაკე»... : [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1926 წ. , 13 თებერვალი. ხელნაწერი. ტექსტი ჩასწორებულია და დასასრული აკლია. 1 ფ.

†

მორწმუნეთათვის დიდმარხვა, საყვარელო, სუფთა და წმინდა მარხვაა. დიდმარხვის შემნახველნი ქრისტეანენნი მიმბაძველნი არიან ძველი აღთქმის დროის დიდი წინასწარმეტყველი მოსესი, სინას მთაზედ ათი მცნების მიღების ჟამს 40 დღე სასტიკ მარხულობაში გამტარებლის და ახალ მცნებათა მომცემის ქრისტე იესოსი, მდინარე იორდანეში იოანესაგან ნათლისღების შემდეგ უდაბნოში ორმოცი დღე მარხვა-ლოცვისათვის განშორებულის. წმინდათ და სუფთად მმარხველთათვის დიდმარხვის დაცვა და შენახვა არ ადვილია, საკმაოდ და საგრძნობლად ძნელია. მმარხველისათვის საჭიროა გული წმინდა, სული წრფელი, გონება ამაღლებული, რწმენა სალ-კლდესავით მტკიცე და შეურყეველი, და ღვთისა და მოყვასისადმი უზომოდ თავდადებული სიყვარული. საღმრთო წერილი გვასწავლის, რომ დედამიწის ზურგზედ „არა არს კაცი, რომელი სცხონდეს, და არა სცოდოს“ ... რადგანაც ჩვენ, კაცნი, ბუნებით სუსტნი ვართ, უკეთურებანი უფრო გვეხერხება, გვეადვილება მოძმის სიავე და ბედშობა, მისი ჭირში და იწროებაში ყოფნა უფრო გვახარებს, გვამოდრავებს და გვამოქმედებს; სიკეთის შექმნა კი მოძმისადმი გვეძნელება; მოძმის სიცოცხლე ჩალის ფასად არ გვიღირს, დაუნდობელნი და შეუბრალებლები ვართ .... პირუტყვთა და ნადირთა ღმობიერება ადამიანთადმი ხშირად უფრო გასაკვირვია, ვიდრე კაცისა .....

მიზანი წმინდა ეკლესიის მიერ შუა მარხვაში პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელის ჯვრის გამოსვენებასა და მისი ტაძრის შუა ნაწილის თვალსაჩინო ადგილას დასვენებისა მორწმუნეთათვის სახილველად და თაყვანის საცემელად, .... არის ნიშანი კაცის სულის სიწმინდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და მოყვასის უზომო სიყვარულისა. არც ქრისტესათვის იყო ადვილი ორმოცი დღის განმავლობაში მარხულობა. სახარება გვასწავლის, რომ ქრისტესაც, როგორც კაცის სავსე ბუნების მქონეს, მოემშა მარხვის მეორმოცე დღეს; მაგრამ მან ხორცის მოთხოვნილება სძლია სულიერი, ვაჟკაცური ძალ-ღონით და უკუაგდო ეშმაკის მზაკვრული და უგუნური წინადადებანი. ქრისტე იესოს ლოცვა-ვედრებანი და მარხულობა გეთსამანიის ბაღში არ არის, საყვარელო, ნიმუში მისი მოყვასისადმი უზომო სიყვარულისა და თავდადებისა, სიმდაბლისა და მოთმინებისა და სულიერი ძლიერებისა? გოლგოთის მთაზედ ქრისტეს მიერ დათმენილ ....

28. «27-ე კვირიაკე... ეპისტოლე პავლე მოციქულისა ეფესელთა მიმართ მიწერილი“... : [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1926 წ. , 26 დეკემბერი. ხელნაწერი. ტექსტი ჩასწორებულია. 4 ფ.

†

ეპისტოლე პავლე მოციქულისა ეფესელთა მიმართ მიწერილი, თვისის შინაარსით არამც თუ მხოლოდ ორი ათასი წლის წინა დროის შესაფერისია, არამედ სადღეისოცაა და სამარადისოც. პავლე მოციქული ღრმა მცოდნე ყოფილა ბუნებისა და მისი გვირგვინის – ადამიანის სულიერი ცხოვრებისა. მას მახარებელ იოანე ღვთისმეტყველთან ერთად შეთვისებული ჰქონია, რომ „ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა სდგას“ /ა. კათ. ეპისტ. იოანე V, 19/. მას იაკობ მოციქულთანაც ერთად სცოდნია, რომ გულისთქმა ადამიანისა ჰზადავს ცოდვას, ცოდვისაგან კი წარმოსდგება სიკვდილი: „გულის-თქმა იგი მიუდგის და ჰშვის ცოდვაი; და ცოდვა იგი სრულ იქმნის და ჰშვის სიკვდილი“ /კათ. ეპისტ. იაკობ I, 15/. სიკვდილი ცოდვისაგან, ცოდვა გულისთქმისაგანო, ბრძანებს საღმრთო წერილი მოციქულ იაკობის პირით, საყვარელო! გულისთქმა ადამიანისა ვისლა ემონება? ამის შესახებ მახარებელი და მოციქული იოანე ღვთისმეტყველი თავის პირველ კათოლიკე ეპისტოლეში წერს: „რომელმან ჰქმნეს ცოდვაი, იგი ეშმაკისაგან არს, რამეთუ დასაბამიდგან ეშმაკი სცოდავს; ამისთვის გამოსცხადნა ძე ღვთისა, რათა დაარღვივნეს საქმენი ეშმაკისნი“ /I კათ. ეპისტ. იოანე III, 8/. კაცი მონა რომ არ იყოს ეშმაკისა, რომ არ მსახურებდეს ბოროტებას, მოციქული პავლე დარიგებას აძლევს ეფესელთა და მათ სახით ყველა დროის მორწუნეთ: „განძლიერდით უფლისა მიერ და სიმტკიცითა ძლიერებისა მისისაითა შეიმოსეთ ყოვლად საჭურველი იგი ღმრთისა, რათა შეიძლოთ თქვენ წინადადგომად მაქანებათა მათ ეშმაკისათა“ /ეფეს. V, 10,11/. ბრძოლა ჩვენი მიმართულიაო, – განაგრძობს პავლე მოციქული, – სულთა მიმართ უკეთურებისათა, რომელნი არიან ცასა ქვეშე. ამისათვის აღიღეთ ყოვლად საჭურველი ანუ იარაღი იგი ღვთისა, რათა შეუძლოთ წინადადგომად ყოველსავე ბოროტისა. შეიმოსეთ ჯაჭვი ანუ აბჯარი სიმართლისა. ე.ი. მზად იყვნეთ მშვიდობის საქადაგებლად: „ყოველსა შინა აღიღეთ ფარი იგი სარწმუნოებისა, რომელთა შეუძლოთ ყოველთა მათ ისართა ბოროტისათა განხურვებულთა დაშრეტად და ჩაფხუტი იგი ცხოვრებისა დაიდგათ და მახვილი იგი სულისა, რომელ არს სიტყვა ღვთისა“ /ეფეს. VI, 14,17/. პავლე მოციქულის დარიგება ასეთია: ბოროტ სულ ეშმაკთან ბრძოლისათვის და მის დასათრგუბველად მორწმუნე კაცმა იარაღად უნდა იხმაროს და წინ წარიმძღვაროს ჰემმარიტება და სიმართლე. სახარების საფუძველი მშვიდობა უნდა იქადაგოს და დაიცვას; ფარი სარწმუნოებისა მუდამ ხელთ უნდა ეპყრას და საღმრთო წერილით ხელმძღვანელობდეს, რაც ღმერთმა ამ გაჭირვებულ დროს ჩვენც შეგვამღებინოს.

ამინ

29. «21-ე კვირიაკე... იგავი მთესვარზედ“... : [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1926 წ. , 14 ნოემბერი. ხელნაწერი. ტექსტი ჩასწორებულია. 3 ფ.

†

უძველეს დროიდან მართლმადიდებლური ეკლესია ახსენებს თავის მორწმუნე შვილთა წმიდა სახარებიდან ქრისტესმიერ თქმული ღრმა შინაარსის იგავს მთესვარზედ.

მოვიდა მინდვრად მთესვარი თესვად თესლისა თვისისა, \_ ბრძანებს უფალი იესო ქრისტე, \_ და თესვის დროს რომელიმე თესლი დავარდა გზასა ზედა, და ვერ ჰპოვა რა კეთილი ნიადაგი, დაითრგუნა თესლი ესე და ფრინველთა ცისათა შესჭამეს იგი. და სხვა თესლი დავარდა კლდესა ზედა. ცხოველისმყოფელის მზის უხვი სხივების სითბომ აღმოაცენა თესლი ესე. მგრამ ვერ ჰპოვა რა სიღრმე და სინესტე მიწისა, გახმა თესლი იგი. და რომელიმე თესლი დავარდა შორის ეკალთა, და ჰპოვა თესლმან ამან შორის ეკალთა მიწა და სინესტე და აღმოცენდა იგი ნაყოფის გამოსაღებად. ხოლო მასთან ერთად უხვად აღმოცენდეს ეკალნი, რომელთა დასჩაგრეს აღმოცენებული თესლი და ნაყოფგამოუღებელი ჩაჰკნა და გაჰქრა. და სხვა თესლი დავარდა ქვეყანასა კეთილსა, ფხვიერი და ნაყოფიერი მიწის და სინესტის მქონისა. და აღმოცენდა თესლი ესე და გამოიღო ნაყოფი ასი წილი. ღვთაებრივმა მოძღვარმა ნათ-ქვამს დასძინა: რომელმან ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ. განმარტოებით მყოფ მოძღვარს მოწაფეებმა შეკითხვა მისცეს: რა დაფარული აზრია შენ მიერ თქმულ იგავში? უფალმა შემდეგნაირად განუმარტა: თესლი მთესვარის მიერ დასათესად მინდვრად გატანილი, ნიშნავს ღვთის სიტყვას \_ სწავლას. აქედან თავისთავად იგულისხმება, თუ ვინ უნდა იყოს მთესვარი. მთესვარი თვით მთქმელია იგავისა. ნიადაგი მიწისა: გზათდებული, კლდიანი, ეკლიანი და კეთილი ნიშნავს კაცთა სხვა და სხვა გვარ სულიერ თვისებათა. მცირე მაგალითების დასახელებით ნათელვჰყოთ ნათქვამი. „ხოლო გზასა ზედა იგინი არიან, რომელთა ესმის. მერმე მოვიდა ეშმაკი და მოუღის სიტყვა იგი გულისაგან მათისა, რათა არა ჰრწმენეს და სცხონდენ“ /ლუკა VIII, 12/. აბელის მკვლელი კაინი კაცობრიობის მამამთავართა ადამისა და ევას შვილი იყო. სამოთხეში ცხოვრების დროს ღმერთთან მობაასე მშობელთა გავლენის ქვეშ აღიზარდა და მათგან მხოლოდ კეთილ რჩევა-დარიგებას ისმენდა, მაგრამ იწყო რა დამოუკიდებელი ცხოვრება, „მოვიდის“ მასთან „ეშმაკი“ და იგიც სულით და გულით ემონა მის ბოროტ რჩევა-დარიგებას. შურით შეპყრობილმა გაიხმო უმცროსი ძმა აბელი მინდვრად და იქ მოჰკლა იგი.

იუდა ისკარიოტელი სამ წელზე მეტ ხანს განუმორებლივ სდევდა ღვთაებრივ მოძღვარს, თანაბრად ისმენდა იგი სხვა მოციქულებთან ერთად მის დიად სწავლას. მაგრამ ციურმა სწავლამ ქრისტესისამ ვერ ჰპოვა ნიადაგი მის სულსა და გულში და გასცა მან დიდებული მოძღვარი ვერცხლისმოყვარეობით გატაცებულმა და სამუდამოთ წარიწყმიდა სული თვისი.

„ხოლო რომელი იგი კლდესა ზედა, რომელთა იგი რა ჟამსა ისმინიან სიხარულით შეიწყნარიან სიტყვა იგი, და ამათ ძირი არა უბნ, რომელთა იგი ჟამ ერთ ჰრწამნ, და ჟამსა განსაცდელისასა განდგიან“ /ლუკა VIII, 13/. ჟამსა განსაცდელისასა ქრისტეს ციურ სწავლისაგან განდგომილთა სახელები მრავლად აქვს აღბეჭდილი მსოფლიო ისტორიას. ქრისტეს თქმით, ესენი არიან „ლერწამნი ქარისაგან შერყეულნი“ /ლუკა VII, 23/ „ხოლო რომელი იგი ეკალთა შორის დავარდა, ესე არიან, რომელთა ისმინიან სიტყვა, და ზრუნვისაგან და სიმდიდრისა და გემოთაგან ამის სოფლისათა ვლენედ, და არა ნაყოფიერ იქმნიან“ /ლუკა VII, 14/. დიდ მეფედ წოდებულმა იროდიმ ურიასტანში თოთხმეტი ათასი უსუსურნი ბავშვნი ამოხოცა ... “სიმდიდრისა და გემოთაგან ამის სოფლისათა“ \_ ურიასტანში მეფის უფლებათა შენარჩუნებისათვის. მეორე იროდი გალილეველმა, გაბრუებულმა და გონება დაკარგულმა „გემოთაგან ამა სოფლისათა“, თავი მოჰკვეთა პატიოსანსა და დიდებულსა წინასწარმეტყველსა და

ნათლისმცემელსა იოანეს, რომლის შესახებ ქრისტემ სთქვა: „უფროსი შობილთა შორის დედათასა იოანე ნათლისმცემლისა წინასწარმეტყველი არავინ არს“ /ლუკა VII, 28/. „ხოლო რომელი იგი კეთილსა ქვეყანასა დაეთესა ესენი არიან, რომელთა გულითა კეთილთა და სახიერთა ისმინიან სიტყვა და შეიკრძალიან, და ნაყოფი გამოიღიან მოთმინებითა“ /ლუკა VIII, 15/. ქრისტე იესოს ღვთაებრივი სწავლის „გულითა კეთილითა და სახიერებითა“ მომსმენთა სახელები უხვად იცის საერო და საეკლესიო ისტორიამ. წმინდა ღვაწლი და შრომანი მათნი წარუხოცელად მომავლის სახელმძღვანელოდ საშვილიშვილოდ გარდაეცემის. ხსენება და კურთხევა მათ კეთილთა საქმეთა ქმნისათვის.

საყვარელნო! კეთილის თესლის კეთილსა ქვეყანასა დათესვისათვის ვართ მოვლინებულნი ამ ქვეყნად მოკლე ხნით. და რა ვუყოთ, რომ ირგვლივ ბოროტება შემოგვხვევია. მით უფრო გვმართებს რწმენის ურყევლობა და სიმტკიცე. სახეთ მივიღოთ ჭეშმარიტებისათვის ჯვარცმულ იესოს მზგავსად უამრავი მარტვილნი მისნი. ჩვენს ბედის ვარსკვლავს ვსდიოთ კვალ და კვალ და გვრწამდეს, რომ ბოლოს ბოროტების მძლეველია კეთილი. მის თავდებია სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი, მკვდრეთით ბრწყინვალედ აღდგომილი ქრისტე იესო და მის მომბამველთა მოწამეთა ყოფა-ცხოვრება...

30. «24-ე კვირიაკე... ქრისტეს მიერ... დედაკაცის განკურნება... ურიათა საკრებულოს უფროსის იაიროზის 12 წლის ასულის მკვდრეთით აღდგენა»: [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1926 წ. , 5 დეკემბერი. ხელნაწერი. ტექსტი ჩასწორებულია. 4 ფ.

†

ურიათა ქვეყნის ჩრდილო ნაწილ გალილეაში მოგზაურობის დროს ქრისტე იესოსთან მივიდა სამლოცველო სახლის უფროსი კაცი, ვინმე იაიროზი. იგი დავარდა ღვთაებრივი მოძღვრის ფერხთა თანა და ევედრებოდა მას, რათა შევიდეს სახლსა მისსა და განუკურნოს მას ერთადერთი 12 წლის ასული, სიკვდილის პირას მყოფი. უფალმა შეისმინა თხოვნა იაიროზისა და პირი იბრუნა მისი სახლისაკენ. გზაში ქრისტეს მიმდევარმა ხალხმა შესამჩნევად იმატა. აღმოჩნდა ვინმე დედაკაცი, თორმეტი წელიწადი სისხლმდინარეობით ავადმყოფი. ამ ხნის განმავლობაში მან თავისი მონაგები მთლად დახარჯა მკურნალთა ძიებაში და წამლების შეძენაში, მაგრამ მაინც ვერ განიკურნა. მოვიდა ეს ავადმყოფი ქრისტეს ზურგს უკან და შეეხო მის სამოსელს და მაშინვე დასცხრა წყარო იგი სისხლისა მისისა. იესომ იკითხა: ვინ შემეხო მე? და როდესაც ყველა უარყოფდა, პეტრემ და სხვათა მოციქულთა უთხრეს: მოძღვარ! ხალხი სიმრავლისა გამო გარშემოგრტყმია და გავიწროებს და შენ მაინც ამბობ, ვინ შეგეხო? იესომ კვალად სთქვა: ვინმე შემეხო მე, რადგანაც ვსცან ძალი განსრული ჩემგან. ნახა რა დედაკაცმა, რომ მისი ღრმა რწმენით ქმნილი იდუმალი საქციელი არ დაიფარა, დავარდა რა ქრისტეს წინაშე, განუცხადა მას ხალხის წინაშე, თუ რა მიზეზით შეეხო მას და როგორ მაშინვე განიკურნა დიდი ხნის მოურჩენელი სენისაგან. იესომ უთხრა მას: ნუ გეშინინ, ასულო! სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ, ვიდოდე მშვიდობით. ამ დროს იაიროზის სახლიდან მოვიდა კაცი, რომელმაც აცნობა იაიროზს: ასული შენი მოკვდა, ნუღარ შეაწუხებ მოძღვარს. ესმა რა იესოს ეს

ამბავი, უთხრა იაიროზს: ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ, სცხონდეს იგი. მივიდა იესო საკრებულოს მთავრის სახლში და შიგ არავინ შეიყვანა, გარდა პეტრე, იოანე და იაკობისა და გარდაცვალებულის დედ-მამისა. გარდაცვალებული ყრმა იქ მყოფთ ებრალებოდათ და სტიროდნენ. იესომ უთხრა მათ: ნუ სტიროთ, რამეთუ ყრმა იგი არა მომკვდარ არს, არამედ სძინავს. მტირალთა დასცინეს იესოს, იცოდნენ რა, რომ ასული უკვე მომკვდარ იყო. უფალმა დამცინავნი გამოდევნა სახლიდან და მერე უპყრა ხელი ყრმისა მის და ხმა ჰყო: ყრმაო, აღსდევ! და დაუბრუნდა სული ყრმას და მაშინვე აღსდგა. და უბრძანა იესომ დედ-მამას, რათა მისცენ მას საჭმელი.

ორივე ეს სასწაული მრავალმხრივ მსჯელობის საბუთს გვაძლევს, საყვარელნო, კაცის ამ ქვეყნად სიცოცხლის ფასდაუდებლობის შესახებ: ქრისტე ჰკურნავდა და სიკვდილისაგან გადაარჩენდა ხოლმე ადამიანს იმიტომ, რომ ამ ცოცხალ ადამიანში ხედავდა ღვთიური ძალის გამოსახულებას.

საღმრთო წერილის ზნეობრივ პრინციპს სიცოცხლის ფასდაუდებლობის შესახებ აქვს არა მარტო განყენებული მსჯელობის ხასიათი, არამედ იგი დღევანდლამდისაც არის და იქნება სამარადისოთ სახელმძღვანელო პრინციპი ვიდრე არსებობს საზოგადოებრივი ურთიერთობა ადამიანთა შორის. ჭეშმარიტად! ადამიანს თუ სურს თავისი სიცოცხლის უზრუნველყოფა, საჭიროა სხვის პიროვნებას მოეპყრას ისეთივე მზრუნველობითა და დაზოგვით, რომ თვითონაც სხვებისაგან დაიმსახუროს იგივე. ამავე დროს, ამ ზნეობრივი პრინციპის სახელმძღვანელოდ მიღება პრაქტიკულ ცხოვრებაში აუცილებელია საზოგადოების, როგორც მთლიანი ერთეულის, განვითარებისა და დაცვისათვის. მაშასადამე, ეს ზნეობრივი საფუძველი თავის შინაარსში შეიცავს მთავარ მხარეს: პიროვნულსა და საზოგადოებრივს. აი, რატომ არის მისი აღსრულება ჩვენთვის ეგზომ აუცილებელი.

ამინ

31. «სიტყვა მე-12-ე კვირიაკესა ზედა. ბეთლემს ურიასტანისას დაბადებულ და გოლგოთაზედ ჯვარცმულ იესო ქრისტეს სახელის მაკურთხეველნო»... : [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1924 წ. , 14 სექტემბერი. თავფურცელზე: «წარმოთქვას კ. პ. ქრისტეფორე.» ხელნაწერი. 8 ფ.

†

ბეთლემს ურიასტანისას დაბადებულ და გოლგოთაზედ ჯვარცმულ იესო ქრისტეს სახელის მაკურთხეველნო, მაქებ-მადიდებელნო და თაყვანისმცემელნო!

ურიათა მეფეს და წინასწარმეტყველს დავით ფსალმუნთმთხზველს შორეულ წარსულში უგალობნია ასეთნაირად: “კაცი, ვითარცა თივა, არიან დღენი მისნი, ვითარცა ყვავილი ველისა, ეგრე აღყვავნეს” /ფს. 102, 15/.

მოციქული პეტრეც თვის კათოლიკე ეპისტოლეში მთლიანად იზიარებს მეფე დავითის ამ მოყვანილ აზრს შემდეგი ლამაზი შედარებით: “ყოველი ხორცი თივა არს, და ყოველი დიდება კაცისა ვითარცა ყვავილი თივისა; განხმა თივა იგი, და ყვავილი მისი დაჰსცვივა” /I კათ. პეტრ. I, 24/.

მოციქული იაკობი, ურიათა შორის სახარების მქადაგებელი, ეკითხება იმათ, რომელნიც ასე მსჯელობენ: “დღეს, გინა ხვალე წარვიდეთ მას, რომელსამე ქალაქსა, და დავყოთ მუნ წელიწადი ერთი, და ვივაჭროთ და შევიძინოთ; თქვენ, რომელთაც

არ იცით, ხვალ რა მოხდება, რა არის ცხოვრება თქვენი?” ასეთ შეკითხვაზე ეს მოციქული თვითვე დასძენს პასუხს: “ვითარცა კვამლნი ხართ, რომელი მცირედ \_ ჟამ ჰსჩანან, და მერმე განჰქარდის” /კათ. იაკ. IV, 13, 14/.

მოციქულ პეტრეს მოძღვრებით, კაცის გვამი და ყოველი დიდება მისი თივისა და ველის ყვავილის მზგავსი ყოფილა.

მოციქულ იაკობის სწავლითაც კაცი კვამლის სადარია, რომელიც ცოტა ხანს სჩანს და მერმე ჰქრება.

ასეთი მცირე დროისანი ვართ ამ ქვეყნად მოვლინებულნი ადამიანნი, საყვარელნი! კაცი უკან მიხედვას ვერ ასწრობს, თვის ირგვლივ არსებულ “კეთილ ფრიად” /დაბ. წ. ა. მოსესი I, 31/...

ნუ თუ მხოლოდ მისთვის ვართ მოსულნი, რომ არ ვცნობდეთ მშობელთა, გამზრდელთა და მასწავლებელთა ჩვენთა, რომელთა მორჩილებასა და პატივისცემას გვავალებს, ღვთის ბრძანებით, ძველი აღთქმის დიდი სჯულმდებელი და წინასწარმეტყველი მოსე მეხუთე მცნებით: “პატივ ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა მას კეთილსა, რომელი იგი უფალმან ღმერთმან მოგცეს შენ” /გამოსვ. წ. ბ. მოსესი XX, 12/. ანდა ახალი აღთქმის წარმართთა დიდი მოციქული პავლე ვალდებულად რომ გვხდის ბრძნული სწავლით: “დაემორჩილენით წინამძღვართა თქვენთა და ერჩდით მათ რომელნი იგინი იღვიძებენ სულთა თქვენთათვის, ვითარცა იგი სიტყვა მისცენ: რომელთა სიხარულით ამას ჰყოფდენ, და არა სულთ \_ ითქმიდენ ... არა ადვილ-არს ესე თქვენდა” /ებრ. XIII, 17/...

ნუ თუ კაცის ვალია მეექვსე დიდი მცნების: “არა კაც ჰკლას” /გამოსვ. წ. ბ. მოსესი, XX, 13/ დარღვევა? კაინის მზგავსად რად ვღვრით უხვად მოძმის ფას-დაუდებელ სისხლს? ხომ კაცის მოკვლით ირღვევა “ტამარი ღვთისა და სადგური სულისა წმიდისა”? რად არ გვახსოვს კაცის ღირსების და მაღალი დანიშნულების სწავლა დიდის მოციქულისა: “არა უწყითა, რამეთუ ტამარნი ღვთისანი ხართ, და სული ღმრთისა დამკვიდრებულ არს თქვენს შორის”? /I კორ. III, 16/; ანდა ის, რომ ყოველნი ქრისტიანენი: “ასონი ვართ გვამის მისისანი /ქრისტესი/, ხორცთა მისთაგანნი და ძვალთა მისთაგანნი?”

/ეფეს. V, 30/. კაინისა და გამცემელ იუდა ისკარიოტელისებურ დაღვრილი მოძმის სისხლი ხომ ცამდის ხმა-მაღლა მღალადებელია? ის იღუმალი ღმრთისა და სინდისის ძახილი: “კაინ! სადა არს აბელ, ძმა შენი?” /დაბ. წ. ა. მოსესი IV, 9/, და ცით მოვლინებულ ღვთაებრივ მოძღვრის კითხვა: “იუდა! ამბორის ყოფითა მიჰსცემა ძესა კაცისასა” /ლუკა XII, 48/. ეს კითხვები ხომ მოძმის მკვლელის მუდმივ თან მდევნელია და მისი სულიერი სიმშვიდის ამა თუ იმ ქვეყნად დამრღვევი და მომსპობია? რად არ აფიქრებს ეს გარემოება ღვთის სახის მატარებელს, კაცად წოდებულს, ორფეხა ნადირს? ხომ ქრისტეს სწავლით არა თუ კაცის მოკვლა დაუშვებელია, ცუდ-უბრალოს მოძმის შეურაცხყოფაც მკვლელობის სადარია? აჰა, ამის ციური საბუთიც: “გესმა რომელი ითქვა პირველთა მათ მიმართ: არა კაც ჰკლას; ხოლო რომელმან მოკლას, თანამდებ არს სასჯელისა. ხოლო მე გეტყვი თქვენ, რამეთუ რომელი განურისხნეს ძმასა თვისსა ცუდად, თანამდებ არს სასჯელისა” ... და სხვა. /მათე V, 21, 22/. და იესო ქრისტეს საყვარელი მოციქულის, იოანე მახარებლის სწავლითაც უჩინარი, გულის სიღრმეში დაფარული, მძულვარება კაცისა მოძმისადმი ხომ იგივე მკვლელობა ყოფილა? ამ აზრის საბუთად თვით იოანე მოციქული ამბობს: “ყოველსა, რომელსა ჰსძულდეს ძმაი თვისი, იგი კაცის \_ მკვლელი არს და იცით,

რამეთუ ყოველსა კაცის-მკვლელსა არა აქვს ცხოვრება საუკუნო”  
/I კათ. იოანე III, 15/.

რად ვმრუშობთ და არ ვიცავთ საწოლსა საკუთარის თუ მოძმის ცოლ-ქმრობისას შეუხებელად და შეუგინებლად? შეგინება ცოლ-ქმრული საწოლისა ხომ შეგინება სუფთა და ფაქიზი ოჯახური და საზოგადოებრივი ზნეობრივი ცხოვრებისა? ამის შესახებ რად არ ვიმარხავთ გულის სიღრმეში და ჩვენის სუფთა ცხოვრებით არ ვამართლებთ დიდ სწავლას და დარიგებას ბეთლემში დაბადებულის და გოლგოთაზე ჯვარცმულისას: “გესმა რამეთუ ითქვა: არა იმრუშო; რამეთუ მე გეტყვი თქვენ, ყოველი, რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულისთქმად მას, მუნვე იმრუშა მისთანა გულსა შინა თვისსა”? /მათე V, 27-28/. რატომ არ ვბაძავთ მშობელთა და ძმათა უზომოდ მოყვარულს, “კეთილ სახითა და შვენიერ ხილვითა ფრიად”. იოსებს, უმანკოებით ცნობილ იოსებს, მამათ-მთავარ იაკობის ერთ ათთორმეტაგანს ძეს, რომელმაც, ეგვიპტეში მონობის ჟამს, სინანულითა, ლოცვითა, და მარხვით სძლია, უკუაგდო და არ შეასრულა თვისი ბატონის ცოლის, “უსჯულოისა დედაკაცის” ბილწი წინადადება: “დაწევ ჩემთანა” ... იოსებმა შემდეგი თვისი სამაგალითო ღრმა ზნეობრივი პასუხით: “რამეთუ ცოლი ხარ მისი (ბატონისა), და ვითარ ვქმნა ბოროტი ესე სიტყვა და ვსცოდო წინაშე ღვთისა” /დაბ. წ. ა. მოსესი, XXXIX, 7-9/, ხომ “ქალწულება დაიცვა”?....

ცუდკაცობით და ავხელობით, მრუდე ნაბიჯის გადადგმით ბნელ და უკუმეთ ღამეებში ავზრახვათა შესრულებით, რად ვაუქმებთ დიდ აზრს მერვე დიდი მცნებისა: “არა იპარო”?

/გამოსვ. წ. ბ. მოსესი XX, 15/. ხომ ცნობილია, რომ მოყვასის ქონების დაზოგვაზეა დაფუძნებული კერძო თუ საერთო ხასიათის ბედნიერება და კეთილდღეობა? ამ დიდათ საჭირო მცნების უარყოფით არ არის ურთიერთ შორის გახშირებული, აშკარა ცარცვა-გლეჯა და ძალ-მომრეობა და ფარულად, თუ მოტყუებით და გაიძვერობით მითვისება სხვისი ქონებისა? \_ სამაგიეროთ ამისა, რად არ არის კაცთა მიერ საჭიროთ მიჩნეული უანგარება, პირიანობა, მართლმსაჯულობა და დაცემულთა შებრალება? \_ ამასთანავე, კრძოთ, ჩვენ, ქართველები, რად არ მივსდევთ ქართველი ერის დიდი მოძღვრის, უღმრთოთ მოკლული ერის ბურჯის, ილიას ცნებას:

“რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,  
ეგ ვერაფერი სიყვარულია,  
საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,  
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.”...

წინასწარმეტყველ მოსესით მოუცია ღმერთს მე-9 მცნებად: “არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუთათა”  
/გამოსვ. წ. ბ. მოსესი XX, 16/. ჩვენ კი, კაცნი, რას არ ვჩადივართ მეტყველი ენითა ჩვენითა? ვარღვევთ და ვაუქმებთ იესო ქრისტეს ახალ დიდ მცნებას: “ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ”... /მათე VII, 1/. აშკარად თუ ფარულ უსამართლობით მოყვასსა ჩვენსა ვკიცხავთ და ვაბეზღებთ ენა მწართა ქვეყნის ამომგდებითა. ამნაირ ენის შესახებ რად გვავიწყდება სასარგებლო დარიგებანი მოციქულთა: პავლესი, რომელიც ამბობს: “...განიშორეთ ტყუილი, იტყოდეთ ჭეშმარიტსა კაცად-კაცადი მოყვასისა თვისისა თანა...” /ეფეს. IV, 25/; პეტრესი: “...რომელსა ჰნებავს სიყვარული ცხოვრებისა და ხილვად დღენი კეთილისანი, დააცხვრენ ენაი თვისი ბოროტისაგან და ბაგენი მისნი ნუ იტყვედ ზაკვასა” /I კათ. პეტრესი III, 10/; იაკობისა: “რომელსა ეგონოს თქვენ შორის, ვითარმედ ღვთის მსახურ-არს, და არა აღვირასხმიდეს ენასა თვისსა, არამედ აცდუნებდეს გულსა



თვისსა, ამისი ამაო არს მსახურება” /კათ. იაკ. I, 26/; და ჩვენი ხალხის უხსოვარ დროის ბრძნულად თქმულიც: “სანამ ხმალი მოვიდაო, ენამ თავი მოსჭრაო.” და რად უმორჩილებს კაცი თვის ჭკუა-გონებას ხშირად ღვთის მცნებათა საწინააღმდეგო წადილსა და გულისთქმას. ცუდ საქმეებთან ერთად ხომ ცუდნი წადილნი და გულის-თქმანიც ღვთისაგან აღკრძალულია. როგორც დასამტკიცებლად ნათქვამისა, ბრძენი მეფე, სოლომონი ბრძანებს: “სამაგელ უფლისა გულის სიტყვანი ცრუნიო”? /იგავნი სოლომ. XV, 26/. რატომ კაცნი შინაგან უწმინდურებისაგან არ განიწმინდებიან მოციქულის შემდეგ სწავლისამებრ: “განვიწმინდნეთ თავნი ჩვენი ყოვლისაგან შეგინებისა ხორცთასა და სულისა, და აღვასრულებდეთ სიწმიდესა შიშითა ღმრთისათა”? /II კორინ. VII, 2/. რად ვართ მშურენი და არ ვიცავთ გულის სიწმიდესა? რატომ ვერ აღმოგვიფხრავს გვამიდან ძირიან-ფესვიანად ცოდვილნი სურვილნი და გულის-თქმანი, რომელთაგან წარმოიშობიან საქმენი ცოდვილნი, როგორც იესო ქრისტესაგან ნათქვამია: “გულისაგან გამოვლენ გულის სიტყვანი ბოროტნი, კაცის-კვლანი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, ცილის-წამებანი, გმობანი”... /მათე XV, 19/ \_ ფსალმუნთმგალობელ დავით მეფეს რომ უგალობნია: “გული წმიდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა” /ფს. 50, 10/, მას იმავე დროს საქმითაც უსრულებია იგი და მით თავი თვისიც უცხოვნებია და დიადი საპატიო წოდება ხორციელებრივი “ღვთის მამობა” დაუმსახურებია. ჩვენ რაღა დაგვმართია? ხომ წმიდა ეკლესია დღემუდამ კითხვა-გალობით გვახსენებს სულთა ჩვენთათვის ამ ფრიად საჭირო სავედრებელს ხორცმესხმულ “ღვთის მამისას” და უმეტესობას იგი გაზეპირებულიც გვაქვს? ენით ხომ ვართ მიმბაძველნი დავითისა, საქმით რათღა არ ვართ მისებრ საღმრთო სჯულის აღმსრულებელნი? რად დავდივართ სულთა და ხორცთა წარწყმედულების მიერ მითითებულ გზით?

მოყვასნო და მეცნიერნო ჩემნო, მამაკაცნო და დედაკაცნო! ფსალმუნთმგალობელი დავითის სხვა გალობითაც ჩვენ, კაცნი: “მწირნი ვართ წინაშე უფლისა და წარმავალნი ვითარცა ყოველნი მამანი ჩვენი: დღენი ჩვენი ვითარცა აჩრდილნი ქვეყანასა ზედა, და არა არს დადგრომად” /I ნემტთა, XXIX, 15/; ხალხური თქმულებითაც ხომ “წუთისოფლის სტუმრები ვართ”. ასე ცოტა ხნით მოვდივართ ამ ქვეყნად არა ... ღვთის უარისყოფისათვის, არა მშობელთა ჩვენთა, მოხუცებულთა და ღვაწ-ლითშემოსილთა მოძღვართა შეურაცხყოფისა და შეგინებისათვის, არა ავ საქმეთა ქმნისათვის, და არცა ავ-წადილთა და ცოდვილ და ბოროტ გულისთქმათა დაკმაყოფილებისათვის, არამედ მოვდივართ ბუნების წარმომშობელისაგან განწესებულ მაღალი დანიშნულებისა და საღმრთო ვალის შესრულებისათვის. რა დანიშნულება და საღმრთო ვალი აქვს კაცს შემოქმედისაგან დაკისრებული? \_ ძიება და სიყვარული ღვთისა და ამ გზით მოპოვება საუკუნო ნეტარი ცხოვრებისა ... “იყვენით სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ-არს” /მათე V, 48/ \_ “და ესე არს ცხოვრება საუკუნო, რაითა გიცოდენ შენ მხოლო ჭემმარიტი ღმერთი, და რომელი მოავლინე იესო ქრისტე” /იოანე XVII, 3/. სახარების ამ სწავლის აღსრულებამია “მაღალი დანიშნულება და საღმრთო ვალი” ამ ქვეყნად მოკლე ხნით მომავალი კაცისა. რით შეუძლიან კაცს ძიება და ცნობა ღვთისა, მისი დიდება, სიყვარული და მოპოვება საუკუნო ნეტარი ცხოვრებისა? \_ სიყვარულით, საყვარელნო! სიყვარულია ერთადერთი გზა და ხიდი ღვთის ძიება-ცნობისა და საუკუნო ნეტარი ცხოვრების მოპოვებისა. იოანე მახარებლის სწავლით: “ღმერთი სიყვარული არს” /I კათ. იოანე IV, 8/ და, აი, ეს “სიყვარული” არის თავი და ბოლო მიზეზი “ფრიად კეთილ” /დაბ. წ. ა. მოსესი I, 31/ ცისა და ქვეყნის წარმოშობისა – ეს “სიყვარული” არის შემქმნელი პირველ მამაკაცისა და დედაკაცისა და მეტყველი მათდამი მაკურთხებელ სიტყვათა:

“აღორძინდით და გამრავლდით, და აღავსეთ ქვეყანაი და ეუფლენით მას” /დაბ. წ. ა. მოსესი I, 28/. ამ სიყვარულმა მოავლინა ზეცით სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა ხორცმესხმული და განკაცებული ღმერთი და კაცი, მხოლოდშობილი ძე და სიტყვა ღვთისა, უკვდავი არსება იესო ქრისტე, “ტარიგი ღმრთისა, რომელმან აღიხვნეს ცოდვანი სოფლისანი” /იოანე I, 29/. კაცთა შორის ღვთის დიდებისა, მშვიდობისა და სათნოებისა მქადაგებლად, დასანერგად და განსამტკიცებლად. ღვთაებრივი “სიყვარულის” ნაყოფია მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა კაცთადმი მიმართული მოწოდება ქრისტესი: “მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი, და მე განგისვენო თქვენ. აღიღეთ უღელი ჩემი თქვენზედა და ისწავეთ ჩემგან: “რამეთუ მშვიდ ვარ მდაბალ გულითა; და ჰპოვოთ განსვენებაი სულთა თქვენთა. რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტვირთი ჩემი სუბუჟ არს” /მათე XI, 28, 29, 30/ და ამ მოწოდების შინაარსი ციურ მოძღვარმა განა საქმით არ აღასრულა? ანდა კაცთადმი უზომო სიყვარული ღვთისა არ იყო მიზეზი იესო ქრისტეს ენით აუწერელ ვნებათა, სულგრძელებისა და დაცინვა-გაკიცხვისა მღვდელმთავართა კაიაფასა და ანნასა და ურიათა მმართველის პილატეს სასახლეებში? სიბნელებში მყოფ კაცობრიობისადმი სიყვარულმა აზიდვინა წინა ღამეს ტანჯვა-წამებით არაქათგამოლეულ იესო ქრისტეს მძიმე ჯვარი და მიატანიდა იგი გოლგოთად წოდებულ თხემისა ადგილს, რათა მასზედ “თვისი ნებით” ცმულიყო და “უსჯულოთა თანა შერაცხილიყო” წერილის აღსასრულებლად /მარკოზი XV, 28/, და რათა ამ გზით ადამის შთამომავალ ბნელ კაცობრიობას მისი ღვთაებრივი ნათელი, წყალობა და მადლი მოჰფენოდა. ჯვარსა ზედა მოკიდებულ ტანჯულ-წამებულ იესოს ლოცვა: “მამო! მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან” /ლუკა XIII, 34/ შედეგია ცოდვებისაგან ტყვექმნილ კაცთადმი ღვთის სიყვარულისა და მარადის მისი მამობრივი მზრუნველობისა.

დედამიწაზედ მოკლე ხნით მცხოვრები კაციც, საყვარელნო, ვალდებულია ღვთის სიყვარულს მაგიერი სიყვარულითვე უპასუხებდეს. კაცისაგან ღმერთი სიყვარულის მეტს არრას მოითხოვს. თუ ასეა, მაშ როგორ უნდა უყვარდეს კაცს ღმერთი? რაში უნდა გამოიხატებოდეს კაცის მიერ ღმერთის სიყვარული? ღვთის მცნებათა აღსრულებაში, რაც მოყვასის სიყვარულია. მოყვასის სიყვარულით კაცი საღმრთო სჯულის აღმსრულებელია. ამის ურყევი საბუთია დღევანდელი, მე-12-ე კვირიაკის, სახარების შინაარსი /მათე XIX, 16-26/; ამისავე საბუთად დიდი მოციქული პავლე სწერს რომაელთადმი მიწერილ ეპისტოლეში: “რომელსა უყვარდეს მოყვასი თვისი, მან ჰსჯული აღასრულა. ვითარმედ: არა იმრუშო, არა კაც-ჰკლა, არა იპარო, არა გული გითქმიდეს და სხვა თუ რაიმე ცნება \_ არს ამითვე სიტყვათა აღესრულების: ვითარმედ შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი, სიყვარულმან მოყვასსა თვისსა ბოროტი არა უყვის: აღმასრულებელი სჯულისა სიყვარული არს” /რომ. XIII, 8-10/. მოციქულ პავლეს ასეთ სწავლას ცით მოვლინებულ მოძღვრის მიერ ბოძებული შემდეგი მცნებაც უდევს საფუძვლად: “მცნებასა ახალსა მიგცემ თქვენ, რათა იყვარებოდეთ ურთიერთარს, ვითარცა მე შეგიყვარენ თქვენ რათა თქვენცა იყვარებოდეთ ურთიერთარს. ამით ჰსცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკეთუ იყვარებოდეთ ურთიერთარს” /იოანე XIII, 34, 35/.

საყვარელნო! ქრისტეს მოციქულ იოანეს, წმიდა ეკლესიის მიერ, ეწოდება მოციქული სიყვარულისა. რად მიუკუთვნებია წმიდა ეკლესიას იოანესათვის ასეთი დიდი პატივსაღები სახელწოდება? გადაშალეთ ამ მოციქულის მიერ დაწერილი სახარება და კათოლიკე ეპისტოლენი და წაიკითხეთ იგინი გულდასმით და თქვენ დარწმუნდებით, რომ მისის ნაწერების დედააზრი მხოლოდ სიყვარულია ღვთისა და

მოყვასისა. იგი ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა და პირველი და უკანასკნელი სიტყვა მისი დაუცხრომელი ქადაგებისა იყო სიყვარული ღვთისა და მოყვასისა.

ჩვენც, კაცნი, საყვარელნო, ვალდებულნი ვართ ქრისტეს და მის მოციქულთა მცნებათამებრ “ვიყვარებოდეთ ურთიერთარს, რამეთუ ერთობით აღვიარებდეთ”... მხოლოდ კეთილთა საქმეებით, და არა ცარიელი და ფუქსავატი სიტყვებით...”ეგრეთ ბრწყინავდინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქვენნი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქვენსა ზეცათასა” /მათე V, 16/ ... მაშ, მტკიცედ გვახსოვდეს, ღვთისა და მოყვასის სიყვარულის მოტრფიალენო, სიყვარულის მოციქულ იოანეს შემდეგი უტყუარი და მართალი, სული წმიდის მიერ ნაკარნახევი დარიგება: “ამით ვჰსცნათ სიყვარული მისი /იესო ქრისტესი/, რომელმან სული თვისი ჩვენთვის დასდვა; და ჩვენცა ... რომელსა არა უყვარდეს ძმაი, სიკვდილსა შინა დადგრომილ არს”... /I კათ. იოანე III, 14 და 16/. ეს ჩვენ მიერ ამ წმიდა ამბიონიდან გადმოცემული სწავლა სადღესო საკითხავ სახარების შინაარსის ზეგავლენითაა ნააზრევი და თქვენდამი, საყვარელნო მსმენელებო, და თქვენის სახით ყველა მოყვასთადმი სიყვარულით სავსე წმიდისა გულითა და წრფელი სულით მოძღვნილია. დასასრულ, გინმეორებთ თქვენ: “ვიყვარებოდეთ ურთიერთარს, რამეთუ ერთობით აღვიარებდეთ”! ... “რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ” /ლუკა VIII, 8/.

ამინ

32. «მე-8-ე კვირიაკე. ”დადგა აგვისტო თვე, ჩვენებურად მარიამობისთვე, საყვარელნო!»: [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1926 წ. , 15 აგვისტო. ხელნაწერი. 4 ფ.

†

დადგა აგვისტო თვე, ანუ, ჩვენებურად, მარიამობისთვე, საყვარელნო! სუფთა, ლამაზი და მშვენიერია ეს თვე ჩვენთვის, მორწმუნეთათვის. უფალი ღმერთი გვავალებს და მოგვიწოდებს განვიბანნეთ, განვიწმინდნეთ და მოვისპოთ უკეთურებაი სულთაგან ჩვენთა ... პირველი თოთხმეტი დღე ამ თვისა მარხვაა, ქალწული მარიამის მიძინების დღესასწაულის ღირსეული შეხვედრისათვის ეკლესიისაგან დაწესებული. საქრისტიანო ქვეყნების ეკლესიებში მიღებულია წესად და ჩვეულებად გამოსვენება საკურთხეველიდან ეკლესიის შუა ნაწილში პატიოსნისა და ცხოველისმყოფელი ჯვრისა და ყველა მორწმუნეთათვის თვალსაჩინო ადგილას მისი დასვენება, რათა ჩვენი მისდამი თაყვანისა და პატივისცემით გავიხსენოთ მაცხოვარი სოფლისა იესო ქრისტე, ჩვენი სულიერი ძალა რწმენის განმტკიცებისათვის, უკუღმართი ცხოვრების დათრგუნვისათვის....

საყვარელნო! კაცი ხომ ქუდის მატარებელია, წვერ-ულვაშით შემოსილია; დედაკაციც ხომ მანდილითაა მოსილი. და ეს ყოველივე იმის მთქმელი და მიმანიშნებელია, რომ თვითეული ჩვენგანის გულში უჩინრად ჩაქსოვილია სინიდისი, მღალადებელი და მამხილებელი ადამიანის ღვთის მცნებათაგან განდგომისა და თავისი პირდაპირი დანიშნულების დავიწყებისა; მკაფიოდ აღმნიშვნელი კაცის უსჯულოებისა, შეუბრალებლობისა, გაუტანლობისა, დაუნდობლობისა ... პირუტყვთა მზგავსობისა .... ჯვრისთაყვანისმცემლობა და

აიაზმით ჰკურნება ჩვენის თავისა მიუცილებლად საჭირო და სავალდებულოა. ეს კი იმის მიმანიშნებელია, რომ ჩვენს ყოფაქცევას ფხიზლად თვალს ვადევნებთ, რომ ჩვენ სულიერად ფხიზელნი ვართ. გვაქვს მტკიცე შეგნება იმისა, რომ ჩვენ ღვთის მიერ დანაბადნი ვართ და მოწოდებულნი ვართ კეთილ საქმეთა ქმნისათვის და არა ბოროტობისა და ავკაცობისათვის; რომ კაცი სახეა ღვთისა და არა მაიმუნისა და სხვა პირუტყვთა მზგავსი. ადამიანი სულიერად უკვდავია, გვამი მისი “ტამარია ღვთისა და სული წმიდის სადგურ”.... მისი სიცოცხლე ხელშეუხებელია. გარეშე ღვთისა, არა რომელიმე კაცის ხელს უფლება არა აქვს მისი დარღვევისა ... ღმერთმან რომ პირველი კაცი გააჩინა, მოგვითხრობს საღმრთო წერილი, ამ ქვეყნად ცხოვრებისათვის განაწესა იგი. და დაასახლა რა სამოთხეში შემდეგნაირათ დალოცა: აღორძინდით, გამრავლდით, ადავსეთ ქვეყანა და უფლებდით მას ზედაო. სასტიკად დაისაჯა კენი თავისი ძმის, აბელის სისხლის დაღვრისათვის. იგი პასუხისმგებელი შეიქმნა ღმერთის წინაშე. მკვლელობისა გამო სასტიკი სასჯელი დაიმსახურა ღვთისა და სინიდისისაგან: კაენს საკუთარი ჩრდილისა ეშინოდა; დახედავდა რა მასთან მავალ ჩრდილს, უფრო შორს გარბოდა მუდმივი მაძიებელი მოსვენებისა, მაგრამ მას ყველგან და ყოველთვის უხილავი ხმა მოაგონებდა: კაენ, სად არის ძმა შენი?! ... კაცი, როგორც სახე ღვთისა და სულიერად უკვდავი არსება მისი, ღირსია არა შემუსვრისა, არა განადგურებისა, არამედ ღირსია შებრალებისა, სთუთად მზრუნველობისა, მისი სულიერად აღორძინებისა და ხორციელად დაცვისათვის.

ღმერთმან, ჯვარცმულმან იესო ქრისტემან, თავისისთა მადლითა და წყალობითა და კაცთმოყვარეობითა, ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველისმყოფელისა ჯვარისათა და მეოხებითა უხრწნელისა და უფროსად კურთხეულისა ღვთისმშობელისათა მოგვანიჭებინოს და შეგვათვისებინოს ჩვენ კაცის ღირსებისა და სიცოცხლის დაცვის, მოვლა-პატრონობისა და მზრუნველობის ნიჭი; იმათ კი, ვისაც კაცის სიცოცხლე არაფრად უღირთ, გულში ჩახედვის უნარსმოკლებულთ, უნარი მისცეს შეგნებისა იმის, თუ რაზომ სცოდავენ და ავკაცობენ წინაშე ღმრთისა, საკუთარი დახშული სინიდისისა, კაცობრიობისა, სამშობლოს და საზოგადოებისა.

ამინ

33. «სიტყვა ფერისცვალების დღესა»: [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1927 წ., 19 აგვისტო. ხელნაწერი. ტექსტის ბოლოს: «დეკ. დ. გარსიაშვილი. ქ. ტფილისი». 7 ფ.

†

დღეს, ახალი სტილით 19-სა და ძველი სტილით 6 აგვისტოს, ვდღესასწაულობთ, საყვარელნო, წმიდა ფერისცვალებასა უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესისას. დიდებული დღეა ეს დღე, ყველასათვის გასახარი! ... გავიხსენოთ ცისკრად თუ წირვის შესრულებისას წაკითხულის სახარება და დასმული საკითხი ცხადი შეიქმნება ჩვენთვის. ცისკრად მახარებელი ლუკა, ხოლო ლიტურდიაზედა მახარებელი მათე სრული თანხმობით მოგვითხრობენ ქრისტეს ფერისცვალებას: ქრისტე იესო ავიდა თაბორის მთაზედ სალოცავად. თან წაიყვანა სამი თვისი მოციქული: პეტრე, იაკობი და იოანე. ქრისტემ იწყო ლოცვა. დაღლილობის გამო

მოციქულებმა ვერ შეძლეს მოძღვართან ერთად ლოცვა და ჩაეძინათ. ამ დროს ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება გამოჩნდა: სახე მისი გაბრწყინდა ვითარცა მზე, ტანსაცმელი მისი სპეტაკ და ელვარე შეიქნა, ვითარცა თოვლი. ზეცით მოვიდნენ ქრისტესთან ძველი აღთქმის დიდებულნი წინასწარმეტყველნი, სჯულმდებელი მოსე და ილია. რომელნიც ქრისტეს მარჯვნივ და მარცხნივ ამოუდგნენ და გააბეს ბაასი ღვთაებრივ ფერცვალეზულ მოძღვართან მისი მომავალ ტანჯვა-წამებათა შესახებ იერუსალიმის გოლოგოთის მთაზე. ძლიერი ნათლისა გამო გამოეღვიძათ მოწაფეთ პეტრეს, იაკობსა და იოანეს, რომელთაც იხილეს ეს დიდებული სურათი და უკვე მიმავალი მოციქულნი. პეტრემ, სიხარულით აღვსილმა, შეჰლადადა: უფალო, კეთილ არს ჩვენი აქა ყოფნა, და თუ გნებავს, ვქმნეთ აქა სამი საჩრდილობელი – ერთი შენთვის, მეორე – მოსესათვის და მესამე – ილიასათვის. ვიდრე პეტრე ამას იტყოდა, ნათელმა ღრუბელმა დაჰფარა იგინი და მოისმა ხმა მამა ღვთისა, რომელი იტყოდა: “ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვიყავ, მაგისი ისმინეთ”. ესმათ რა მოწაფეებს, შეშინდნენ და პირქვე დაეცნენ. მოვიდა მათთან იესო, ხელი შეახო მათ და უთხრა: ადექით და ნუ გეშინინ. ადგნენ მოწაფენი და იხილეს წინმდგომი დიდებული თავისი მოძღვარი ჩვეულებრივი და სხვა არავინ. იწყეს რა მთიდან ჩამოსვლა, ქრისტემ დარიგება მისცა პეტრეს, იაკობსა და იოანეს: ჩემს მკვდრეთით აღდგომამდის ნახულსა და გაგონილს ნუვის ეტყვი. /მათე XVII, 1-9;/ /ლუკა IX, 28-36/. უფალმა იესო ქრისტემ მერყეობაში მყოფ მოწაფეთ თავისი ღვთაებრივი ბუნების დიდება უჩვენა. მოწაფენი ხშირად იჭვნეულობდნენ – და იქნებ მათი საყვარელი მოძღვარი მხოლოდ ჩვეულებრივი მათი მზგავსი კაცია? და ესეთი კითხვა მათ ებადებოდათ გონებაში უფრო მაშინ, როდესაც ქრისტე მათთან ბაასობდა თავის ტანჯვა-წამებაზე იერუსალიმში მღვდელმთავართა, მწიგნობართა და მოხუცებულთაგან. “აჰა, ესერა აღვალთ იერუსალიმად, ძე კაცისა მიეცეს მღვდელმთავართა და მწიგნობართა და დასაჯონ იგი სიკვდილად, და მისცენ იგი წარმართთა კიცხვად და ტანჯვად და მესამესა დღესა აღდგეს” /მათე XVIII, 4/ როგორ? მათი მოძღვარი, ცით მოვლინებული ძე ღმერთი კაცთაგან ივნოს, მოკვდეს და დაეფლას? ... თაბორის მთაზე ნახულმა და გაგონილმა ყოველი იჭვი მოწაფეთა გაფანტა და განუმტკიცა მათ რწმენა, რომ მოძღვარი მათი იყო ჭეშმარიტად ძე ღვთისა ცხოველისა და თუ იერუსალიმში იგი უსჯულოთა ხელით უნდა ტანჯულ-წამებულიყო და მომკვდარიყო, ეს უნდა მომხდარიყო მხოლოდ მამა ღვთის მიერ ქვეყნის სიყვარულითა და განგებით, რადგანაც ბოროტებაში გახვეული ქვეყნის და მცხოვრებ ცოდვათა შინა შობილ კაცთა გამოხსნა ცოდვებისაგან შეეძლო მხოლოდ ქალწულ მარიამისაგან განხორციელებულ, ცით მოვლინებულ მამა ღვთისაგან მხოლოდშობილ ძესა, იესო ქრისტეს. ამის გამო იოანე ღვთისმეტყველი წერს თავის სახარებაში: “რამეთუ ესრეთ შეიყვარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თავისი მხოლოდშობილი მოჰსცა მას, რათა ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარჰსწყმდეს, არამედ აქვდეს ცხოვრება საუკუნო. რამეთუ არა მოავლინა ღმერთმან ძე თავისი სოფლად, რათა დასაჯოს სოფელი, არამედ რათა აცხოვნოს სოფელი მის მიერ” /იოანე III, 16,17/. იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი გვიმარტავს: “დიდსა და აღურიცხავსა მადლობასა უნდა შევსწირვიდეთ ღმერთსა მას ზედა, რომ მან მოგვცა ესრეთი ცხადი დამტკიცება, ჩვენი სიმართლე და ჭეშმარიტება, ვისაც გული ცოტაოდენ განმზადებულ აქვს და შეუძლია შეყვარება სიწმინდისა, სათნოებისა, ღვთის მცნებისა და ღვთის სიტყვისა, მას არცა ერთი მცირედი მიზეზი აღარ დააბრკოლებს მიღებად და რწმენად სახარებისა”. “მაგისი ისმინეთო” – ბრძანებს მამა ღმერთის ცით მოსმენილი ხმა და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან სხვა სწავლა, გარდა ჭეშმარიტებისა,

გარეშე სახარებისა სწავლისა, კაცობრიობამ ჯერ არ იცის და მომავალშიც არ ეცოდინება. “დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება” – აბა, გარეშე სახარებისა, გვიჩვენონ ასეთი მაღალი ზნეობრივი სწავლა სხვა რომელსამე წიგნში დაწერილი ქრისტეს მოწინააღმდეგეთ, ეგრეთწოდებულ ათეისტებმა. მეორე და მესამე ინტერნაციონალის მოტრფიალენი თავის მოძღვრებიდან რას დაგვისახელებენ კაცთა შეწყალებისა და შებრალების საფუძვლათ და დედაბოძათ სახარებაში მოთხრობილ “მოწყალე სამარიტელზე” თქმული იგავის მზგავსს? ... ან: “მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. აღიღეთ უღელი ჩემი თქვენ ზედა და ისწავეთ ჩემგან: რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა და ჰპოვოთ განსვენება სულთა თქვენთა. რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ-არს და ტვირთი ჩემი სუბუქ-არს” /მათე XI, 28, 29, 30/. შებრალება და შეწყალება ყოველი დავრდომილი და დაბეჩავებული კაცისა არა მხოლოდ ლოზუნგების წამოყენებით უნდა, არამედ მათ საქმენიც თანამდევლნიც ესაჭიროება. ქრისტე იესომ ჰქადაგა კაცთა შორის ღვთისა დიდებისა საჭიროება და აუცილებლობა: “ეგრეთ ჰბრწყინავდინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქვენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქვენსა ზეცათასა” /მათე V, 16/ ... მანვე შეიარაღა მოწაფენი ახალი მცნებით: “მცნებასა ახალსა მიგცემ თქვენ, რათა იყვარებოდეთ ურთიერთარს. ამით სცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყვარებოდეთ ურთიერთარს” /იოანე XIII, 34, 35/. იესომ სიყვარულის საზღვარიც დაუსახა მოწაფეთ\_მოყვასისათვის თავის განწირვა თვით სიკვდილამდე: “უფროსი ამისა სიყვარული არავის აქვს, რათა სული თვისი დასდვას მეგობართა თვისთათვის” /იოანე XV, 13/. მამაღვთის საყვარელმა ძემ ... კიდევაც განამართლა ასეთი თვისი სიტყვიერი მოძღვრება საქმით: “მამაო! მე გადიდე შენ ქვეყანასა ზედა, საქმე აღვასრულე, რომელი მომეც მე, რათა ჰვეყო!” /იოანე XVII, 4/ ... იგი გოლგოთაზე მიიმსჭვალა და ლახვრითა განიგმირა. და, აჰა, თავგანწირვამდე მისული სიყვარულის ნიმუში: იგი ჯვარცმელთათვის სიყვარულით ლოცულობდა და ზეციერ მამა ღმერთს მათ შეწყალებას სთხოვდა: “მამაო! მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან რასა იქმან” /ლუკა XXIII, 34/. აქ არა არის ზღვარი სიტყვასა და საქმეს შორის ... სახარების არმცოდნენი ვერ უკიჟინებენ საწინააღმდეგოს. და თუ მაინც ჰბედავენ – ეს მათ უგუნურებითა და უვიცობის გამო. ღვთის უარისმყოფელთა საქციელი ქრისტესა და მის სახარების მიმართ გვაგონებს ღრმა გულისტკივილითა და მწუხარებით სახარებისავე ბრძნულ სწავლას: “ნუ მიჰსცემთ სიწმინდეს ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგარიტს წინაშე ღორთა, ნუ უკვე დაჰსტრგუნონ იგი ფეხითა მათითა, და მოიქცენ და განგხთქნენ თქვენ” /მათე VII, 6/ ... უღვთოობის მქადაგებელთ თავიანთი ცხოვრებიდან გვიჩვენონ, არა მარტო სიტყვით, საქმითაც – მაგალითები დანაშაულის მიტევებისა გულწრფელად მონანულ უძლებ შვილთადმი. სამწუხაროდ, მათი ცხოვრების ბეჯითი თვალყურის დევნა ამ აზრის საწინააღმდეგო უამრავ მაგალითს გვიჩვენებს. თუ მორწმუნეთათვის “კაცი ტაძარია ღვთისა და სადგური სულისა წმიდისა” და ამისათვის მისი სიცოცხლე და პიროვნება ხელშეუხებელია, სამაგიეროთ, უღმრთოთათვის კაცის სიცოცხლე ჩალის ფასადა არა ღირს. ასეთები კაცს სასიკვდილოდ ისე იმეტებენ, როგორც დახელოვნებული ყასაბი.....

დიდი სიხარულით ეგებება მამა-ღმერთი მოწყალე, შემბრალებელი და მპატიებელი თვითეულ გულწრფელად მონანულს და ჭეშმარიტ გზით სასიარულოდ დაბრუნებულს შვილს. უღვთოობის ნიადაგზე მდგომნი ცარიელი სიტყვებით დამგმობენი არიან კაცთა ყოველგვარი ბიწიერი ცხოვრებისა. იგინი ყოველ წამს

მზად არიან ასეთი ცხოვრების მიმდევარნი ჩააქვან, აწამონ, დახვრიტონ, სიცოცხლეს გამოასალმონ, ვითომდა ზნეობრივი პრინციპების დაცვისათვის. საქმით მათ არ სწამთ მამაშვილობა, დედაშვილობა, დამძობა, ნათესაობა, ნათელ-მირონი, მეზობლობა ... ეს ცრუ და უფულო და ზნეობრივ ნიადაგადაცდენილი პედაგოგები გულუბრყვილო მოზარდ თაობას გზა-კვალს უბნევენ, კლდეზედ სჩეხავენ, ზნეობრივად ამახინჯებენ და ამნაირად ოჯახს თუ საზოგადოებას მომავალს უსპობენ...

საყვარელნო მშობლებო, მამანო და უფრო კი დედანო! სათუთია და ნაზი ჩვილთა, ყრმათა და ჭაბუკთა სულიერი ნიჭი. რაც ერთხელ თავიდანვე მათ გონებაში და გულის ფიცარზედ დაწერილა, ის მათ ცხოვრების მანძილზე ძნელადღა თუ წაიშლება. უღმრთონი და ურწმუნოების გამავრცელებელნი ბეჯითად ირჯებიან: მოზარდ თაობას სწვრთნიან გარეშე სახარების გავლენისა. მათ ამისათვის დღევანდელი პირობები ხელს უწყობს. წარსულის სულიერი და გონებრივი სიმდიდრიდან მიღებული გამოცდილება გვეუბნება, რომ ასეთი აღზრდა მავნებელი და დამლუპველია. მტკიცედ გახსოვდეთ, რომ ოჯახისა და საზოგადოების წინსვლისათვის საჭიროა მოზარდის ზნეობრივი აღზრდა, მათთვის სახარების საფუძველზედ კეთილი ნიადაგის მომზადება. ამისათვის, დღეს, მშობლებო, თქვენს ხელთ არის ოჯახი და ეკლესია ... ქრისტეს მცნებათა განხორციელებაშია ხსნა და ცხოვრება საქართველოსა. სხვა გზა გარეშე სახარებისა და სხვა მცნებათა აღსრულება დღეს მისთვის დამლუპველია და ვაი, რომ თუ ამ გზით განვაგრძეთ სიარული, მომავალშიც იგი გზა ამნაირივე იქმნება.

მშობლებო! დღეს საზოგადოების უმრავლესობაში გამეფებული ამა ქვეყნიური წარმავალი მისწრაფებანი ნუ აგვიყოლიებენ და ნურც გაგვიტაცებენ. ვისმინოთ 20 წლის წინ უღვთოდ მოკლული ილიას დარიგებანი:

დედავ! ისმინე ქართლის ვედრება:  
ისე აღზარდე შენ შვილის სული,  
რომ წინ უძლოდეს ჭეშმარიტება,  
უკან ჰყვეს კვალი განათლებული”.

ეს დარიგებანი ილიასი, საყვარელნო, ჩვენ საქმით აღვასრულოთ.

ამინ

34. «კვირიაკე მეზვერისა და ფარისეველისა»... : [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. [1933 წ.]. ხელნაწერი. ტექსტი ჩასწორებულია. 10 ფ.

†

უფლისა იესო ქრისტესაგან ზეცით მოტანილ რჯულის მიმდევარნი ვართ, მორწმუნენო! ქრისტიანობა უდიდეს ზნეობრივ მოძღვრებას შეიცავს. სახარება ამ ზნეობრივი მოძღვრების კრებულია. მოძღვრება ზნეობაზე ბევრნაირია. თვითეული მოძღვრება ამოსავალ წერტილად სხვადასხვა პრინციპს აღიარებს, იმის მიხედვით, თუ რომელ მათგანს სთვლის უმნიშვნელოვანესად და თვითეული მოძღვრების ღირსებაც მის საფუძველად მდებარე პრინციპის ღირსებაზეა დამოკიდებული.

ჩვენ ზოგიერთ პირებისაგან ხშირად გვსმენია: “მიზანი ამართლებს საშუალებას”, როდესაც ამ პირებს ჰსურვებიათ თვისი რაიმე შეუფერებელ მოქმედებათა გამართლება. ამ სიტყვებში ჩაქსოვილია მათი წარმომთქმელის მთელი ზნეობრივი მსოფლმხედველობა. სახელდობრ, ცალკე პიროვნებისა თუ კერძო ჯგუფის ინტერესები აქ აღიარებულია იმ ძირითად საგნად, რომელსაც უნდა ენაცვალოს ყველა დანარჩენი პირადული თუ ჯგუფური “მე” აქ წმიდათა-წმიდათ არის მიჩნეული. ქრისტიანულ ზნეობრივად აღზრდილ ადამიანთა შორის ასეთი ზნეობის მიმდევარი არავინ არის და გასაგებია, რატომ.

საზოგადოებაში მოიპოვებიან აგრეთვე ისეთ ზნეობრივ სწავლის მიმდევრები, რომელიც კლასიური ზნეობის სახელით არის ცნობილი. აქ, როგორც თვით სახელწოდებაც გვიჩვენებს, საზოგადოების ერთი რომელიმე კლასი მიჩნეულია იმ წმიდათა-წმიდა, რომელსაც უნდა შეეწიროს ყოველივე. ყოველი მოქმედება, რომელიც ამ კლასის ინტერესებს ემსახურება, მიჩნეულია ზნეობრივად, ხოლო ამ კლასის ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედება – უზნეოდ. თუ ამ კლასის ინტერესები, ვთქვათ, მოითხოვს რომელიმე პიროვნების სიკვდილს, მაშინ ამ აქტის ჩამდენი პირის მოქმედება, ამ სწავლით, ზნეობრივად არის მიჩნეული. ეს უკანასკნელი მოქმედება არ განსხვავდება არსებითად პირველისაგან. თავისი “მე”, თუმც უფრო ფართო მნიშვნელობით, აქაც არის გაბატონებული. ეს ორივე მოძღვრება დიდად დაშორებულია ქრისტიანულ ზნეობისაგან.

ქრისტიანობის მთელი არსი მაცხოვრის შემდეგი სიტყვებშია ჩაქსოვილი: “იყვნით თქვენ სრულ, ვითარცა მამათქვენი ზეცათ სრულ არს” /მათე V, 48/ ... ადამიანი რაც უნდა ცდილობდეს სავსებით განახორციელოს იესოს ეს სიტყვები, გახდეს სრული, ვითარცა მამა მისი ზეციერი სრულ არს, მაინც ვერ შესძლებს იგი ამის მიღწევას, რადგან ადამიანი ღვთაებისაგან ისევეა დაშორებული, როგორც ცა და დედამიწა ერთმანეთისაგან. ამიტომ ადამიანის სიყვარულიც მოყვასისადმი რაც არ უნდა გაღრმავებული იყოს, მაინც უსასრულოდ იქნება დაშორებული ღვთაებრივ სრულყოფილ სიყვარულისაგან. აქედან გამომდინარეობს შეგნება ყოველი ქრისტიანისათვის თავისი არარაობის, თვისი ცოდვილიანობის შესახებ. ასეთი შეგნება კი ჰზადავს თვისებას მოკრძალებისას, თავმდაბლობისას. მაშასადამე, ქრისტეს სიტყვები ერთის მხრივ ქრისტიანს უღვიძებს სწრაფვას მოძმისადმი სიყვარულის გაღრმავების და გაფაქიზებისას, მეორეს მხრივ მას ჰმოსავს თავმდაბლობისა და მოკრძალების თვისებებით. სიამაყე შედეგია თავისი აღმატების შეგნებისა, უკანასკნელი კი უბრმავებს ადამიანს თვისთ ნაკლთა სახედველად, რაც იწვევს მის ზნეობრივ განვითარების შეჩერებას. ამ აზრით არის თქმული იესოს სიტყვები მეზვერესა და ფარისეველის იგავში: “რომელმან აღიმალლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს, და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს /ლუკა XVIII, 14/ ...

კაცობრიობისადმი სიყვარულის გამოხატვა ჩვენი კანონია, ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა და განა შეგვშვენის ქება ჩვენი თავის ასეთ საქმეთა გამო? კვებნა ხომ სიამაყის ნიშანია. აქედამ ცხადი ხდება თუ რავდენათ ქრისტიანულ საფუძველს დაშორებული იყო ამაყი ფარისეველი და რავდენათ ქრისტიანულ ნიადაგზე იდგა თავდაბალი მეზვერე, რომელიც ზე შეხედვასაც ვერ ბედავდა და მკერდში ხელის ცემით იმეორებდა: “ღმერთო! მილხინე ცოდვილსა ამას” ... აი, რატომ თქვა იესომ ფარისეველზე და მეზვერეზე: “გარდამოვიდა მეზვერე განმართლებული სახით თვისა, ვიდრე ფარისეველი იგი” /ლუკა XVIII, 14/.



ფარისევლის ქცევა ქრისტიანული ზნეობის ერთ მხარეზედაც მიგვითითებს. ფარისეველი ქრისტიანულ ზნეობას მოკლებული იყო. მაშ, რამ მიიყვანა იგი ტაძარში? ამაზედაც მისი მოქმედება გვაძლევს პასუხს: იგი თავის ლოცვაში, თუ ამას ლოცვა შეიძლება ვუწოდოთ, ჩამოუთვლის უფალს თავის კეთილ საქმეთ ადამიანთა წინაშე. ხოლო ეს ხომ იმისი მზგავსია, როცა მსახური ბატონთან მიდის სამსახურისათვის დაპირებული ჯილდოს მისაღებად. ცხადია ფარისეველიც მსახურის მზგავსად ანგარიშს აბარებს უფალს იმ იმედით, რომ ეს მას ჩაეთვლება იმ ქვეყნად საშინელი სამსაჯავროს წინაშე ... ქრისტიანობის თვალსაზრისით იმ ქვეყნიური ჯილდო დაწესებულია სიყვარულისათვის, კეთილ საქმისათვის და არა კეთილი საქმე და სიყვარული – იმ ქვეყნიური ჯილდოსათვის. ფარისეველმა, რომელიც მოძმისადმი სიყვარულით არ იყო აღჭურვილი, შეიმოსა თავი თვისი ამ სიყვარულის გარე სამოსელით, შეეცადა კეთილი საქმე გადაეცია იმ ქვეყნიური ჯილდოს მიღების საშუალებად და გამტყუნებული დარჩა ... ქრისტიანული ზნეობის მქონე ადამიანისათვის მოძმისადმი სიყვარული ყოველგვარი ჯილდოს და შეძენის გარეშე სამღვთო მოვალეობაა. ჭეშმარიტი ქრისტიანი მოკრძალებული, თავმდაბალი და იმავე დროს არ კმაყოფილი, მუდმივი გაუმჯობესების და უკეთესობის მსურველი და მისთვის მეზრძოლია. კეთილი საქმე ქრისტიანისათვის მიზანია და არა საშუალება ... ამ თვალსაზრისით მეზვერე ქრისტიანული ზნეობის მატარებელია და ფარისეველი – ასეთ ზნეობის არმქონე. მეზვერე საზოგადოების იმ ნაწილის გამომხატველია, რომელიც ამ საზოგადოების საკეთილოდ იღწვის, ფარისეველი კი – პირიქით. საზოგადოებაში ამ ორ ძალთა ჭიდილია. ამ ორ ძალთა შორის რომელი გაიმარჯვებს, იგი განსაზღვრავს თვით საზოგადოების ბედსაც...

ამ ბოლო დროს სარწმუნოებრივმა გრძნობამ ჩვენ ერში იკლო და ამან საზოგადოებრივ, ეროვნულ ცხოვრებასაც თავისი დალი დაასვა. ჩვენი ეროვნული დაქვეითება ფაქტი იყო უკვე მაშინ, როცა ი. ჭავჭავაძემ თავისი ცნობილი წერილი დასწერა სათაურით “საქართველო”: “საერთო სახელი ქართველი კერძოობითად გავხადეთ, მამული დანეხვილ ნაფუძვრად ვაქციეთ, პატივი – ნეხვად, თავი – გოგრად, და ჩვენი უადამიანობა იქამდე მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარა ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დავუმატეთ” ... ”მამულის ხსენებაზე ეხლანდელ ქონდრის კაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე; მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქალაღზე სადავო საჩივარია; მამულისათვის ძლევამოსილობა – მოგებულის საქმის განაჩენის პირია, ჯეროვნად შემოწმებული; მამულის სიმაგრე – ტყრუშული ღობეა, ვენახის გარშემო შემორტყმული; მამულის პატივი – ნეხვია, სახნავ მიწაზე სასუქად დაყრილი; მამულის-შვილობა – მხენელისა და მთესველის სახელი-დაა”. რატომ მოხდა ეს? მასზედაც იძლევა მწერალი პასუხს. ეს მოხდა იქ, “საცა საერთო მარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში – ყველა, საცა თვითეული ყველასათვის ჰფიქრობს და ყველა – თვითეულისათვის, საცა “მე” ხშირია და “ჩვენ” – იშვიათია!” განა აქ ქრისტიანულ ზნეობის შესუსტებაზე არ არის ლაპარაკი? მწერალი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ქრისტიანულ ეკლესიის საფუძველზე იდგა, რადგან იცოდა მისი მნიშვნელობა ეროვნულ აღორძინების და წარმატების საქმეში.

როდესაც ვუკვირდებით ჩვენი ეკლესიის დღევანდელ უმწეო მდგომარეობას ერთი აზრი გვებადება: ეკლესია აღსდგება ისევ, მისი დამაბუნება დროებითია და მისი აღდგენა მხოლოდ დროის საკითხია. დაქვეითება ჩვენი ერისა გვაფიქრებინებს ... რომ ვინც ეროვნულ საფუძველზე დგას, ის იმავე დროს ქრისტიანული ზნეობის

გამავრცელებელ და მდალადებელ ეკლესიის საფუძველზედაც უნდა იდგეს; ვინც ერისთვის იღწვის, ის ეკლესიის მოამაგეც უნდა იყოს, რადგან ერთი გულისხმობს მეორეს და პირიქით. ჩვენც ვსულდგმულობთ იმ იმედით, რომ ერისა და ეკლესიის სამსახურში უფალი ღმერთი არ დაგვტოვებს მარტოდ, თუ მუდამყამ თვალწინ ვიქონიებთ სახეს მეზვერისა და მკერდში ხელის ცემით გავიმეორებთ: “ღმერთო! მილხინე ცოდვილსა ამას!”

ამინ

35. «კვირიაკესა მე-3-სა»: [«სანთელი გვამის არს თვალი. უკუეთუ თვალი შენი განმარტებულ (ე.ი. განწმენდილ) იყოს, ყოველი გვამი შენი ნათელი იყოს. ხოლო უკუეთუ თვალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გვამი შენი ბოროტ იყოს”... ქადაგების წარმოთქმის ადგილი მითითებული არ არის]. 1933 წ., 23 ივნისი. ხელნაწერი. ტექსტი ჩასწორებულია. თავფურცელზე: «წარმოითქვას». ხელმოწერა გაურკვეველია [კალისტრატე].

†

სანთელი გვამისა არის თვალიო, ბრძანებს ქრისტე-მაცხოვარი. თუ ამ სიტყვებს პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ, მეტად მარტივი და ცხადი შეიქმნება: გაფუჭებული თვალების მქონე ადამიანისათვის ყოველივე სიბნელით არის მოცული. ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ აქ შედარებაა: ფიზიკური თვალი და ფიზიკური გვამი გულისხმობს სულიერ გვამსა და სულიერ თვალს. სულიერი გვამი კი იგივეა, რაც სული, მაგრამ რას ნიშნავს სულიერი თვალი?

ქრისტიანული ზნეობა ყოველ ჭეშმარიტ მორწმუნეს თავისი მოქმედების საფუძვლად აქვს მიჩნეული. ამ ზნეობრივი საზომით უდგება იგი ყოველ მოვლენას, რომელიც ადამიანთა ურთიერთობაში წარმოიშობა და ამით განსაზღვრავს თვის დადებით თუ უარყოფით დამოკიდებულებას ამ მოვლენისადმი. მორწმუნე თავის მოქმედებაში ამ ზნეობით ხელმძღვანელობს. ესაა მისი წარმმართველი, გზის მაჩვენებელი და მისი სულიერი თვალი. მაშასადამე, სულიერი თვალი იგივეა, რაც ქრისტიანული ზნეობა. აი, ამ სულიერი თვალის, ამ ქრისტიანული ზნეობის სიწმინდის დაცვის აუცილებლობაზე ლაპარაკობს ქრისტე ზემოხსენებულ სიტყვებში. თუ ჩვენი სულიერი თვალი, ჩვენი ქრისტიანული ზნეობა განწმენდილი, შეუბღალავი იქნება, მაშინ ჩვენი ზრახვებიც და მათგან გამომდინარე ჩვენი მოქმედებაც წმიდა და შეუბილწავია ... მერე რა საშუალებით უნდა იქნეს დაცული ქრისტიანული ზნეობის სიწმინდე? ასეთი საშუალებაა, სხვათა შორის, ლოცვა.

რა არის ლოცვა? უპირველესად აღსარებაა ღვთის წინაშე, იგი ცოდვების მონანიებაა, სულიერი თვით ჩხრეკა; ამ დროს ბოროტი მოქმედება დაგმობილი უნდა იყოს, ბოროტი ზრახვანი უკუგდებულ და მონანიებული. მორწმუნემ ლოცვისას ბოროტ მოქმედებათა გამოსწორებისათვის უნდა აღძრას თავის თავი, კეთილი სურვილები უნდა ჩაისახოს. მერე რამ უნდა წააქეზოს მორწმუნე ასეთი ლოცვისათვის, თვით განსჯისათვის. მთელი ქრისტიანული ეკლესიის წარსულის გახსენებამ. ამაში ჰპოვებს მორწმუნე თავის დასაყრდენს ყოველგვარ ეშმაკეულისაგან თავის დასაღწევად. რომ ლოცვა არის დაწესებული ქრისტიანული ზნეობის სიწმინდის სულიერი სიფაქიზის დასაცავად, ამის საბუთებს თვით იესო ქრისტეს

სიტყვებში და მოქმედებაში ვპოულობთ. ერთხელ, როცა მოციქულები მარტოდ იყვნენ, მათ მოიყვანეს ავადმყოფი განსაკურნელად, მაგრამ ვერ განკურნეს. ქრისტემ კი, მათთან მისვლისას, განკურნა ავადმყოფი. მოციქულების კითხვაზე, თუ რატომ ვერ განკურნეს მათ ავადმყოფი, იესომ უპასუხა: მარხვითა და ლოცვით შეიძლება განკურნება...

ბევრს ლოცვის მნიშვნელობა ძალიან უბრალოდ ესმის: ლოცვა, მათი აზრით, მოწყალების, გაჭირვებისაგან ხსნის გამოთხოვაა ღვთისაგან. რასაკვირველია, ვის თუ არა ღმერთს შეჰვედროს მორწმუნემ თვისი გაჭირვებისაგან დახსნა, მაგრამ ეს არ არის უპირველესი და უმთავრესი. უპირველესად უნდა შევთხოვოთ უფალს: “იყავნ ჩვენ შორის ნება შენი” და შემდგომ “პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს”.

ღვთის მიერ ექვსი დღე დაწესებულია სამუშაოდ, მეშვიდე დღე, კვირა-უქმეა, სალოცავი დღეა. თუ რომ ექვს დღეში ჩვენ სულს სიბილწე მიეკარა, მეშვიდე დღეს ლოცვით უნდა იყოს განწმენდილი. დღევანდელ პირობებში კვირა, დასასვენებელი დღე – მოსპობილია. ყოველს თავის გამოსასვლელ დღეს შეუძლიან გამოიყენოს სალოცავად ... ძალიან მცირე რიცხვი მორწმუნეთა დაიარება საყდარში სალოცავად. რატომ? იმიტომ რომ მათ ლოცვის მნიშვნელობა არ ესმით, არ აქვთ შეგნებული, რადგან მათ ჰგონიათ, რომ შეიძლება იყოს კაცი ქრისტიანი და არ ლოცულობდეს. ეს შეუძლებელია. ლოცვა აუცილებელი თანამგზავრია ყოველი ქრისტიანისათვის. ამიტომ ჩვენი მოვალეობაა ლოცვის მნიშვნელობა მოვფინოთ მორწმუნეთა შორის, რათა ამით ისინი მოვიზიდოთ საყდარში და ვაქციოთ ჭემმარიტ ქრისტიანებად.

ამინ

36. «კვირიაკე მისი დღესასწაულობა დამკვიდრდა დეკემბრის 26. იხ. ტიპიკონი... წინა განცხადებისა»: [სიონის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1934 წ., 13 იანვარი. ხელნაწერი. ტექსტი ჩასწორებულია. თავფურცელზე: წარმოითქვას სიონში. კ.კ.კ. [კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე]. ტესტის ბოლოს: «დეკ. დ. გარსიაშვილი. 1934 წ. დამის 5 საათი.»

†

მსმენელებო! თვითეული ჩვენგანი ამბობს: მე ვარ მორწმუნე. ამით ჩვენ საჯაროდ ვაღიარებთ, რომ მრწამს “ერთი ღმერთი მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა” და რომ მრწამს “ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მხოლოდ შობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, რომელი ჩვენთვის, კაცთათვის და ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა” და რომ მრწამს “სული წმიდა, უფალი ცხოველ-ყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს მამისათანა და ძისათანა” ჩვენგნით, მორწმუნეთაგან, თაყვანისაგემი და სადიდებელი...

ქრისტეს ნათლისღება იოანესაგან მდინარე იორდანეში დიდი საბუთია ღვთის არსებობისა. ოცდაათი წლის იესომ ნათელ ილო იორდანეში, მაშინ სამებისა თაყვანისცემა გამოჩნდა: ცით მამა ღმერთის ხმა მოისმა და ქრისტეს საყვარელ მედ თვისად უწოდა: “ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი სათნო-ვყავ” ... იოანემ მდინარე იორდანეს ნაპირზე ჰქადაგა მოახლოება სასუფეველისა ღვთისა და ... ქრისტე იესოს

მოწაფეებისა და მსმენელების წინაშე, ტარიგი ღვთისა უწოდა, რომელმაც უნდა იტვირთოს ცოდვები სოფლისა: “აჰა, ტარიგი ღვთისა, რომელმან აღახვნეს ცოდვანი სოფლისანი” /იოანე I, 29/ ... ”რამეთუ ვიხილე სული ღმრთისა, ვითარცა ტრედი გარდმომავალი ზეცით, და დაადგრა მას ზედა. და მე არა ვიცოდი იგი. არამედ რომელმან მომავლინა მე ნათლის-ცემად წყლითა, მან მრქვა მე: რომელსა ზედა იხილოს სული გარდამომავალი და დადგრომილი მის ზედა, იგი არს, რომელმან ნათელ-გცეს სულითა წმიდითა და მე ვიხილე, და ვპრწამე, რომელი ესე არს მე ღმრთისა” /იოანე I, 32, 33, 34/.

მორწმუნენო! გვრწამდეს ღვთის განგება და ქრისტეს სიყვარული ჩვენდამი, მის მიერ მოვლენილი სულისა წმიდისაგან ჩვენი განათლება და განახლება, რასაც გვასწავლის ქრისტეს შობისა და ნათლისღების დღეები. არ არის კაცი, რომელიც ამ ქვეყნად ცხოვრობდეს და არა სცოდავდეს, ამისათვის ცოდვილნი ვართ: მაშ, განვიბანეთ, განვიწმიდნეთ და მოვისპოთ უკეთურებანი სულთა და გონებათაგან ჩვენთა. მოვინანიოთ, რადგანაც მოახლოებული არს სასუფეველი ღვთისა, შეინანეთ და გრწმენინ სახარებისა...

ქრისტეს და მის მოწაფეთა სწავლის საფუძველი არის “სასუფეველი ღვთისა”. რა არის “სასუფეველი ღვთისა”? ამის პასუხს გვაძლევს წარმართთა შორის მქადაგებელი პავლე. იგი რომაელთა მიმართ ეპისტოლეში სწერს: “არ არს სასუფეველი ღვთისა საჭმელ და სასმელ, არამედ სიმართლე და მშვიდობა და სიხარული სულითა წმიდითა” /რომ. XIV, 17/. “სასუფეველი ღვთისა” არ არის რომელიმე გარეგანი ნივთიერება, ანუ ხილული საგანი; იგი არა მდგომარეობს არცა სიმდიდრესა შინა, არცა ქვეყნიურსა ღირსებასა, ანუ დიდებასა შინა, იგი არის უხილავი, შინაგანი თვისება გულისა და სულისა ... მოციქულის თქმით “სასუფეველი ღვთისა” სიმართლეა. რა არის სიმართლე? ამ სიტყვას, \_ ამბობს მღვდელმთავარი გაბრიელი \_ აქვს ვრცელი და მრავალგვარი მნიშვნელობა, ხოლო ჩვენ, ქრისტიანეთ, საჭიროა გვახსოვდეს და ვიცოდეთ ერთი უმთავრესი მისი მნიშვნელობა. სიმართლეა ქრისტეს მიერ ამ ქვეყნად თქმული სიტყვა და ქმნილი საქმე. სიმართლეა კაცთა განმართლება უფალ იესო ქრისტეს მიერ გოლგოთაზე აღმართულ ჯვარსა ზედა საკუთარი სისხლისა და ხორცის შეწირვით. სასუფეველი ღვთისა იმ კაცის გულშია, რომელსაც შეუთვისებია ქრისტეს სჯული, მისი მადლი, მის მიერ მონიჭებული სახარება /ეპისკოპოსი გაბრიელი/.

“სასუფეველი ღვთისა”, პავლე მოციქულის თქმით, არის მშვიდობა. ნეტარხსენებულ ეპისკოპოს გაბრიელის სწავლით “მშვიდობასაც” დიდი მნიშვნელობა აქვს საღმრთო წერილში ... ყოველ კაცს უნდა ჰქონდეს მშვიდობა: ღმერთთან, თავის თავთან, ყოველ მოყვასთან. რა სახით უნდა ჰქონდეს კაცსა ღმერთთან მშვიდობა? საღმრთო წერილი გვასწავლის, რომ ყოველი ცოდვა არის მტრობა ღვთისა ... ვინაიდან იგი ღვთის საქმეს, ღვთის მშვიდობას არღვევს. უფალმა იესო ქრისტემ, მიიღო რა თავის თავზე ყოველი ჩვენი ბრალი და შეცოდებანი ღვთისადმი, შეგვარიგა მამა ღმერთთან და ამით მამა ღმერთსა და ჩვენ შორის მოახდინა მშვიდობა., მაგრამ იმ პირობით, თუ ჩვენ მარადის გვეხსომება მისი სწავლა, დავემორჩილებით და აღვასრულებთ მისსა მცნებათა” /ეპისკოპოსი გაბრიელი/.

რა სახით უნდა ჰქონდეს კაცს მშვიდობა თავის თავთან? როდესაც მას თავისი სვინდისი და ჭკუა არაფერში არ ამტყუნებს და არ არცხვენს; როდესაც არ ემორჩილება ისეთ ცუდთა სურვილთა, ვნებათა და მიდრეკილებათა, რომელნიც დაარღვევენ კაცის მშვიდობასა და მოსვენებასა და შთააგონებენ მას ურვასა და შფოთსა შინა, წარიტაცებენ და დაატყვევებენ მას. დიდი და ძნელი საქმეა მოპოება

სულიერისა მშვიდობისა. იგი მიეცემა და გაუჩნდება გულში მხოლოდ იმ კაცსა, რომელმაც დასთრგუნა ყოველი თვისი ვნებანი და ამნაირ გზაზე მრავლად და დიდხანს იღვაწა. ამ სახით მოიპოვა მშვიდობა და განსვენება გულისა და სულისა. მაშასადამე, იგი არა არის დაძინება ცოდვათა შინა, არამედ მღვიძარება კეთილთა საქმეთათვის: იგი არ არის უქმად ყოფნა, არამედ შრომა და მოღვაწეობა სულიერი. მართალია, ბევრნი ქრისტიანეთა შორის ცოდვათა ჩადენას არ იშლიან, უწყსოდ ცხოვრობენ, მაინც მოსვენებულნი არიან, თითქოს მშვიდობაც არის მათ გულში. მაგრამ ასეთი მშვიდობა არის ცრუ ... ისინი ჰგონებენ მშვიდობას მისთვის, რომ არ იციან თავი თვისი, არ ეძებენ სისრულესა, არ შესულან ჯერ სასუფეველსა შინა ცათასა. უმჯობესი იქმნებოდა, რომ მათ გულში ყოფილიყო ურვა, ბრძოლა, სვინდისის მხილება და მოუსვენრობა; ეს იქმნებოდა ნიშანი იმისა, რომ მათ არ სძინავთ ცოდვათა შინა და სული მათი ცდილობს როგორმე გამოსვლას ცოდვისაგან /ეპისკოპოსი გაბრიელი/. და ბოლოს, სასუფეველი ღვთისა მდგომარეობს “სიხარულსა შინა სულითა წმიდითა”. ნუ გაიკვირვებთ, – გვაფრთხილებს დიდი მოძღვარი იმერეთისა გაბრიელი, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანე, რომლის გულშია სასუფეველი ღვთისა, უნდა იყოს აღვსებული სიხარულითა. მართალია, უფალმან იესო ქრისტემან გვითხრა ჩვენ: “ნეტარ იყვნენ მგლოვიარენი” და საღმრთო წერილი ხშირად შეგვაგონებს ჩვენ, რომ კაცი ყოველთვის უნდა სწუხდეს და სტიროდეს თავის უღირსებას და ცოდვას, მაგრამ სიხარული სულისა მიერ წმიდისა არა თუ არ არის წინააღმდეგი სულიერისა მწუხარებისა, მონანიებისა, არამედ პირდაპირ მისი ნაყოფია. სიხარული სულისა მიერ წმიდისა მხოლოდ იმ კაცს გაუჩნდება გულში, რომელმაც მწუხარებითა და ცრემლითა განბანა სული თვისი ყოვლისაგან ბილწებისა და ამით მიიღო სიმართლე და შეურიგდა ღმერთს და თავის თავსა /ეპისკოპოსი გაბრიელი/.

საყვარელნო! ... სასუფეველი ღვთისა კაცის გულში არ არის რამე უძრავი, არამედ თითქმის ყოველ დღე და ყოველ წამს იცვლება – ხან დიდდება, ხან მცირდება. თუ გასურთ, ძმანო ჩემნო, რომ ყოველთვის იყოს თქვენს გულში სასუფეველი ღვთისა და იზრდებოდეს, ეცადეთ, რომ ყოველი დღე განაახლოთ და გააცოცხლოთ სულიერითა საზრდოთი. როგორც სხეული კაცისა იზრდება და განახლდება საზრდოს მიღებითა, ეგრეთვე შინაგანი ცხოვრება ე. ი. სასუფეველი ღვთისა, ყოველ დღე უნდა განახლდეს სულიერი საზრდოს მიღებითა, როგორც არის ლოცვა, კეთილი გრძნობა, კეთილი საქმე, მარხვა, მოთმინება და სხვა ... მტკიცედ გვახსოვდეს, რომ სასუფეველი ღვთისა ვერ ჰპოვებს ნიადაგს ორპირთა, თვალთმაქცთა და პირმმოთნეთა და საერთოდ ფარისევლთა შორის.

ამინ

37. «მე-3-ე კვირიაკე სულის წმიდის მოფენის შემდეგ» : [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1927 წ., 19 ივლისი. ხელნაწერი. ტექსტს ბოლო ნაწილი აკლია. 5 ფ.

†

სულის წმინდის მოფენის შემდეგ დღეს, მესამე კვირიაკეს, წირვაზედ წაკითხულ მახარებელ მათეს სახარების მეექვსე თავიდან გვესმა, საყვარელნო, ქრისტეს მიერ

თქმული შემდეგი სწავლა: „ხოლო, თქვენ ეძიებდით პირველნი სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა“... /მათე VI, 33/. ეს მოძღვრება მაცხოვარმა სთქვა მთასა ზედა მჯდომარემან, როდესაც მოუხდეს მას მოწაფენი მისნი და ერი მრავალი.

მახარებელ მათესავე სახარებაში ვკითხულობთ სიტყვებს, ქრისტეს მიერ თქმულს გალილიაში: „შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა“ /მათე IV, 17/.

მახარებელი მარკოზიც სწერს ღვთის სასუფეველზე შემდეგს: „...მოვიდა იესო გალილიად, ჰქადაგებდა სახარებასა სასუფეველისა ღვთისასა და იტყოდა: „ვითარმედ აღსრულებულ არს ჟამი და მოახლოებულ არიან დღენი ღვთის განცხადებისა ... მადლმა და ნიჭმა სულისა წმინდისამან მოგვცეს უნარი და ძალ-ღონე ამ წმინდა დღეების ღირსეულად შეხვედრისა და ჩატარებისა. „სუფევს უფალი ჩვენი!“ „ჩვენთან არს ღმერთი!“.

ამინ

38. «მე-14-ე კვირიაკე დღეს... მახარებელ მათეს წმ. სახარებიდან მოვისმინოთ, ...იგავი ქრისტესი მეუფის შესახებ»: [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1927 წ., 18 სექტემბერი. ხელნაწერი. ტექსტი ჩასწორებულია. 5 ფ.

†

კვირიაკესა მეთოთხმეტესა შემდგომად ყოველთა წმინდათასა, მახარებელ მათეს წმინდა სახარებიდან მოვისმინოთ, საყვარელნო, იგავი ქრისტესი მეუფის შესახებ, “რომელმან ჰყო ქორწილი ძისა თვისისა”. გაგზავნა მეუფემ მსახური თვისი მოწოდებად ქორწილში ჩინებულთა. ჩინებულთ არა ინებეს მოსვლა ქორწილში. მეუფემ სხვა მსახური გაგზავნა ჩინებულთა დასაპატიჟებლად, რომელთაც დააბარა: ... აჰა, ესერა პური ჩემი მზა მიყოფიეს, ზვარაკები და საკლავი ზროხები ჩემი დაკლულ არიან, და ყოველივე მზა არს, მოვედით ქორწილსა ამას. ხოლო, ჩინებულთ არა გულისხმაჰყვეს მოწოდება მეუფისა და ზოგი მათგანი წავიდა აგარაკსა თვისსა, ზოგიც სავაჭროსათვის და ზოგთაც შეიპყრეს მოპატიჟებით მივლინებულნი მსახურნი მეუფისა, აგინეს მათ და დახოცეს. მეუფე, ესმა რა ესე, განრისხდა და მიავლინა ჯარი თვისი, ამოწყვიტა კაცთა მკვლელნი იგინი და ქალაქი მათი მოსწვა ცეცხლითა. შემდეგ მეუფემ უთხრა სხვათა მსახურთა თვისთა: ქორწილი ესე მზათ არის, ხოლო ჩინებულნი იგინი ქორწილში ყოფნის ღირსნი არ აღმოჩნდნენ ... სადაც გზანი შეერთდებიან და ვინც ჰპოვოთ, მოუწოდეთ ქორწილსა ამას. განვიდნენ მონანი მეუფისა ჯვარედინ გზებზე, შეჰკრიბეს ყველა იქ მდგომნი თუ მიმავალნი, ბოროტი და კეთილნი, და მომზადებული საქორწინო სუფრა მეუფისა შეივსო სანადიმოთ მოსულთაგან. მათ დასათვალიერებლად შევიდა მეუფე და იხილა იქ კაცი, რომელსაც არა ემოსა საქორწინო სამოსელი და უთხრა მას: მოყვასო! საქორწინო სამოსელი რომ არ გაცვია, როგორ შემოხვედი? კაცი სდუმდა. მაშინ უთხრა მეუფემან მსახურთა თვისთა: შეუკარით მაგას ხელები და ფეხები, გააგდეთ ეგე ბნელსა მას გარესკნელსა “იქ იყოს ტირილი და ღრჭენა კბილთა. რამეთუ მრავალ არიან ჩინებულნი და მცირედ რჩეულნი” /მათე XXII, 1-14/

საყვარელნო! ცით გარდმომხდარი ღვთაებრივი მოძღვარი ქრისტე იესო მოწაფეთა თვისთა და “ერისა სიმრავლეს” მწყსნიდა ხშირად იგავებში გატარებული სწავლით. მაგრამ მოძღვრის მიერ თქმული იგავებში დაფარულ აზრებს ბევრჯელ მოწაფენი და

მსმენელი ერი ვერ მიუხვდებოდნენ. ამისათვის “ჰკითხვიდეს მას მოწაფენი მისნი, ვითარმედ რაი არს იგავი ესე?”. “ხოლო თავადი ეტყოდა მათ: თქვენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლო სასუფეველსა ღვთისა” /ლუკა VIII, 9, 10/...და უმაღლესი განუმარტავდა მათ თავის მიერ თქმულ იგავს. მოწაფეთაც ევალებოდათ მოძღვრისაგან “წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი...და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქვენ” /მათე XXVIII, 19, 20/. ჩვენც, ეკლესიის მსახურნი, მოციქულთა მაგივრობის გასაწევად ვართ დადგინებულნი, ქრისტეს მოყვარულნი მსმენელნი! მოციქულთა მსგავსად ვალდებულნი ვართ ზეციურ მწყემსმთავრის მიერ გადმოცემული მცნებათა და მოძღვრებათა გაუგებარი ადგილები განვმარტოთ თქვენდა სასმენად და შესაგონებლად. მეუფე, უმთავრესი მოქმედი დღევანდელი იგავისა, არის “ერთი ღმერთი მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა”. აქედან ცხადია, თუ ვინ არის ძე, რომლისთვისაც ქორწილი ჰყო მეუფემან. იგია “ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა...ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭემმარტისა, ... რომლისაგან ყოველი შეიქმნა. და ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით და ხორცი შეისხნა სულისაგან წმინდისა და მარიამისაგან ქალწულისა და განკაცდა”. ღმერთმა კაცი დაადგინა ქვეყნის ბატონ-პატრონად “აღორძინდით, გამრავლდით, აღავსეთ ქვეყანა და უფლებდით მას ზედა.” /დაბ. წიგნი ა. მოსესი I, 28/, მაგრამ გამოვიდა კაცი მორჩილებისაგან და იწყო ღვთის გარეშე ცხოვრება და, როგორც სუსტი ბუნებისა, დაეცა, სიკეთეს გაექცა., ბოროტებას დაემონა, ბოროტ სულის ყურ-მოჭრილ ყმად გადაიქცა; და რომ იგი სრულიად არ წარწყმედილიყო, სულიერად სამუდამოდ არ მომკვდარ იყო, ღმერთმა, მისმა დამბადებელმა, იღვა თავს მზრუნველობა მისთვის. ქვეყანასა ზედა მცხოვრებ ურჯულო გზით მავალ ერთაგან გამოარჩია მამამთავრის აბრაამის შთამომავალი ერი – ურიანი. ამ ერის სულიერ და ზნეობრივ ცხოვრების სახელმძღვანელოდ მცნებანი შექმნა რჩეულთა კაცთა რწმენისა და ცოდნისაგან. მწყემსებად და მოძღვრებად მამამთავარნი, მსაჯულნი, წინასწარმეტყველნი მიუვლინა. აი, დღევანდელ წაკითხულ სახარებაში ნახსენები მონანი ვინ ყოფილან: მამამთავარნი, მსახურნი, წინასწარმეტყველნი, მოციქულნი და სხვა კაცთა შორის საღმრთო სჯულის გავრცელებისა და განმტკიცების ყველა ხელისშემწყობნი. “ქორწილი მისა თვისისა” – სასუფეველია ღვთისა, როგორც ამ ქვეყნიური – ხილული, ისე იმ ქვეყნიური – ზეციური, უხილავი. ხალხთა შორის ჩინებულთა ურიათა არა გულისხმაჰყვეს სჯული ღვთისა, ბოძებული მამამთავართა, მსაჯულთა, წინასწარმეტყველთა, მოციქულთა და სხვათა რჩეულთა საშუალებით. სახარების თქმით, ასეთებმა ამა ქვეყნიური “აგარაკი” და “სავაჭრო” ამჯობინეს, ე.ი. ასეთებს ხორციელმა, ქვეყნიერმა მზრუნველობამ და ტრფიალებამ სძლია სულისათვის ტრფიალება-მზრუნველობას ... ”შეიპყრეს მონანი იგი მისნი, აგინეს და მოჰსწყიდნეს”. /მათე XXII, 6/. აქ საკმარისია გავიხსენოთ ამა ქვეყნიური უწყალო ხვედრი ქრისტე იესოზე ადრე მცხოვრების წინასწარმეტყველის ისაიასი. დიდი წინასწარმეტყველი ისაია, ურიასტანში წარმოშობილი და მცხოვრები, ქრისტეს ამ ქვეყნიური ბედის და ხვედრის შორი მანძილზე ნათლად განმსჭვრეტი და აღმწერი, უსჯულოთა და უმადურთა ურიათაგან საშინლად წამებულ იქმნა – ხის ხერხით შუაზედ გადახერხეს ცოცხალი და საღი ჯანის ადამიანი, მათ სულიერად და ზნეობრივად აღორძინებისათვის თავდადებული და თანამკვდარი ერთგული მუშაკი.

რათა “ჩინებულთა” ურიათა სრული სჯული მისცემოდათ ღმერთმა მათ უკანასკნელი მიუვლინა ძე თვისი, მხოლოდ შობილი ძე და სიტყვა ღვთისა, უკვდავი

არსება. და ახალ მცნებათა ზეგავლენით უარჰყონ ბოროტი გზით სიარული, და იწყონ კეთილის მოქმედება ... ღვთიური ცხოვრება ... ”ხოლო ქვეყანის მომქმედთა მათ, ვითარცა იხილეს ძე იგი მისი, და სთქვეს გულსა მათსა: ესე არს მკვიდრი, მოვედით და მოვჰკლათ იგი და დავიპყრათ სამკვიდრებელი მისი” /მათე XXI, 37,38/. და, აჰა, გამართლება სიტყვათა დიდებულისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა და მახარებელისა და ღვთისმეტყველისა იოანესი: “თვისთა თანა მოვიდა და თვისთა იგი არა შეიწყნარეს” /იოანე I, 11/... და შეიპყრეს იგი, იესო ქრისტე, და განიყვანეს გარეშე ვენახისა მის, და მოჰკლეს” /მათე XXI, 39 /...

ჯვარედინ გზებიდან მოსულნი “ქორწილსა მას” ისინი არიან, რომელთაც სახარება ქრისტესი გულით მიიღეს და მასში ქადაგებული აზრი სულით შეიწყნარეს და გაიზიარეს, შეითვისეს, შეისისხლხორცეს ... ასეთებზე სთქვა ქრისტემ: “ამისთვის გეტყვი თქვენ ... და მიეცეს მას სასუფეველი ღვთის ნათესავსა, რომელნი ჰყოფდნენ ნაყოფსა მისსა” /იოანე XXI, 43/. იოანე მახარებელიც ამბობს ამნაირებზე: ... კაცი, რომელსა არა ემოსა სამოსელი საქორწინე”, – არიან ფარისეველნი და ორგულნი, რომელნიც გარეგნული სახით, მხოლოდ მშრალი სიტყვებით, ქრისტეს მოძღვრების მიმდევარნი არიან, სულით, გულით და საქმით კი შორს არიან ღვთისნიერობისა და სახარების მადლისაგან. სწორედ ამნაირ კაცთა შესახებ უთქვამს ქრისტეს: “ვაი თქვენდა მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო, რამეთუ ... თქვენ გარეშე ჰსჩანთ წინაშე კაცთა მართალ, ხოლო შინაგან სავსე ხართ ორგულეებითა და უსჯულოებითა” /მათე XXIII, 27, 28/.

საყვარელნო! ნუ ვიქმნებით უგულისხმოთა და უმადურთა მიმდევარნი. ჩვენის ღვთიური, სინდისთან შეფარდებული ცხოვრებით და კეთილთა საქმეთა მოქმედებით გავამართლოთ ჩვენ, ქართველებმა, ქრისტეს მიერ ნაკარნახევი დიდი დანიშნულება კაცისა: “იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს” /მათე V, 48/. მტკიცედ გვახსოვდეს, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება ღვთის ცნობა, უღვთო, უსინდისო, უსჯულო, იუდა ისკარიოტელისებური გამცემელი და პირუტყვული ცხოვრებით ნუ გავამართლებთ ბრძნულ თქმულებას სახარებისას: “რამეთუ მრავალ არიან ჩინებულნი და მცირედ რჩეულნი” /მათე XXII, 14/. გვრწამდეს მხოლოდ მამა ღმერთი და მის მიერ მოვლინებული ძე ღვთისა იესო ქრისტე და იესო ქრისტეს მიერ ბოძებული სწავლა\_სახარებად წოდებული-საცხოვრებელად სულთა ჩვენთა ამიერ თუ იმიერ ქვეყნებში. “

ამინ

39. «მე-19-ე კვირიაკე... და თქვა ღმერთმან – ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა”... : [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1927 წ., 23 ოქტომბერი. ხელნაწერი. ტექსტი ჩასწორებულია და დაუსრულებელი. რამდენიმე ადგილას არ იკითხება. 5 ფ.

†

ძველი აღთქმის დიდი სჯულმდებელის წინასწარმეტყველის – მოსეს პირველი წიგნის – დაბადების პირველ თავში კაცის ამქვეყნად მოვლინების შესახებ ვკითხულობთ: “და თქვა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატად და მზგავსად ჩვენდა” /დაბ. I, 26/. ამავე წიგნის მეორე თავში ვკითხულობთ: და შექმნა ღმერთმან კაცი, ხატად



თვისად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგინი. და აკურთხნა იგინი ღმერთმან, მეტყველმან: “აღორძინდით და განმრავლდით, და აღავსეთ ქვეყანაი და ეუფლენით მას”... /დაბ. I, 27-28/. აქვე ვკითხულობთ, თუ ღმერთმან რისაგან შექმნა პირველი კაცი: “და შექმნა ღმერთმან კაცი მტვრისა მიმღებელმან ქვეყანისაგან, და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისა, და იქმნა კაცი სულად ცხოველად” /დაბ. II, 7-8./

საყვარელნო! მტვრისაგან აშენებული სხეული კაცისა “იქმნა სულად ცხოველად” მხოლოდ მაშინ, როცა ღმერთმან “შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისა”. მაშასადამე, კაცი მხოლოდ ამ “სულით სიცოცხლისა” ყოფილა ხატება და მზგავსება ღვთისა. გულით და გონებით გვწამს და გვჯერა ჩვენ ესე სწავლა მოსესი. კაცი არა ცხოველისაგან შთამომავალია, როგორც ამას ღვთის უარის მყოფელნი ჰქადაგობენ, არამედ იგი ტაძარია ღვთისა და სადგური სულისა წმიდისა. “არა უწყითა, რამეთუ ტაძარნი ღვთისანი ხართ, და სული ღვთისა დამკვიდრებულ არს თქვენ შორის” /კორ. III, 16/ გვასწავლის დიდებული მოციქული პავლე. განხორციელებულ ძე ღვთის – ქრისტე იესოს სწავლით ღმერთი, შემოქმედი ცისა და ქვეყნისა, სულია. “სულ-არს ღმერთი და თაყვანის-მცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა თანა არს თაყვანის-ცემა” /იოანე, 24/. ამ სწავლით სახარების მქადაგებელი მაცხოვარი გვავალებს ჩვენ, კაცთა, ღვთის თაყვანი-ცემას სულითა და ჭეშმარიტებითა. შეუძლიან კაცს ღვთის თაყვანის-ცემა სულითა და ჭეშმარიტებითა? ამ კითხვის პასუხი დადებითია: შეუძლიან, რადგანაც შემოქმედს კაცის სხეულში მოუთავსებია თვისი უკვდავი და გონიერი სული და ამ სულში მტკიცედ ჩაუწნავს და თან დაუყოლებია მაღალი ძალი ჭკუა-გონებისა, გრძნობათა და თავისუფლებისა. ეს ჩამოთვლილი სულის თვისებანი საკმაო სიმდიდრეა კაცის განვითარებისა და მისი წინმსვლელობისათვის. ჭკუა-გონება, გრძნობანი და თავისუფლება არის ის ზეგარდმო მაღლი, რომლითაც კაცს შეუძლიან განახორციელოს ქრისტეს მიერ კაცობრიობისათვის დასახული იდეალი მახარებელ მათე მოციქულის სახარებაში ჩაწერილი: “იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს” /მათე V, 48/, და ის იდეალიც, რომელიც დღეს წაკითხულ მახარებელ ლუკას სახარებიდან მოვისმინეთ: “იყვენით თქვენ მოწყალე, ვითარცა მამა თქვენი მოწყალე არს” /ლუკა VI, 6, 36/. მოწყალეობა, ქრისტეს მიერ ქადაგებული, ერთი პირველთაგანი თვისება და საფუძურია კაცის სულის განვითარებისა, სულიერად წინმსვლელობისა და ამ გზით ზეციერ მამა ღმერთთან დაახლოვებისა. მოწყალეობის ქმნა და გაცემა საღმრთო ვალია ყველა კაცისა. ქრისტემ მთიდან ქადაგების დროს მოწაფეთა და მრავალ ხალხის წინაშე “აღაღო პირი თვისი, ასწავებდა მათ და ეტყოდა: ნეტარ იყვენენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ” /მათე V, 7/. ასეთი პირობაა ქრისტე ღმერთისა: თუ გვინდა, რომ მან შეგვიწყალოს ჩვენ, ჩვენც უნდა ჩვენი მოყვასის შემწყალებელი და შემბრალეული ვიყვნეთ, მოძმის პიროვნებას უნდა ვაფასებდეთ, ვუვლიდეთ, ვიფარავდეთ. მოწყალეობა უნდა არა ძველი აღთქმის საფუძვლის ჩამყრელ წინასწარმეტყველ მოსესებური, არამედ ახალ მცნებათა მომცემ ქრისტესებური. გავიხსენოთ ქრისტეს იგავი მოწყალე სამართელის შესახებ თქმული. ამ იგავში გატარებული აზრით ქრისტემ დაჰგმო სამუდამოდ უგულობა, გულქვაობა და გულის სიცივე მოსეს მცნებათა მიხედვით მცხოვრებთა და შეხედულობათა მქონეთა მღვდლისა და ლევიტელისა და ყველა მათ მზგავსთა. მოსეს სჯულით გაწვრთნილნი და აღზრდილნი, მხოლოდ თვისთა ჰყვარობდნენ, ვინაიდგან მოსე ასწავლიდა: “შეიყვარო მოყვასი შენი, და მოიძულო მტერი შენი” /მათე V, 43/. ქრისტე კი ჰქადაგებდა ამის საწინააღმდეგოს: “თუ თქვენ გიყვართ მოყვარენი თქვენნი, რა

მადლია თქვენთვის? ხომ ცოდვილთაც უყვართ მოყვარენი თვისნი და თუ კეთილს უყოფთ კეთილის-მყოფელთა თქვენთა, ან ეს რა მადლია თქვენთვის? რადგანაც ცოდვილნიც ამას ჰყოფენ. თუ ასესხებით ანუ ხელს-უმართავთ მათ, რომელთაგან უკან დაბრუნების იმედი გაქვთ, ესეც რა მადლია თქვენთვის? რადგანაც ცოდვილნიცა ცოდვილთა ასესხებენ – ხელს უმართავენ, რომ უკანვე დაიბრუნონ იმდენივე” /ლუკა V, 32, 33, 34/. ქრისტემ მოსეს მოძღვრების მიმდევართა მღვდლისა და ლევიტელის საქციელის მეტოქეთ სამარიტელის გაჭირვებაში მყოფ კაცისადმი მოქცევა და მოპყრობა წამოაყენა, მისი საქციელი და შეხედულობა მოიწონა, აკურთხა და მიზნად თვის მიმდევართ სამარიტელისადმი მიმბაძველობა დაუსახა. ავაზაკთა მიერ გაცარცულ, დაჭრილ და გზაში უმწეოდ დატოვებულ კაცში სამარიტელმა, მიუხედავად იმისა, რომ იგი მისი მოდგმისა არ იყო, ხატება და მზგავსება ღვთისა სცნო და თავი თვისის ვალდებულად აღიარა დახმარება აღმოეჩინა, მოციქულის თქმით, ამ “ღვთის ტაძრისა და სულის წმიდის სადგურისათვის”. “ხოლო თქვენ გიყვარდეთ მტერნი თქვენნი, და კეთილსა უყოფდით, და ასესხებდით, სამაგიეროს კი ნუ რა რას მოელოდებით.” ამგვარ თქვენი მოქმედებისათვის გექმნებათ “სასყიდელი მრავალი და შეიქმნებით შვილად მალაი ღვთისა, რომელიც ტკბილია უმადლოთათვისაც და უკეთურთათვისაც” /ლუკა VI, 35/. “ნეტარ იყვენ მშვიდობის – მყოფელნი, რამეთუ იგინი ძე ღვთისად იწოდნენ” /მათე V, 9/. აი, ერთი თვისება კიდევ ქრისტიანული მოწყალებისა. ვინც მოწყალების მქნელია, იგი მშვიდობის – მყოფელიცაა. ამის საბუთად ქრისტეს სწავლას მახარებელ მათეს სახარებაში ვკითხულობთ: “გესმა, რამეთუ თქმულ არს: შეიყვარო მოყვასი შენი, და მოიძულო მტერი შენი. ხოლო მე გეტყვი თქვენ: გიყვარდეთ მტერნი თქვენნი, და აკურთხევდით მწყევართა თქვენთა, და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქვენთა, და ულოცავდით მათ, რომელნიც გმძლავრობდნენ თქვენ და გდევნიდნენ თქვენ. რათა იყვენთ თქვენ შვილ მამისა თქვენისა ზეცათასა; რამეთუ მზე მისი აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილთა, და ჰსწვიმს მართალთა ზედა და ცრუთა” /მათე V, 43-45/. სახარების მოყვანილი ადგილიდან სჩანს, რომ ღვთის მიერ ქმნილი ბუნებაც მოწყალებისა და მშვიდობის მყოფელობის მაგალითების მომცემია კაცისათვის, რათა იგი შემსრულებელი იყოს ქრისტეს მიერ მოცემულ სწავლისა: “იყვენით თქვენ მოწყალე, ვითარცა მამა თქვენი მოწყალე არს” /ლუკა VI, 36/. ღვთის მიერ შექმნილი მზე თანაბრად გამოსცემს თვის სითბოს და სინათლეს, როგორც ბოროტთათვის ისე კეთილთათვის, აგრეთვე ზეცა დედამიწას აწვიმებს როგორც მართალთათვის, ისე ცრუთათვის. კაცი განურჩევლად უნდა გასცემდეს თვის მოწყალებასა ყველა გაჭირვებულთათვის, იგი ამ საქმეში მთლად მიმბაძველი უნდა იყოს სამარიტელისა და მგმობელი მოსეს სჯულის ამსრულებელთა მღვდლისა და ლევიტელის საქციელისა.

ძმანო და დანო ქართველნო! წარსულში ქრისტეს სწავლას და მადლს ღრმად ჰქონია ფესვები გადგმული ქართველის გულსა და გონებაში. ქართველი ერის წარსულის ყველა ნამოქმედარს გონებრივს, თუ ფიზიკურს ქრისტიანობის გავლენით ღრმა კვალი აჩნევია და მისი მტკიცე ბეჭედი აზის. ჩვენ წინაპრებს ყოველივე სახარების სწავლის თვალსაზრით უკეთებიანთ, უფიქრნიათ და უმოქმედნიათ, მათ ცხოვრებაში მოწყალებას უპირველესი და თვალსაჩინო ადგილი სჭერებია; ქრისტეს მიერ დასახული იდეალი სამაგალითოდ შეუთვისებიანთ და ცხოვრებაში პირნათლად განუხორციელებიანთ და მით დაუმსახურებიანთ წმიდა წოდება “შვილი მამისა ზეცათასა”. აი, ამის მაგალითები ქართველი ერის მწერლობაში დაცული და

ხმამალღად მღალადებელი და მეტყველია: მოწყალების გაცემის შესახებ შოთასათვის სახარების სწავლას უთქმევინებია:

“ვარდთა და ნეხვთა ვინადგან მზე სწორად

მოეფინების,

დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ

მოგეწყინების,

უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვით ების:

უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების”.

ჩვენნი მამა-პაპანი მოწყალენი და კაცთმოყვარენი ყოფილან, საყვარელნო! ჩვენ რაღად ვართ ბოროტშემორტყმულნი? მოწყალების ნაცვლად რად ხდება ირგვლივ, ჩვენში ავი საქმე? რად არ ხდება ხელმძღვანელობა სახარების სწავლით?...

40. «კვირიაკესა შემდგომად ჯვართამაღლებისა»: [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1927 წ., 2 ოქტომბერი. ხელნაწერი.

†

წარსული კვირიაკე წინა ჯვარის-ამაღლებისა იყო, საყვარელნო ჯვარის-თაყვანისმცემელნო! დღევანდელი კვირიაკე შემდგომად ჯვარის-ამაღლებისაა; და ამ ხსენებულ ორ კვირიაკეთა შორის დიდებულად ვიდღესასწაულეთ თვით ამაღლება პატიოსნისა და ცხოველ-მყოფელისა ჯვარისა (ახ. სტ. 27, ძვ. სტ. 14). და, აჰა, სახე ამ დიდებულ დღესასწაულისა: ჯვარი პატიოსანი და ცხოველ-მყოფელი წმ. ტრაპეზიდან აღებული, საკურთხევილიდან გამოსვენებული და ტაძრის შუა ნაწილში დასვენებული მლოცველთათვის სახილველად და ამბორის-საყოფელად. ყოველსა ქვეყანასა ზედა განსაკუთრებით იდიდების და თაყვანის-იცემების ჯვარი პატიოსანი და ცხოველმყოფელი ხსენებულ დღეებში, რადგანაც დღესასწაული ჯვართ--ამაღლებისა მსოფლიო მნიშვნელობის და თვისების მქონეა ქრისტიანობის დასაწყისიდანვე. რად ყოფილა ჩვენ დრომდე ასე? რად არის ასე ეხლაც? და რად იქმნება ასე ჩვენ შემდეგ, მომავალშიც, ვიდრე დასასრულამდე სოფლისა? ჯვარი პატიოსანი და ცხოველ-მყოფელი თაყვანის-იცემების და იდიდების ყოველთვის მისთვის, რომ ჯვარის ხილვა მთელი სახარების სწავლის გახსენებაა; კაცის ამქვეყნად მოკლე ხნით მოვლინების მიზეზის გათვალისწინებაა. ხილვა პატიოსნისა და ცხოველ-მყოფელისა ჯვარისა მკაფიოდ გვიკარნახებს და ნათლად შეგვაგონებს, რომ ღმერთს უბოძებია კაცისათვის ამქვეყნიური ცხოვრება არა «სალხინოდ და თავის საქცევად», არამედ შრომისა, მოთმინებისა და მრავალთა ჭირთა და განსაცდელთა დათმენისათვის. ჯვარის ხილვა გაგვახსენებს, რომ «ნათელი ქრისტე იესო მოვიდა სოფლად, და შეიყვარეს კაცთა ბნელი, ვიდრე ნათელი, რამეთუ იყვნეს საქმენი მათნი ბოროტ რამეთუ ყოველი, რომელი ბოროტსა იქმს, ჰსძულს მას ნათელი, ქრისტე იესო და არა მოვალს ნათელსა, რათა არა ემხილნენ საქმენი მისნი /იოანე III, 19, 20/. ჯვარი პატიოსანი და ცხოველ-მყოფელი ხმა მალღად მთქმელია იმისა, რომ ქრისტე შეიქმნა კაცთა მიერ მოძულეებული მისთვის, რომ მან ამხილა მათ კაცთა შორის ჩადენილი მათი ბოროტმოქმედება. ამის გამო ქრისტე ამბობდა: «მე ვჰსძულ სოფელსა, რამეთუ ვჰსწამე მისთვის, ვითარმედ საქმენი მისნი ბოროტ არიან» /იოანე VII, 7/. იგი ჯვარი

კვალად ყოველთა სასმენად მღაღადებელია იმისი, რომ «ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა ჰსდგას» /იოანე V, 19/ და ყველა ეს მისთვის ხდებოდა წარსულში და ხდება ეხლაც, რომ კაცი მომქმედი ყოფილა იმისი, რაც იამებდა მის დაცემულ ხორციელ ბუნებას; ხორციელბრივი ცხოვრების პირობებში გართულ კაცს თავი და თავი მოვალეობა, \_ სოფლისათვის ზრუნვა და ფიქრი, \_ დაჰვიწყებია; და აი ამ შემთხვევაში ჯვარი ქრისტესი გარკვევით გვეუბნევა ჩვენ, რომ 'სასუფეველი ღვთისა შორის თქვენსა არის» /ლუკა XVII, 21/ და სასუფეველი ღვთისა შორის ჩვენსა იმ პირობით იქმნება, თუ ჩვენ დავისახავთ უმთავრეს მიზნად სულისათვის ზრუნვას და ფიქრს, ავიღებთ ჯვარსა ჩვენსა და შეუდგებით ქრისტესა, ე.ი. ქრისტე იესოს მზგავსად გავატარებთ ცხოვრებასა ჩვენსა კაცთა შორის შრომაში და მოღვაწეობაში, აი ამას ნიშნავს დღეს სახარებიდან მოსმენილი იესოს სიტყვები: « ...უარ-ჰყავნ თავი თვისი, და აღიღენ ჯვარი თვისი, და შემომიდეგინ მე» /მარკოზ VIII, 34/.

კაცი, საყვარელნო, ორი უმთავრესი ნაწილისაგან შესდგება: სულისა და ხორცისაგან. სული ხორცზე უმთავრესია, ვინაიდან პირველი მეორის მამომრავებელი და მაცოცხლებელია; უსულოდ ხომ ხორცი კაცისა მკვდარია. «ხორცნი თვინიერ სულისა მკვდარ არიან»... , ვკითხულობთ მოციქულ იაკობის კათოლიკე ეპისტოლეში /ვ. ეპისტ. იაკ. II, 26/. მაშასადამე, კაცმან სულისათვის მეტი უნდა იზრუნოს და იფიქროს. ხორციელბრივი გემოვნებანი დამღუპველი და წარმწყმედელია კაცის სულისა. ხორციელი მოთხოვნილებანი სააქაო-ქვეყნიურია, ერთი წუთის ნუგეშია, ერთი წუთის გემოვნება, კმაყოფილება და ბედნიერებაა. სულის მოთხოვნილებანი კი საიქიოს ბედნიერების მომცემია; საიქაო-საუკუნო ბედნიერების შეძენისათვის კაცმან უნდა სული თვისი დაიცვას ყოველი ქვეყნიური ცოდვისა, ბიწიერებისა და ცუდი ჩვეულებებისაგან; მან უნდა ამ ქვეყნად ყოველი ჭირი, რისხვა და იწროება მოითმინოს, სასოწარკვეთილებას არ მიეცეს, შრომისა და მხნეობის უნარი და ნიჭი გამოიჩინოს, რათა ამ გზით სული თვისი აცხოვნოს. ამ დარიგებას გვიკარნახებს დღეს სახარებიდან მოსმენილი შემდეგი სიტყვები მაცხოვრისა: «რა სარგებელ-არს კაცისა, უკეთუ შეიძინოს სოფელი ესე ყოველი, და სული თვისი იზღვიოს? ანუ რა მისცეს კაცმან ნაცვლად სულისა თვისისა?» /მარკოზ VIII, 36, 37/. ამისათვის წამებული უღვთოთ უკვდავი მოჭირნახულე და დიდი მოამაგე პოეტი ილიაც გვამღევეს ჩვენ, შვილთა თვისთა, ლამაზს და ბრძნულს ლექსთაწყობითს დარიგებას:

«უსულდგმულო ცხოვრება  
ცის ნიჭად ნუ გგონია,  
იგი მიწის ყოფილა,  
რასაც ბოლო ჰქონია!  
ცხოვრებას აცისკროვნებს  
სული საქმით მეტყველი  
და ის უბოლო არის,  
ვით სულის შთამბერველი.  
ნეტა ვინც კარგი საქმითა  
აღნიშნავს თავის დროსა!  
ის აქავ ეწაფება  
უკვდავების წყაროსა!..»

დღეს წაკითხულ სახარებიდან კიდევ გვესმა შემდეგი მომღვრება ქრისტესი: «რამეთუ რომელსა იგი სირცხვილ-უჩნდეს ჩემი და სიტყვათა ჩემთა, ნათესავსა ამას მემრუშესა და ცოდვილსა, ძემანცა კაცისამან არცხვინოს მას, რაჟამს მოვიდეს დიდე-

ბითა მამისა თვისისათა ანგელოზთათანა წმიდათა» /მარკოზ VIII, 38/. ეს სიტყვები, – ბრძანებს ნეტარხსენებული მქადაგებელი მღვდელმთავარი ეპისკოპოზი იმერეთისა გაბრიელი, ერთი მხრით გააკვირვებენ გონებასა კაცისასა. ნუთუ შესაძლებელია, რომ ისეთი კაცი იყოს ქვეყანაზედ, რომელსაც შერცხვეს იესო ქრისტესი და მისი სწავლისა? არა ყოფილა ჯერედ ქვეყანაზედ მასზედ უმჯობესი არსება; არ არის და არ შეიძლება, რომ იყოს მის სახარებაზედ უღრმესი, უტკბილესი სწავლა და დარიგება. ამას აღიარებენ თვით უპირველესნი ფილოსოფოსნი. ზოგნი მათგანნი თუმცა არ დაემორჩილენ მისსა სახარებასა, გარნა მაინც აღიარებდენ, რომ მასზედ უმჯობესსა სწავლასა კაცი ვერ წარმოიდგენს, ვერც გამოსთქვამს. მაშასადამე, როგორღა შეიძლება, რომ ვისმეს შერცხვეს მისი სახელისა და მისი სწავლისა? ეს შესაძლებელია, ძმაო, იმ კაცისათვის, რომელიც ამ სიცოცხლეში ეძებს ნუგეშსა დაკმაყოფილებასა, და არა ჰსურს იესო ქრისტეს ჯვარის აღება და შედგომა, მისდა სვლა. ხშირად იტყვის სოფლის მოყვარე და ცოდვის მოყვარე კაცი: წუთი სოფელიაო; გავიხარებ და ვინუგეშებ ვინემ ცოცხალი ვარ, მოვკვდები – რა ვიცი, რა დამემართებაო. ესრეთსა კაცსა სცხვენია იესო ქრისტეს სიმდაბლისა, მისი ჯვარის აღება მას ეზარება. ასე მძიმედ და ღრმად უნდა უყურებდე შენ, ძმაო ქრისტიანე, შენსა სიცოცხლესა და მოქალაქეობასა. შრომითა და მოწიწებითა უნდა აღასრულებდე შენსა მოვალეობასა. საცოდავი არის ის კაცი, რომელსაც ჰსურს ამ სიცოცხლის გატარება ხუმრობაში, სიცილში და თავის შექცევაში. იგი უსარგებლოდ ამძიმებს დედა მიწასა /ეპისკოპოსი გაბრიელი/.

საყვარელნო! ქართველი ერის წარსული ცხოვრების უტყუარი დამახასიათებელია სულისათვის ზრუნვა და ფიქრი ქრისტე იესოს მცნებათა მიხედვით ... გსურთ ამისი მაგალითები? გასულ კვირის განმავლობაში შესრულებული ჩვენი ეკლესიის მიერ ხსენება საქართველოს ეკლესიის დიდი წმიდანებისა, გვამღევეს მაგალითების უხვ მასალას. წარსულ ორშაბათს, 13 სექტემბერს, შევასრულეთ ხსენება წმიდისა დიდისა მოწამისა – დედოფლისა ქეთევანისა. გუშინ, 18 სექტემბერს, საღმრთო ლიტურდიის შესრულების ჟამს შევთხოვეთ შუამდგომლობა ჯვარცმულის ღვთისა წინაშე წმიდათა დიდთა მოწამეთა მთავართა ბიძინასა და ორთა ძმათა ქსნის ერისთავთა ელიზბარისა და შალვასი. მათი ამ დღეს ხსენებისა გამო ჩვენი, ჩვენი სამრევლო ეკლესიის მრევლისა და დღეს დაბეჭავებულის სრულიად ქართველი ერის ყოვლისაგან ჭირისა, რისხვისა და იწროებისაგან ხსნისათვის. მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყის კახეთის დედოფალი ქეთევანი, სპარსეთის მეფის აბბასის მიერ გაწვეული სპარსეთში, «ათი წელიწადი იყო საპატიმროში ... წმ. ქეთევანი ხედავდა, რომ და ბოლოს მას ელოდა წამება და ამიტომ წინდაწინვე ემზადებოდა, რომ გაბედულად აეტანა ყოველგვარი წამება ... სპარსელები ყოველივე ღონეს ხმარობდნენ, რომ ქეთევანს მიეღო მაჰმადის აღსარება ... ვერც უმაღლესი და უმცროსი მოხელეების თხოვნამ, ვერც სიმდიდრის აღთქმამ, ვერც ვერავითარმა შეწუხებამ და ვერც სპარსეთის დედოფლის გახდომის აღთქმამ ვერ იმოქმედეს ქეთევანზე იმდენად, რომ მას რაიმე ეთქვა ქრისტეს სარწმუნოების წინააღმდეგ ... წმიდა ქეთევანს დაუწყეს წვალება გახურებული რკინით ... ეს წამება უსაშინელესი იყო იმ წამებაზე, რომელსაც აყენებდნენ ხოლმე ქრისტეს აღმსარებელთ ქრისტიანობის პირველ საუკუნოებში. მწვალებლებმა სხვადასხვა გახურებული რკინის იარაღებით ისე დაგლიჯეს დედოფლის სხეული, რომ მის ტანზე ვერ ნახავდით უვნებელ ადგილს. შემდეგ შეუბრალებლად მოკლეს წმინდა დედოფალი. როცა დედოფალი ქეთევანი ცოტათი კიდევე სუნთქავდა, იმას გახურებული ქვაბი ჩამოაცვეს თავზე»... /ეპისკოპოსი ლეონიდი/.

«შაჰ-აბაზ მეორის ყურმოჭრილი მონა იყო ბიძინა, შალვა და ელიზბარის დროის ქართლის გამაჰმადიანებული მეფე შაჰნავაზი (ვახტანგი). ამ შინა გამცემმა შეუსრულა შაჰაბაზ მეორეს ბრძანება და სადიდებელი გმირები ბიძინა, შალვა და ელიზბარი ხელებშეკრულები გაუგზავნა მას სპარსეთში. წარჩინებულ ქრისტიანებს სპარსეთში მოსთხოვეს დაგმობა ქრისტეს სჯულისა და მიღება მაჰმადის სარწმუნოებისა ... ქრისტეს დიდებულმა მხედრებმა მტკიცე უარით უპასუხეს მტარვალებს. შემდეგ მრავალ გვარი სასტიკი ტანჯვა-წამებისა ჯალათებმა შალვას და ელიზბარს თავები წააჭრეს ბიძინას თვალთ წინ იმ მოსაზრებით, რომ ესეთი სანახაობა გავლენას იქონიებს ბიძინაზე და ადვილად დაგვეთანხმება ყორანის მიღებაზე. აგრამ ... ბიძინა უფრო გაბედულად აღიარებდა ქრისტე მაცხოვრის ღვთაებობას ... წმინდანს თითოეულად ააგლიჯეს ფრჩხილები ხელებზე და ფეხებზე; ამის შემდეგ თითო-თითოდ დასჭრეს თითები ხელ-ფეხზე, მერე მოჰკვეთეს მაჯები და ფეხები კოჭებამდე, მერე მკლავები და წვივები, მერე მხრები და ბარკლები და ასე ასო-ასოთ აკუწეს ბრწყინვალე მოწამე, რომელიც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მხურვალედ მადლობდა და აკურთხევდა ძე ღვთისას»... /ეპისკოპოსი ლეონიდი/.

აი, საყვარელო, მცირე და მოკლედ გადმოცემული ნიმუში იმისა, თუ წარსულში ჩვენ წინაპართ როგორ სცოდნიათ სულისათვის ზრუნვა და ფიქრი! კმარა ჩვენდა ნუგეშად, ამ უწყალო დროს «დიმიტრი თავდადებულის» ცხოვრებიდანაც გავიხსენოთ მცირე რამ, რომ «ეგებ გულს ჟანგი მოვაშოროთ კარგის ამბითა». აი, დიმიტრი თავდადებულის ზრუნვა და ფიქრი:

«მე მეფე ვარ და მეფობის  
რიგიც ვიცი რაში არი...  
ფუ, იმ მწყემსსა, თავს უშველოს,  
მგელს დაუგდოს თავის ცხვარი...  
არა! წავალ, არ დავდგები,  
დე, აღსრულდეს ნება ღვთისა,  
ხორცი მოკვდეს, სული ცხონდეს  
მეფის თქვენის დიმიტრისა».

აი, მღვდელმთავრის დარიგებაც:

მეფევ, უნდა თავი დასდო  
ერისა და ქვეყნისათვის,  
ღმერთს შესცოდავს, ვინც გამკიცხავს  
მე ამ მწარე რჩევისათვის.  
ვსტირ და გირჩევ თავ-განწირვას,  
რაკი რომ ეს დღე გვეწია, –  
მოყვასათავის თავ-დადება  
ქრისტე-ღმერთის ანდერძია.  
ვსტირ და გირჩევ ღვთის სახელით  
ხორცი დასთმო სულისათვის,  
უკვდავება არ დაჰკარგო  
წუთის-სოფლის გულისათვის!»...

აი, დიმიტრი მეფის უკანასკნელი ლოცვაც:

«მოსთქვამდა თუ: – «ღმერთო, ღმერთო!  
გთხოვ მიწყალო, შემიბრალო,

რაც გადამხდა, განკითხვის დღეს  
მადლად მე არ ჩამითვალო.  
მე არა გთხოვ, \_ მანდ წამება  
აქ წამებით შემიმცრო,  
მე გთხოვ, \_ სისხლი აქ დაღვრილი  
ჩემი სხვისთვის შეიწირო.  
ღმერთო, ღმერთო!... თვალ წინ მიდგა  
დიდ-ტანჯული მე ძე შენი...  
ვით ძით ყველა, ისე ჩემით  
ერი ჩემი დაიხსენი».

ამინ

41. «სიტყვა კვირიაკესა მეზვერისა და ფარისევლისა»... : [თავფურცელზე მითითებულია ორი თარიღი და წარმოთქმის ორი ადგილი: «1928 წ. , ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია. წარმოითქვას სიონის ტაძარში. კ.პ.კ. [კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე]. 1937 წ., 29 თებერვალი». ტექსტის ბოლოს: დეკ. დ. გარსიაშვილი». ხელნაწერი. 4 ფ.

†

ახლოვდება წმინდა დიდ-მარხვა, საყვარელო! დრო კაცთა მიერ ყოველი ხორციელი გულის-თქმის დათრგუნვისა, ყოველი სულიერი მოქალაქობის მოგებისა და ყოველისავე სათნოდ ღვთისა ზრახვისა და ქმნისა, რათა ჩვენ, მორწმუნენი საღმრთო წერილის სწავლისამებრ, ღირსეულად შევეგებნეთ ამ წმინდა დროს. დღეიდან წმინდა ეკლესია დედობრივი მზრუნველობით იწყებს ჩვენს მომზადებას. ამ მიზნით წაკითხულ იქმნა ქრისტეს იგავი მეზვერისა და ფარისევლისა. „ორნი კაცი, \_ სთქვა ქრისტემ, \_ შევიდა ტაძარში სალოცავად; ერთი იყო ფარისეველი, მეორე იყო მეზვერე. ფარისეველი წარდგა წინ ტაძრის თვალსაჩინო ადგილას, დაიწყო ლოცვა ამნაირად: ღმერთო, გმადლობ შენ, რომ მე არა ვარ ისეთი, როგორც სხვანი კაცნი-მტაცებელ, ცრუ, მემრუმე, ანდა როგორც ეს მეზვერეა. ვმარხულობ ორჯერ კვირაში და ჩემი ყოველი მონაგებიდან მეათედს შევწირავ ტაძრისა თუ სხვა საქველმოქმედო საქმისათვის. მეზვერე კი შორს, არათვალსაჩინო ადგილს იდგა და ვერ ჰბედავდა რა თვალეზე აღხილვად, იცემდა მკერდში და ამბობდა: „ღმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას!“ გეტყვით თქვენ, \_ დასძენს ქრისტე, \_ მეზვერე დაბრუნდა თავის სახლში გამართლებული, ვიდრე ფარისეველი იგი, რამეთუ „რომელმან აღიმადლოს თავი თვისი, დაჰმდაბლდეს და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“ /ლუკა XVIII, 10-14/.

ამ იგავით, საყვარელო, ზეცით მოვლინებული დიდებული მოძღვარი იესო ქრისტე განგვიმარტავს და გვასწავლის, რომ „ზვაობისაგან ყოველი საქმე ცუდ არს წინაშე ღვთისა, მხოლოდ სიმდაბლისა მიერ შენდობა ცოდვათა მოგვეცემის“. ამისათვის წმინდა ეკლესია, ერთგული მზრუნველი მორწმუნეთა ზნეობრივი აღზრდისა და გაწვრთნისათვის, ქრისტეს მიერ მოცემული მაგალითებით გვაფრთხილებს შემდეგნაირად: „ნუმცა ვილოცავთ ფარისევლებრ, ჰოი, მამანო, რამეთუ რომელმან აღიმადლოს თავი თვისი დამდაბლდეს;“ ხოლო „მეზვერისასა ღვთისადმი

ლმობიერად ვბაძვიდეთ და ვიტყოდეთ: „ღმერთო! მილხინე, ცოდვილსა ამას და შემიწყალე მე!“

მრავალფეროვნად ჰყავს მაცხოვარს ფარისეველი აგრეთვე მათი საქმენი დაგმობილი ... ეტყოდა იესო ერსა მას და მოწაფეთა თვისთა მათდა გასაფრთხილებლად... საქმეთა მათდაებრ (ფარისეველთა) ნუ იქმთო, რამეთუ იგინი ჰსთქვიან და არა ჰყვან ... ყოველსა საქმესა ... იქმან საჩვენებლად კაცთა. ... ვაი, თქვენდა მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო, რამეთუ მიმსგავსებულ ხართ სათვალავთა განგოზილთა \_ ანუ კირითა და ცარცით შელესილთა, რომელნი ჰსჩანეთ გარეშე შვენიერ, ხოლო შინაგან სავსე არიედ ძვლებითა მკვდართათა და ყოვლითა არაწმიდებითა. ეგრეცა თქვენს გარეშე სჩანთ წინაშე კაცთა მართალ, ხოლო სავსე ხართ ორგულებითა /მათე XXIII, 1, 3, 5, 27, 28/. საქმეთა ქმნაში ნუ იქმნებით ფარისეველთა მიმბაძველნი, იმიტომ, რომ ისინი იტყვიან, და არკი აკეთებენ; აგრეთვე ფარისეველი ყოველ საქმეს იქმოდენ მხოლოდ კაცთა საჩვენებლად...

მაგალითი მისცა უფალმან იესომ, დიდმა მოძღვარმა, მოწაფეთა თვისთა და მათით კაცობრიობას, რათა სიმაღლისაგან სიმდაბლე ისწავლონ: „არდაგი მოირტყა წელთა ზედა და ფერხნი დაჰბანა.“ ამნაირი მაგალითი მისცა მათ და უბრძანა: „უკეთუ მე დაგბანენ ფერხნი, უფალმან და მოძღვარმან და თქვენცა .... ურთიერთას დაბანად ფერხთა, რამეთუ სახე მიგეც თქვენ, რათა ვითარცა ესე მე გიყავთ თქვენ, ეგრეთვე თქვენცა ჰყოფდეთ

/იოანე XIII, 14-15/...

საყვარელნო! სოფლისა ამისა ზღვასა ფარისეველი იგი და მეზვერე ვიდოდეს: ერთი იგი ზვაობით დაინთქა, ხოლო მეზვერე ცხოვნდა კეთილად ცხოვრებითა სანატრელითა. ამ წმინდა ტაძარში უხილავად ჩვენს შორის მყოფ ღვთისა წინაშე დავგმობთ ფარისეველობა. „ვივლტოდეთ, ძმანო, ამპარტავნებისაგან და ვბაძვიდეთ შემუსვრილსა გონებასა მეზვერისასა, რათა მოგვცეს ჩვენცა შენდობა ცოდვათა სახიერმან“. „ღმერთო! მოწყალე მეყავ მე ცოდვილსა!“

ამინ

42. «სიტყვა 25-ე კვირიაკესა ზედა... ქრისტესაგან თქმული იგავი მოწყალე სამარიტელზე». თარიღი მითითებული არ არის. ხელნაწერი. ტექსტი დაზიანებულია.

ბოლო

ნაწილი

აკლია.

4 ფ.

იხ. ქადაგება № 43.

43. «კვირიაკესა 25-ე... შევისწავლოთ მახარებელ ლუკას სახარებიდან წაკითხული იგავი მოწყალე სამარიტელზე»: [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1927 წ., 19 დეკემბერი. ხელნაწერი. ტექსტი ჩასწორებულია.

4 ფ.

†

ვინმე სჯულის მეცნიერი, გამოცდიდა რა იესოს, შეეკითხა: მოძღვარ! რა ვქნა, რომ ცხოვრება საუკუნო დავიმკვიდრო? მოძღვარმა თავის მხრივ სჯულის მეცნიერს



შეკითხვა მისცა: სჯულში როგორ ამოგიკითხავს? სჯულის მეცნიერმა უპასუხა: შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, და ყოვლითა სულითა შენითა, და ყოვლითა ძალითა შენითა, და ყოვლითა გონებითა შენითა, და მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი; უთხრა მან იესომ: მართალი მომიგე, მაგნაირათ იმოქმედე და იცხოვრებ. უნდოდა რა თავის გამართლება, სჯულის მცოდნემ ახალი შეკითხვა მისცა იესოს: და ვინ არის მოყვასი ჩემი? დასმული კითხვა იესომ იგავით განუმარტა: ვინმე კაცი მიდიოდა ქ. იერუსალიმიდან ქ. ურიქონში, გზაში დაეცნენ მას ავაზაკები, გასცარცვეს იგი, დასჭრეს, დასტოვეს დაკოდილი და წავიდნენ. შემთხვევით იმ გზით მღვდელმა გაიარა; მან ნახა ტანჯვაში მყოფი დაკოდილი თვისტომი და წინ გაუარა. ტაძრის მსახური ლევიტელიც იმავე ადგილს მივიდა, ნახა დაკოდილი თვისტომი და მღვდლის მზგავსად წინ გაუარა, მერმე ვინმე სამარიტელსაც მოუხდა იმ გზით გავლა. იგი მოვიდა მასვე ადგილსა, ნახა უმწეოდ მყოფი, დაკოდილი უცხო ტომისა და შეებრაღა, შეუხვია წყლული, დაასხა ზეთი და ღვინო და დასვა კარაულსა თვისსა და მიიყვანა იგი მგზავრთა სადგურში და იქ საჭირო დახმარება აღმოუჩინა. მეორე დღეს წასვლისას, სამარიტელმა მგზავრთა სადგურის მეპატრონეს დაუტოვა საკმაო ოქროს ფული და უთხრა მას: უპატრონე დაკოდილს და თუ რამე უმეტეს წარაგებ მის წამლობაში, როდესაც დავბრუნდები, მოგცემო. როგორ გგონია შენ, \_ ჰკითხა მოძღვარმა იესომ სჯულის მეცნიერს, ამ სამთაგანში რომელი იყო მოყვასი ავაზაკთა ხელში ჩავარდნილისათვის? მან მიუგო: ის, რომელმაც შეიბრაღა დაკოდილიო. მაშინ იესომ უთხრა მას: ვიდოდე და ჰყოფდე შენც ეგრევე /ლუკა X, 25,37/.

ამ მშვენიერი შინაარსის იგავიდან ვცანით, საყვარელნო, რომ არც მღვდელმა, არც ლევიტელმა არ გამოიჩინეს მოყვასური სიყვარული ავაზაკთაგან დაჭრილის და გზაზედ მიგდებულის კაცისადმი. ურიათაგან შეურაცხყოფილმა და მოძულეებულმა უცხო ტომის კაცმა, სამარიტელმა იხსნა იგი სიკვდილისაგან. სამარიტელის მოქმედება მტკიცე საფუძველია სახარებისა. ქრისტე იესომ თვის მოძღვრებას თავიდანვე მოწყალეების ქმნა დაურთო სარჩულად. მოწყალეების გაცემა ჯერ ისევ ქრისტეს წინამორბედმა და ნათლისმცემელმა იოანემ მდინარე იორდანეს ნაპირებზე ჰქადაგა ყველასათვის გასაგონა: “ჰკითხვიდეს მას ერი იგი და ეტყოდეს: და რაიმე უკვე ვჰყოთ? იოანე მიუგებდა მათ: რომელსა აქვნიდეს ორი სამოსელი, მიეცინ რომელსა არა აქვნიდეს, და საზრდელიცა ეგრეთვე მსგავსად ჰყავნ” /ლუკა III, 10, 12/. ქრისტეს დავალება: “ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ” /მათე V, 7/ და კიდევ: “იყვენით თქვენ მოწყალენი, ვითარცა მამა თქვენი მოწყალე არს” /ლუკა VI, 36/. ქრისტემ კაცთათვის ეს სიტყვიერად თქმული მიზანი საქმით განამართლა. რომ ეს ასეა, ეპისკოპოსი გაბრიელი განმარტავს, თუ სამარიტელის პიროვნება ვისი განსახიერებაა: მოწყალე სამარიტელი ნიშნავს თვით უფალსა ჩვენსა და მაცხოვარსა, ხოლო კაცი დაჭრილი და გზაზე მიგდებული ნიშნავს მთელ კაცობრივ ნათესავსა. მდგომარეობა კაცობრივ ნათესავისა მაცხოვრის სოფლად მოსვლის წინ იყო ნამდვილ მზგავსი იმ კაცისა, რომელიც ავაზაკთაგან იქმნა შეპყრობილი და დაწყლულებული. კაცი შთავარდნილი იყო სულიერთა ავაზაკთა ხელში, რომელნიც არიან ეშმაკნი და ყოველნი ნაყოფნი ეშმაკისანი: ცოდვა, ვნება, ხრწნილება სულიერი და სიკვდილი. ამ ურიცხ მტერთა იმდენად სტანჯეს, დასჭრეს და ავნეს კაცი, რომ იგი ძლივს-და იყო ცოცხალი; ხოლო შემდეგ მკურნალი არავინ ჰყვანდა მას. არც მღვდელნი, არც ლევიტელნი, არც სხვა ვინმე იყო მისი მფარველი და შემწე. ისრაელთა ჰყვანდათ მღვდელნი და ლევიტელნი მრავალნი, მაგრამ სულიერი მათი მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა; ეგრეთვე წარმართთა ჰყვანდათ მრავალნი მღვდელნი, ჰქონდათ

ურიცხვი კერპნი; მაგრამ იგინი უარესად ჰრყენიდნენ და აფუჭებდნენ მათ. მოკლედ კაცი იყო სულიერად მომკდარი, ვნებული, თითქმის მკვდარი, გზაზედ მდებარე და აჰა \_ მოვიდა ქვეყნად სამარიტელი მოწყალე უფალი იესო. მან იხილა კაცი საშინელ მდგომარეობაში; შემოესმა ტირილი და ოხვრა მისი; იგი უკან კი არ დაბრუნდა, როგორც მღვდელი და ლევიტელი, თუმცა მან იცოდა, რომ ეს გზა არის საშიში, რომ ეს გზა მიიყვანს მას გოლგოთამდე. მაინც იგი მიეახლა დავრდომილსა მას, შეუხვია წყლულებანი, სცხო ზეთი სიტყვისა და ნუგეშინის \_ ცემისა, რათა დაუღბოს სიმწარე მისთა წყლულებათა; მან დაასხა მას ღვინო ქადაგებისა და მადლისა თვისისა, რათა განამტკიცოს დაღონებული და დასუსტებული ცოდვათა და სულიერთა საღმობათაგან გული მისი. ეს გვიყო ჩვენ მოწყალე სამარიტელმა. იგი მოვიდა ჩვენ განსანათლებლად და განსაკურნებლად, თუცა ჩვენ არ ვიყავით ღირსნი მისი მოწყალებისა. მან წინადვე იცოდა, რომ ეს გზა აიყვანს მას ჯვარზე, მაგრამ მისმა სიყვარულმა და მოწყალებამ მოიყვანა იგი იმ გზაზე. აი, რანაირია სიყვარული მისი ჩვენდამი! მან მაშინ გამოგვიხსნა, როდესაც ჩვენ ვიყავით მისი მტერნი და მოძულენი. რასა გვთხოვს ჩვენ მაცხოვარი ნაცვლად ამა ყოველთა? ითხოვს მხოლოდ იმას, რათა გვექონდეს ჩვენ ურთიერთ სიყვარული და ერთობა; ამას მოითხოვს ჩვენი ბედნიერებისათვის და არა თავისა თვისისათვის. ხოლო ჩვენ კი ხშირად გვავიწყდება მისი სწავლა და მცნება, ხშირად ვემტერებით ერთმანეთს და ვაწუხებთ ერთმანეთსა. მაგრამ ვისაც სურს აღსრულება მისი მცნებისა, იმას ყოველთვის ახსოვს, რომ ყოველი კაცი არის მისი მოყვასი, ხოლო უმეტესად კაცი გაჭირვებული და უბედური /იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი/.

ამინ

44. «სიტყვა კვირიაკესა ყველიერისას»: [სიონის ტაძარში წარმოთქმული ქადაგება]. 1928 წ., 23 თებერვალი. თავფურცელზე: «1928 წლის 24 თებერვალს წარმოითქვას. კ.პ. ქრისტეფორე». ხელნაწერი. ტექსტის ბოლოს: «დეკ. დ. გარსიაშვილი. ქ. ტფილისი. სიონის ტაძარი». 6 ფ.

†

განვლეთ, საყვარელნო, წმიდა დიდ-მარხვის ღირსეულად შეგებებისათვის მართლმადიდებელ ეკლესიის მიერ უძველეს დროიდან დაწესებული მომზადებითი ხასიათის კვირიაკენი: მეზვერისა და ფარისევლისა, უძღვების შვილისა და ხორციელისა; და აი მეოთხე ასეთივე თვისების დღევანდელი კვირიაკე ყველიერისაც-კარი, და შესავალი ბჭე წმიდათა მარხვათა. ხვალიდან იწყება შვიდ-კვირეული ჟამი სინანულისა და შეცოდებათა განწმედისა, ჟამი და საბაბი სულიერთა შრომათა, ძლევა ვნებათა და ეშმაკთა ბოროტთა.

ჭეშმარიტად, ჩვენ, კაცთა, გვმართებს სინანული და შეცოდებათაგან განწმედა, ვინაიდგან, გამოცდილებისა და საღმრთო წერილის სწავლით, “ცოდვათა შინა შობილი ვართ? საღმრთო წერილისავე სწავლით: “არა არს კაცი, რომელი სცხონდეს, და არა სცოდოს” ... მხოლოდ ერთი ღმერთია “უცხო ყოვლისაგან ცოდვისა”... ამ ქვეყნად მოვლინებული კაცი კი დედის მუცელიდანვე ცოდვილია; იბადება იგი კაცობრიობის წარმომშობთა პირველ კაცთა, მამათმთავრებად წოდებულთა, ადამ და ევას მიერ ქმნილ შეცოდებათა თანდაყოლით. ამიტომაც ამ აზრის შემთვისებელი

ფსალმუნთ-მგალობელი მეფე დავით წინასწარმეტყველიც გალობს და ღვთის მავედრებელთაც აგალობებს: “რამეთუ ესე რა უსჯულობათა შინა მიუდგა, და ცოდვათა შინა მშვა მე დედამან ჩემმან” /ფს. 50, მუხ. 5/. უბადრუკთა ადამ და ევამ, ედემისა მთავრად დადგინებულთა და ზეცისა ძალთა მოდარეთა და თანადგომათა, საღმრთონი მცნებანი ურჩობით დაარღვიეს, კვართი ღვთივ მოქსოვილი განიცარცვეს და, ნიშნად მათი ღვთის მიერ დასჯისა, ნაცვლად შემოსილ იქმნენ “ლელვისა ფურცლითა და ტყავისა შესამოსლითა”. და აი, ადამ და ევას “ზაკვითა ბოროტითა” ურჩობამ მათი დაცემა წარმოშვა; ხოლო მათ დაცემას მოჰყვა წყევა პირველი; წყევამან პირველმან კი ხატად ღვთისა, პირველმეტყველად, სულითა ცხოველითა და მეფედ ყოვლისა ქვეყანისა დაბადებულის ადამის ბუნება მოაუძღურა; და ბედნიერ ცხოვრების დამკარგავმა ადამმა: ვერღარა სადა იხილა საშვებელი სამოთხისა”. დიდებულ ედემიდან გამოვარდნილს კაცობრიობის მშობელს თვალთა წინაშე აიყუდა შავად გამომცქერი მაღალი სვეტი უღმრთელ და საშინელ სიკვდილისა შემდეგი ზედ წარწერით: “ვიდრემდის მოჰკვდებოდე და მიწისაგან შობილი მიწადვე მიიქცევდე, მწარე ოფლითა სჭამდე პურსა” ... მძიმე იყო ასეთი განაჩენი ღვთისა სამოთხეში ბედნიერ ცხოვრებას ჩვეულ პირველი კაცისათვის. სიკვდილის საშინელებამ ადამის აზრი, ჯერ კიდევ სრულად არ დაბნელებული, მხოლოდ დროებით მიყუჩებული, გამოაფხიზლა და ამოქმედა. ასეთმა აზრმა მამათ-მთავრის გულის-თქმა, მზაკვარ-მტრის მიერ, დამონებული, ადამისავე სასტიკ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა, მას გულითადი სინანული დაუბადა, კვლავ აღდგენის გულს იმედი ჩაუსახა და მზადებელის მიერ აღთქმულ ქალწულისაგან მომავალ მაცხოვრის გამოხსნით. თვით ბუნებასაც შეეწყალა გული ხმაში შთავარდნილი თვისი გვირგვინოსანი მეფე. ამის გამო დღეს, ადამის დაცემის გახსენების ჟამს, წმ. ეკლესია გალობს: “მზემან ნათელი თვისი ბნელად შეჰსცვალა, და ბორცვნი შეძრწუნებულ – იქმნეს, და ყოველივე დაბადებულნი იგლოვდეს”, ... ხოლო ადამი იჯდა წინაშე სამოთხესა საშვებელისასა და შიშვლებასა თვისსა სტიროდა და ჰგოდებდა მდულარითა ცრემლითა, და ესრეთ იტყოდა: “ვაჰმე, უბადრუკსა, რაილა შემემთხვა! ჰოი, სამოთხეო, ვერღარა სადა ვითხოვო მე საშველებელი შენი, და ვერღარა სადა მივხდე მე პირსა უფლისა დამზადებელისა ჩემისასა, არამედ მიწადვე მივიქცე ვინაცა დავიბადე. მოწყალეო, შემეწყალე შეცოდებული ესე და დაცემული”!

ამნაირად, ქრისტეს მოყვარენო, ზემომონაწერიდან სჩანს, რომ სათავი სინანულისა ადამ და ევას გულში სამოთხის კარის-ბეჭისთანავე დაიდვა. და შემდეგ, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, დღიდან ადამ და ევას დაცემისა ქრისტეს მოსვლამდე, მორწმუნეთა სინანული იყო ნამდვილი გამომხატველი მათ მიერ ღვთის აღიარებისა და რწმენისა. სინანული, ლოცვასა და მარხვაში ჩაწულ-ჩაქსოვილი, შეიქმნა მორწმუნეთათვის ზეციურ გამჩენისაკენ მიმავალ გზად და ხიდად. ღვთის მიერ შეწირული: “აბელის ძღვენი, ნოეს მსხვერპლი, მოსეს და არონის ძღველობანი, სამოელის დასამშვიდებელნი” /ლიტურდია ვასილი დიდისა/. გამომხატველია ძველი აღთქმის დროის მორწმუნეთა გულითადი სინანულისა. სინანულით, ზნეობრივი ცხოვრებით, ბეჯითი და ხალისიანი ლოცვითა და მარხვით და მაცხოვრის მოსვლის იმედიანი მოლოდინით სცხონდნენ ძველი აღთქმის მამათ-მთავარნი, წინასწარმეტყველნი, მსაჯულნი, კეთილმსახურნი მეფენი და მრავალნი სხვანი, რომელთა სახელები უწყის მხოლოდ გულთა-მხილავმა გამჩენელმა ღმერთმა. დასამტკიცებლად და ნათელ საყოფად ამ აზრისა, დავასახელოთ მაგალითები: მშობელთა და ძმათა უზომოთ მოყვარული, “კეთილ სახითა და შვენიერ ხილვითა ფრიად,” იოსები, “უმანკოებითა ცნობილ მამათ-მთავარ იაკობის” ერთი

ათორმეტყველთაგანი მე, ეგვიპტეში მონობის ჟამს სინანულითა, ლოცვითა და მარხვით შეიქმნა მძლეველი, უკუმგდებელი და არა მსმენელი თვისი ბატონის ცოლის, “უსჯულოისა დედაკაცის”, ბილწი წინადადებისა: ... იოსებმა თვისი სამაგალითო ღრმა ზნეობრივი პასუხით: “რამეთუ ცოლი ხარ მისი /ბატონისა/, და ვითარ ვქმნა ბოროტი ესე სიტყვა, და ვსცოდო წინაშე ღვთისა” /დაბ. წ. I მოსესი XXXIX, 7 და 9/. – “ქალწულობა დაიცვა”; სინანულით, ლოცვით და მარხვით ძველი აღთქმის სჯულ-მდებელი დიდი წინასწარმეტყველი მოსე, ათი მცნების მიღების დროს, “მთასა მას სინასა გამორჩენ ღვთის- მხილველად, და იქმნა თანამზრახველი მისი, და ხმა მისი უხილავი შეიწყნარა”...

ურიათა მეფემ დავით წინასწარმეტყველმა და ფსალმუნთ-მგალობელმა სიმშვიდითა, სინანულითა, მარხვითა და ფსალმუნთა გალობითა “ოდესმე ძლევა მიიღო უცხო თესლზედა და მეფობაი ჰპოვა”, და ხორციელ “მამა ღვთისა” წოდებულად შეიქმნა; სინანულითა, მარხვითა და ლოცვითა ისრაელთა დიდი წინასწარმეტყველი “ილია ეტლითა ცეცხლისათა ზეცას აღტაცებულ იქმნა;” ექვსი საუკუნით ადრე მაცხოვრის ქრისტე იესოს ქალწულისაგან განხორციელების წინასწარმეტყველმა, ურიასტანის დიდმა და ბრძენმან ისაიამ “მარხვითა ოდესმე ნაკვერცხალი მარწუხითა მივის და ბაგეთა თვისთა შეიხო”... ბაბილონის ტყვეობასა შინა მყოფმა ურიასტანის დიდმა წინასწარმეტყველმა დანიილმა, ილოცა და იმარხულა რა, “ღვაწნი ლომთანი აღუკრნა;” ხოლო ამავე საშვალებით დანიილის მეგობრებმა, “სამთა ყრმათა სახმილი ცეცხლისა დაჰშრიტეს”. წინასწარმეტყველმა “მონამ, მუცელსა შინა ვეშაპისასა რა იყო, პატიოსანი მარხვა გამოჰსახა ოდესმე” და, მისი ქადაგების ზე გავლენით, ნინეველთა უკვე რისხვა ღვთისა უკუნ აქციეს მხურვალითა სინანულითა და სიყვარულითა” ... და ბოლოს, სინანულის სარბიელზე “იობისი მხნეობა” ხომ ყველასათვის განსაცვიფრებელი და მისაბაძია.

და ესრეთ, მორწმუნენო, ღმერთმან დამბადებელმან, მოწყალემან, სახიერმან და კაცთმოყვარემან არა შეურაცხ-ჰყო ძველი აღთქმის ცოდვილნი მორწმუნენი, მიუხედავთ მათი დაცემისა, არამედ მისცა მათ სიბრძნე და გულის-ხმის ყოფა და განუწერა საცხოვრებელად სინანული, მოსეს მიერ მოცემულ სჯულით განმარტებული და განტკიცებული.

დღიდან მამამთავარ ადამის დაცემისა, დიდი და წმიდა წიგნის, დაბადებად წოდებულის; მოწმობითა, 5508 წლის შემდეგ, მოიწია ახალმა დრომ, და “აღსრულდა სიტყვა იგი უფლისა პირითა წინასწარმეტყველისათა თქმული” /მათე I, 22/: “ქალწული მიუდგა და ბეთლემსა შინა ურიასტანისასა ჰშვა ძე, სამოთხესა საშვებელისასა” ღვთის მიერ აღთქმული “თესლი დედაკაცისა”, ქვეყანასა ზედა ბოროტების თავის შემმუსვრელი ემმანუილი, ღვთის დიდებისა, მშვიდობისა, სიყვარულისა და სათნოების ღვთაებრივი მქადაგებელი, მაცხოვარი ქრისტე იესო, “ტარიგი ღვთისა, რომელმან აღიხვნეს ცოდვანი სოფლისანი” /იოანე I, 29/ და რომელმან “იხსნეს ერი თვისი ცოდვათა მათთაგან” /მათე I, 21/.

და აჰა კიდენი მდინარე იორდანისაც უდაბნოსა ურიასტანისასა და მათზედ მდგომი “კაცი, მოვლინებული ღვთისა მიერ” /იოანე I, 6/ მართალთა და უბიწოთა მშობელთაგან, თავი წინასწარმეტყველთა, პატიოსანი და დიდებული წინამორბედი და ნათლისმცემელი იოანე, “უფროსი შობილთა შორის დედათასა” /ლუკა VII, 28/, “სანთელი დიდისა ნათლისა”, “ქრისტესთვის წამებული”, “მოძღვარი და ხმა მაღალი ქადაგი”, სიყრმიდამვე ქვეყნიურ ამაო ცხოვრებას განშორებული, სასტიკი მარხვითა და დაუცხრომელი ლოცვით ურიასტანის “უდაბნოსა შინა კეთილ აღზრდილი” და გამობრძმედილი, ანგელოსთა თანა მობაასე და მზრახველი: შემოსილი, თმისაგან

აქლემისა, და სარტყელი ტყავისა წელთა მისთა, რომლის საზრდელად იყო მკალი და თაფლი ველური

/მათე III, 4/; “მოსრული ქადაგებად: შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა” ... “განმზადდენით გზანი უფლისანი, და წრფელ ჰყვენით ალაგნი მისნი” ... ჰყავთ უკვე ნაყოფი, ღირსი სინანულისა”... რამეთუ აქვე ესერა ცული ძირთა ტანა ხეთასა ჰსმეს, ყოველმან ხემან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკვეთოს და ცეცხლსა დაედვას” /მათე III, 2, 3, 8, 10/.

ამ სახით, საყვარელნო, ძირითად აზრს “წინასწარმეტყველთა უმაღლესის”, “სულითა რჩეულის”, “ბერწისა ელისაბედის საშოსგან გამობრწყინებულის” ქრისტეს წინამორბედის იოანეს ქადაგებისას შეადგენდა იგივე ძველი აღთქმის სჯულის მიერ ნამოდვრევი ლოცვითა და მარხვითა “შენანება ცოდვათა” ... ხოლო მოითხოვდა იოანე “შენანებას ცოდვათა” არა ცარიელი სიტყვით, მზგავსად ფარისეველთა და სადუკველთა, არამედ კეთილთა საქმეთა ქმნით, მადლის გაცემით. აი, ამის შესახებ ხმა მღალადებელისა უდაბნოსა: “ნაშობნო იქედნეთანო! ვინ გიჩვენა თქვენ სივლტოლაი მერმისა მისგან რისხვისა? ჰყავთ უკვე ნაყოფი, ღირსი სინანულისა” /მათე III, 48/ “რომელსა აქვდეს ორი სამოსელი, მიეცინ რომელსა არა აქვდეს, და საზრდელიცა ეგრეთვე ჰმზგავსად ჰყავნ”... “ნურა რას უფროს განწესებულისა თქვენისა თქმით” ... “ნუ ვის აჭირვებთ, ნუცა ცილსა შეჰსწამებთ, და კმა გეყავნ როჭიკი თქვენი?”... /ლუკა III, 11,13, 14/.

ხოლო იესო, ნაზარეთში მცხოვრებ ხურო იოსების მამობრივი მზრუნველობის ქვეშ ხორციელად მყოფი, ოცდაათი წლის განმავლობაში აღორძინდა და განმტკიცდა სულითა, აღივსო სიბრძნითა, და წარემატა ჰასაკითა და მადლითა წინაშე ღვთისა და კაცთა /ლუკა II, 41,53/. “მაშინ მოვიდა იესო გალილიათ იორდანედ იოანესა ნათლის-ღებად მისგან /მათე III, 19/ და ნათელ იღო იესო“ ... /მათე .III, 16/ \_ იოანესაგან ნათელ-ღებული იესო აღვიდა “უდაბნოდ ... და იმარხა ორმეოცი დღე და ორმოცი ღამე” ... /მათე IV, 1,2/. ლოცვითა და მარხულებითა ჰსძლია აქ იესომ გამომცდელი ეშმაკი. უდაბნოდან “მოვიდა იესო გალილიად, ჰქადაგებდა სახარებასა სასუფეველისა ღვთისასა და იტყოდა: ვითარმედ აღსრულებულ-არს ჟამი, და მოახლებულ-არს სასუფეველი ღვთისა; შეინანეთ და გრწმენინ სახარებისა” /მარკოზი, I, 14,15/.

აი, ცოდვათა შენანების მიმდევარნო, მიზანი ქრისტეს ამ ქვეყნად მოსვლისა. ქრისტე იესომ საქადაგებლად გამოსვლის პირველ დღიდანვე თვისი ღვთაებრივი ავტორიტეტით დაადასტურა და კაცთათვის ... აღიარა წინამორბედის იოანეს ნამოდვრევი იორდანეს ნაპირებზე: “შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა” /მათე III, 2/ მან ასევე დაადასტურა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა სიტყვანიც. ამის დასამტკიცებლად აი ქრისტეს სწავლა მთიდან თქმული წინაშე მოწაფეთა და მრავალ ერისა: “ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დაჰხსნად ჰსჯულისა, გინა წინასწარმეტყველთა; არა მოვედ დახსნად, არამედ აღსრულებად. ამინ გეტყვით თქვენ, ვიდრემდე წარჰხდეს ცა და ქვეყანა, იოტა ერთი, გინა რქა ერთი არა წარჰხდეს ჰსჯულისაგან და წინასწარმეტყველთა, ვიდრემდის ყოველივე იქმნეს. უკეთუ ვინმე დაჰხსნას ერთი მცნებათა ამათგანი უმცირესთა, და ასწავოს ესრეთ კაცთა, უმცირეს ეწოდოს მას სასუფეველსა ცათასა; ხოლო რომელმან ჰყოს და ასწავოს, ამას დიდ ერქვას სასუფეველსა ცათასა” /მათე IV, 17,18,19/. იქმნებ ვისმეს თქვენგანს, საყვარელნო, დაებადოს აზრი: ჰსჯული ხომ იყო მოსესა და წინასწარმეტყველთაგან მოცემული, და მასში სინანულსაც საპატიო ადგილი ეჭირა, მაშ, რალა იყო ძე ღვთის-ჩვენთვის, კაცთათვის, და ჩვენისა ცხოვრებისათვის

გარდამოსვლა ზეცით და ხორცთ შესხმა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა და განკაცება? ჰო, ცნობის მოყვარენო, ჰსჯული იყო მოცემული ძველ-თაგან სული წმიდის მიერ ნაკარნახევი და მით ძველი დროის მორწმუნენი კიდევ ხელმძღვანელობდნენ; მაგრამ ჰსჯული ძველი დროისა არ იყო სრული, მას აკლდა ცხოველი, ნაყოფის გამომღები ღვთაებრივი ძალი. მაშასადამე, ძველი დროის სინანულიც, როგორც ნაწილი ამ დროის მთლიან სჯულისა, არ იყო სრული; მასაც აკლდა იგივე ნათქვამი ძალი. და ეს ძალია ზეციდან მონაბერი ღვთაებრივი “მადლი და ჭემმარიტება”, რომლის მოცემა ვერ შესძლეს ძველი დროის რჩეულთა, მიუხედავად მათი მაღალი გონებისა, მტკიცე და წრფელი სულისა და თბილი და წმინდა გულისა. მადლი მოსცა და ჭემმარიტება ჰსწამა მხოლოდ ქრისტემ თვისი კაცთა შორის მყოფობის დროს სიტყვით, და საქმით და გოლგოთაზე ჯვარცმით. ამას ჰმოწმობს სიტყვანი მახარებელი იოანესი: “რამეთუ ჰსჯული მოსესგან მოეცა; ხოლო მადლი და ჭემმარიტება ქრისტე იესოს მიერ იქმნა” /იოანე I,17/. ამას ჰმოწმობს თვით ქვეყნიური ცხოვრება ქრისტეს იესოსი, მისი სწავლა-სახარებად წოდებული მის მიერ დაწესებული მადლის მომცემი, საიდუმლონი სინანულისა, ზიარებისა და დანარჩენი საიდუმლონი. მხოლოდ მადლის ქმნით შეიძლება, საყვარელნო, ჭემმარიტების გზის გაკვლევა გაშუქება და კაცის ამ ქვეყანად მოკლე ხნით მოვლინების მიზნის ახსნა. ხოლოდ კეთილთა საქმეთა თესვით შესაძლებელია მონანიება ცოდვათა და “მოახლოვებული სასუფეველის” დამკვიდრება. მხოლოდ ურთ-ერთის შეწყნარებით და, დღევანდელი სახარების თქმით, შეცოდებათა მიტევებით შესაძლებელია ღვთის დიდება, ქვეყანასა ზედა მშვიდობის დამყარება და კაცთა შორის სათნოების განმტკიცება. მხოლოდ ამნაირი ცხოვრებით შესაძლებელია ადამ და ევასაგან, და მათ სახით კაცობრიობისაგან დამსახურებული “წყევლისა პირველისა განქარვება, სიკვდილის დათრგუნვა და ჩვენი განცხოველება”.

სინანულისა, მარხვისა და ლოცვის მოტრფიალენო! ხვალიდან “ჟამი არს ესე ჩვენებად ნაყოფთა ღირსთა სინანულისათა. ვიწყით მარხვად მხურვალითა გულითა და ვისწრაფით ვედრებით ღვთისა მიმართ. მარხვითა და ლოცვითა და ცრემლთა ღვრითა შევსთხოვით მხსნელსა შენდობა აურაცხელთა ცოდვათა ჩვენთა. განვიწმინდეთ თავნი ჩვენნი და განვიოხოთ გულთაგან ჩვენთა შური და ხდომა, მტერობა და ბრძოლა ცუდ-დიდებობა და ზაკვა ფარული, რათა წმიდა აღდგომა ქრისტესი განათლებულთა ვიხილოთ და თაყვანის-ვსცეთ”.

ამინ

45. «სიტყვა მე-5-ე კვირიაკესა წმ. დიდმარხვისა»... : [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1928 წ. , 19 იანვარი. ხელნაწერი. ტექსტი ჩასწორებულია. ტექსტის ბოლოს: «დეკ. დ. გარსიაშვილი». 4 ფ.

†

დღეს მეხუთე კვირიაკესა წმიდა დიდ-მარხვისა, საყვარელნო! ილევა დიდ-მარხვა. ჩქარის ნაბიჯით ვუახლოვდებით ქრისტეს წმიდათა ვნებათა, ჯვარცმასა, დაფვლასა და მესამესა დღესა ბრწყინვალედ მკვდრეთით აღდგომასა. წმიდა ეკლესია თვისი საგალობლებით და საკითხავების შინაარსით. აწ უკვე იწყებს მორწმუნეთა მზადებას, რათა ღირსეულად, სათანადო პატივისცემით, მტკიცე და ურყევი რწმენით და

შეგნებით მივეგებნეთ კაცთა ხსნისათვის ჯერ კიდევ ქვეყნის გაჩენამდე ქრისტეს მიერ ნებსით ნატვირთევ ტანჯვა-წამებათა და სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვას დაფლავსა შინათა მყოფთა ცხოვრების მინიჭებას. ამას გაგვახსენებს დღევანდელი სახარების შინაარსი.

ქრისტე და მისი ათთორ-მეტნი მოწაფენი გაუდგნენ იერუსალიმის გზას, – ვკითხულობთ მახარებელ მარკოზის სახარებაში. იესო წინ მიუძღოდა თვისთა მოციქულთა, რომელთაც უკვირდათ თამამი და გაბედული საქციელი მოძღვრისა, იცოდნენ რა მათ ქრისტესადმი მტრული განწყობილება იერუსალიმში მცხოვრებ მღვდელ მთავართა, მწიგნობართა, მოხუცებულთა და ფარისეველთა; თუმცა კი როგორ ჩამოყალიბდებოდა მტერთა ასეთი განწყობილება ქრისტესადმი, მათ ვერ წარმოედგინათ; მხოლოდ მიხვედრილნი კი იყვნენ, რომ იერუსალიმში რაღაც არა ჩვეულებრივი, საშინელება უნდა ... დატრიალებულიყო. მოწაფენი მისდევდნენ ღვთაებრივ მასწავლებელს, მაგრამ ეშინოდათ კი. გულთამხილავმა მოძღვარმა გულის-ხმა ჰყო ზრახვანი მოწაფეთა, მოუწოდა ათთორ-მეტთა და უამბო მათ ის, რაც მას ახლო მომავალში უნდა შემთხვეოდა მტერთაგან იერუსალიმში. აი, ჩვენ მივემართებით იერუსალიმს, სადაც მე კაცისა მიეცემა მღვდელ მთავართა და მწიგნობართა, და იქ მას გადაუწყვეტენ სიკვდილს, და მისცემენ მას წარმართთა, გაჰკიცხავენ მას, ჰსტანჯავენ, შეჰწერწყვენ მას, მოჰკვლენ მას, და მესამესა დღესა აღსდგეს /მარკოზი X, 32-34/

ამნაირად, მსმენელებო, მაცხოვარმა მტკიცედ და დაწვრილებით გამოუცხადა მოწაფეთა თვისთა ყოველივე, რაიცა მას იერუსალიმში უნდა თავს გადაჰხდოდა, რათა, როდესაც ნახავდნენ იგინი მისსა ტანჯვასა, არ შერყეულიყო მოძღვარისადმი მათი რწმენა.

დღეს ჩვენც, საყვარელო, ამავე მიზნით გაგვახსენა წმიდა ეკლესიამ სახარებიდან ეს სწავლა ქრისტესი, რათა ამ დღიდანვე ვიწყოთ ფიქრი ქრისტეს ვნებათა შესახებ ჩვენი სულის დამწყსნისა, სარგებლობისა და შეურყევლობისათვის. დღეს სახარების სწავლის უარის მყოფელნი ბეჯითად და მრავლად დარაზმულნი გამოდიან, რათა მორწმუნეთა გულში რყევა დაჰბადონ და ქრისტეს და მის მომავლინებელ მამა ღვთისადმი რწმენის ნაცვლად გულში ურწმუნოება ჩაუსახონ და განუმტკიცონ და მშვიდი სულიერი მდგომარეობა დაურღვიონ. მაგრამ ჩვენ, სახარების სწავლის მიმდევარნი, ნუ მოვექცევით მათ ყალბ აზრთა გავლენის ქვეშ. “ნუ შეჰსძრწუნდებიან გულნი ჩვენნი; გვრწამდეს ღმერთი და გვრწამდეს მის მიერ ქვეყნად კაცთათვის გზის საჩვენებლად და ჭემმარიტების და ცხოვრების საიდუმლოების ასახსნელად მოვლინებული ქრისტე იესო: “მე ვარ გზა, და მე ვარ ჭემმარიტება და ცხოვრება; არა ვინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ” /იოანე XIV, 1, 6/. ჩვენდა გასამხნეველად ხშირად მოვიგონებდეთ ამ ანდერძს ქრისტესისას, გამოთხოვების მის მიერ თქმულს მოწაფეთა და მათი სახით შემდგომ მორწმუნეთადმი. გვახსოვდეს, რომ მხოლოდ ქრისტეს სწავლას ამხსნელი ჭემმარიტებისა და ცხოვრების საიდუმლოებისა და მაჩვენებელი ღვთისაკენ მიმავალ გზისა; და რომ მხოლოდ ქრისტესით შესაძლებელია ცისა და ქვეყნის გამჩენელი მამა ღვთის ცნობა და ხილვა. დასამტკიცებლად პასუხი ქრისტესი მოციქულ თომასადმი თქმული მის შეკითხვაზე: “უფალო! არა ვიცით, ვიდრე ხვალ, და ვითარ შემძლებელ ვართ გზისა მის ცნობად?” “მე ვარ გზა, და მე ვარ ჭემმარიტება და ცხოვრება; არა ვინ მოვიდეს მამისა გარდა ჩემ მიერ. უკეთუმცა მიცოდეთ მე, მამაცამცა ჩემი იცოდეთ. ამიერთაგან იცით იგი, და გიხილავს იგი” /იოანე XIV, 5, 6, 7/. აი, პასუხიც ქრისტესი მოციქულ ფილიპესადმი თქმული მის შეკითხვაზე: “უფალო! მიჩვენე ჩვენ მამაი შენი, და კმა-არს ჩვენდა”:

“ესეოდენ ჟამ თქვენ თანა ვარ, და არა მიცი მე ფილიპესი, რომელმან მიხილა მე, იხილა მამაი ჩემი, და შენ ვითარ მეტყვი მე: მიჩვენე ჩვენ მამაი შენი? არა გრწამსა, რამეთუ მე მამისა თანა ვარ, და მამა ჩემთანა არს?” /იოანე XV, 8,9,10/. ეს არის ჩვენი პასუხი იმათ მიმართ, რომელნიც უგუნურებთან ერთად უარ ჰყოფენ ღვთის არსებობას და კიდეთა სოფლისათა ჰვენენ მერყეობაში მყოფთა შესაცდენათ, და მათ გულთა და გონებათა გზა კვალის ასაბნევად უსაფუძვლო აზრს: არა არს ღმერთიო...

ღვთის უარის მყოფელნი! ჩვენ გეტყვით: პასუხად ამ თქვენი უგუნურ ლოზუნგისა. არის ღმერთი. აბა ყური ათხოვეთ ჩვენ რწმენას: “ერთ არს წმიდა, ერთ არს უფალი იესო ქრისტე, სადიდებელად ღვთისა მამისა. ამინ”. ამ ჩვენი გონიერი ლოცვის საფუძველია ქრისტე იესოს ლოცვა, ვეთსამანიის ბაღში თქმული: “მამაო! მოიწია ჟამი ჩემი, ადიდე ძე შენი, რათა ძემანცა შენმან გადიდოს შენ”.... “მე გადიდე შენ ქვეყანასა ზედა, საქმე აღვასრულე, რომელი მომეც მე, რათა ვჰყო. და აწ მადიდე მე, მამაო, თავისა შენისა თანა, დიდებითა მით, რომელი მაქნდა წინაშე შენსა უწინარეს სოფლის-დაბადებისა”. /იოანე XVII, 1,4,5/ აი კიდევ ჩვენი რწმენა: “მრწამს უფალო, და აღვიარებ, რამეთუ შენ ხარ ჭეშმარიტი ქრისტე ძე ღვთისა ცხოველისა, მოსრული სოფლად ცოდვილთა ცხოვრებად, რომელთაგან პირველი მე ვარ”....

ურწმუნენო! გსურთ და გინდათ ჩვენი ღმერთის გაცნობა და ხილვა? ჩვენი ღმერთის სწავლა და საქმენი სახარებაშია მოთხრობილი; ნუ კი გაურბიხართ სახარებას. აიღეთ ხელში იგი და გაეცანით მის სწავლას და მასში წერილ ქრისტეს საქმეთა საფუძვლიანათ შეითვისეთ იგი და ცხოვრებში გაატარეთ და განახორციელეთ მასში მოყვანილი სავალდებულო მცნებანი. ამ გზით სცნობთ ჩვენ ჭეშმარიტ ღმერთის შესწავლას და ძიებას. იგი დიდი ხანია გვიცვნია, ნაყოფიც მისი ღვთაებრიობისა გვიგემნია, და იგი გვიხილავს კიდევ; მის ბინისთვისაც მიგვიგნია. და ამნაირად, თქვენი ღმერთის სახელია თქვენი “კუჭი”, მისი ბინა თვითეული თქვენგანის გვამია. მისი თვისებაა: “უსამართლობა”, “ავხელობა”, “კაცი ჭამიაობა”, “დაუნდობლობა”. მის მცნებათა მიხედვით: “შეცთომილ ხართ გონებითა და აქ შიშველნი მდებარენი ხართ სირცხვილეულნი” /გალობა 2, კანონისა დიდისა, თქმულისა ანდრეა კრიტელ იერუსალიმელის მიერ/... “და სავსენი ხართ მწიკვლითა და ბიწიად გიქმნიათ ტამარი ხორცთა თქვენთა”... “დაგიბნელებიათ ხატება და მზგავსება თქვენი, რომელითაც შემოქმედს პატივი უცია თქვენთვის” /გალ. 3/. “მცირე არს ჟამი თქვენისა ცხოვრებისა და აღსავსე სიბოროტითა” /გალ. 4/ “თავხედ ხართ უგუნურებით, და ამაო და ცუდათ მზაკვარ გულითა” /გალ. 4/ და ესრეთ, ურწმუნენო, არა თქვენთანაა, არამედ “ჩვენთანა არს ღმერთი, სცანით წარმართთა და იძლიენით, რამეთუ ჩვენთანა არს ღმერთი” /ისაია წინასწარმეტყველი/.

თქვენ კი, მორწმუნენო, ამა რწმენის მიხედვით კვლავ დიდებით ქრისტეს სწავლით: “ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი: გრწმენიან ღმერთი და გრწმენინ მის მიერ მოვლინებული, და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა მხოლოდ შობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა ... რომელი და ჯვარს ეცვა პონტოელისა პილატეზზე, და ივნო, და დაეფლა, და აღსდგა მესამესა დღესა მზგავსად წერილისა”. ამ რწმენით, მორწმუნენო, ვიღვიძებდეთ და ერთითა პირითა და ერთითა გულითა მივილტოდეთ: წინ! წინ! წინ! “რამეთუ ჩვენთანა არს ღმერთი!”

ამინ

46. «სიტყვა მე-11 კვირიაკესა ზედა... ყოველი, რომელი გინდეს, რათა გიყონ კაცთა, ეგრეთცა თქვენ ჰყავთ მათდა მიმართ»: [ქადაგების წარმოთქმის ადგილი



მითითებული არ არის]. 1928 წ., 19 აგვისტო. ხელნაწერი. ტექსტი ჩასწორებულია, ბოლო ნაწილი აკლია. 6 ფ.

†

მთაზედ მჯდომარე მაცხოვარმა ჩვენმა იესო ქრისტემ თავის მოწაფეებს და მთის კალთებზედ მრავლად შეფენილ ხალხს გადასცა ასეთი სწავლა: “ყოველი, რომელი გინდეს, რათა გიყონ კაცთა, ეგრეთცა თქვენ ჰყავთ მათდა მიმართ: რამეთუ ესრეთ არს ჰსჯული და წინასწარმეტყველნი” /მათე VII, 12/. მოყვანილი სწავლა ქრისტესი მდაბიური ენით ასეთია: ყველაფერი, როგორც თქვენ გინდათ, რომ გეპყრობოდნენ კაცნი, მათ ისევე მოეპყარით, რადგანაც ეს არის სწავლა და მოთხოვნილება სჯულისა და წინასწარმეტყველთაო.

ეს მოძღვრება ზეცით მოვლინებულ მაცხოვარ იესო ქრისტესი მოგვაგონებს, პეტრე მოციქულის მიერ დასმულ საკითხს: “უფალო! რამდენჯერ შეუნდო ჩემ წინაშე შემცოდე ძმასა ჩემსა? შვიდ გზისამდე?” იესომ უპასუხა პეტრეს: “არა გეტყვი შენ: ვიდრე შვიდ გზისამდე, არამედ ვიდრე სამეოცდა-ათ-შვიდ გზის” /მათე XVIII, 21, 22/ ასეთი პასუხით ქრისტე ღმერთმა სამარადისო სავალდებულო მცნება დაგვიტოვა, რათა ძმათა შორის მცოდებათა პატიებას არ ჰქონდეს საზღვარი, და ყოველთვის ურთ-ერთის ნაკლულეგანებათა შემწყნარებელნი და ტვირთის მზიდველნი ვიყვნეთ. ღვთაებრივ მასწავლებელსა და მოწაფეს შორის ამ აღძრულ კითხვა-პასუხს დღეს წაკითხული სახარების იგავი უფრო ნათელ ჰყოფს, რომლის მთლიანი შინაარსიც გავიხსენოთ დასასაბუთებლად ნათქვამისა.

ზეციური სასუფეველი მზგავსია ერთი მრავალუმოსანი მეფისაო \_ ბრძანებს მაცხოვარი. ერთხელ ამ მეფემ მოითხოვა თავის ბევრნაირად დავალიანებულ ყმებისაგან ანგარიშის გასწორება. ამ მიზნით მეფესთან მის მსახურთაგან მოყვანილ იქმნა ერთი დიდ-მოვალეთაგანი. გამოირკვა, რომ ამ მოვალეს უქონლობის გამო არ შეეძლო მეფისათვის ვალის გადახდა. მეფემ უბრძანა მსახურთ ვალის გასანაღდებლად გაყიდონ თვით შეუძლებელი \_ მოვალე, მისი ცოლი, შვილები და თუ რამ მოეპოვებოდათ. ასეთ უნუგეშო ბედის მომსმენი მოვალე ჩაუვარდა მეფეს ფეხებქვეშ, თაყვანი სცა და სთხოვა: მადროვე, მე, უფალო და ყოველსავე მოგცემო. მეფემ შეიცოდა უქონელი მოვალე და ვალისაგან მთლად გაანთავისუფლა. მეფისაგან წამოსული განთავისუფლებული ყმა შემოეყარა თავის მოვალეს, რომელსაც მისი ემართა მეფის მიერ ნაჩუქარზე ბევრით ნაკლები. მან შეიპყრა მოვალე, აღრჩობდა და აიძულებდა ვალის გადახდას. მოვალე, რაკი არ შეეძლო ამ ჟამად ვალის გადახდა, ჩაუვარდა მას ფეხებქვეშ და დიდის ხვეწნით სთხოვდა: მადროვე და ყოველსავე მოგცემო. მეფისაგან შებრალებულსა თვით არ შეიბრალა უმწეო მოვალე და იგი საპყრობილეში დაამწყვდევეინა იმ დრომდე, სანამ არ გადაუხდიდა ვალს! ასეთი უდიერი მოპყრობის მნახველნი მეფის მსახურნი დიდათ შესწუხდნენ, ეახლნენ მეფეს და მოახსენეს მას ყოველივე ნამოქმედარი ამ მონისა. დაიბარა შემბრალებელმა მეფემ შეწყალებული მონა და უთხრა: მე შენ ვალი მთლად გაპატიე, რადგანაც მევედრებოდი. განა შენც კი ასევე არ გმართებდა შებრალება შენი მოვალე ამხანაგისა? და გადასცა განრისხებულმა მეფემ ეს უდიერი მონა მტანჯველებს, ვიდრე იგი მთლად არ გადაუხდიდა მას ვალს. ნათქვამ იგავს ქრისტემ დასძინა: ზეციერი მამა ჩემიც ამნაირად მოგეპყრობათ თქვენ, თუ თვითეული თქვენგანი არ მიუტევებს დანაშაულს ძმასა თვისსა ყოვლითა გულითა /მათე XVIII, 23-25/.

საყვარელნო, ზეცით მოვლინებულ მოძღვრის მიერ მაგალითითაც ახსნა-განმარტება ზემო მოყვანილი პეტრე მოციქულის შეკითხვისა. იგავში ხსენებული მეუფე ღმერთია, მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყანასა, ყოვლად მოწყალე, ყოველთა შემბრალბელი, ყოვლად მართალი და უცხო ყოვლისაგან ცოდვისა. მეფის მსახურნი ზეცის უსხეულო ძალნი, ღვთის მსახურებად ხილულ ქვეყნის წარმოშობამდე შექმნილნი, ანგელოზები არიან. მეფის მოვალე მონანი ჩვენ, ურთ-ერთ შორის დამოკიდებულების მქონე, კაცნი ვართ. უხსოვარ დროიდან ჩვენ წინაპართაგან ცხოვრების ნაკარნახევი ბრძნული თქმულებაა: “კაცი კაცით არის”. ამ ქვეყნად ადამიანთა ცხოვრება უერთმანეთოდ შეუძლებელია. ამ აზრის უტყუარი საბუთია სოფლების, დაბების, ქალაქების და სახელმწიფოების არსებობა. კაცნი ასე მჭიდროთ კი არ იცხოვრებდნენ, რომ უერთმანეთოდ შესაძლებელი იყოს გაძლება, პირიქით, დაისჯებოდნენ დედამიწის ზედა პირზედ, არ ვისგან დამოუკიდებელ ცხოვრებას მოეკიდებოდნენ და განდევნილებით იცხოვრებდნენ. მაგრამ კაცობრიობას ძველთაგანვე ასე არ მოუწყვია თავისი ამა ქვეყნიური არსებობა. მას თავისავე საზოგადოებრივი ცხოვრება შეუქმნია, შეუყვარებია, შეუთვისებია და იგი თვის მოთხოვნილებად გადაუქცევია. გსურთ ამ აზრის უტყუარი საბუთი? აბა გესმინოთ დიდ სჯულისმდებელ წინასწარმეტყველის მოსეს დიდ წიგნს “დაბადებას”. ამ წიგნის მეორე თავში ვკითხულობთ, რომ პირველ კაცს ადამს მშვენიერ ბაღში, \_ სამოთხეშიც კი, მარტო მყოფს მოეწყინა. თვით ქვეყნის შემოქმედმა უფალმა ღმერთმაც მიაქცია პირველ კაცის ასეთ მდგომარეობას თვისი ღვთაებრივი ყურადღება. ნათქვამის საფუძვლად ნახსენებ მოსეს დიდ წიგნში ვკითხულობთ შემდეგს: “და თქვა უფალმან ღმერთმან: არა კეთილ არს ყოფა კაცისა მარტო: უქმნეთ მას შემწე მზგავსებისაებრი” ... სამოთხეში დაბადებულთა მთავრად დადგინებულმა “ადამმა უწოდა სახელები ყოველთა ცხოველთა“ და ყოველთა მფრინველთა ცისათა, და ყოველთა მხეცთა ქვეყანისათა, ხოლო ადამისთვის არა იპოვა შემწე მზგავსი მისი ... აღუშენა უფალმან ღმერთმან გვერდი, რომელი მოიღო ადამისაგან, ცოლად; და მოიყვანა იგი ადამისსა” /დაბ. წიგ. ა მოსესი II, 18, 20, 21, 22/.

როგორც მოვისმინეთ, საყვარელნო, კაცთა საზოგადოებრივ ცხოვრებას საფუძველი სამოთხეშივე აქვს ჩაყრილი. და ასეთივე ცხოვრება კაცისა შემოქმედ ღმერთსაც დაულოცნია, როგორც “კეთილი ფრად” /დაბ. I, 31/. აი ამის საბუთიც მოსეს იმავ “დაბადებიდან“: “და შექმნა ღმერთმან კაცი, ხატად თვისად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგინი. და აკურთხნა იგინი ღმერთმან, მეტყველმან: აღორძინდით და გამრავლდით, და აღავსეთ ქვეყანა, და ეუფლენით მას და მთავრობდით მას ზედა”. /დაბ. წ. ა მოსესი I, 27, 28/. დაბადებიდან ამ ადგილების ამწერით ჩვენ უკვე ნათელ ვყავით ის აზრი, რომ კაცთა ჯგუფობრივი ცხოვრება ბუნებრივი მოვლენა ყოფილა და ბუნების კანონების გამგებლისა და მფლობელისაგან დალოცვილი.

თუკი კაცნი ბუნებისა მფლობელისაგან ყოველი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის არიან მოწოდებულნი, მაშ, რატომღაა მათ შორის შფოთი, მტრობა, სიძულვილი, მოურთიგებლობა, გაუტანლობა, გამცემლობა? რატომ სჩაგრავს ძლიერი სუსტს? რად იღვრება ძმის მიერ უცოდველი სისხლი მოძმისა? საზოგადოებრივ ცხოვრებაში რად აქვს დათმობილი ფართო ნიადაგი და გასაქანი მრუშობას, ქურდობას, ცარცვა-გლეჯას, ცილის წამებას წამებითა ცრუთათა და სხვა მრავალ უკეთურებათა? რად ხდება ურთ-ერთ შორის მუხანათური მახეს დაგება, უკანიდან მოყვასის ზურგში ფარულად ბასრი მახვილის ჩაცემა? რად არ არის შეგნება იმისი, რომ იგი სახეა და მზგავსება ღვთისა და პავლე მოციქულის სწავლით, “ტამარია ღვთისა და სადგური სულისა წმიდისა” და არა უბრალო ლეში რომელიმე

პირუტყვის, თუნდ მაიმუნის, მოდგმისა? ნუთუ კეთილთა საუნჯე ზაცათა მეუფე ღმერთი, მიზეზი კაცის ამ ქვეყნად მოვლინებისა, წყარო ცხოვრებისა, წყაროცაა კაცთა ყოველგვარი ამქვეყნიური უკეთური ბიწიერი ცხოვრებისა? არა, საყვარელნო! ამგვარ აზრს ნუ გავიტარებთ გულსა და გონებაში. უკეთურნი და ბილწნი საქმენი ღვთისაგან არ წარმოდგებიან, რადგანაც, საღმთო წერილის სწავლით, ღმერთი წმიდა არსება არის, და იგი “უცხოა ყოველისაგან ცოდვისა.” “წმიდა არს უფალი ღმერთი ჩვენი!” ასე გალობს წმ. ეკლესია საღმრთო წერილის კარნახით. “ვიხილე უფალი, სწერს ესაია წინასწარმეტყველი, მჯდომარე საყდარსა ზედა მაღალისა და აღმატებულისა, და ექვსნი ფრთენი ერთსა, და ექვსნი ფრენი ერთსა, და ორითა უკვე დაიბურვიდეს პირსა, ხოლო ორითა დაიბურვიდეს ფერხთა და ორითა ფრინავდეს. და ღაღადებდეს მოყვასი მოყვასისა მიმართ და იტყოდეს: წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ, სავსე არს ყოველი ქვეყანა დიდებითა მისითა” /იოანე XV, 4/. ამავე მახარებელ იოანეს სწავლით, ცისა და ქვეყნის შემოქმედი “ღმერთი ნათელ-არს, დანენლი არა არს მისთანა არცა ერთი” /I კათ. ეპისტ. I იოანე I, 5/. თვით ზეცით მოვლინებული იესო ქრისტე თავის შესახებ გვასწავლის: “მე ვარ ნათელი სოფლისა” /იოანე VIII, 12/ და კიდევ: “მე ნათელი სოფლად მოვივლინე” /იოანე XII, 46. “იყო ჭემმარიტი, რომელი განანთლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად” /იოანე, 9/, ასე ახასიათებს მაცხოვარ იესოს იგივე იოანე მახარებელი... “უფალი და მსაჯული მართალი”

/II. ტიმ. IV, 8/.

საყვარელნო! ცოდვა საძაგლობაა ღვთის წინაშე. ღმერთი ჩვენი, ღმერთი მართალი და სახიერი მხოლოდ სიმართლის მიმდევართა მოყვარულია. მოციქული იაკობი გვაფრთხილებს და დარიგებას გვაძლევს: “ნუ ვინ განცდილთაგანი იტყვიოთ, ვითარმედ ღმრთისა მიერ განვიცდები: რამეთუ ღმერთი გამოუცდელ-არს ბოროტისა, და არავის განჰსცდის იგი” /კათ. ეპ. იაკობი I, 13/. ცოდვა, მსმენელებო, ნაყოფია კაცის გულისთქმისა. ამის გამო იგივე მოციქული იაკობი განაგრძობს: “არამედ კაცად-კაცადი განიცდების თვისისაგან გულის-თქმისა, მიიზიდვის და ჰსცთების. მერმე გულის-თქმა იგი მიუდგის დაჰშვის ცოდვა; და ცოდვა იგი სრულ იქმნის და ჰშვის სიკვდილი”

/კათ. ეპისტ. I, 14, 15/.

მაშ, სამოთხეში მცხოვრებნი კაცობრიობის წარმომშობნი, პირველნი კაცნი ადამ და ევა ღმერთს შეუქმნია ცოდვის წარმოშობ გულისთქმისანი? არა, საყვარელნო მსმენელებო! ზემოთ გაგაფრთხილეთ, რათა ამ გვარი აზრი არ გავიტაროთ გულსა და გონებაში, რადგანაც ღმერთი მხოლოდ საუნჯეა კეთილთა და უცხოა ყოველისაგან ცოდვისა; და მისგან დაბადებულნი პირველნი კაცნიც სამოთხეში უცოდველნი იყვნენ. “და იყვნეს ორნივე შიშველ, ადამ და ცოლი მისი, და არა რცხვენოდათ” /დაბ. II, 25/; და არა რცხვენოდათ მისთვის, რომ “იყვნენ წმიდანი გულითა”. ასეთები იყვნენ ადამ და ევა ხატად და მზგავსად ღვთისა, დასაბამსა, დაბადებულნი და სამოთხესა შინა მთავრად დაბადებულთა დადგინებულნი, ვიდრე არ შეაცდინა ისინი “ყოველთა მხეცთა ქვეყანასა ზედა უგონიერესმა გველმა”. /დაბ. III, 1/. შესცოდეს სამოთხეში კაცობრიობის მამათმთავართ ადამ და ევამ არა როგორც “ცოდვათა შინა შობილებმა,” არამედ როგორც “თავისუფალ არსებად შობილებმა” თავისუფლების ვერ მოხმარებით, ამ თავისუფლების ხორცთა ვნებათა და მონებით. “და იხილა დედა-კაცმან, რამეთუ კეთილ არს ხისა მის ჭამა და სათნო თვალთათვის ხილვად და შვენიერ განცდად; და მოილო დედაკაცმან ნაყოფისა მისნივე, და აგრძნეს რამეთუ შიშველ იყვნეს. და შეკერეს ფურცელი ლელვისა, და ქმნეს თავთა თვისთა გარე

მოსარტყმელნი” /დაბ. III, 6, 7/. დაბადებიდან მოყვანილ ამ საფუძველს პირველ კაცთა და მათგან წარმოშობილ კაცობრიობის შეცოდებისას ადასტურებს დიდებულ პავლე მოციქულის ეპისტოლეც გალატელთა მიმართ მოწერილი: “რამეთუ თქვენ აზნაურებასა /თავისუფლებასა/ ჩინებულ ხართ /მოწოდებულ ხართ; ძმანო; გარნა ხოლო აზნაურობა /თავისუფლება/ ეგე ნუ მიზეზად ხორცთა” /გალატ. V, 3/ მასე წაიკითხება ეს სწავლა მოციქულისა: თავისუფლებისათვის მოწოდებულ ხართ, ძმანო; მხოლოდ ეს თავისუფლება თქვენი არ იყოს მიზეზად ხორცთა სიამოვნებისაო. და ესრეთ, მსმენელებო, შემოქმედის მიერ სამოთხეში ბოძებული ძვირფასი განძი, თავისუფლება, ადამმა და ევამ ვერ შეიშვნეს. მათ იგი ხორცთა ვნებათა ანაცვალეს, ხელიდან გაუშვეს, დაჰკარგეს ... და ნაცვლად თავისუფლებისა, სიწმიდისა და უცოდველობისა, თვის შთამომავლობად უანდერძეს ცოდვათა სიმრავლენი და უსჯულოებანი.

იქნებ კიდევ შემდეგნაირი კითხვა აღიბეჭდოს, მსმენელებო, თქვენს გონებაში: თუ კი პირველნი კაცნი მინიჭებულ თავისუფლებით ვერ ისარგებლებდნენ და ავი საქმეებით გაითქვამდნენ თავს და მოიხვეჭდნენ სახელს, მაშ რათლა შექმნა ღმერთმა იგინი თავისუფალნი? ნურც თქვენი გონების ასეთ კითხვას ემონებით, საყვარელნო! ასეთ კითხვათა აღძვრის დროს გავიხსენოთ სწავლა იმავე დიდებულ მოციქულის პავლესი კორინთელთადმი მიწერილი: “ხოლო უფალი სრულ-არს; ხოლო სადა სული უფლისა, მუნ აზნაურება /თავისუფლება/ არს“ /II კორ, III, 17/. აი, რად არ მოუსპო დამბადებელმა დაბადებულს თავისუფლება. მოციქულის ამ სწავლით ღმერთის თვისება, როგორც სულისა, თავისუფლება ყოფილა; და ამისთვის კაცსაც, როგორც ღვთის ქმნილებას, ხატებას, და მზგავსებას წაუშელი თავისუფლების ბეჭედი აზის. ღმერთს რომ კაცისათვის აეკვეთნა თავისუფლება, ეს ხომ ღვთისგნით ბოროტების ქმნა იქნებოდა და ბოროტება კიდევ ხომ ცოდვაა, და ღმერთი ხომ, საღმრთო წერილის სწავლით, “უცხო არის ყოვლისაგან ცოდვისა.» მზგავსი მზგავსაც ჰმობსო, ნათქვამია; და ღმერთმაც როგორც სულმა თავისუფალმა, ჰმვა პირველნი კაცნი, ადამ და ევა მათგან წარმომდგარი კაცობრიობაცა, აზნაურებად /თავისუფლებად/, მაშ, უდაოა საღმრთო წერილის აზრი, რომ ჩვენ, კაცნი, ამ ქვეყნად შობილნი და მოკლე ხნით მოვლინებულნი, ცოდვილნი ვართ ... ვიმეორებთ საღმრთო წერილის სწავლას, რომ “არა არს კაცი, რომელი სცხონდეს /სცხოვრებდეს/ და არა სცოდოს” ცისა და ქვეყნის დამბადებელი ღმერთია “მხოლოდ უცხო ყოვლისაგან ცოდვისა, და სიმართლე მისი სიმართლისა არს საუკუნო, და სიტყვა მისი ჭეშმარიტ.” აი, ასეთი ყოვლად მართალი და სახიერი ღმერთი ჩვენი მოითხოვს ჩვენ, კაცთაგან, დღეს წაკითხულ სახარების იგავის სწავლით, ურთიერთისადმი შეცოდებათა მიტევებას. ადამიანნი, მჭიდროთ შეკავშირებულ ქვეყნიურ ცხოვრების მოყვარულნი, ზემო დასახელებულ მიზეზთა გამო არიან ხშირად, ერთმანეთში მოურიგებელნი, მოქიშპენნი, გაუტანელნი, მოღალატენი, გამცემელნი, ავადმეტყველნი, მოძმის სიცოცხლის წარმტაცნი, მრუმნი, მცარცველნი, ცილის მწამებელნი, გამკიცხველნი, მაცვედრებელნი, მდევენელნი და სხვა და სხვა ავთა საქმეთა ჩამდენნი. არა ამგვარ ცხოვრებისათვის მოწოდებულნი ამ ქვეყნად ღვთისმიერ საყვარელნო! მიზანი ჩვენი ქვეყნიური ცხოვრებისა დიდი და წმიდა არის. მაცხოვარი გვასწავლის: “თქვენ ხართ მარილნი ქვეყანისანიო” ... “თქვენ ხართ ნათელი სოფლისანიო” ... “ეგრეთ ჰბრწყინავ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქვენნი კეთილნი და აღიდებნენ მამასა თქვენსა ზეცათასა” ... /მათე V, 13, 14, 16/. ამ სწავლით ჩვენგან მოითხოვს ღმერთი მარილიან და ნათელ ცხოვრებას, ერთმანეთისთვის კეთილთა საქმეთა ქმნას. ქრისტე იესო გვასწავლის “არამც თუ კაცი არ მოკლათ, არამედ “რომელი განურისხდეს ძმასა თვისსა ცუდად,

თანამდებ არს სასჯელისა” /მათე V, 21, 22/. ქრისტე იესო ვალად გვდებს უკეთუ შესწირვიდე შესაწირავსა საკურთხეველსა ზედა, და მუნ მოგეხსენეს შენ, ვითარმედ ძმა შენი გულ-ძვირ რამ არს შენთვის. დაუტევე შესაწირავი იგი წინაშე საკურთხეველსა მას, მივედ და დაეგე პირველად ძმასა შენსა, და მაშინ მოვედ და შეჰსწირე შესაწირავი შენი” /მათე V, 23., 24/ სიბნელეში მსხდომთა მტერთა მიერ გოლგოთაზე ჯვარცმული ქრისტე იესო მაცხოვარი ჩვენ, მის მიერ ქადაგებულ ღვთის სასუფეველის მაძიებელთ, გვავალებს: ”ხოლო მე გეტყვით თქვენ: გიყვარდეთ მტერნი თქვენნი, და აკურთხევდით მწყევართა თქვენთთა, და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქვენთა, და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობდნენ თქვენ და გდევნიდნენ თქვენ”

/მათე V, 44/. აჰა, უფლის იესო ქრისტესაგან სანიმუშოდ ნაანდერძევ ლოცვის ნაწილის შინაარსიც: “მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა! ... და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა” ... /მათე VI, 12/ და კიდევ სხვა სწავლა მისი: “უკეთუ არა მიუტევენთ თქვენ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქვენმან მოგიტევენს თქვენ შეცოდებანი თქვენნი” /მათე VI, 14, 15/.

საყვარელნო! ქრისტე იესოს ზეცით გარდამოსვლით და ხორშესმით სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა და განკაცებით ჩაეყარა საფუძველი ღვთის აღიარებას და მის დიდების, პატივის და თაყვანისცემის საჭიროებას. ქვეყანასა ზედა მშვიდობას და კაცთა შორის სათნოებას. რომელი ჩვენგანიც დღევანდელ სახარების სწავლის საქმით აღსრულებულია, მას ეთქმის ჭეშმარიტი მოწაფეობა ქრისტე იესოსი; იგია ქრისტეს დიდი და პირველი მცნების აღმსრულებელი: “მცნებასა ახალსა მიგცემ თქვენ, რათა იყვარებოდეთ ურთიერთარს, ვითარცა მე შეგიყვარენ თქვენ, რათა თქვენცა იყვარებოდეთ ურთიერთარს. ამით ჰსცნონ ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკეთუ იყვარებოდეთ ურთიერთარს” /იოანე XIII, 34, 35/ კაცთა შორის შენდობა შეცოდებათა შედეგია ურთიერთის ცნობისა სიყვარულისა, შეწყნარებისა, შეგუებისა, შეფასებისა.

ამინ.

47. «კვირიაკე მე-2-ე”... : [იესო ქრისტეს მიერ ქმნილი სასწაული ქვრივი დედაკაცის მხოლოდშობილი ძის მკვდრეთით აღდგინების შესახებ. ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1928 წ. , 21 ოქტომბერი. ხელნაწერი. ტექსტი ჩასწორებულია. ბოლოს: «დეკ. დ. გარსიაშვილი.» 4 ფ.

†

საყვარელნო! დღეს მართლმადიდებელთა ყველა ეკლესიაში წირვაზედ მახარებელ ლუკას სახარებიდან იკითხება იესო ქრისტეს მიერ ქალაქ ნაინში მცხოვრებ ქვრივი დედაკაცის მხოლოდშობილი ძის მკვდრეთით აღდგენის შესახებ.

უფალი ჩვენი, იესო ქრისტე წავიდა გალილიის ქალაქ ნაინში იქ მცხოვრებთა შორის ზეცით მოტანილი სწავლის საქადაგებლად. მას თან მისდევდნენ მოწაფენი მისნი და დიდ-ძალი ხალხი. როდესაც იესო მიუახლოვდა ქალაქის შესასვლელს, მცხოვრებლებს ქალაქიდან გამოჰქონდათ დასასაფლავებლად მკვდარი, ქვრივი დედის ერთა მე. დაინახა მოძღვარმა ქრისტემ მწარედ მტირალი დედა მიცვალებულისა, შეებრალა დიდ მწუხარებაში მყოფი, მივიდა ... ცხედართან ... შეეხო

მას და უთხრა იესომ კუბოში მდებარეს: ჭაბუკო! შენ გეტყვი, აღზდეგ! მკდარი ჭაბუკი წამოჯდა და იწყო ლაპარაკი; ... იქ მყოფნი შიშმა მოიცვა, იწყეს ღვთის დიდება და ამბობდნენ: დიდი წინასწარმეტყველი გამოჩნდა ჩვენ შორის და ღმერთმა მოჰხედა თვის ერსა /ლუკა VII, 11-16/.

საყვარელნო ქრისტეს მორწმუნენო! იესო ქრისტე ურიათა ქვეყანაში სამი წელიწადი ჰქადაგებდა და ამ ხნის განმავლობაში უსახავდა მათ მიზნად: „ეგრეთ ჰბრწყინავდინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქვენნი კეთილნი და აღიდებდეთ მამასა თქვენსა ზეცათასა,“ /მათე V, 16/. და ასეთ მიზანს თვით ქრისტე საქმით ასრულებდა, სხვა და სხვა სახის სასწაულებით. მახარებელი იოანე ღვთისმეტყველი თვის სახარებას ასე აბოლოვებს: „მრავალნი სხვანიცა სასწაულნი ჰქმნა იესო წინაშე მოწაფეთა თვისთა, რომელნი არა დაწერილ არიან წიგნსა ამას“ /იოანე XX, 30/, ... „რომელნი თუმცა დაიწერებოდეს თითოეულად, არცაღა ვგონებ, ვითარმცა სოფელმან ამან დაიტია აღწერილი წიგნი“. /იოანე XXI, 25/. ე. ი. ქრისტეს საყვარელ მოწაფის იოანეს მოწმობით, იმდენად მრავალია ქრისტეს მიერ ამ ქვეყნად ქმნილნი კეთილნი საქმენი და სასწაულნი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი სათითაოდ დაწერა, ვფიქრობთ, ამ საქმეებით აღწერილ წიგნებს მთელი ქვეყანა ვერ დაიტევდაო.

იბადება საკითხი, თუ რა მიზნით ჰქმნიდა იესო ქრისტე ასე უხვად სასწაულებს? ოთხივე მახარებლის მოწმობით მაცხოვარი ჰქმნიდა სასწაულებს ხალხის დასაჯერებლად, რომ იგია „ჭემმარიტად ქრისტე, ძე ღვთისა ცხოველისა“, მთლიან კაცთა ნათესავის გარდასაქმნელად, მოსაქცევად ყოველთა ცოდვილთა მადლის ქმნისათვის. და აი ამ მაღალი მიზნის შესასრულებლად მხოლოდ შობილი ძე სიტყვიერ ბრძანებით იმორჩილებდა მღელვარე ზღვას და მასზედ მონავარდე მრისხანე ქარიშხალს, და როდესაც რამდენიმე პურით განაძღობდა ათასობით ადამიანს; ... აღადგინა მკვდრეთით ნაინელი ქვრივის მხოლოდშობილი ძე, ურიათა სამლოცველი სახლის უფროს იაიროზის 12 წლის ასული და თავისი მეგობარი, ბეთანიაში მცხოვრები, ოთხი დღის დაყროლებული, უკვე საფლავში მდებარე ლაზარე. თვით იესო ქრისტეს მკვდრეთით ბრწყინვალე აღდგომა ხომ სახარებაში მოთხრობილ სასწაულთა შორის უდიდესი სასწაულია. დიდებულ მოციქულ პავლეს სწავლით აღდგომა ქრისტესი საფუძველია ჩვენი სარწმუნოებისა, იგია ფუძე „ყოველთა აღდგომისა.“

ამნაირად, საყვარელნო ქრისტე იესოს მორწმუნენო! სახარებიდან დღეს წაკითხული სასწაული ნაინელი ქვრივის მხოლოდშობილი ძის მკვდრეთით აღდგინებისა და სხვანი მრავალნი სასწაულნი სახარებისა უტყუარი დამამტკიცებელი საბუთებია იესო ქრისტეს ღვთაებრივობისა. იესო ქრისტე, სახარებაზე დაფუძნებული ეკლესიის სწავლით, ღმერთია ორითა შეურყეველი ბუნებითა \_ ღმერთი სრული და კაცი სრული. ასეთ სწავლის ძალით ვგალობთ ხმა - მაღალი მხიარული ხმით ბრწყინვალე აღდგომის დღეებში ჩვენი რწმენის განმამტკიცებელ და გამომხატველ სასიხარულო საგალობელს: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამრთგუნველი, და საფლავების შინათა ცხოვრების მომნიჭებელი“. ასეთი სწავლა სახარებისა და რწმენა ეკლესიისა არის ერთი უმთავრესი მიზეზი იმისაც, თუ ასე ბეჯითად და მუყაითად, სახლებში, კერძო ლოცვისას, და ეკლესიაში საზოგადო ხასიათის ღვთისმეტყველების შესრულების ჟამს რად ვლოცულობთ ჩვენთა მახლობელთა და საუკუნიდან ყოველგან ყოველთა სარწმუნოებით აღსრულებელთა მამათა და ძმათა ჩვენთათვის. ამგვარ ლოცვასაც აქვს საფუძველი: „ძმანო! უკეთუ გვრწამს, ვითარმედ იესო მოკვდა და აღჰსდგა,

ეგრეცა ღმერთმან შესვენებულნი იგი იესოს მიერ მოიყვანეს მისთანა” ...რამეთუ თავადი უფალი ბრძანებითა და ხმითა ანგელოსთ-მთავრისათა და საყვირითა ღვთისათა გარდამოჰხდეს ზეცით, და მკვდარნი იგი ქრისტეს მიერნი აღჰსდგენ პირველად” ...და ესრეთ მარადის უფლისათანა ვიყოფოდეთ”... /ა. თესალონ. IV, 14, 16, 17/.

ბრწყინვალედ მესამესა დღესა მკვდრეთით აღდგომილ ქრისტეს სახელისათვის დღეს იწროებაში მყოფნო ძმანო და დანო! მოციქულ პავლეს სწავლით სიკვდილისა და ჯოჯობხეთის „ძლევა ღმერთმა მოგვცა ჩვენ”, მორწმუნენო, ამიერითგან, ძმანო ჩემნო საყვარელნო, მტკიცე იყავით და შეურყეველ და ჰმატებდით საქმესა უფლისასა მარადის, უწყოდეთ, რამეთუ შრომა ეგე თქვენი ”ღვთის მადიდებლობისათვის, დღევანდელ ჭირისა, რისხვისა და იწროების ჟამს, „არა ცუდათ იყოს უფლისა მიერ” /ა. კორინთ. 54, 55, 57, 58/. ღმერთმა აღადგინა ქრისტე მკვდრეთით და მიჰსცა მას დიდება, რათა “სარწმუნოება ეგე თქვენი და სასოება იყოს ღმრთისა მიმართ”. მაშ, მორწმუნენო, დღევანდელ გაჭირვებულ პირობებში „ნუ შეჰსძრწუნდებიან გულნი თქვენნი; გწამდეთ მამა ღმერთი და ჩვენთვის ჯვარცმული, ვნებული, დაფლული და მესამესა დღესა მკვდრეთით აღდგომილი საყვარელი ძე მისი – იესო ქრისტე, მორწმუნეთა სამკაულის სარწმუნოებისა სიმტკიცის ქალწულ მარიამისაგან შობილი”, რომელიცა..... ჩვენთა კაცთმოყვარე არს.” „ჩვენთანა არს ღმერთი.”

ამინ

48. «ზოზა დღეს” ... : [ვერის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1927 წ. , 17 აპრილი. ხელნაწერი. ტექსტს ბოლო ნაწილი აკლია. 4 ფ.

†

გუმინ, შაბათსა ლაზარესას, და დღეს, კვირიაკესა ბაიისასა, „საღმრთომან მადლმან ყოვლად-წმიდისა სულისამან შემკრიბნა ჩვენ” ამ წმიდა ტაძარში, გულმოდგინეთ მლოცველნო და წმიდათ მმარხველნო მორწმუნენო!

და განა მარტო ვერის სამრევლო წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარია დღეს სავესე ჩვენისთანა ღვთის მადიდებლებით? არა! წმიდა და უძველეს ქალაქ ტფილისის სხვა ტაძრებიც ასეა მლოცველებით სავესე. საქართველოს დანარჩენი ქალაქების, დაბა – სოფლების ტაძრებიც, სადაც კი ასეთები გადაურჩნენ ნგრევას, ვერ იტყვენ თვის ვედრებასა. ასევეა დღეს უცხო მოდგმის საქრისტიანო ქვეყნებშიც – ყოვლისა ქვეყნისა ქუდოსანნი თუ მანდილოსანნი, მოხუცებულნი თუ ჭაბუკნი, ყრმანი უმანკონი თუ ჩვილნი ძუძუმწოვარნი „პირითა შესწირვენ ქებასა” და „ბაიითა რტოებითა ხელთქონებითა” „ზედა მჯდომარესა კვიცსა ვირისა, და კარაულისასა, მეუფესა მშვიდსა და მსხნელსა, უგალობეს ... ოსანნა მადლითა შინა, კურთხეულ არს მომავალი ჩვენდა, მეუფე ისრაელისა ... ერთის წამითა გონებით მაინც ნახეთ საპყრობილეებში და გონებითვე დაათვალიერეთ მათი ვიწრო და ბნელი საკნები და დააკვირდით იქ მყოფ ტყვეთ-ქმნილ სახეების გამომეტყველებას; მცირე ხნით გონებით დაჰყავით შორიელ ქვეყნების ცივ და ბნელ მალაროებში და იქ მძიმე და აუტანელ ტვირთ ქვეშ იძულებით მყოფთა სულიერი ზრახვანი და მისწრაფებანი გაითვალისწინეთ. იგინიც, მთელი თავისი არსებით, ამ დღეს ჩვენთანა მყოფნი,

„საიდუმლოთ ქებასა ჰგრძობდეს ბაიათა რტოებითა, გალობის მიხოვნელნი; ოსანა მაღალთა შინა, ოსანა ძესა დავითისასა, მოსრულსა ჰხსნად საცდურისაგან ტყვეობაში მყოფთა და ყოვლისა კაცთა ნათესავისასა“. მსოფლიო წმინდა მართლმადიდებელ ეკლესიას რად მიუცია ამ დღესასწაულისათვის ასეთი დიდებული სახე? იერუსალიმის და მის ირგვლივ მდებარე სოფლების მცხოვრებთა შეხვედრა ქრისტესი, ზედა მჯდომარისა კვიცთა ვირისა და კარაულისასა, შედეგია, საყვარელნო, ქრისტეს მიერ ბეთანიაში ოთხი დღის დაყოფილულ ლაზარეს მკვდრეთით აღდგენისა.

წელიწადზე მეტ ხანს ქრისტე იესო „იქცეოდა ურიათა შორის, ასწავებდა მათ და მრავალ გვარ კეთილთა საქმეთა ქმნით უმტკიცებდა მათ, რომ იგი ციდან მოვლინებულია ამიერ ქვეყნად ზეციურ ღვთისა და მამისა მიერ,“ მაგრამ არც ერთ სასწაულს ქრისტესისას არ მოუხდენია ურიათა ქვეყნის მცხოვრებლებზე ისეთი ძლიერი გავლენა და შთაბეჭდილება, როგორც მოახდინა ოთხისა დღისა დაყოფილული ლაზარეს მკვდრეთით აღდგენამ, რამაც ნათელ ჰყო ორბუნებრივობა მისი: კაცობრივი და ღვთაებრივი. იოანეს სახარებაში სწერია: „ხოლო იესო, ვითარცა იხილა იგი /ლაზარეს და მარიამი/, რამეთუ ჰსტიროდა და მისთანა მოსრულნი იგი ურიანიცა ჰსტიროდეს, შესძრწუნდა სულითა და ჰრქვა მათ: სადა დაჰსდევით იგი? ჰრქვეს მას: მოვედ და იხილე. და ჰსცრემლეოდა იესოცა. იტყოდეს უკვე ურიანი იგი: „აჰა, ვითარ რამე უყვარდა იგი“ /იოანე XI. 33-26/. ამნაირად, ქრისტეს ცრემლები ლაზარესთვის უტყუარი ნიშანია მისი კაცობრივი ბუნებისა. ქრისტეს შემდეგი ბაასი მართასთან, ლაზარეს უფროს დასთან, შეუცთომელი საბუთია ქრისტეს ღვთაებრივობისა: „ჰრქვა მართა იესოს: უფალო! უკეთუმცა აქა იყავ არამცა მომკდარი-იყო ძმა იგი ჩემი. არამედ და ან ცა უწყი, ვითარ მედ რაიცა იგი ჰსთხოვო „ღმერთსა, მოგცეს შენ ღმერთმან“ ჰრქვა მას იესო: აღსდგეს ძმა შენი. ჰრქვა მას მართა: უწყი, რამეთუ ყოფად აღდგომისა შენისა უწოდე მკვდრეთითა ლაზარეს და აღდგინე, რათა აუწყო ყოველთა ცისკიდეთა, ვითარმედ შენ ხარ ღმერთი და კაცი სრული, და ხორცთა თანა აღდგომისა მფლობელი /გალობა IX. სძილის პირი. მუხ. 3/.

დღევანდელი დღესასწაულის მეორე ასეთივე დიდი აზრი დაცულია დღესასწაულის ტროპარში: „მეგობარი შენი ლაზარე მკვდრეთითა აღადგინე, ქრისტე ღმერთო, რომლისათვის ჩვენცა, ვითარცა შვილნი ებრაელთანი, შევჰსწირავთ შენდა ძლევისა გალობასა: რომელმან დაჰსთრგუნე სიკვდილი, ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“. მოყვანილ ტროპარიდან ჩანს, რომ ლაზარეს მკვდრეთით აღდგომით ქრისტე იესომ ნიშანი, ანუ მაგალითი მოგვცა საყოველთაო მკვდრეთით აღდგომისა. ჰრქვა მას იესო: მე ვარ აღდგომა და ცხოვრება, რომელსა ჰრწმენეს ჩემი „მოღათუკვდეს, ჰსცხონდესვე. და ყოველი, რომელი ცოცხალ-არს და ჰრწმენეს ჩემი არა მოჰკვდეს იგი უკუნისამდე, გრწამსა ესე? ჰრქვა მას მართა: ”ჰე, უფალო! მრწამს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე ძე ღვთისა მომავალი სოფლად“ /იოანე XI. 21-27/. მაშასადამე, ნათქვამით ქრისტეა ორი სრული ბუნებისა: კაცობრივისა და ღვთაებრივისა, \_ იგია ღმერთი სრული, კაცი სრული. ქრისტე იესო! მმეუფეო მშვიდო და მხსნელ მაშვრალთა და ტვირთ მძიმეთა! ტყვეობასა შინა მყოფთათვის ანგელოზისა მშვიდობისა, სარწმუნო წინამძღვარისა, მცველისა მათის სულითა და ხორცთა მიმვლინებელი, ვითარცა ბეთანიას, აქაცა ჰყავ სასწაულ კეთილი! ჩვენ, შვილნი, მზგავსად იუდა ისკარიოტელისა, დღეს ვერცხლის მოყვარეობით გატაცებულნი, მოამაგე და მოჭირნახულე მამათა და მოძღვართა ჩვენთა ვლალატობთ და აღარ ვინდობთ, ჭირში, იწროებაში და რისხვაში ვიმყოფებით. შეგვეწიენ, გვაცხოვნენ, შეგვიწყალენ და დაგვიცვენ ჩვენ მაღლითა



შენითა, რამეთუ შენ ხარ აღდგომა და ცხოვრება ჩვენი! გვაპატიე სიბნელეში ყოფნა! ნათელმან შენმან ჭემმარიტმან და მიუჩრდილებელმან განგვინათლოს გულნი და გონებანი და აღგვადგინე დღეს დაცემულნი და ცოცხალ-მკვდარნი. მოვსთქვამთ: „მოველი აღდგომასა მკვდრეთით.“ ამ გვარი, ჩვენი რწმენის საფუძველია ქრისტეს მიერ ოთხი დღის დაყოფილებული ლაზარეს მკვდრეთით აღდგენა და, რამდენიმე დღის შემდეგ, თვით ქრისტე იესოს ბრწყინვალე აღდგომაც მესამე დღისა. აი, ის ორი უმთავრესი მიზეზი იმისა, თუ რათა ვზეიმობთ ასე უზომოთ დღევანდელ დღეს ჩვენ, ყოველნი ქრისტეს სჯულის მიმდევარნი. ქრისტემ ლაზარე აღადგინა მკვდრეთითა და თვითაც აღსდგა მესამე დღესა, რათა კაცთა გულში ღრმად ჩაენერგა ურყევი აზრი, რომ ჩვენი, კაცთა სიკვდილი დროებითი ქვეყნიურია; სულით უკვდავნი ვართ; სული დროებით სტოვებს თავის საცხოვრებელ გვამს, რათა ქრისტეს ბრძანებით, ჟამსა მის მეორედ მოსვლისასა, მიწად ქცეული სხეული თვითეულის ჩვენგანისა, აღზდგეს სიკვდილის ჟამს განშორებულ სულთან შესაერთებლად ახალი საუკუნო ცხოვრებისათვის.

49. «სიტყვა მე-9-ე კვირიაკესა ზედა... ქრისტეს მიერ დამშვიდება გალილიის ზღვაზედ ამოვარდნილი ქარიშხალისა»... : [ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1928 წ. , 5 აგვისტო. ხელნაწერი. ტექსტი ჩასწორებულია. 3 ფ.

†

ზეციურმა მოძღვარმა იესო ქრისტემ, განაგდო რა უდაბნოში ხუთი პურით ხუთ ათასნი მამაკაცი, გარდა ყრმებისა და დედებისა, აიძულა თვისი მოწაფენი ჩამსხდარიყვნენ ნავში და გამგზავრებულებიყვნენ ზღვის მეორე ნაპირისაკენ, სანამ ის დაითხოვდა ნახული სასწაულით გაკვირვებულ ერს. დაიშალა რა ერი იგი, იესო ქრისტე ავიდა მთაზედ განმარტოებით ლოცვის შესასრულებლად. შემოდამდა. ამ დროს ნავით მოგზაური მისი მოწაფეები მოულოდნელად ამოვარდნილი ქარიშხალისაგან შიშმა მოიცვა, რადგანაც მღელვარე წყლის ტალღები ძლიერად ეცემოდნენ ნავს და უპირებდენ მას შთანთქმას. შუალამის მეოთხე ჟამს ზღვით მიმავალი მოვიდა მათთან იესო. მოწაფეებმა, დაინახეს რა ზღვაზედ მიმავალი მოძღვარი, შეძრწუნდნენ, რადგანაც მოჩვენება ეგონათ, და შიშისაგან შეჰკვივლეს. მაგრამ იესო მსწრაფლ გამოეხმაურა მათ და უთხრა: თამამად იყავით, ეს მე ვარ, ნუ გეშინიათ. ნავში მყოფმა პეტრე მოციქულმა უპასუხა: უფალო! თუ შენ ხარ, მიბრძანე მოვიდე შენთან. იესოსგან დასტურ მიღებული პეტრე გადავიდა ნავიდან და წავიდა წყალ-წყალ მასწავლებელთან მისასვლელად. მაგრამ ძლიერი ქარისაგან შეშინდა და, იწყო რა ზღვის სიღრმეში ჩაძირვა, შეჰლადა და მოძღვარს: უფალო, მიხსენ მე! შეშინებულ პეტრეს იესომ მაშინვე გაუწოდა ხელი, მიეშველა და უთხრა: მცირედ მორწმუნეო! იჭვი რად დაგებადა. როდესაც ისინი შევიდნენ ნავში, ჩადგა ქარიც. ნავში მყოფნი მივიდნენ და თაყანი-სცეს იესოს და უთხრეს: ჭემმარიტად ძე ღვთისა ხარ შენ. და გასცურეს ზღვა და მივიდნენ გენისარეთის ქვეყანაში /მათე XIV, 22-34/.

ხუთ-ათასი მამაკაცის ხუთი პურით გაძღომა, ზღვაზედ წყალ-წყალ სიარული ქრისტესი და ქრისტეს სიტყვით პეტრესიც, როგორც ხმელეთზედ, ქრისტეს და პეტრეს ნავში შესვლის უმაღლ ქარიშხალის დაცხრომა და სახარებაში მოთხრობილი

სხვანი მრავალნი სასწაულები არა ჩვეულებრივი მოძღვრისა, მსმენელებო, დამამტკიცებელია იმისი, რომ ის სწავლა, რომელსაც ქრისტე ჰფენდა ურიათა ქვეყანასა, იყო არა ქვეყნიური, კაცობრივი, არამედ ზეციური-ღვთაებრივი. რა არის სასწაული? სასწაული არის საქმე საუცხოვო, ბუნების მომქმედ ძალთა უდიდესი და უმაღლესი; იგი ისეთი საქმეა, რომლის ქმნაც შეუძლიან მარტო ღმერთს თვისი ყოვლად მძლევლობის ძალით, ან კიდევ წმიდა, სუფთა ცხოვრების მქონე კაცთა მიერ ღვთის მაღლითა და შეწევნით. იესო ქრისტე სოფლებში თუ ქალაქებში, უდაბურ ადგილებში თავმოყრილ ხალხთა წინაშე, მთის მწვერვალზედ თუ ველ-მინდვრებში, ტაძარში თუ სამლოცველო სახლებში, ყველგან და ყოველთვის დაუღალავად ასწავლიდა რა კეთილ საქმეთა, სასწაულების ქმნით აგვირგვინებდა. ამით ცხადად უმტკიცებდა მაცურებელ და მსმენელ ხალხს, რომ თვით უხილავი ზეციური მამა ღმერთი ამოწმებდა სინამდვილეს მქადაგებელი დიდი მოძღვრის ნამოძღვრე სიტყვებს. “ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვეყავ, მაგისი ისმინეთ” /მათე III, 17, XVII, 5/; აი ციდან მოსმენილ მამა ღმერთის დამამტკიცებელი სიტყვები იესო ქრისტეს მიერ ქადაგებული სწავლის სინამდვილისა და ჭეშმარიტებისა. კაცს თვისი საკუთარი ძალ-ღონით თვალთმაქცობა კი შეუძლიან და სასწაულის ქმნა კი არა. ღმერთი არ ჰშველის ფლიდს და მატყუარას. სასწაულების ქმნა მხოლოდ ღვთისაგან მოვლინებულ მქადაგებელთ შეუძლიათ. სადაც თქმულ კეთილ სიტყვას კეთილი საქმეც აგვირგვინებს, იქ რყევასა და იჭვნეულობას კი არ უნდა ჰქონდეს ადგილი, არამედ მქადაგებლისადმი სრულ ნდობას. ქრისტეს დროის ურიათა უმრავლესობა ჯიუტობით დაბრმავებულნი და დაყრუვებული იყო. თვალთმხედველობა ჰქონდათ და ვერ კი ჰხედავდნენ, ყურთასმენა ჰქონდათ და არ ემოდათ კი; ქრისტეს კეთილი სიტყვები კეთილი საქმეებით დამოწმებული ესმოდათ და ხედვიდნენ და არწმუნებდნენ კი. სამაგიეროდ დიდ მასწავლებელს ხშირად ქვებით ჩაქოლვას და სხვა გვარ ბოროტ სასჯელის მიყენებით ემუქრებოდნენ. ქრისტე ურიათა ასეთ ჯიუტობის და ბოროტ განზრახვათა ჟამს ხშირად ამხელდა და ეტყოდა მათ: თქვენ ჩემ სიტყვებს არ ერწმუნებით, მაშ უნდა ერწმუნოთ შესაქმეთა ჩემთა, იმიტომ რომ საქმენი, რომელთაც მე ვიქმ, ჰმოწმობენ, რომ მე მომავლინა მამამან /იოანე V, 36/.

საყვარელო! ოდესმე წმიდა ემბაზში განბანილნი, განწმედილნი, ნათელ-ლებულნი, მირონ-ცხებულნი დღეს ქრისტეს ღვთაებრივ სწავლას, უღმრთოთა და უსჯულოთა შეგონებით გაბრიყვებულნი, უარს ჰყოფენ, ფეხქვეშ სთელავენ. დღეს მათი ამ გვარი ყოფა-ქცევა მთლად ამართლებს ქრისტეს სასტიკ სწავლას თქმულს წინაშე მრავალი ხალხისა და მოწაფეებისა: “ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლითა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქვენსა წინაშე ღორთა, ნუ უკვე დაჰსტრგუნონ იგი ფერხითა მათითა და მოიქცენ და განგეთქნენ თქვენ” /მათე VII, 6/. წრფელი სულის წუხილით და მართალი გულის ტკივილით აღვნიშავთ ამ სინამდვილეს ჩვენი ერის უმრავლესობის დღევანდელი ყოფა ცხოვრებისას. ჩვენ კი, საყვარელო, ბოლომდის ერთგულნი ქრისტეს წმიდა სახარების სწავლისა, დაგვიხსნას მსოფლიოს ზღვის მღელვარების მამშვიდებელმა ღმერთმან ამ გვარი სასტიკი მსჯავრისაგან.

ამინ

50. «სიტყვა მე-17-ე კვირიაკესა ზედა»... : [იესო ქრისტეს მიერ ქანაანელი დედაკაცის ეშმაკეული ასულის განკურნება. ქადაგების წარმოთქმის ადგილი მითითებული არ არის]. 1928 წ., 30 სექტემბერი. ხელნაწერი. ტექსტი დაზიანებულია. 4 გ.

51. «სიტყვა მე-16-ე კვირიაკესა ზედა»: [იესო ქრისტეს იგავი ქანქართა შესახებ და მისი განმარტება ილია ჭავჭავაძის «გლახის ნაამბობის» მიხედვით]. 1928 წ. , 23 სექტემბერი. ხელნაწერი. ტექსტი ჩასწორებულია. 2 ფ.

†

დღესა სახარებიდან წაკითხული იგავი უფალ იესო ქრისტესი ქანქართა შესახებ ლამაზად აქვს ახსნილ-განმარტებული 1907 წლის 30 აგვისტოს წინამურის ველზედ ვერაგულად მოკლულ საქართველოს ერის წინამძღოლს, ილია ჭავჭავაძეს. ამ წამებული ადამიანის ხსოვნის აღსანიშნავად გადავშალოთ მისი მოთხრობა “გლახის ნაამბობი” და სიტყვა-სიტყვით წავიკითხოთ ეს ახსნა-განმარტება მოსმენილი იგავისა: “სახარებაში ქრისტე-ღმერთი ერთს იგავსა ბრძანებს... თურმე ყოფილა ერთი ბატონი, რასაკვირველია, მოსამსახურეებიც ჰყოლია. თითონ სხვაგან დაუპირებია წასვლა, დაუბარებია მოსამსახურეები და ფული დაურიგებია; ერთისათვის ბევრი მიუცია, მეორისათვის ნაკლები დ. მესამისათვის ერთიერთმანეზედ ნაკლები და უთქვამს: ისარგებლეთ და, როცა მოვალ, სარგებლით დამახვედრეთო. თითონ წასულა. იმ ორ მოსამსახურეს ჭკვა უხმარიათ, ბატონის ბრძანება აუსრულებიათ და, რაცა ჰქონიათ მიბარებული, ერთი იმოდენა კიდევ მოუგიათ. მესამე კი ერთი უჯიშო რამა ყოფილა, უმადლო, მცონარე; უფიქრია, მოგებას ვინა ჩივის, ესეც არ დავეარგოვო. აულია და მიწაში ჩაუფლავს. ბატონი რომ მიბრუნდა, მოიწონა ორივე მსახურის მადლიანი საქციელი, მესამეს კი გაუწყრა, წაართო ის ფული და იმათ მისცა, ვისაც მოგებით ეარნათ, მესამე კი ხელ-ცარიელი დარჩა. მიწაში ჩაფლა საწყალმა – არ დამეკარგოსო, მაგრამ ბოლოს მაინც კიდევ დაჰკარგა. რომ გაეცა კი, იმისი იქნებოდა... ბატონი ღმერთია, იმისი მსახურები ჩვენა ვართ, ღმერთმა ყველას გონება და ფული, სიკეთის შეძლება დაგვირიგა, ზოგს მართალია ცოტა, ზოგს – ბევრი, მაგრამ ბევრს ბევრი მოეკითხება, ცოტას – ცოტა. იმისთვის კი არ დაგვირიგა, რომ იმ ზარმაც მონასავით კიდობანში, ან მიწაში დავმალეთ, – იმისთვის, რომ, ბევრი გაჭირვებულია ქვეყნაზედ, უნდა გავცეთ, რომ მოვიგოთ რამე, თორემ ხელცარიელები დავრჩებით, როცა ღმერთი მოგვიკითხავს. ამიტომაც არიან ეგრე გულ-მართალნი შოთას სიტყვები: “რასაცა გაცემ შენია, რაც არა დაკარგულია.» ის ღვთის მადლი, რომელიც ყოველ კაცსა თავდაპირველადვე ჩავსახებია, – ჩვენთვის დაკარგულია, თუ სიკეთეს არ მოვაგებინეთ”... მერე ღმერთს რა პასუხს მისცემთ, ღმერთს რას ეტყვით? არ გეტყვით: რად მოიკალით გული, რომელიც თქვენის მოძმის სიყვარულისათვის მომიცია თქვენთვის? რად დამალეთ და დაიშურეთ ღონე და შეძლება, რომელიც გაჭირვებულის მოძმის საშველად მომიმადლებია? როცა, ძმაო ჩემო, ადამიანს პირს არიდებ, მითამ ქრისტე ღმერთისათვის მოგირიდებია პირი. იესომ ბრძანა: განკითხვის დღეს გეტყვითო: მწყურვალი ვიყავ, არ მასვით; მშიერი ვიყავ, არ მაჭამეთ; შიშველი ვიყავ, არ ჩამაცვითო; სნეული ვიყავ, არ მომიარეთ; როცა მეტყვიან: უფალო! სადა გნახეთ, რომ არ გიშველეთო? მე გეტყვით: ყოველი გაჭირვებული კაცი, თქვენგან არ გაკითხული, – მე ვიყავი. ესაა ძმაო!... სხვა შენთვის, შენ სხვისთვის – აი, გზა ცხოვრებისა; აი, ხილი ცხოვრებისა; აი, გასაღები სამოთხისა!... /ილია ჭავჭავაძე, “გლახის ნაამბობი”, გვ. 284-285, 292. გედევანიშვილის გამოცემა/.

მაშ, საყვარელნო ძმანო! ნიშნად ჩვენი ქრისტიანობისა და წამებულ ილიას ხსოვნისა, მისი ნიჭის თაყვანისცემისა და მრავალ ღვაწლთა და შრომათა დაფასებისა, აღვიბეჭდოთ მტკიცეთ გულსა და გონებაში სახარებიდან დღეს მოსმენილი ქრისტეს მიერ თქმულ ქანქართა შესახებ იგავის შინაარსი და ჩვენი ცხოვრებით, საქმით და სახარების მცნებათა ასრულებით გავამართლოთ მეორე დიდი პოეტის, გრიგოლ ორბელიანის მოძღვრება:

“მიეცით ნიჭსა გზა ფართო,  
თაყვანისცემა ღირსებას;  
ნიჭს აძლევს მხოლოდ ზენა კაცს  
და არა გვარიშვილობას!”

ამინ

52. «მე-2-ე კვირიაკე დიდ მარხვისა»: [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1927 წ., 20 მარტი. ხელნაწერი. ტექსტის ბოლოს: დევ. დ. გარსიაშვილი. ტფილისი. 3 ფ.

†

წმინდა დიდ მარხვა მორწმუნეთათვის სარწმუნოების აღიარების განსაკუთრებითი დროა. ამის უტყუარი ნიშნებია მორწმუნეთა ბეჯითი ლოცვა, სინანული, ზიარება, ქველმოქმედება შინ თუ გარეთ, ღვთის ტაძრებში შესრულებული და გაცემული. მაშ, რა არის სარწმუნოება? ... მოიპოვება საღვთო წერილში განმარტება ამ საკითხისა? დიდი მოციქული ქრისტესი პავლე ებრაელთა მიმართ მიწერილ წერილში ეპისტოლეს XI თავის პირველ მუხლში შემდეგ პასუხს იძლევა: „ხოლო არს სარწმუნოება მოსავთა მათ ძალი საქმეთა მამხილებელ არა ხილულთა“. სარწმუნოება მვედრებელთათვის არის ის ცხოველმყოფელი ძალა, რომელიც ჩვეულებრივი გონებით მიუწვდომელს მისაწვდომს ხდის. თანამედროვე კაცობრიობამ იცის ორი საშუალება ბუნების საგანთა შეცნობისა. ერთია მეცნიერული, მეორე – ზესთა ბუნებითი. მეცნიერული საშუალება ცდას ემყარება – საგანს განიხილავს მასზე დაკვირვების მოხდენით, რის საშუალებასაც იძლევა ადამიანის ხუთი გრძნობათა ორგანო. ყველა იმას, რაც ჩვენი გრძნობათა ორგანოებზე გავლენას ვერ ახდენს, მეცნიერება ვერ სწვდება. აქ მთავრდება მეცნიერული საშუალება და იწყება შემეცნების ზესთა ბუნებითი ხერხი. საგანთა უშუალო განჭვრეტით ჩვენ ვწვდებით საგანთა იმ მხარეებს, რომლის შესაცნობად მეცნიერება უძლური გამოდგა. მეორე საშუალება უნდა იყოს გამოსაყენებელი უხილავი საგნების შემეცნებაში და მათ გარკვევაში. სარწმუნოებაც, რომელიც ამ მეორე საშუალებას ემყარება, უხილავი საგნების გამშუქებელია. ის, რაც გონებამ ვერ ჰყო ხილული, ადამიანის სარწმუნოებამ უშუალო განცდით, ბუნების ძალების შეგრძნებით და უხილავის განჭვრეტით ცხად-ჰყო ... ვერ ვხედავთ ღმერთს და მის ანგელოზებს, მაგრამ გვრწამს ღმრთისა და მისი ანგელოზების არსებობა ჩვენ თვალთათვის უხილავ ქვეყანაში. მოველით აღდგომასა მკვდრებით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესასა, თუმც არ ვიცით, როდის იქმნება ყოველივე ეს. საკითხის უფრო ნათელ საყოფად მივმართოთ მახარებელ და ღვთისმეტყველ იოანეს სახარებას: თომა მოციქულს უთხრეს მოწაფეთ: შენ აქ არ ყოფნის დროს ჩვენ ვიხილეთ მკვდრებით აღდგომილი უფალი. თომამ მიუგო

მოწაფეებს: თუ არ ვიხილავ ჩემის თვალით უფლის ნალურსმნევ ხელებსა და ჩემის თითებით არ შევეხები მათ და ლახვარსობილ გვერდში ჩემს ხელს არ ჩავდებ, ისე არ ვიწამებ /იოანე XX, 25/. რვა დღის შემდეგ, როცა კარებდახშულ ოთახში ერთად შეკრებილ იყვნენ მოწაფენი და თომაც მათ-თანა იყო, შევიდა იესო და დასდგა მოწაფეთა შორის ... და მისალმების შემდეგ უთხრა თომას: „მოჰყვნენ თითონი შენნი და იხილენ ხელნი ჩემნი, და მოიღე ხელნი შენი, და დამსდევ გვერდსა ჩემსა, და ნუ იყოფინ ურწმუნო, არამედ გრწმენინ. მიუგო თომა და ჰრქვა: უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი. რქვა მას იესო, რამეთუ მიხილე და გრწამს, ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვჰრწმენე“ /იოანე XX, 26-29/. მკვდრეთით აღდგომილი უფალ იესოს თქმით ჩვენ თომაზე უფრო ბედნიერნი ვართ, რადგანაც თომამ იხილა უფალი და ისე იწამა, ხოლო ჩვენ კი არ გვიხილავს და გვრწამს რომ იგია ერთი უფალი იესო ქრისტე, მე ღვთისა ... რომელი ჩვენთვის განკაცდა და ჯვარს ეცვა და ივნო და დაეფლა და აღზდგა მესამესა დღესა და ამაღლდა ზეცად და კვალად მომავალ არს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკვდართა ... ასეთი ჩვენი რწმენა უფრო ღირებულია ღვთის წინაშე, ვიდრე თომასი. საბრალონი არიან ისინი, ვისაც არ აქვთ ეს ძალა.

53. «სიტყვა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ხორციელად შობის დღეს თქმული»: [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1929 წ. , ხელნაწერი. ტექსტი ჩასწორებულია. დასასრული აკლია. 6 ფ.

†

უწინარეს 1929 წლისა ყოვლისა-მპყრობელის და ცათა და ქვეყნის შემოქმედის მამა ღვთის ნებითა და განგებით ბეთლემს ურიასტანისას იძლია და დაირღვა წესი ბუნებისა, საყვარელნო ქრისტიანენო!

ამ დროს პირველ საუკუნითაგან დაფარული დიდი საიდუმლო ღვთისა, ზეცაში მცხოვრებ ანგელოზთათვისაც ჯერეთ იძლია უცნაური, ქვეყნად მცხოვრებ კაცთათვის საცნაური და სახილველი შეიქმნა. სუნნელებით სავსეს სიტყვანი, მთავარ-ანგელოზის გაბრიელისაგან გალილიის ქ. ნაზარეთში უბიწო და უბრწუნელ ქალწულ მარიამის მიმართ ნათქვამნი: “გიხაროდენ მიმადლებულო! უფალი შენთანა! კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის ..... რა ჰპოვე მაღლი წინაშე ღმრთისა, ... და აჰა ესერა, შენ მუცლად იღო და ჰშვა მე, და უწოდე სახელი მისი იესო, “ ... /ლუკა I, 28, 30, 31/ საქმით გამართლებულ იქმნენ: აღთქმული მაცხოვარი, მხოლოდ შობილი მე და სიტყვა ღვთისა უკდავი არსება იესო ქრისტე, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სიბნელეში მყოფ კაცთა განათლებისათვის, ცხოვრებისათვის და ცოდვილთაგან გამოხსნისათვის, სულისაგან წმიდისა წინათვე განწმენდილ ყოვლად წმინდა ქალწულ მარიამის საშოსაგან განკაცდა, და ქვაბსა შინა იშვა და ბაგასა მიიწვინა. ამ დროიდან ქრისტეს შობა ყველა მორწმუნეთათვის გასახარი და საყვარელი დღესასწაულია. რად არის ასე, მორწმუნენო? ასეა მისთვის, რომ ბეთლემს ურიასტანისას ქრისტეს შობით განახლებულ და აღდგენილ იქმნა კაცობრიობის წინაპართა ადამ და ევასაგან სამოთხეში შეცოდებით დარღვეული ურთი-ერთობა ცათა შინა ანგელოზთა და ქვეყანასა ზედა მცხოვრებ კაცთა შორის. ამ სწავლას წმიდა ეკლესია შეგვაგონებს შემდეგი ხმა მაღალი გალობით: “იხარებდინ ცანი და იშვებდინ ქვეყანა, რომელი დღეს ჭეშმარიტად ერთი სამწყსო იქმნენ ანგელოსნი და კაცნი

/საგალ. დეკ-ს 28-სა მწუხარად/ ეკლესიისავე გალობით ამ დღიდან ქვაბსა შინა შობილი და ბაგასა მიწვენილი იესო ქრისტე “ძე ღვთისა ძე კაცისა იწოდების, და ქალწული უქორწინებელი დედად ღვთისად იხილვების, და დედა შემდგომად შობისა ქალწულად იპოვების.” ... ამ საღვთისმეტყველო სწავლაშია ზნეობრივი ძალა და სისუფთავე ადამიანთა, ზნეობრივ ცხოვრების მოტრფიალენო მამაკაცნო და დედაკაცნო! ძე ღვთისა ქრისტე მეუფე, გარეშე უწერელი, დაუსაბამო, გამოუთქმელი ზეცით ქვეყნად გარდამოხდა, ხატი მონისა შეიმოსა და მზგავს კაცთა იქმნა. რად დაიმცირა ამ ნაირად მაცხოვარმა თავი თვისი, რომელიც ფსალმუნთმგალობელ მეფე დავითის თქმით: “პირველ მათთა დაბადებამდე, და შექმნად ქვეყანისა და სოფლისა, და საუკუნითგან და უკუნისამდე იგი უკვე იყო“ /ფს. 89, 2/ დღიდან ადამ და ევას დაცემისა ქრისტეს ბეთლემის ქვაბსა შინა შობამდე, ჩვრებში შეხვევამდე და ბაგასა მიწვენამდე კაცთა ნათესავი ეშმაკისაგან ავი ცხოვრების შეყვარებით და შეთვისებით ზედმეტად მიმძლავრებული, გახრწნილი. ყოველთა მეუფემ მაღლითა წყალობითა, მოწყალეობითა და კაცთმოყვრებითა “ვერ იტვირთა ასეთი უნუგეშო ყოფა და წარწყმედა ხატად ღვთისა დაბადებულ კაცისა. ამისთვის მან მოდრიკნა ცანი, გარდამოხდა ზეცით, და დაიმკვიდრა საშო ქალწულისა წმიდისა უქცეველად და უცვალებულად, და მოწყალეობით კაც იქმნა ყოვლითურთ თავს იდვა და თვინიერ ხოლო ცოდვისა“ ... იესო ქრისტემ ხორცი შეისხნა, რათა მოკლე ხნით ამ ქვეყნად დაბადებულ კაცთა შეაგონოს, რომ ამა თუ იმ ქვეყნად მათ სულთა ცხოვრებისათვის საჭიროა არა ერთმანეთის გაუტანლობა და კაცი-ჭამიობა, უღვთო და უწყალო თვალთა ხედვა, გულქვაობა, კაინისებურ მრუდეთ ფეხის გადადგმა და მოძმის შემმუსვრელი მარჯვენის მოქნევა, მოყვართა საზარლათ გამცემელ იუდასებურ ვერცხლისმოყვარეობის ზეგავლენით ბილწ და მწარე და ქვეყნის ამომგდებ ენის ამეტყველება, არამედ ბედისაგან დაჩაგრულ ადამიანთა სასარგებლოთ საჭირო კაცის მიერ ღვთის მაღლის აღიარება, წყალობის ქადაგება და თავგაწირვამდე უხვად ქველმოქმედება. აი ამ მიზნის აღსრულებისათვის დაიმცირა მაცხოვარმა თავი თვისი, და ხატი მონისა შეიმოსა, და მზგავს კაცთა იქმნა ქრისტიანის ბეთლემის ქვაბსა შინა შობით, ჩვრებში გახვევითა და ბაგასა მიწვენითა, საყვარელნო ქრისტიანენო! დიდება ღვთის განგებასა!... ეკლესიასთან ერთად ჩვენც მორწმუნენი, განკვირვებულნი ვკითხულობთ და ვგალობთ: “რა არს უმდაბლეს ... ქვაბისა, და ... მჭვრისა, რომელსა შინა ბრწყინავდა მდიდრად ღვთაება საკვირველ-მოქმედის უფალ იესოსი” /იხ. იპაკო ხმა 8, 25 დეკ. მე-3-ე ძილის პირიდან/.

ქრისტეს შობა ბეთლემის ქვაბსა შინა ყველაზედ უწინ ზეცაში მცხოვრებ ღვთის მსახურ ანგელოზებმა შეიტყვეს, განიკვირვეს და განიხარეს. “გუნდნი ზეცისა ძალთანა მოველინენ გამოქვაბულის მიდამოს ღვთაებრივი ნათლის უხვად მოფენით და “დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა კაცთა შორის სათნოება” ტკბილი გალობით და თქმით ამცნეს ქვეყნის გვირგვინად და მფლობელად წოდებულ კაცთა დიდი და მხიარული აზრი მაცხოვრის ზეციდან გარდამოსვლისა მარიამისაგან ქალწულისა და განკაცებისა სულისაგან წმიდისა. იესო ქრისტეს შობის ღამეს იყო ბუნება მიძინებული. ფსალმუნთმგალობელის, “ღვთის მამად” წოდებულის, მეფე დავითის ქალაქი ბეთლემიც მთლად ღრმა ძილს მისცემოდა. არ ეძინათ მხოლოდ მინდორში ცხოვართა სადარაჯოზე მდგომთა – მწყემსთ. თითოეული მათგანის სული, მზგავსად იმ ღამის აღმოსავლეთის ბრწყინავი უღრუბლო ცისა, სუფთა იყო და ნათელი. ისინი, მათ მიერ სამოვარზედ მიშვებულ კრავთა, მშვიდნი და წყნარნი იყვნენ. მწყემსნი, თვისი უცოდველობით და

ღვთისნიერებით, მოაგონებდნენ კაცს ჭაბუკს დავით ფსალმუნთ მგალობელს, ოდესმე ბეთლემის მიდამოებში ცხოვართა სადარაჯოზე მდგომს.

და აჰა, მახარებელ ლუკას მოთხრობით, ციურ სხივებით გაბრწყინებული ანგელოზი უფლისა თავს წამოადგა ამ მწყემსებს “და დიდება უფლისა გამოუბრწყინდა მათ” /ლუკა II/. უცნაურმა და მომხიბლავმა სანახაობამ დიდათ შეაშინა მწყემსნი; მაგრამ ანგელოზმა უთხრა მათ – ნუ გეშინიანთ, მე გახარებთ თქვენ დიდს საქვეყნო სიხარულსა. ამ ღამეს დავითის ქალაქში იშვა მაცხოვარი, რომელიც არის ჭეშმარიტი უფალი. წავიდეთ ბეთლემში, – სიხარულით ეუბნებოდნენ ერთმანეთს მწყემსნი, ... წავიდეთ და ჩვენვე ვნახავთ მას, რაც უფალმან გვახარა ჩვენ! წავიდნენ ... მწყემსნი, შევიდნენ ნაცნობ გამოქვაბულში, სადაც ჰპოვეს მარიამი და იოსები და ღვთაებრივი ყრმა ბაგაში მწოლიარე. ისინი მიუახლოვდნენ ყრმას და უმზერდნენ მას წყნარი და უტყვი მოკრძალებით. მწყემსთა მოულოდნელად მოსვლამ და მათ მიერ ნაამბობმა ნახულის და გაგონილის შესახებ გააკვირვა მარიამი და იოსები. თავყანი სცეს რა ყრმას, მწყემსნი დაბრუნდნენ ცხოვართა სადარაჯოზე ღვთის ქება-დიდებათა ნახულისა და გაგონილის ზეგავლენით. და აი ამნაირად, საყვარელნო, იესო ქრისტეს შობა კაცთა შორის პირველად ჰქადაგეს ციურ ანგელოზებმა და ქვეყნიურმა, ცხოვართა სადარაჯოზე მდგომთა, მწყემსებმა.

საყვარელნო! როდესაც იესო ქრისტე იშვა ბეთლემში, შორეულ აღმოსავლეთიდან მოვიდნენ იერუსალიმში მოგვნი, ე.ი. კაცნი მეცნიერნი და ბუნების საიდუმლოებათა მკვლევარნი. მათმა ჩაცმულობამ, დიადმა გარეგნობამ, განსაკუთრებით კი მათმა წოდებამ მიიპყრეს იერუსალიმელთა ყურადღება. “სადა არს, ... მეუფე ურიათა? და ვიხილეთ ვარსკვლავი მისი აღმოსავლეთის და მოვედით თავყანისცემად მისსა” /მათე II, 2/, იკითხეს მათ იერუსალიმში მოსვლისთანავე. “ბეთლემს ურიასტანისას” /მათე II, 5/ – იყო პასუხად შეჰრძმუნებულ იროდი მეფის მიერ შეკრებილი მღვდელმთავართა და მწიგნობართაგან /მათე III, 3-4/. ასეთი განმარტების შემდეგ მოგვთა განაგრძეს მსვლელობა ბეთლემისაკენ .....

54. «სიტყვა წარმოთქმული ქალწულის ხარების დღეს»: [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება] 1930 წ., ხელნაწერი. ტექსტი ჩასწორებულია. 11 ფ.

†

ბედისაგან დაჩაგრულნო მორწმუნენო ქართველნო! ასე კარგი, ლამაზი, ტურფა და მშვენიერია, საყვარელნო, გაზაფხული! ბუნების მრავალ-ფრად ყვავილობის დროს, სურნელების უხვად მოფენის დროს შეურჩევია ცისა და ქვეყნის წაწარმომშობელს და მის კანონთა დამწესებელს და გამგებელს ყოვლისა მპყრობელ უსაზღვრო გონიერებას, – ღმერთს, ზეცით მოვლინება მთავარ-ანგელოზის გაბრიელისა..... ქალწულ მარიამისადმი კეთილი ამბის სახარებად ... დიდება ღვთის განგებას! უწინარეს ყოველთა საუკუნოთა ლამაზ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ღმერთისაგან, აჰა, ლამაზი შერჩევა დროისაც! ხარების შინაარსის ზედმიწევნით შესწავლა შეგვადლებინებს სულთა ჩვენთათვის მის დიდ მნიშვნელობის გარკვევას. მაშ, ამ მოსაზრებით, მსმენელებო, გავიხსენოთ სწავლა ხარების შესახებ საღმრთო გადმოცემისა!

სად და ვის მფარველობის და მზრუნველობის ქვეშ იწყო ქალწულ მარიამმა ცხოვრება იერუსალიმის ტაძრის გარეშე? რა პირობებში გამოეცხადა მას მთავარ ანგელოსი გაბრიელი?

შობიდან 14 წლის ქალწულ მარიამმა, თანახმად მოსეს სჯულისა, შესწყვიტა იერუსალიმის ტაძართან ცხოვრება და გადასახლდა ღრმად მოხუცებულ, 80 წელს მიღწეული ნათესავის, მართალ ხურო იოსების სახლში. ეს მართალი მოხუცებული იოსები სცხოვრობდა იმავ ქალაქ ნაზარეთში, სადაც სცხოვრობდნენ მშობლები ქალწულისა. იერუსალიმის ტაძარი და ამ ტაძრის მესვეურნი მღვდელმთავარი და მღვდლები იყვნენ მცველნი და მსახურნი მარიამის ქალწულებისა და დიადი სიწმიდისა. ამ ხნის შემდეგ კი ეს მშობლიური მოვალეობა, თვით ღვთის შთაგონებით და მითითებით, თავს იდგა ურიათა მეფე დავითის შთამომავალმა, ღვთის ღრმა მოყვარე და მოშიშმა, “გლახაკმა სულითა,” ღარიბმა მოხუცმა დურგალმა იოსებმა. ქალწულის იქ დასახლებით, სავსე შეიქმნა ღვთის უხვი მადლითა და წყალობითა, რასაც არანაირი ამ ქვეყნიური სიმდიდრე არ შეედრება. იერუსალიმის ტაძრის დატოვებამ და გადასახლებამ როდი შეაცვლევინეს პატიოსანს მარიამს სახე ცხოვრებისა, მსმენელებო! მოხუცებულ იოსების სახლში ქალწულის ყოველდღიურ ზრუნვის საგანს შეადგენდა ბეჯითი ლოცვა-ვედრება, საღმრთო წიგნების კითხვა და ოჯახზე ზრუნვა... ამნაირად ღარიბული სახლი მოხუცებულობის ჟამსაც მუყაითად მომუშავე ხელოსან იოსებისა, დღიდან უბიწოის მასში დაბინავებისა, გადაიქცა უჩინარ სამლოცველო ღვთის ტაძრადაც. მოხუცი მართალი იოსები, მნახველი მარიამის ასეთი ცხოვრებისა და გაკვირვებული მისი უბიწო ყოფა-ქცევითა, მამობრივი სათუთი სიყვარულით და ერთგულებით მისი ქალწულების სიწმიდით დამცველი და დამმარხველი აღმოჩნდა, იერუსალიმის ტაძრის წინაშე დადებული ვალდებულების პირნათლად აღმსრულებელი და მუდმივ, და განუშორებელი, და დაუზარებელი გზის მაჩვენებელი, წინამძღოლი შეიქმნა. ადრე დაობლებულ წმიდა ასულს, როგორც ტაძართან ცხოვრების დროს მღვდელთა მზრუნველობის ქვეყნოვს, არ უგრძობია ობლობა, ისე დღიდან მის ნაზარეთში გადასახლებისა, არ მოჰკლებია მას მამობრივი მოვლა და ყურის გდება თბილი, მოსიყვარულე გულის მქონე მოხუცებულ იოსებისა და მისი ზნეობრივად წმინდათ შენახულ ოჯახის წევრთა. ამნაირად წარუმართნია ღვთის განგებას, საყვარელნო, ყრმობიდანვე ობლობაში აღზრდილ, ეკლესიური საგალობლის შესხმით ამ “მშვენიერ შროშანის” – მარიამის სვე-ბედი. სჩანს, ცისა და ქვეყნის გამჩენელს თავიდანვე თვითვე უტვირთნია კურთხეულის დედ-მამობა! ასეთი სანატრელი ხვედრი, სამი წლიდანვე ობლობით აღზრდილ მარიამისა, უნებურად გვაგონებს პოეტ რაფიელ ერისთავის პატარა, მაგრამ ღრმა შინაარსის ლექსს, სათაურით “ობოლი”:

“დედაც მოუკვდა, მამაცა,  
მარტოა, ერთად-ერთია .....  
მაგრამ განგება დიდია,  
მისი დედ-მამა ღმერთია”

ობლის, ყოვლად პატიოსან “დედა-ქალწული” მარიამის დედ-მამაც ღმერთი იყო. თავიდანვე მარიამი საღმრთო წერილის ბეჯითი მკითხველ-მგალობელი შეიქმნა. ასეთი გამუდმებული შრომა-ვარჯიშობით მან საფუძვლიანათ შეიგნო და შეითვისა დედა-აზრი ძველი აღთქმისა ... მხოლოდ შობილი, მამისაგან შობილი უჩინარეს ყოველთა საუკუნეთა, მაცხოვარი იესო ქრისტე იყო უმთავრესი საგანი ღვთისა სიმშვენიერის მარიამის სარწმუნოებისა, სასოებისა და სიყვარულისა. მაღალი და განათლებული გონებით, წრფელი სულით და წმინდა გულით შეითვისა და



შეისისხლხორცა ქალწულმა დიდ წინასწარმეტყველ ესაიასაგან 600 წლით ადრევე ნაწინასწარმეტყველი: “აჰა ქალწულმან მუცლად იღოს და შვას ძე, და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ” /ესაია VII, 14 /, ... რომელ არს თარგმანებით: ჩვენთანა ღმერთი” ... /მათე I, 23/.... აი, ამ აღთქმულ მაცხოვრისათვის სცემდა “უფროის თოვლისა” განსპეტაკებული გული ხერუვიმთა უპატიოსნისა; ადამ და ევასაგან შთამომავალ კაცთა ცოდვათა აღმღებელ კრავისათვის ჰფეთქავდა ნათელი სული აღმატებით უზესთაესსა სერაბიმთასა; ამ მსოფლიო ტარიგისა და კეთილი მწყემსისათვის ჰაზროვნებდა დღე-მუდამ ღვთივ-გაბრძობილი გონება მიმადლებულისა.

მივაპყრათ თვალნი ჩვენნი მშვენიერ მხატვრობას ხარებისას ყოფილ ქართულ გიმნაზიის გაუქმებულ ეკლესიისა და ამ ჩვენი სამრევლო ტაძრის მშვენებას. კანკელის აღსავლის კარებებზე მოწყობილს, დაკვირვებით გავშინჯოთ იგი და ჩვენი გონებით ამოვიკითხოთ და შევისწავლოთ მხატვრისაგან მასში გამოხატული დღეს წაკითხულ წმიდა სახარების სწავლა. ასეთი გზით შესწავლა ამ სადღეისო ხატისა მოგვცემს ნათელ პასუხს ზემოდასმულ კითხვებზე: თუ რას აკეთებდა ან რას ფიქრობდა ამ დროს უბიწო და დედა ღვთისა ჩვენისა, ოდეს ზეცით მოველინა მას მთავარ-ანგელოსი გაბრიელი? ამ მოსაზრებით მცირე ხანს გონებითაც გადავსახლდეთ მცხოვრებთა რიცხვით და დოვლათითაც მცირე ქ. ნაზარეთში. კითხვის-კითხვით ჰპოვოთ ღარიბი სადგომი ბინა ხურო იოსებისა და ქალწულ მარიამისა და მიმოვავლოთ დაკვირებულნი თვალნი ჩვენნი იქაურობას ... ვნახავთ: ... ფეხზე წამომდგარია ღვთის მშობელი, დედა-ქალწული, მშვენიერი შრომანი მარიამი. მის წინ ღვთის სადიდებლად სდგას საწიგნობელი გადაშლილი, წიგნით, უკან კი – სავარძელი; მარცხნივ ზეცით მოსული – ანგელოსი. ზეციურ ფრთოსანის დანახვაზე სავარძლიდან უმაღლ ფეხზე ამდგარი მიმადლებული სძალი ღვთისა, გულზე ხელებდაჭდობილი სარწმუნოებით, სასოებით და სიყვარულით სმენად გადაქცეულია.

საღმრთო გადმოცემის სწავლით, საყვარელნო, “მოივლინა გაბრიელ-ანგელოსი ღმრთისა მიერ ქალაქად გალილიასა, რომლის სახელი ნაზარეთ, /ლუკა I, 26/... და შევიდა ანგელოსი იგი ქალწულის” სადგომში, მიესალმა და აცნობა მას მაღლი ღვთისა იმ დროს, როდესაც უქორწინებელ სძალს ის იყო ამოეკითხნა დიდი წინასწარმეტყველის ესაიას სწავლა “აჰა, ქალწულმან მან მუცლად იღოს და შვას ძე, და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ”... /ესაია VII, 14/ ... “რომელ არს თარგმანებით: ჩვენთანა ღმერთი” /მათე I, 23/ ... მაღალი გონება და წმინდა გული მარიამისა სხვა დროის მსგავსად ამ ჟამდაც შეეპყრო ამ, ჯერ არსად გაგონილ, საკვირველ სწავლას.; იღუმალ ინატრა უმცირესი, რომლის მუცელიც იტვირთებდა ზეციურ მაცხოვარს და რომლის ძუძუნიც მას რძით ასაზრდოვებდნენ. აჰა, ყველა დროის და ქვეყნის დედაკაცთათვის მაგალითი დიდი თავდაბლობისა! თვით დედა-ღვთისა, თვით ტაძარი სიწმიდისა, სამოთხე სიტყვიერი, ქალწულებისა სიქადული, რომლისაგან ყრმა იშვა საუკუნეთა ღმერთი ჩვენი, ნატრულობს ძე ღვთის-მშობლის მორჩილობას, დაბალ მოსამსახურედ ყოფნას, რათა ყოველ დღიურ მსახურებით ერთთავად უმზერდეს, და ჰსჭვრეტდეს, და შეჰხაროდეს, და აქებდეს და ადიდებდეს ცათა უვრცევლესს ...

“გიხაროდენ მიმადლებულო! უფალი შენთანა! კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის!” ... მთავარ-ანგელოსის ამგვარი მოკითხვით, შეჰსძრწუნდა ქალწული მარიამი და იწყო თავის თავად ფიქრი: თუ რას უნდა ჰნიშნავდეს ასეთი მოკითხვა ანგელოსისა? იგი არ შეშინდა კი, მხოლოდ შეჰსძრწუნდა; არ შეშინდა მისთვის, რომ

ფრთოსან ანგელოსის მოვლინება ზეცით დედათა შორის კურთხეულისათვის არ იყო ახალი და შემთხვევითი. გამოცხადება მთავარ-ანგელოსისა როგორ შეაშინებდა მას, რომელიც დაუახლოვდა ანგელოსებს, ჯერ ისევ იერუსალიმის “წმიდათა წმიდათაში” მსახურების დროს, სადაც მათ ხელთაგან და ენა-ბაგეთაგან ერთთავად ღებულობდა სულიერსა და ხორციელს საზრდოს? იერუსალიმის ტაძარში, თუ ნაზარეთის საცხოვრებელ ბინაზე მარიამს საეკლესიო კითხვა-გალობით, \_ ამ “ახლად აყვავებულ ჭემმარიტ ვენახს”, ბევრჯერ ჰსმენია ზეცით მოვლინებული ღვთის უსხეულო მსახურთაგან მოკითხვა, მაგრამ ასეთი მოკითხვა კი: “კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის!”.. პირველი იყო ყურთათვის წმიდისა... წმიდა შეჰსძრწუნდა მთავარ-ანგელოსის მოკითხვით მხოლოდ მისთვის, რომ იგი ამით, სჯულისამებრ ძველი აღთქმისა, ისეთ დედაკაცს მიესალმებოდნენ და მოიკითხავდნენ, რომელიც ქმრითა და შვილებით ღვთისაგან დაჯილდოვებული და გაფუფუნებული იყო ... კეთილგონიერი მარიამი არ შეშინდა კი, მხოლოდ მიეცა იღუმალ ფიქრს: თუ რა უნდა ნიშნავდეს ზეციდან მოვლინებულ მახარებელის ასეთი მოკითხვა? მას ხომ ქმარი არა ჰყავს? ხომ მას აღთქმა აქვს დადებული ღვთის წინაშე ჯერ ისევ ტაძარში ცხოვრების დროს და სიკვდილამდე მამაკაცი არ იცოდეს? და ამისათვის იგი ხომ მარადის ქალწულია? მაშ, როგორ შეუძლიან მას, ქალწულს, უმამაკაცოდ მუცლად ილოს და ჰშვას ძე? ეს ხომ ბუნების საწინააღმდეგო მოვლენაა და, მამასადამე, შეუძლებელია? აი, ასეთმა აღძრულმა კითხვებმა არ კი შეაშინეს, მხოლოდ შეაძრწუნეს მარადის სანატრელი, მსმენელებო! ... “ხოლო მან /მარიამმა/ რა იხილა, შეჰსძრწუნდა სიტყვასა მას მისსა ზედა, და განიზრახვიდა, ვითარმე არს მოკითხვა ესე” /ლუკა I, 29/ შეძრწუნებულს “ტაძარსა სიწმინდისა” სასწრაფოდ ამშვიდებს ანგელოსთა კრებულის მთავარი წევრი: “ნუ გეშინიან, მარიამ! ჰპოვე მაღლი წინაშე ღმრთისა, და აჰა ესერა, შენ მუცლად ილო და შვა ძე და უწოდე სახელი მისი იესო... ესე შენ და რომელიც, შჯულისმდებლის მოსეს სწავლით, ოდეს “ქვეყანა იყო უხილავ და განუმზადებელ” და “ზნელი იყო ზედა უფსკრულთა, ... იქცეოდა ზედა წყალთა”... /წიგნი ა. მოსესი შესაქმე I, 2/ შობილი იესო იქნება დიდი და ძე მაღლისა ... და მის სუფევას არ ექმნება დასასრული” ... ნუ იჭვნეულობ, მარიამ! ნუ ჰვიქრობ, რომ დიდი წინასწარმეტყველი ესაია შემცდარი იყოს ... იგი არ შემცდარა, როს დაუწერია: “აჰა ქალწულმან მუცლად ილოს და შვეს ძე”... მას დაუწერია ეს ბუნების კანონია და დამმარღველი სწავლა არა თავისით, არამედ სული წმიდის შთაგონებით, რომლისაგანაც თვით ბუნებაა წარმოშობილი, ... შენ ჰნატრობ იმ ქალწულის მხეველობას, მაგრამ იგი ჭემმარიტი ქალწული შენ თვითონ ხარ, რომელიც დაიმსახურე მაღლი წინაშე ღვთისა, რომ უმამაკაცოდ, უთესლოდ მუცლად ილო ემძნული – მაცხოვარი \_ ტარიგი და მხსნელი სოფლისა, იესო. შენ მოიპოვე ასეთი მაღლი ღვთისა შენი უღრმესი სიმდაბლით, შენი ქალწულებრივი სიწმიდით და ღვთისადმი სიყვარულით. შენ შეიყვარე და მოიძიე ღმერთი ყოვლითა გულითა შენითა, და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა; და აი ამისათვის, დაიმსახურე წყალობა და მაღლი მისი, რისთვისაც ჰშობავ არა უბრალო, ჩვეულებრივ, მომაკვდავ ძესა, არამედ ძესა ღვთაებრივსა, ძესა მაღლისასა, ჭემმარიტად ღვთისაგან ღმერთსა ჭემმარიტისა, მამისაგან უდედოთ შობილისა უწინარეს საუკუნეთა. მისი სახელი იქნება საკვირველი, გამოუთქმელი: იესო-მაცხოვარი. იგი თავისი სახარებით, თავისი ღვთაებრივი მაღლით და მამა ღვთისაგან დავალებული საქმის ასრულებით იხსნის ქვეყნიერებას ბოროტისაგან; იგი დაამყარებს ცათა და ქვეყანაზე სუფევას არა დროებითს, არამედ საუკუნოს, დაუსრულებულს ...

ამნაირ განმარტების მომსმენმა ქალწულ მარიამმა ჰკითხა ანგელოსსა მას: როგორ იქმნება ეს, მე რომ მამამკაცი არ ვიცი? ამ კითხვით, მსმენელებო, მარიამმა უნდობლობა კი არ გამოუცხადა ანგელოსს, ურწმუნოება კი არ გამოიჩინა ანგელოსის ნათქვამისადმი, რადგანაც მას ღვთისაგან უკვე ადრევე გამოცხადებული ჰქონდა, რომ იგი ჰშობავს კეთილმაუწყებელ მაცხოვარს იესოს; მხოლოდ მან არ იცოდა ის, თუ როგორ ასრულდებოდა ეს ნაუწყები კეთილი ამბავი. აი, ეს აუწყა და განუმარტა მას ანგელოსმა ფრთოსანმა შემდეგ ნაირად: “სული წმიდა მოვიდეს შენზედა და ძალი მაღლისა გფარავდეს შენ; ამისთვისცა შობილსა მას წმიდა ეწოდოს, და ძე მაღლის” /ლუკა I, 35/ ამ სიტყვებით ანგელოსმა აუხსნა ქალწულს მარიამს, რომ მიდგომილება მისი იქნება არა კაცობრული ბუნებისა, არამედ ზესთაბუნებითი; რადგანაც სადაც ყოვლისშემწე ღმერთი მოიძღვრებოდა, იქ იძლევა მის გამგებლობის ქვეშე მყოფ ბუნების წესი; მიდგომილება მისი იქმნება არა ქვეყნიური ხორციელებრივი წესით, არამედ ზეციური სული წმიდის ძალით” ... და მართლაც, მსმენელებო! რომელმაც უსულდგმულო მიწისაგან შესძლო ცხოველი ადამის შექმნა, მასვე არ შეეძლო ცოცხალი ქალწულისაგან წარმოშობა ღვთაებრივი ჩვილისა?! რომელმაც ადამის გვერდისაგან შექმნა შემწე მზგავსი მისი დედაკაცი, ცოლი ადამისა, მისივე ძლიერებით განა შეუძლებელი იყო წარმოშობა მის საყვარელ ძისა საშოსაგან ქალწულისა? ჭეშმარიტად ქალწულისაგან იშვა და გამოგვიჩნდა ზეცით სული წმიდის მოსვლით და ძალი მაღლის მფარველობით ღმერთი უფალი, რომელსაც ჰმონებენ მორწმუნენი შიშით და უგალობენ მას ძრწოლით! და ამიტომაც, დღიდან ხარებისა, ქალწული მარიამი შეიქმნა ჭეშმარიტი დედა, მშობელი ორ სრულ ბუნების მქონე ღვთისა სრული ღმრთისა და სრულ კაცისა, და იგი, მარიამი, შობამდე განუხრწნელი ქალწული, შობის შემდეგაც განუხრწნელ და უბიწო ქალწულად იქებიდების დღესაც და უკუნითი უკუნისამდე ციურ და ქვეყნიურ ეკლესიათა ანგელოსთა და კაცთა მიერ. და ვამბობთ განმეორებით, ყოველივე ეს მოხდა სულიწმიდის გარდამოსვლით და ძალი მაღლის მფარველობით. “სული წმიდა მოვიდეს შენზედა, და ძალი მაღლისა გფარავდეს შენ; ამისთვისცა შობილსა მას წმიდა ეწოდოს, და ძე მაღლის” /ლუკა I, 35/ სახარების ამ სწავლაშია, მორწმუნენო, ურყევი და სალ კლდესავით მტკიცე საფუძველი ჩვენი სარწმუნოებისა, სასოებისა და სიყვარულისა!

ნაუწყებ სიტყვათა ჭეშმარიტების დასამოწმებლად მახარებელმა მიუთითა სძალის, მის ახლო ნათესავის, ღრმად მოხუცებულ ელისაბედის თავგადასავალზე: და აი, ნათესავი შენი ელისაბედი, სიყრმიდან უნაყოფობისა გამო ბერწად წოდებული, და ეხლა მოხუცებულობაში მყოფი, იგიც უკვე მეექვსე თვეა, რაც მიდგომილ არს ძესა. ამის ასრულებაც კეთილ ინება შეუძლებელისაგან შესაძლებელის მქმნელმა ღმერთმა. ხომ კაცთა შორის შეუძლებლად მიჩნეულია, მორწმუნენო, რომ განუხრწნელმა ქალწულმა უმამაკაცოდ ჰშვას ძე. ანდა ისიც ხომ შეუძლებლად მიჩნეულია კაცთა თვალში, რომ თავიდანვე უნაყოფო, უკვე მოხუცებულობაში მყოფი, ბერწი დედაკაცი დაორსულდეს და ჰშობდეს? მაგრამ, მთავარ-ანგელოსის დამოწმებით, შემძლებელის და ყოვლისამპყრობელი ცათა და ქვეყნის შემოქმედისათვის ყოველივე შესაძლებელია. მისი ღვთაებრივი ძალით უნაყოფო მოხუცებულმა ბერწმა ელისაბედმაც უქორწინებელ სძალზე ექვსი თვით ადრე მუცლად-ილო, და ესევე “წინაშე ღმრთისა მაღლის მპოვნელი” ქალწულად მიუდგა სული წმიდის მოსვლით და ძალი მაღლის მფარველობით. “და აჰა, ელისაბედ, ნათესავი შენი, იგიცა მიდგომილ-არს ძესა სიბერესა თვისსა, და ესე მეექვსე თვე არს მისი, რომელსა იგი ერქვა ბერწ.” /ლუკა I, 37/.

მოისმინა რა მთავარ-ანგელოსის გაბრიელისაგან ზეციდან მოტანილი ესე კეთილი ამბავი და განმარტება, დაემორჩილა ღვთის ნებას. უღრმესი სიმდაბლით და ღვთის სიყვარულით აღსავსე გულით მიუგო მან მაუწყებელ ზეცისა უსხეულსა ძალსა: “აჰა, მხევალი უფლისა! მეყავნ მე სიტყვისაებრ შენისა” ... და წარმოსვლით ქალწულმა მუცლად-იღო ... გამოუთქმელი მაცხოვარი იესო, ტარიგი და კეთილი მწყემსი სოფლისა. და ამნაირად, საყვარელნო, “და სიტყვა იგი ხორციელ იქმნა, და დაემკვიდრა ჩვენ შორის განკაცებით, და ვიხილეთ დიდება მისი” /იოანე I, 14 /...

და ბოლოს, კვალად მივაპყარით თვალნი ჩვენნი ამ წმიდა კანკელზე გამოფენილ ხარების ხატს ... სარწმუნოებით, სასოებით და სიყვარულით აღსავსე გულით მქონესა. ასეთი ხატება აღუმართავს წმიდა ეკლესიას ჩვენ მორწმუნეთა თვალთა წინაშე იმ მიზნით, რათა გულთა და გონებათა შინა ჩვენთა კიდით-კიდე ქვეყანისა უხვად მადლიან კალთის დამბლერტელ ღვთისადმი აღძრას, განაძლიეროს და განაცხოველოს ქალწულის მზგავსი მტკიცე სარწმუნოება, შეურყეველი სასოება და სიყვარული შეურგულებელი. მადლიან ცხოვრები ქონებით მარიამმა “მადლი ჰპოვა წინაშე ღმრთისა”. მზგავსად ქალწულ მარიამისა ჩვენც, საყვარელნო, აქ, დედამიწაზედ, კაცთა შორის მადლიან ყოფა-ქცევით დავიმსახუროთ “მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, და სიყვარული ღვთისა მამისა, და ზიარება სულისა წმიდისა. ამ მიზნის განსახორციელებლად მხურვალე ლოცვით მივმართოთ დედა-ღვთისას მაცხოვრის წინაშე შუამდგომლობისა: “ღვთის-მშობელო ქალწულო! შენ ხარ ვენახი ჭემმარიტი, რომელმან გამოიღე ტევანი ცხოვრებისა; შენ გვედრებით, მიმადლებულო, მოციქულთა თანა, მეოხ გვეყავ ცხოვრებისათვის სულთა ჩვენთასა.” ქალწულისაგან შობილო, მწყემსო კეთილო და მაცხოვარო ჩვენო იესო ქრისტე! ჭემმარიტად ნეტარ არს მუცელი, რომელმან გიტვირთა შენ, და ძუძუნი, რომელთა ჰსწოვდე! ... “ჩვენც ნეტარ-გვეყავ სიტყვათა შენთა სმენითა და მათი დამარხვითა” /ლუკა XI, 27, 28/.

ამინ

55. «კვირიაკე წმიდათა მამამთავართა»... : [სიონის ტაძარში წარმოთქმული ქადაგება]. თავფურცელზე: «წარმოითქვას სიონში ნაჩვენები შემოკლებით. კალ.» [კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე]. ხელნაწერი. ტექსტი ჩასწორებულია. 1932 წ. , 23 დეკ. ტექსტის ბოლოს: «დეკ. დ. გარსიაშვილი.»

†

ქრისტეშობისთვის, ქრისტესმოყვარენო! ჩქარი ნაბიჯით ვუახლოვდებით შობას ქრისტესას. ასეთ დღესასწაულს, მორწმუნეთა მხრივ, ესაჭიროება საზრიანი და ღირსეული შეხვედრა. მას შობის წინ 40 დღიანი ქრისტეშობისთვის მარხვა და ლოცვა შემოუღია ქრისტეს მოძღვრების მიმდევართა გონების ამადლებისა და განათლებისათვის, სულისა და გულის განწმედისათვის და გამართლებისათვის. გარდა ამისა, ქრისტეშობისათვის, ძვ. სტილით, 11-17 დღეებს შორის მოყოლილი კვირა დღე ეკლესიისაგან დაწესებულია წმ. მამათ მთავართა ხსენებისათვის, ხოლო ამავე თვის 18-24-ს შორის კვირა კი \_ წმიდა მამათა მოსაგონებელია. რა შრომათა და ღვაწლთათვის განუდიდებია ეკლესიას ისინი, რომ აუშენებია მათთვის როგორც

ხელთქმნილი ძეგლები ტაძრებისა და ხატების სახითა, აგრეთვე ხელთუქმნილი ძეგლები მათ ხსოვნისათვის ყოველი მორწმუნის გულსა და გონებაში აღმართული? წმიდა მამათა შორის ჩვენ ორგვარი ხასიათის და ნიჭის მამები გვევლინებიან. ერთნი მისტიური, განჭვრეტის ნიჭით დაჯილდოვებულნი, რომელნიც ღვთაებრივ ძალას ცხადათ გრძნობენ და ხედავენ. ასეთ მამებს ღვთაებრივი გამოცხადება ევლინებოდათ და სასწაულთმოქმედნი იყვნენ. ესენი უფრო განდგომილნი და ასკეტური ცხოვრებისა არიან. მეორენი კი უფრო პრაქტიკულ მოღვაწეობას მისდევდნენ და ქადაგებით, სიტყვით თუ საქმით, სჯულს ამტკიცებდნენ. ნიშნავს ეს, რომ მათ ღმერთთან ურთიერთობა არ ჰქონდათ და მის ზემოთაგონებით არ მოქმედებდნენ? პირიქით, ასეთი ურთიერთობა რომ არ ჰქონოდათ, მათ ნათქვამს თუ დაწერილს ეკლესია დოგმათ არ აღიარებდა. წმიდა ეკლესიის რწმენით, მამათა ერთ ღმერთი ლაპარაკობდა, მათი სახით ღმერთი მოქმედებდა, მაგრამ ამ გვარი მამები ამ ღვთის ზემოქმედებას ნათლად ვერ გრძნობდნენ და ვერ ხედავდნენ. აი, ამის ცხადი მაგალითი, ამოღებული წმიდა ცხოვრების წიგნიდამ: “იმ დროს, როცა მეფის სასახლე ყოველგვარ ინტერესების ბუდეთ იყო გადაქცეული, ერთ კონსტანტინეპოლელ უმაღლეს მოხელეს მოშურნეებმა ცილი დასწამეს და იმპერატორთან დაასმინეს. მოხელე ამის გამო განდევნილ იქმნა სასახლიდამ და მას ჩამოერთვა უმაღლესი ხარისხი. დახმარებისათვის მოხელემ გადასწყვიტა მიემართა პატრიარქისათვის. ამ მიზნით მან შეუთვალა უკანასკნელს ნება დაერთო მისულიყო მასთან ღამით, რადგან ერიდებოდა დღით მისვლა იმის შიშით, რომ რომელიმე მის მტერთაგანს არ შეენიშნა იგი და ახალი ცილი არ დაეწამებინა.

პატრიარქმა უბრძანა მსახურს ღამით გაეხსენებინა მისთვის მოხელის შესახებ და უკანასკნელი, როცა მოვიდოდა, შეეშვა მასთან.

ღამით მოვიდა მოხელე პატრიარქთან, რათა ებაასნა მასთან და დაწვრილებით ეამბნა მისთვის თავისი თავგადასავალი. მოხელემ სთხოვა პროკლს მოეხსენებინა მის შესახებ. პროკლი წამოდგა ლოგინიდან და გაემართა პატრიარქის საწოლ ოთახისაკენ, მაგრამ კარების ხვრელიდამ მან შენიშნა, რომ პატრიარქი ზის საწერ მაგიდასთან და სწერს; ხოლო უკან მის ზურგს მიფარვია ვიღაც მოხუცი, რომელიც დახრილა, პირი მის მარჯვენა ყურთან მიუტანია და ესაუბრება მას. გარეგნობით ეს მოხუცი, როგორც ეჩვენა პროკლს, ჰგვანდა წმიდა ილია წინასწარმეტყველს; მის თავის წინა ნაწილის თმები არ ჰქონდა; წვერი გრძლად და ფართეთ ჰქონდა ჩამოშვებული. რაზე საუბრობდნენ ისინი, კარებში არ ისმოდა. მოსცილდა რა კარებს, პროკლმა უთხრა მოსულს: ცოტათი მოიცადე. ვიღაც სხვა შენს უწინ შესულა პატრიარქთან. ვიდრე ის არ წავა, ვერ შეგიშვებ. ნამდვილათ კი პროკლი განცვიფრებული იყო, რადგან მის გარეშე პატრიარქთან შესვლა არავის შეეძლო.

დიდხანს იცადა მოხელემ; ბოლოს დაუწყო თხოვნა პროკლს, მოახსენოს პატრიარქს მის შესახებ. ხომ ჰხედავ, \_ უპასუხა პროკლმა, \_ ამდენ ხანს მე თვითონ ვიცდი, სანამ არ გამოვა პატრიარქთან მოსაუბრე. თუმცა, მე მაინც წავალ და ვნახავ ხვრელში, შესწყვიტეს თუ არა ბაასი.

პროკლი წავიდა და ნახა, რომ ბაასი ისევ გრძელდებოდა. იგი მესამეჯერაც მივიდა კარებთან, მაგრამ იგივე ნახა.

შენ, მამაო, არავინ უნდა შეგეშვა ჩემზე ადრე, \_ უთხრა პროკლს მოხელემ, \_ ხომ იცოდი რომ მე დიდ გასაჭირში ვიმყოფები და დღე-დღეზე სიკვდილის მოლოდინში ვარ.

მერწმუნე ძმაო, \_ უპასუხა პროკლმა, \_ მე მასთან არავინ შემიყვანია ... და არც ვიცი, ვინ არის იგი. აქ სხვა შესავალი არაა, რომლითაც შეეძლოს ვისმე შემოსვლა. მოიცადე

კიდევ ცოტა ხნით. მაგრამ ამ დროს მოისმა რეკა ცისკრისათვის და პროკლმა უთხრა მოსულს:

წადი ეხლა: ამ წუთიდან პატრიარქი არავის ესაუბრება. რიჟრაჟამდის იგი მარტოთ რჩება მთელი გონებით ლოცვაში გართული. მოდი მეორე ღამეს და მე მაშინ აუცილებლად შეგიყვან მასთან ყველაზე უწინარეს.

დაღონებული წამოდგა მოხელე, თვალ-ცრემლიანი წავიდა შინ.

მეორე ღამეს იგი მოვიდა ისევ პატრიარქის სახლში; პროკლი ისევ, როგორც წინათ, გაემართა პატრიარქის საწოლ ოთახისაკენ მოსახსენებლად და ისევ იგივე ნახა, ნახა მისთვის უცნობი კაცი, რომელიც ყურში რაღაცაზე ესაუბრებოდა იოანე ოქროპირს. პროკლმა ვერ გაბედა, როგორც პირველ ღამეს, მათი ბასის შეწყვეტა და მოხელეც, როცა დარეკეს ცისკრისათვის, ხელმეორედ შინ ხელცალიერი დაბრუნდა.

პროკლი საგონებელში იყო ჩავარდნილი და ვერ გაეგო, ვინ და როდის შედის პატრიარქთან და აღუთქვა თავს, \_ ამბობს ქრონიკა, \_ არ ჭამოს, არ სვას, არ იძინოს და არ მოშორდეს პატრიარქის ოთახის კარებს, სანამ არ შეიყვანს იოანე ოქროპირთან ბედკრულ მოხელეს და ვიდრე არ გაიგებს, თუ ვინ შედის პატრიარქთან ასე უცნაურად. ჩვეულებისამებრ, ღამით მოვიდა მოხელე. პროკლმა, დარწმუნებულმა იმაში, რომ პატრიარქთან ეხლა არავინ არის უთხრა მას:

შენი გულისათვის ამ ადგილს არ მოვშორებულვარ სრულებით; წავალ ეხლა და მოვახსენებ შენ შესახებ პატრიარქს. და უმალ წავიდა იგი; მაგრამ, მივიდა რა კარებთან, მან ამჯერადაც ნახა უცნობი პირი, რომელიც ყურში ელაპარაკებოდა პატრიარქს. პროკლი დაბრუნდა უკან და უთხრა მოსულს:

წადი შინ, ძმაო, და ევედრე ღმერთს შენდა საშველად, რადგან, როგორც სჩანს, ის ვინც ესაუბრება პატრიარქს, მასთან იგზავნება ღვთისგან და შედის უხილავად. ამ კარებით, პატრიარქის გარდა, არავინ შესულა.

მოხელე წავიდა მომტირალი, პატრიარქისაგან დახმარების მიღების იმედ გადაწყვეტილი.

დილით იოანეს თვით გაახსენდა, ბოლოს მოხელე, უხმო პროკლს და ჰკითხა მას: ხომ არ მოსულა ის პირი, რომელზედაც მე გითხარი, რომ ჩემთან მოგეყვანა?

ჰო, მღვდელმთავარო, \_ უპასუხა პროკლმა, \_ იგი უკვე მესამე ღამეა, რაც აქ დაიარება, მაგრამ შენ ვიღაცას ესაუბრებოდი მარტოთ მარტო და მე ვერ გავბედე შენთან შემოსვლა და მოსულზე შენთვის მოხსენება”.

ვისთან ვსაუბრობდი?! – სთქვა გაკვირვებით იოანემ, \_ ამ ღამეს ჩემთან არვინ ყოფილა”.

მაშინ პროკლმა აუწერა მას მის მიერ პატრიარქთან ნახული პირი და ის, რომ უცნობი უკანიდან იოანისაკენ დახრილი ჩურჩულით ყურში ებაასებოდა მას. შემდეგ პროკლმა, შეხედა რა შემთხვევით იოანეს საკანში კედელზე დაკიდულ წმიდა პავლე მოციქულის გამოხატულებას, შესძახა:

აი ის, ვინც მე ვნახე, მღვდელმთავარო, შენთან მოსაუბრე! ეს მისი გამოხატულებაა!.... ეს მაგალითი სავსებით ადასტურებს ზემო ნათქვამს: წმიდა მამათა სიტყვა და მოქმედება იგივე ღვთის სიტყვა და მოქმედებაა. ქრისტეს მოსვლით ამ ქვეყნად საფუძველი ჩაეყარა ქრისტიანულ ეკლესიას. ხოლო ქრისტეს შობის წინა დროის მამამთავრებმა ამ ეკლესიას ნიადაგი მოუმზადეს, ქრისტეს შემდგომი დროის მამებმა კი ეს ეკლესია გააფართოვეს და გაამაგრეს. ამ აზრით, ქრისტე ფუძეა წმიდა ქრისტიანულ ეკლესიისა, წმიდა მამათმთავრები და მამები კი \_ მისი ბურჯნი. აი, რატომ უკავშირებს ქრისტეს შობის დღესასწაულს ეკლესია წმიდა მამათა ხსენების დღეს.

რას გვავალებს ჩვენ, მორწმუნეთ, წმიდა მამათა ხსენება?

წმიდა მამები მუდმივი მეცადინეობით და უდიდესი მსხვერპლის გაღებით აგურს აგურზე ადებენ იმ დიდი და მშვენიერი შენობის ასაგებათ, რომელსაც ქრისტიანული ეკლესია ეწოდება. თვით ქრისტემ, ეკლესიისათვის ჯვარს ეცვა და გვიჩვენა, რომ ყოველ დიდ საქმეს დიდი მსხვერპლიც ესაჭიროება. ეს ჯვარი მან შემდეგ შთამომავლობას უანდერძა. ჯვარი ბევრმა მოდგმამ ღირსეულად ზიდა და ჩვენამდის მოიტანა; ამის დამამტკიცებელია წმიდა მამათა ცხოვრება. ხოლო ჩვენ ეს ჯვარი დავივიწყეთ და ფუფუნების, მოსვენების და განდიდების სურვილებს ავყევით. დაგვავიწყდა, რომ მხოლოდ მოქმედებით და გარჯით შეიძლება ეკლესიის შენარჩუნება და გამტკიცება; ხოლო ამ დავიწყების შედეგია დღევანდელი ჩვენი ეკლესიის უნუგეშო მდგომარეობა. იქნებ ვინმემ სთქვას, რომ ღვთით დაწესებული ეკლესია არ მოისპობა და თუ დღეს მოსპობამდეც მოსულია, ეს დროებითი მოვლენა არისო. დიახაც, რომ ეს ასეა: თუ დღეს ჩვენ დავკნინდით, ხვალ ჩვენ მომყოლ თაობაში უფალი ღმერთი შესძლებს გააძლიეროს დღეს ჩვენში დამაბუნებელი ნება და სურვილები წმიდა ეკლესიის ძველი დიდებით აღდგენისათვის. ამის მაგალითები წარსულში ბევრი მოიძებნება. მაგრამ ეს რა ნუგეშია ჩვენთვის, მორწმუნეთათვის, რომელნიც ღვთის მსჯავრის მოლოდინში ვართ? ქრისტეს ის ცნობილი კითხვები: რომ მშობდა, და არ მეცით მე ჭამადი; მწყუროდა და არა მასვით მე, უცხო ვიყავ, და არა შემეწყნარეთ მე; შიშველ ვიყავ, და არა შემმოსეთ მე; უძლოურ ვიყავ და საპყრობილესა და არა მოხვედით ჩემდა, თუ შეეხება ცალკე გაჭირვებულ მოძმესა ჩვენსას, მით უფრო შეეხება მთელ ქრისტიანულ ეკლესიას და მასზე არ ფიქრი და არ ზრუნვა დიდ მიუტევებელ ცოდვათ შეგვერაცხის.

შევავედროთ წმიდა მამებს ჩვენი თავი, რათა უფალმა ღმერთმა მოგვცეს ძალი და ღონე მისი წმიდა ეკლესიის სამსახურისა და დიდებისათვის.

ამინ

56. «სიტყვა მოწყალე სამარტელზე.» 25-ე კვირიაკე: [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1930 წ. , 30 ნოემბერი. ხელნაწერი. ტექსტი დაზიანებულია. 3 ფ.

იხ. ქადაგება №43.

57. «სიტყვა უფლისა იესო ქრისტეს ნათლისღების დღეს თქმული»: [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1931 წ., 19 იანვარი. ხელნაწერი. ტექსტი დაზიანებულია. ბოლო ნაწილი აკლია. 2 ფ.

†

ნათელ-ღებულნო, განათლებულნო, მირონ-ცხებულნო, განწმენდილნო, განბანილნო: სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა!

ძველი სტილით 6, ახლით კი \_ 19 იანვარი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ნათლის-ღების დღეა. ეს დღე კარგი დღეა, ქრისტეს დღეა, მორწმუნეთათვის გასახარია! იგი ყველა გონიერ სულთა მქონეთა და სიტყვითა პატივცემულთათვის დიდი საკვირველების მქადაგებელია. რად არის კარგი ეს დღე ქრისტესი და რა დიდ

საკვირველებას გვიქადაგებს იგი?... მით, რომ იგი გარკვევით, ნათლად, სრული სისწორით, უიჭვნეულობით, უღაღადებს და მიუთითებს დროებით ქვეყნად მოსულ მოაზროვნე კაცთ ღვთის არსებობაზე. ღმერთი, ეს დაუსაბამო უმაღლესი გონიერება, სული საუკუნო სახიერი ყოვლისა მცოდნე, ყოვლად მართალი, ყოვლისა შემძლებელი, ყველგან მყოფი, ყოვლად ნეტარი შემოქმედი კაცთა და ქვეყანისა და გამგებელი, რომელიც მახარებელ იოანეს სწავლით – აროდეს არავინ იხილა /იოანე I, 18/ ურიათა ქვეყნის მდინარე იორდანეს ნაპირებზე გამოცხადდა და კაცთა თვალთათვის სახილველი შეიქმნა ...

როდესაც პატიოსანი, დიდებული წინასწარმეტყველი და წინა-მორბედი იოანე, ღვთის ბრძანებით უდაბნოდან მდინარე იორდანეს ნაპირებზე მოსული, ჰქადაგებდა მასთან მრავლად მომავალ ხალხთა შორის ცათა სასუფეველის მოახლოვებას, და ცოდვათა შენაწებას და მონაწილზე ნათელს-სცემდა წყლითა, მაშინ დადგა დრო ღვთისა, – მამისა, და ძისა და წმიდისა სულისა, სამებისა, ერთ-არსებისა და განუყოფელის, – გამოცხადებისა. მაშინ ხორცშესხმული სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა და განკაცებული მაცხოვარი იესო ქრისტეც გალილიის ქ. ნაზარეთიდან მიუწდომელი სიმდაბლით მოვიდა იოანესთან და ნათლის-ღება ითხოვა. წინასწარმეტყველთა უდიდესი წინასწარმეტყველის და ყოველთაგან პატივცემულის იოანე ნათლისმცემელის მარჯვენა ხელი შეძრწუნდა, ოდეს იხილა მომავალი მასთან ტარიგი ღვთისა, აღმღებელი ცოდვათა სოფლისათა. გაკვირვებული იოანე მომავალ იესოს და ეტყოდა: ჰოი, უცოდველო! რათ მიბრძანებ იმას, რაც აღმატება ჩემს სულიერ ძალ-ღონეს? მე, მონა შენი მორჩილი, ვალდებული ვარ მივიღო შენგნით ნათლის-ღება და შენ, ყოველთა განმწმედელი, ნათელი, მშვიდობა, და ცხოვრება საუკუნო, მოსდინარ თავმოდრეკილი და ითხოვ ჩემგნით ნათლის-ღებასა? მიუგო სიტკბოების ნექტარმა, მშვიდმა და გულით მდაბალმა იესომ: ...განაგდე ყოველი შიში, მომეახლე მე, და განმარტე მარჯვენა ხელი შენი, და შეახე თავსა ჩემსა, და მდუმარემან მმსახურე და გამოუკვლეველად ნათელი მეცი მე, ამნაირად გვშვენის ჩვენ აღვასრულოთ ყოველი სიმართლე. მაშინ მიუშვა იესო იოანემ. წინა საუკუნეთა თანა მოსაყდრე მამისა და სულისა წმიდისა იესო ქრისტე გამიშვლებული შთავიდა ყელთამდე მდინარე იორდანეში და თავმოდრეკილი მსახურ წინა-მორბედის განმარტებულ ხელთაგან ნათელ-ღებულ იქმნა. იოანესაგან ნათელ-ღებულ იესოს, წყლიდან ამოსვლის უმაღლ, გაეხსნა ცანი და ნუგეშინის-მცემელი სული ღვთისა გადმოვიდა-ზეციით, და ტრედის სახით მოვიდა და დაადგა მასზე; და ზეციდამვე ხმა მოისმა მამა ღვთისა: ესე, წინამორბედისაგან მიუწდომელი სიმდაბლით ნათელ-ღებული და ხელ-დასხმული, არის ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვიყავ (მათ. III, 13-17). აი, ამნაირად, წყლითა და სულით ნათელ-ცემულნო, სამებამან ღმერთმან ჩვენმან თავი თვისი დღეს განუყოფელად გამოგვიცხადა: “რათა მამა ზეგარდმო სწამებდა ძისათვის; და სული წმიდა სახედ ტრედისა გარდამოხდა; ძემან, სიბრძნემ და ძალმა ღვთისამან, იესო ქრისტემ უხრწნელი იგი თავი მოუდრიკა წინა-მორბედსა და ნათელ-იღო»... (დასდებელი ხმა 4... შედეგი ჟამნთა 5/1)...

მაცხოვარ იესო ქრისტეს ნათლის-ღების შესახებ ეს მოსმენილი სწავლა, მახარებელმა მათე, მარკოზ, ლუკა და იოანესაგან შეერთებით და ხმა შეწყობილად გადმ...

58. «ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, როს-და გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!... ილია ჭავჭავაძე. ამნაირივე იყო სურათი ქვეყნიურ ხალხოსნობისაც ქრისტეს შობის ჟამს...»:



[ქადაგების წარმოთქმის ადგილი მითითებული არ არის]. 1930 წ., 30 ნოემბერი. ხელნაწერი. ტექსტი ჩასწორებულია. ბოლოს: «პარასკევი დღე საღამოს 9 საათი.» 6 ფ.

†

”ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,  
როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!”

ილია ჭავჭავაძე

ამნაირივე იყო სურათი ქვეყნიურ ხალხოსნობისაც ქრისტეშობის ჟამს. დედამიწაზე კაცთა შორის ასეთ სამარისებურ სიჩუმის, წყვიადის, არსაიდან ძახილის, ძილის და გახრწნის დროს ყოვლისა მპყრობელმა და ცათა და ქვეყნის შემოქმედმა, სახიერმა და კაცთმოყვარე მამა ღმერთმა კვლავ “გარდმოიხედა ზეცით ... და ჰპოვა მხეცთა მიერ წარტაცებული ცხოვარი იგი ცთომილი და უმადლო” ... და შეიბრალა იგი ... და სიყვარულით “მოჰხედა ვენახსა მას, რომელიც დაასხა მარჯვენამან მისმა, და განამტკიცა იგი” მადლითა და ჭემმარიტებით სავსე თვისი მხოლოდშობილი ძის მოვლინებით, რათა მან, ზეცისა პურმა და ყოვლისა სოფლისა საზრდელმა, კაცი, “ტადარი ღვთისა და სადგური სულისა წმიდისა”, “ზექდთა თვისთა იტვირთოს და მამასა მიჰგვაროს, და ზეცისა ძალთა საერთოს და აცხოვნოს იგი” /იხ. მე-4-ე ხმის კვირიაკის საგალობელი/. მახარებელი იოანე ღვთისმეტყველის სწავლით: “ესრეთ შეიყვარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდშობილი მოჰსცა მას, რათა ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარჰსწყმდეს, არამედ აქვნდეს ცხოვრება საუკუნო”. “რამეთუ არა მოავლინა ღმერთმან ძე თვისი სოფლად, რათა დაჰსაჯოს სოფელი, არამედ რათა აცხოვნოს სოფელი მის მიერ” /იოანე III, 16, 17/. “ღმერთია ყველას მშველელი ... ღვთით არ განწირულს ყველგან წინ უძღვის მისი მარჯვენა შემწყნარებელი” /ილია ჭავჭავაძე, “განდეგილი”/.

ღვთით არ განწირულნი აღმოჩნდნენ ურიანი და მთლად წარმართნიც ქვეყნისა, როდესაც მადლიანი ხმა მამა ღვთისაგან უფლება მინიჭებულის მხსნელის იესო ქრისტესი: “შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა” /მათე IV, 1/ ... “იღვიძებდით და ილოცვიდით, რათა არა შეხვიდეთ განსაცდელსა; სული გულს-მოდგინე არს, ხოლო ხორცი-უძღურ /მათე XXVII, 41/... ნათელი ჭემმარიტის იესო ქრისტეს ასეთმა ახალმა, მადლით მოსილმა ქადაგებამ დაარღვია ჯერ ურიათა სამარისებური მყუდროება და უმაღლ ირგვლივ წყვიადით მოცულ იმ არე-მარეს უხვი და უღეველი, გონების განმანათლებელი და გულის გამთბობი მზისებური სხივები მოჰფინა. მერე ხომ ქრისტეს მიერ ბრწყინვალედ – “სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვითა” და ის დიდებულად ზეცის ამაღლებითა, მოციქულთა ასეთივე ქადაგებითა “შეირყა მთელი ცა და ქვეყანა”. დიდი ესაიას წინასწარმეტყველებით და მახარებელ მათეს მოიწმობითა და დასტურით იმ დროიდან ერმა იხილა ნათელი დიდი და “რომელი ჰსხდეს საფლავსა და აჩრდილთა სიკვდილისათა, ნათელი გამოუბრწყინდა მათ” /ესაია IX, 1-2; მათე IV, 16/.

რაში გამოიხატა დიდი ნათელის აღმობრწყინება და ქვეყანაზე მცხოვრებ კაცთაგან მისი ხილვა? სამარიტელად წოდებულ იესო ქრისტეს მადლიან სწავლაში ასეთივე საქმით აღსრულებაში. სახიერმა და კაცთმოყვარე მაცხოვარმა თვისი სიყვარული სწავლა განამტკიცა და განამართლა საქმიანი მაგალითით, თავის

დამდაბლებით და განწირვით – ეკლის გვირგვინის ღვთაებრივ ნათელ თავსა და შუბლზე დადგმით, გოლგოთის აღმართზე მძიმე ჯვარის ზიდვით, ჯვარცმითა და პატიოსანი და უბიწო სისხლის დათხევით; მამა ღმერთის წინაშე ასეთი მსხვერპლის შეწირვით მან გახრწნილი კაცობრიობა უხრწნელ-ჰყო და დაუსახა მას სამარადისო წმიდა მიზნად მოყვასისადმი მადლის ქმნა, მოწყალების გაცემა, ბედისაგან დაჩაგრულის ჭირში, რისხვასა და იწროებაში მყოფის შებრალება, დახმარება და თავგანწირვამდე მისი სიყვარული ... ”მცნებასა ახალსა მიქცემ თქვენ, რათა იყვარებოდეთ ურთიერთთარს, ვითარმედ მე შეგიყვარენ თქვენ, რათა თქვენცა იყვარებოდეთ ურთი-ერთ-არს. ამით სცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკეთუ იყვარებოდეთ ურთი-ერთ-არს” /იოანე XIII, 34, 35/; “ნეტარ იყვენ მოწყალენი, რომელნი შეიწყალნენ” /მათე V/; და კიდევ: “იყვენით თქვენ მოწყალე, ვითარცა მამა თქვენი მოწყალე არს” /ლუკა VI, 36/. აჰა, ჯვარცმულ “სამარტელ” იესო ქრისტესაგან კაცთათვის საკუთარი მაგალითით დასახული ამქვეყნიური მიზანი იმ ქვეყნიური საუკუნო ცხოვრების მოსაპოვებლად! ... ”მამაო, მე გადიდე შენ ქვეყანასა ზედა, საქმე აღვასრულე, რომელი მომეც მე, რათა ვჰყო”.

იესო ქრისტეს მზგავსად ჩვენც გვმართებს, საყვარელნო ძმანო და დანო, მამა ღმერთის დიდება ქვეყანასა ზედა მისგან დავალებულ საქმის აღსრულებით და ეს დავალებაა ერთმანეთის სიყვარული და ურთ-ერთ შორის მადლიანი ცხოვრება!. მოწყალების გაცემა ... ”ყველგან სიყვარული და მადლი!”, “ყველგან სიყვარული და სათნოება!”... ამისთვის არის საჭირო ამ ქვეყნიური სიცოცხლე კაცისა! მოციქულთა ქადაგების ქვაკუთხედადაც იესო ქრისტეს ნაანდერძევი იგივე სიყვარული, მადლი და წყალობა იყო მოყვასისადმი. “უფროსი ამისა სიყვარული არავის აქვს, რათა სული თვისი დაჰსდვას მეგობართა თვისთათვის” ... ”თქვენ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკეთუ ჰყოთ, რომელსა ესე გამცნებ თქვენ” /იოანე XV, 13, 14/. სიტყვით ნათქვამი იესო ქრისტემ ხომ საქმით აღასრულა – თავი თვისი დასვა გოლგოთის მთაზედ ... მოციქულებმაც ღვთაებრივ მოძღვარს იესო ქრისტეს მაგიერი მეგობრობა გაუწიეს მისმიერ ბოძებულ მცნებების კაცთა შორის საქმით აღსრულებით... მათაც სულნი თვისნი დასდვეს მეგობართათვის და ერთხელ დასახულ წმიდა მიზნისათვის კი არ უღალატნიათ. და ჩვენც ხომ ქრისტე იესოს მოწაფეებად ვიწოდებით და ქრისტიანები ვართ? ხომ წმიდა ემბაზში განბანილნი, განწმენდილნი, ნათელღებულნი მირონცხებულნი ვართ? ხომ ქრისტეს სახარების მადლს ვფიცულობთ, გონებითა და გრძნობით ვლოცულობთ, პირჯვარს ვიწერთ? მაგრამ ყველა ეს ხომ სიტყვით და გარეგნული ნიშნებითა და წესებით ... საქმით? დასამტკიცებლად ჩვენი მაკურთხეხელი და წმიდამყოფელი მაცხოვარი იესო ქრისტე ხომ საქმეებს მოითხოვს ჩვენგანით? თვით მხსნელმა იესო ქრისტემ მამა ღმერთს კაცთა შორის ყოფნის უკანასკნელ ჟამს საქმიანი ანგარიში რომ ჩააბარა: “მამაო! მე გადიდე ქვეყანასა ზედა, საქმე აღვასრულე, რომელი მომეც მე, რათა ვჰყო!” /იოანე XVII, 1,4/. ჩვენც შეგვიძლია წარვდგეთ წმიდამყოფელ ქრისტეს წინაშე “უკანასკნელსა მას დღესა”? სიტყვა “მმას” ხმარება ხომ უკუ ვაგდეთ და მის მაგიერ ეხლა დღე-მუდამ ენებზედ რომ გვაკერია სიტყვები: “მეგობარო” ... ”ამხანაგო” ... და ხმამაღლა გავკვივით და ერთმანეთს ვუხმობთ ამ ძახილით, მერე? გვესმის კი ამ სიტყვების შინაარსი და მნიშვნელობა? ვიცით, რაშია საქმით მეგობრობა და ამხანაგობა? გვიყვარს საქმით მოყვასი, ძმა, მეგობარი, ამხანაგი? კერძოდ, ჩვენ, ქართველებს, დაცული გვაქვს ეს პირველი და უმთავრესი მცნება ქრისტესგანით ცით მოტანილი ჰსჯულისა? დასმულ კითხვებზედ ჩვენი ცხოვრების უკანასკნელი 10-25 წელთა განვლილი დღეები ნათლად და მკაფიოდ გვიპასუხებენ, რომ არ დაგვიცვია ეს მცნება, და პირად და საზოგადო

საერთო ცხოვრებაშიც არ გაგვიტარებია იგი. განა ქართველთათვის შესაძლებელია ამ დიად მცნების აღსრულებაზე ოცნებაც კი მაშინ:

“როცა ირგვლივ სიღარიბე,  
სიღატაკე ეფინება;  
ხალხი კვნესის, ხალხი ტირის,  
ხალხს შიმშილით სული ჰხდება.”

/ჟ.“ნაკადული”, 1907 წ. 112. შიო ახოსპირელი/.

განა შესაძლებელია თვის ტომის დამწუნებელს, უარისმყოფელს და მოძულე კაცს სხვათა მოდემისანი უყვარდეს? ასეთს განა შეუძლიან სხვის ბედ-იღბალზედ ზრუნვა და ფიქრი?! ასეთი მიმართულების კაცი ღამურას მზგავსია. ასეთ კაცს ღვთისაგან, ბუნებისაგან, საზოგადოებისაგან და საკუთარი სინიდისისაგან ჯილდოდ მხოლოდ იგივე წყევლა-კრულვა დაუმსახურებია, რაიც ღამურას, რომელსაც იუკადრისებია თავგობა, დაუწყევლია თავისი გაჩენა და დაუგმია თვისი ბუნება:

კრულია მისი ხსენება,  
ვინც დაჰგმობს დედა ენასა,  
მოყვრებს ღალატობს და მით  
აპირობს მაღლა ფრენასა”.

/აკაკი წერეთელი, “ღამურა”/.

ასევე უნდა სინანულით იღადადოს უმადლომ, ძუნწმა და გულქვა კაცმა. ასეთს, შინ ბედოვლათს, განა შეუძლიან გარეთა უცხოთათვის მადლის ქმნა, დოვლათის დაგროვება, მოწყალების გაცემა და მათი შებრალება? რასაკვირველია, არა! და ჩვენ, ქართველები, ყველა თუ არა, ერთი დიდი ნაწილი მაინც ხომ ასეთები ვართ?...

მორწმუნენო ქართველნო! ბრალი არ დამდოთ და ცილი არ შემწამოთ! ... ყოველივე ზემო ნათქვამი ორგულობაში არ ჩამითვალოთ!.. მე ქართველი ვარ! ... საქართველოსა და ქართველი ერისათვის თავ-მკვდარი, მისი მონა-მორჩილი! მისის სიკეთისათვის თავიდაძვე გაწირული და მეზრძოლი! ... მაგრამ ვალვიარებ, რომ კერძოთ კაცი, ანუ მთლიანად ერი, თუ იგი საკუთარ ჭერქვეშ გულ-ქვაა და ძუნწია, ძმის მკვლელის კაინის და ღვთაებრივ მოძღვრის გამცემის იუდა ისკარიოტელის მზგავსია, თუ იგი ძესა თვისსა პურის ნაცვლად ქვას აწვდის, ან და ნაცვლად თევზისა გველით უმასპინძლდება, რაც თვით ძე ღვთისას იესო ქრისტეს დაუშვებლად მიაჩნია /მათე VII, 9, 10/ განა ასეთი, თუნდ ოდესმე ქრისტეს სახელით ნათელღებული შეიძლებს “შვილად ღვთისად” ყოფას? განა იგი შეესისხლხორცება “ინტრნაციონალს” მე-II-ს, თუგინდ მე-III-ეს? რასაკვირველია, ვერა! ... და ჩვენ, ქართველების უმრავლესობა დღესაც წამებული პოეტის დახასიათებით და შეფასებით ხომ იგივე ვართ:

“მტვერ წაყრილი,  
თავ დახრილი,  
ყოვლად უქმი, უდიერი;  
უზღუდონი,  
გზა მრუდენი,  
არ გამტანი და ცბიერი;  
მტრის არ მცნობი, მოყვრის მგმობი,  
სხვასთან მხდალი, შინ ძლიერი”.....

/ილია ჭავჭავაძე, “ბედნიერი ერი”/

შინ ასეთები, შევძლებთ კი გარეთ უცხოთა ტომის სიყვარულს, ძმობას, ამხანაგობას?...ვერა და ვერა! სიტყვას საქმედ ვერ ვაქცევთ; ცრუობით კი შეგვიქმნია მითქმა-მოთქმა, ბაქი-ბუქობა, ქარი აგვიყენებია, დიდათ ვყოყნობთ და გულვდიდობთ საერთო-საქვეყნო საქმეების საკითხთა ირგვლივ ... ჭეშმარიტად, რომ სამრახისია ჩვენი წარსულის და აწმყოს ასეთი “ორგულობა, ორპირობა, ფარისევლობა, ზაკვით სავსეობა, ავ-მორწმუნეობა”...

რატომ? კარგია “ინტერნაციონალობა” მხოლოდ არა ჩვენში, “თვის ტომის დამწუნებელთა” და საკუთარ კერის და ჭერის უარისმყოფელთა შორის, არამედ იმათთვის, რომელთაც უცვნიათ ჯერ თავნი თვისნი, თვისი ერი და ქვეყანა, საკუთარი კერა და აკვანი, გაუზიარებიათ მისი ჭირი და ლხინი და შეუგნიათ მისი ავი და კარგი. ასეთების ხელში სულ სხვა გემოს ხილია “ინტერნაციონალობა”, ჩვენში?

...

“შეიყვარო თავი შენი, ვითარცა თავი თვისი,” \_ გესმით, მსმენელებო, ღვთაებრივი მოძღვრის ნაუბარი? გიყვარდეს მოყვასი შენი, როგორც შენი საკუთარი თავი გიყვარსო. მაშასადამე, საფუძველი მოყვასის სიყვარულისა თვითეულ კაცის მიერ თვისი პიროვნების თვისით შეგნებაშია, განხილვაში, თავით ფეხებამდე გაზომვა-გაქექვაში და სინდისის სასწორზე დადებაში ყოფილა. იესო ქრისტეს ასეთი სწავლით მხოლოდ შემგნებელი თავისა თვისისა და გათვითცნობიერებული შეიძლებს უცხოთა ცნობასა და სიყვარულს. აი, ის კარგი გზა და ხიდი ცხოვრებისა, რომელიც იესო ქრისტეს მიერ იქმნა ჯვარცმით გაკვლეული და გადებული მიწიერ კაცთა წინმსვლელობისათვის. მხოლოდ ამ გზით და ასეთი ხიდით მავალი მოეწევა ამ და იმ ქვეყნად ნეტარებას; მხოლოდ ასეთს ჰშვენის პროგრესის პერობა. ასეთი კარგი და სათაყვანებელი კაცი აქვე ეწაფება უკვდავების წყაროს. მხოლოდ ამგვარი გზა და ხიდით მავალი ერი თუ თვითთეული კაცი შემქნელი და მსახურია კულტურისა და მომცემი მომავლისა. გვჯერა, გვწამს და ამას აშკარად და საყოველთაოდ ვაცხადებთ და ვქადაგებთ, რომ დღეს სახარების გარეშე მდგომნი უმეცარნი, უგულონი და უმადლონი კულტუროსნობით მოამაყენი და თავმოძწონენი, ამაოდ დაჰშვრებიან. სახარების გარეშე, სიყვარულის, მადლის ქმნისა და შებრალების გარეშე არ არის სიხარული და ცხოვრება ამა თუ იმ ქვეყნად, არამედ სამარადისო სიკვდილია სულით და ხორცით.

ქართველებო! “როს ვაკვირდებით ჩვენს ამგვარ ყოფას, სული და გული გვიკვნესის, კვდება” ... აქ ყველა, საიდან სად გადმოხვეწილნი, უცხო მთიელნი, ილხენენ, იმღერიან და იხარებენ, ... დიდ განცხრომაში იმყოფებიან ... ჩვენ კი? ჩვენ, ქართველები? ... მისი ღვიძლი მობინადრენი, დღეს მის გერებად გადაქცეულნი, ვკვნესით და ვტირით ... გულმკვდარნი ვართ...

სიტყვა საკმაოდ გრძელი გამოდგა, საყვარელო! ვეცადნეთ მის მოკლე თქმას, მაგრამ მსჯელობისათვის თავიდანვე დასახული საგანი \_ “შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი,” \_ უსაზღვრო სიღრმისაა, ისევე, როგორც თვით ღმერთი, \_ სიყვარული, \_ უსაზღვრო და მიუწვდომელია. ათასი წლის მანძილზე კაცთმოყვარე იესო ქრისტესაგან თქმულ და დღეს ამ წმიდა ტაძარში განხილულ იგავზე ბევრი თქმულა და დაწერილა; მომავალში, ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა, ბევრი ითქმება და დაიწერება ისევ ამავე საგანზე, მაგრამ შინაარსი მისი კვლავ ამოუწურავი დარჩება ... მომავალ კაცობრიობის გულის ძგერა, გონება და სული განუწყვეტლივ მისკენ იქნება მიპყრობილი მის საიდუმლოების ასახსნელად და გამოსაცნობად. ახლა კი, რაც ვთქვით, ვიკმაროთ. სუსტი ნაშრომ-ნააზრევია ეს თქმული მოძღვრება, მაგრამ სიყვარულით აღვსილი სულით მოძღვნილია იგი თქვენდამი, ვერის წმიდა

ნიკოლოზის ტაძრის ნაყოფის შემომწირველთა და კეთილის-ყოფელთა და, თქვენი სახით, მთლად მორწმუნე ქართველ ერისადმი.

საქართველოს შვილნო! ”ვიყვარებოდეთ ურთი-ერთ-არს, რათა ერთობით ვაღვიარებდეთ!”.

59. «სიტყვა გიორგობა დღეს ძვ. სტ. 10 ნოემბერი. ახ. სტ. 23 ნოემბერი.» ხელნაწერი. ტექსტი ჩასწორებულია. 6 ფ.

†

“მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი, და მე განგისვენო თქვენ”

“აღიღე უღელი ჩემი თქვენ ზედა, და ისწავლეთ ჩემგან: რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა; და ჰპოვოთ განსვენებაი სულთა თქვენთა”.

“რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს” /მათე XI, 28, 29, 30/.

დღეს ჩვენი საქართველოს ეკლესიის ერთგულნი ძენი და ასულნი, მიუხედავად ამ დროის ჭირისა რისხვისა და იწროებისა, “შეერთებით და ხმა შეწყობილად” ვაქებთ-ვადიდებთ დიდებულს, ღვაწლით შემოსილს, მთავარ-მოწამეს და საკვირველთ-მოქმედს წმიდა გიორგის. შენიშნულია, საყვარელნო, რომ ძველი დროიდანვე საქართველოში წმიდა გიორგის სახელზე ქართველებს იმდენი ეკლესია აუშენებიათ დიდი თუ პატარა, რამდენიც დღე აქვს წელიწადს. მართლაც და, აბა რომელ კუთხეს საქართველოსას დავასახელებთ, მის ქალაქსა და სოფელს, მთასა და ველ-მინდორს, რომ იქ წმიდა გიორგის სახელობაზე ეკლესია, ან თუ ნიში მაინც, არ იყოს აშენებული. ჯერ მარტო გარე კახეთის სოფ. საგარეჯოში, სადაც მე ვშობილვარ-გავზრდილვარ, ხუთი ეკლესია არის აშენებული წმიდა გიორგის სახელისა: წმიდა გიორგი თვალთავი, წმიდა გიორგი მთავარ-მოწამე, წმიდა გიორგი ლაშვარი-ჯვარი, წმიდა გიორგი დღეობისა, თავ-წმიდა გიორგი. ამ ერთ სოფელში თუ ხუთი ეკლესიაა წმიდა გიორგის პატივსაცემად და ხსოვნისათვის, მაშ, საქართველოს სხვა კუთხეების სივრცეზე რამდენი ეკლესია იქნება აშენებული ამ წმინდანის სახელწოდებით? ეჭვგარეშეა, რომ მრავალი! ხშირად გვსმენია ქალაქად თუ სოფლად, შემდეგნაირი დალოცვა წმიდა გიორგის სახელით: “დაგლოცოს, ანდა გაგახაროს და გაგამრავლოს სამას სამოცდახუთმა წმიდა გიორგის მადლმაო”. ზოგნი, რასაკვირველია, შეუგნებელნი, ბოროტადაც კი მოიხმარენ წმიდა გიორგის სახელს, როცა დალოცვის მაგიერ, აღნიშნულ რიცხვით იწყევლებიან ... სახე ამ დიდი მოწამის გიორგისა ქართველს – მამაკაცსა თუ დედაკაცს, დიდსა თუ პატარას, მდიდარსა თუ ღარიბს, შეგნებულად თუ შეუგნებლად გულში სვენებია და სადაც კი წასულა, მას იგი თან უტარებია და მასთან ყოფილა შეკავშირებული, განუწყვეტელი სულიერი კავშირით. ქართველთათვის რად ყოფილა წარსულში წმიდა გიორგი ასე საყვარელი და სათაყვანებელი და “ძვალი ძვალთაგანი და ხორცი ხორცთაგანი”? რად არის ასევე ახლაც და მომავალშიც რად იქნება ასე? იმისთვის, მსმენელებო, რომ წმიდა გიორგიმ, ამ ქვეყნად მცირე ხნით მოსულმა, მოყვასთადმი უზომო, თავდავიწყებამდინ, სიყვარულით ჰსჯული ღვთისა ჰქადაგა და აღასრულა სიტყვით თუ საქმით. წმიდა გიორგი იყო ამ ქვეყნიური ცხოვრებით იმის მთქმელი და მქნელი, რის თქმასაც და

ქმნასაც ქრისტე ღმერთი ჩვენი გვიანდერძებს. "მცნებასა ახალსა მიქცემ თქვენ, რათა იყვარებოდეთ ურთი-ერთ-არს, ... მე შეგიყვარენ თქვენ, რათა თქვენცა იყვარებოდეთ ურთი-ერთ-არს". "ამით სცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკეთუ იყვარებოდეთ ურთი-ერთ-არს" /იოანე XIII, 34, 35/. ეს აზრი ურთი-ერთ-სიყვარულისა სხვადასხვა სახით და ფორმით გამოთქმული გვიანდერძა ჩვენ კაცთა, მწყემსმა კეთილმა იესო ქრისტემ; და ეს ანდერძი დიდმა მოწამე გიორგიმ ზეციურ მოძღვარს საქმით აღუსრულა. კეთილთა საქმეთა სარბიელზე წმიდა გიორგი ბრწყინავდა, როგორც მნათობი; იგი გმირთა-გმირი იყო სიკეთის თესვით ბედისაგან დაჩაგრულთა შორის. ღვთიური საქმენი საგმირონი ამ წმინდანის სახელობის ტროპარშია მოკლეთ აღნუსხული. ეს ტროპარი გვამცნობს, რომ წმიდა გიორგი ყოფილა "ტყვეთა მხსნელი, გლახაკთა ხელისამპყრობელი, სნეულთა მკურნალი და ამ ქვეყნის მეფეთა და სხვათა ძლიერთაგან უძლეველი", \_ ქრისტე ღმერთის მზგავსად ჩაგრულთა ქომაგობისთვის დამჩაგრელთაგან უღვთოდ წამებული და დაკლული. "უფროსი ამისა სიყვარული არავის აქვს, რათა სული თვისი დასდევას მეგობართა თვისთათვის" /იოანე XV, 13/. იესო ქრისტესაგან მოცემულ მცნების \_ სიყვარულის, \_ მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა შორის საქმით აღსრულებისა და თავდადებისათვის შეუყვარებია წმიდა გიორგის სახელი და ცხოვრება ღმერთსაც და მორწმუნე ქართველი კაცის გულსაც, საყვარელნო! წმიდა დიდი მოწამე გიორგი მარტო საქართველოში, ქართველთაგან კი არ ყოფილა და არის ქებულ-დიდებული და საყვარელი, არამედ იგი ასეთი ყოფილა და არის სხვა საქრისტიანო ქვეყნების მცხოვრებთათვისაც. დედამიწის ყველა კუთხეში, სადაც კი ქრისტეს ნათელი მოჰფენია, იქ წმიდა გიორგის სახელი ქება-დიდებით ხსენებულა. ასეთი ხელთუქმნელი ძეგლი აქვს აგებული წმიდა გიორგის მორწმუნეთა გულსა და გონებაში და ხელთქმნილი ძეგლები \_ ტაძრები ხომ ჩვენში ყველგან და უცხოთა შორის მრავლათ მრავალია. ასეთი უკვდავი სახელი დაუტოვებია მთავარმოწამე გიორგის ამ სოფლად ქრისტეს უღლის აღებით, და თვის კისერზედ დადებით, ქრისტეს ტვირთის ზიდვით ... უვალი გზის თელვით ... ქრისტესგნით მიტანილ მადლისა და ჭეშმარიტების მიღებით, შეთვისებით, ქმნით და თესვით კაცთა და გონებათა შინა. \_ "მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი, და მე განგისვენო თქვენ." "აღილე უღელი ჩემი თქვენ ზედა, და ისწავეთ ჩემგან: "მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოვოთ განსვენება სულთა თქვენთა. უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს" /მათე XI, 28, 29, 30/. ეს მოწოდება ქრისტესი წმიდა გიორგის არ უგულუბელ უყვია, არამედ ყურად უღია, უღია უღელი მისი, შესდგომია მას და, ვიდრე ქვეყნად უცხოვრია, გზა უვალი ქრისტეს მცნებათა მიხედვით უთელია, თვითონაც გაუვლია და მრავალი სხვანიც უტარებია ნათელივე გზით ... ჩემს პატარაობისას სოფ. საგარეჯოში ერთ-ერთ წმიდა გიორგის ეკლესიის კარზედა ფერხულ ჩაბმულ გლეხთაგან გამიგონია ორპირული სიმღერით თქმული გიორგისადმი მიმართული ლოცვა:

«წმიდა გიორგო, გიორგო, გიორგო!  
შენ სალოცავად მოველო, მოველო,  
შენი წყალობა მიბოძე, მიბოძე!»...

ეს სიმღერა იმ დროიდან აქნობამდე ჩამრჩენია გულსა და გონებაში და მრწამს, რომ გლეხთაგან ეს გულითადი სიმღერით თქმული ლოცვა წმიდა გიორგის შეუსმენია და წამდგარა იგი ქრისტეს ზეციურ საკურთხეველის წინაშე მის შესაწირავად ... გლეხთა მზგავსად ჩვენც სუფთა გულით შევვედროთ წმიდა გიორგის:

«წმიდაო მთავარ-მოწამეო და ღვაწლით შემოსილო

გიორგი,  
შენ სალოცავად მოვსულვართ ჩვენ ცოდვილნი,  
შენი წყალობა გვიბოძე, გვიბოძე! «...  
ამინ

60. «სიტყვა კვირიაკე უძღები შვილისა»: [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1931 წ., 8 თებერვალი. ხელნაწერი. ტექსტი ჩასწორებულია. ტექსტის ბოლოს: «დეკ. დ. გარსიაშვილი.» 3 ფ.

†

შევისწავლოთ და შევიგნოთ, ქრისტიანებო, მახარებელ ლუკას წმიდა სახარებიდან დღეს წაკითხული დიდი შინაარსის იგავი უძღები შვილის შესახებ. საცხოვრებელით ცნობილ ვინმე კაცს ჰყავდა ორი ვაჟი-შვილი – ბრძანებს უფალი იესო ქრისტე. უმცროსმა შვილმა აღარ ინდომა მამასთან ყოფნა; ცალკე მამის მზრუნველობის გარეშე, დამოუკიდებელი ცხოვრება მოინდომა. ამ მიზნით მან მიჰმართა მამას შემდეგი თხოვნით: მამაო! მომეცი მე ხვედრი შენი სამკვიდრებელისა. შვილთათვის მზრუნველმა კეთილ მამამ დააკმაყოფილა თხოვნა შვილისა და ორთა ძეთა გაუყო ქონება თვისი. რამდენიმე დღის შემდეგ მამის მზრუნველობის დამწუნებელი, მისგან დაკმაყოფილებული და თავისუფლების მომპოვებელი უმცროსი ვაჟი-შვილი მიღებული სარჩოთი წავიდა შორს ქვეყანაში, სადაც გარყვნილი, თავ-აშვებული, ბილწი ცხოვრებით მალე გააბნია მამის მონაგარი. ცოდვისაგან შეპყრობილი მამის ურჩი შვილი დარჩა უქონელი. უქონლობამ და იმ დროს იმ ქვეყანაში ჩამოვარდნილმა დიდმა შიმშილმა აიძულეს იგი მოჯამაგირედ დასდგომოდა იმ ქვეყნის ერთ მოქალაქეს, რომელმაც დააკისრა მას მელორეობა და გაგზავნა იგი ველად ღორთა სამოვარზედ. გულით მოწადინებული იყო მამის სიმდიდრის გამბნეველი ღორთა საზრდოთი, რკოთი გაეძლო მუცელი თვისი, მაგრამ ასეთ საზრდოსაც არ იმეტებდნენ მისთვის. და ბოლოს გონს მოვიდა ვნებითაგან შეპყრობილი, დაცემული და გამფლანგველი იგი შვილი; თვალთა წინაშე უძღებმა, თავისუფლებით კეთილად სარგებლობის უნარ მოკლებულმა, ნათლად წარმოიდგინა საყვარელი და სასურველი მამული და ძვირფასი მამის ოჯახი და ასე მოისაზრა: მამაჩემის მრავალ მოსამსახურეებს მოჭარბებული აქვთ პური, მე კი აქ შიმშილით ვკვდები. ავდგები და წავალ მამაჩემთან და ვეტყვი მას: მამაო! ვჰსცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა; აღარა ვარ ღირსი ვიწოდებოდე შენ შვილად; მიმიღე მე როგორც ერთი მუშაკთაგანი. მოსაზრება კვალად მოქცეულმა საქმედ აქცია. წარმოიდგინა რა მოწყალე და მოსიყვარულე გული მამისა, საგონებელს ჩავარდნილი ადგა, დასტოვა უცხო შორი ქვეყანა და დაიმედებული გაემურა სამშობლო მხარეს მშობლის სახლში კმაყოფილი ცხოვრების კვალად მოსაპოვებლად. უცხოობაში სიამეს მოკლებული და მომავალი, ჯერ ისევ შორს მყოფი, მამულისა მიმართ პირქმნილი შვილი, დაინახა რა მამამ, შეიცოდა იგი, გაიხარა, შეეგება, კისერზედ ჩამოეკიდა, მოეხვია, გულში ჩაიხუტა და დაუწყო სიყვარულით კოცნა დიდხანს ბოროტთა დამონებულს და მამის ურჩს და გამრისხებელს. უნაყოფოთა და ბილწთა გულისთქმათაგან გამოფხიზლებულმა შვილმა უთხრა კეთილ და შემბრალებელ მამას: მამაო! ვჰსცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა, და აღარა ვარ ღირსი შენ შვილად წოდებისა. ამის პასუხად გაიცა

სულგრძელ მამის ბრძანება მსახურთადმი: გამოიღეთ სამოსელი პირველი და შეკმოსეთ ჯან-საღად დაბრუნებული შვილი ჩემი, შთამოაცვით მას ხელზედ ბეჭედი და ჩააცვით ფეხსაცმელი: და მოიყვანეთ და დაჰკალით ზვარაკი წამებული, ვსჭამოთ და ვიხარებდეთ, რადგანაც ეს ჩემი შვილი მომკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და აღმოჩნდა. და იწყეს მხიარულება.

ამ დროს მინდვრიდან მომავალ უფროს ვაჟიშვილს მოესმა სახლიდან ხმა სიხარულისა და დროს გატარებისა. მოუწოდა მან ერთ მსახურთაგანს და ჰკითხა მას მიზეზი უდროო მხიარულებისა და განცხრომისა. მსახურმა უპასუხა: შენი ძმა მოვიდა და, რადგანაც იგი ჯან-საღად დაუბრუნდა მამის ოჯახს, მამაშენმა ამის გამო დაჰკლა წამებული ზვარაკი. მინდვრიდან დაბრუნებულ მამის ერთგულ შვილს არ მოეწონა მშობლის ასეთი საქციელი, გასწყრა იგი და, ნიშნად უკმაყოფილებისა, არ ინდომა სახლში შესვლა და მხიარულებაში მონაწილეობის მიღება. შეიტყო გამხიარულებულმა და განცხრომაში მყოფმა მამამ უფროსი შვილის ასეთი ძვირი გულის-ზრახვანი და მასაც თავისი სიყვარულით აღვსილი გული ღმობიერებით მიუბრუნა, გამოვიდა და ევედრებოდა მას შესულიყო სახლში და მასთან ერთად გამხდარიყო საერთო მხიარულების მონაწილე. ერთგულ მსახურებით გაამაყებულმა და გადიდგულებულმა შვილმა უპასუხა მას: ჯილდოდ ამისა შენ ჩემთვის ერთი თიკანიც არ მოგიცია, რომ ჩემ მეგობრებთან მემხიარულა; და როდესაც მეძავებთან შენი საცხოვრებელის შემჭმელი ეს ძე შენი მოვიდა, მას კი დაუკალ ზვარაკი წამებული. მამამ უთხრა: შვილო! შენ მუდამ ჩემთანა ხარ, და ჩემი ყველაფერი შენი არის; ეხლა კი მხიარულება და სიხარული გვმართებს, რადგანაც ეს ძმა შენი მომკდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და აღმოჩნდა.

ამ იგავში უფალი იესო ქრისტე ახასიათებს საცხოვრებელით ცნობილ ვინმე კაცს – მამას და ორ, – უფროს და უმცროს – მის ვაჟიშვილებს.

ვინ არის ორი შვილის მყოფი კაცი – მამა, და რა თვისებებისა არის იგი? იგი არის სახიერი ერთი ღმერთი, უფალი ჩვენი, მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვაყანისა, ... ღმერთი კაცთა შემწყალებელი, შემბრალბელი, შემცოდებელი, მადლის მომცემი, მოქცეულთა გამბანელი, გამწმედელი, ყოვლისაგან ბიწისა წმიდა – მყოფელი, ნექტარი სიტკბოებისა, ბუნებით შვილთ-მოყვარე, მათთვის კეთილის არ დამზოგავი.

რას ნიშნავს ორ შვილთა შორის განაწილებული მამის საცხოვრებელი? მამის საცხოვრებელია ღვთისაგან კაცისათვის მინიჭებული სული, გული, ჭკუა-გონება... ნიჭნი და ნაყოფნი სულისა წმიდისანი, ... მოწყალეობათა საქმენი სულიერნი და ხორციელნი...

ვის ახასიათებს იესო ქრისტე მამის ქონების გამფლანგველის: უძლები შვილის, ყოფა – ქცევით? ჯერეთ ყოვლისა, ბოროტებით სავსე კაცს. ურჯულოებითა, და გულის-წყრომით სულის ყოველი სიკეთის დამაბრუნებელს, ... მერე კი იმავ საწყალობელ კაცს, – მოქცეულს, მონანულს, ჩადენილ ცოდვათა გულის-ხმის-მყოფელს, საშინელისა მის დღისა სამჯავროსაგან შეძრწუნებულს, ღვთის უხვი წყალობით და შებრალბით დაიმედებულს...

შვილთ-მოყვარე მამის უფროსი, ერთგულებით თავმომწონე, ქედ-მაღალი უფროსი შვილის ყოფა-ქცევა მოაგონებს ფარისევლის წამწყმედელ ამპარტავნობას და გულ-დიდობას; მოგვაგონებს ფარისეველს, სხვის თვალში ბეწვის მხედველს საკუთარში კი – არა...



ნათქვამიდან შესაფერი დასკვნა, ჩვენი სულისა და ხორცისათვის სასარგებლო, მიგვინდია, მსმენელებო, თქვენი ფხიზელი და განათლებული გონებისა და წმინდა გულის-ხმის-ყოფისათვის.

სიტყვის დასრულებისას, მორწმუნენო, ჩვენც ცოდვილთა მსგავსად უძღვები შვილისა, ვყოთ მოწყალე ღვთისა სამებისადმი ლოცვა სინანულისა: ღმერთო მამაო! ცოდვილთა მწყალობელო, შემბრალებელო და ნუგეშისმცემელო! ... უფალო იესო ქრისტე, ძეო, და სიტყვაო ღვთისაო, აღმდებელო ცოდვათა სოფლისათაო!... მეუფეო ცათაო, სულო წმიდაო, ცხოველს-მყოფელო, განმწმედელო სულთა და ხორცთა ჩვენთაო! ... ღმერთო სამებაო სრულო ... რომელმან მეზვერე გაამართლე და უძღვები იგი შვილი აცხოვნე, ჩვენ ცოდვილებზედაც ნუ აიღებ ხელს! ... ლმობიერებით იბრუნე გული! ... და მოწყალებით და სიყვარულით გადმოიხედე ზეცით და იხილე ჩვენი დღევანდელი დაცემა და უზადრუკება სულიერი და ხორციელი! ... გულს-მოდგინებით გევედრებით შენ! დასწვი ჩვენი ცოდვისა მიმართ მიდრეკილებანი მეოხებითა უთესლოდ მშობელისა ქალწულისა მარიამისა, და ზეცისა ძალთა საქართველოს ეკლესიის მიერ დღეს ხსენებულის წმიდისა კეთილმსახურისა მეფისა დავით მეოთხისა, ყოვლისა საქართველოსა და აფხაზეთისა, ზედწოდებით აღმაშენებელისა.

ამინ

61. «დიდ მარხვის I კვირიაკე»: [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1931., 1 მარტი. ხელნაწერი. ტექსტი ჩასწორებულია და დაზიანებული. ბოლო ნაწილი აკლია. 5 ფ.

†

მორწმუნენო! ყველამ ვიცით, რომ ამჟამად წმიდა დიდ-მარხვა არის. ამ მარხვის პირველი კვირიაკე უკვე გავატარეთ. გვესმის დიდ-მარხვის მნიშვნელობა ჩვენი სულის და ხორცისათვის. ამ შეგნების გავლენით დავიარებით ეკლესიებში, ვლოცულობთ, ვმარხულობთ, ღვთისაგან დაწესებულს ორ დიდ საიდუმლოებას \_ სინანულს და ზიარებას, \_ ვასრულებთ ქრისტეს მცნებათა მიხედვით, და მოციქულთა და წმიდათა მამათა მაგალითებით და რჩევა-დარიგებებით ქველის-ვმოქმედებთ კიდევ. რას ჰნიშნავს ყველა ეს? რის მაჩვენებელია ასეთი ყოფა-ქცევა ჩვენი? ჩვენი ასეთი ცხოვრება ნათლად გვიჩვენებს და აღნიშნავს, ქრისტიანენო, ჩვენს ღვთისნიერებას, სჯულიერებას, მორწმუნეობას. ასეთი ჩვენი ყოფა-ქცევით საჯაროთ ვადასტურებთ, რომ არსებობს უხილავი ძალა, კაცის გონებისათვის მიუწდომელი, გამოუკვლეველი და გამოუძიებელი უმაღლესი გონიერება \_ ღმერთი; რომ მხოლოდ ასეთი გონიერება \_ ღმერთი არის მამა ყოვლისა-მპყრობელი, შემოქმედი ცათა, ქვეყანისა, წარმომშობელი დიად ბუნებისა, და მის მრავალ-ფეროვან მოვლენათა და ძალთა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა; რომ ბუნების მოვლენა, და გვირგვინი და მფლობელი კაციც ღვთის დანაბადია; და რომ კაცს ღვთისაგან აქვს შთაბერვილი სული უკვდავი და გონიერი; რომ კაცის გვამი თავ მოციქულის პავლეს სწავლით, «ტამარია ღვთისა და სადგური სულისა წმიდისა» (ა. კორ. III, 16); რომ კაცის ასეთ უმაღლეს დანიშნულების გვამში ჩაქსოვილია ნიჭნი და ნაყოფნი სულსა წმიდისანი, რომელნიც არიან: შიში ღვთისა, ღვთის მსახურება, ძლიერება, ზრახვა,

მეცნიერება, გულის-ხმის-ყოფა, სიბრძნე, სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულ-გრძელება, სიტკბოება, სახიერება, სარწმუნოება, მყუდროება, მოთმინება ... და აგრეთვე მოწყალებათა შემდეგი საქმენი: ხორციელნი და სულიერნი: ჭმევა მშვიერთა, სუმევა მწყურვალთა, შემოსვა შიშველთა, შეწყნარება უცხოთა, მოკითხვა სნეულთა, მიხედვა პატიმართა, დაფლვა მიცვალებულთა, ... მოქცევა ცოდვილთა, სწავლება უმეცართა, განმართვა დაბრკოლებულთა, ნუგეშინის-ცემა მწუხარეთა, მოთმინებით ატანა უსამართლოებისა, მიტევება შემცოდეთა, ვედრება ღვთისა საცხოვნებლად მოყვასისა.

ნათქვამი ვსთქვამთ მოკლედ: წმიდა დიდ-მარხვის დროს ჩვენი ბეჯითი ლოცვა, მარხვა, სინანული, ზიარება და კეთილი საქმეები ხმა-მაღლად, ქუხილისებური გრგვინვით, მღალადებელნი და დამმოწმებელნი არიან იმისა, რომ არის ღმერთი და მისი განგება; რომ ჩვენსავით ჩაგრულთა, დევნულთა, მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთათვის, უღვთოთ წამებულ დიდ ილიას თქმით:

«ღმერთია ყველას მშველელი, მხსნელი,  
ღვთით არ განწირულს ყველგან წინ უძღვის  
მისი მარჯვენა შემწყნარებელი»...

ჩვენი ასეთი რწმენისა გამო, წმიდათა ანგელოსთა და მთავარ-ანგელოსთა და ყოველთა ზეცისა უხორცოთა ძალებთან ერთად, ჩვენ, მორწმუნენი, დღე-მუდამ ვუგალობთ ღმერთს და ვიტყვი: წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ უფალო, საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქვეყანა დიდებითა შენითა!»...

ჩვენი ასეთივე რწმენის საბუთით ჩვენ, მორწმუნენი, «მოველით აღდგომასა მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნისასა» ... მაგრამ ქრისტიანენო, ამა და იმ ქვეყნებში ღვთის მგალობელთა, მაკურთხეველთა, თაყვანის-მცემელთა, დიდების-მეტყველთა და მმადლობელთა გუნდთ და ბანაკთ უპირის-პირდებიან, გზას უღობავენ და უჭრიან, საშვალეებს და გასაქანს უბორკავენ და უსპობენ სხვანი, საკმაოდ დიდი ღონის და ძალის მქონენი ბანაკნი უღვთოთა, უსჯულოთა და ურწმუნოთა. ამ სხვათა ბანაკთაგან წარმოშობილნი და გამოსულნი უღვთონი, უსჯულონი და ურწმუნონი აშკარად, მოურიდებლად, თამამად, ამაღლებული ხმით და ანგარიშ მიუცემლად გაჰკვივიან, რომ არ არის ღმერთი და არც არავითარი მისი გუნდნი და ბანაკნი წმიდათა ანგელოსთა, და მთავარ-ანგელოსთა და ყოველთა ზეცისა ძალთაო. არისო, გაიძახიან ასეთნი, არა ღმერთი, არამედ მხოლოდ ბუნება და ბუნების აურაცხელნი სხვა და სხვა მოვლენანი ... არისო მატერია, \_ ანუ ნივთიერება, \_ და არა უმაღლესი, მიუწდომელი, გამოუკვლეველი და გამოუძიებელი, უკვდავი და გონიერი სულიო ... უღმრთოთა, უსჯულოთა და ურწმუნოთა ასეთი თვალთ-საზრისით და გონების ნააზრევით და ნამოქმედარით, მაშასადამე, არც კაცია ღვთის დანაბადი და სულით და გონებით მისი ხატება და მზგავსება ... კაცის არც გვამია «ტამარი ღვთისა და სადგური სულისა წმიდისა»... მათი სწავლით კაციც იგივე ბალახის მჭამელ ცხოველთა მოდგმისა, მზგავსებისა და დანიშნულებისა ყოფილა ... კაცსა და ცხოველს შორის განსხვავებას ჰხედავენ უღვთონი, უსჯულონი და ურწმუნონი მხოლოდ იმაში, რომ პირველი მეტყველი და გონიერია, მეორე კი პირუტყვი და უგონოა, ან და ნაკლები და განუვითარებელი გონებისა ... მათი შეხედულობით კაცი სანამ ცოცხალია აზროვნებს, მოქმედებს, სჭამს, სვამს სხვა და სხვა გართობებს ეძლევა ... მოკვდა იგი და ცხოველთა მზგავსად მოისპო, ... მიწაში სხვა გვარ მატერიად, \_ ნივთიერებად, გადაიქცა ... მორჩა და გათავდა ... იყო და აღარ არის აქ, ამ დედამიწის არე-მარეზე, არის კაცის დასაწყისი, აქვე არის მისი დასასრულიო ... არ იქნება არც აღდგომა მკვდრეთით, ... და არც ცხოვრება მერმისა

მის საუკუნესისაო... ღმერთი, სჯული, სარწმუნოება, რელიგია, კაცთა გონების დამაჩლუნგებელი და დამაძინებელი ბანგიაო ... ცრუმორწმუნებააო ... მუქთახორა კულტის მსახურთა, მღვდელთა მოგონილიაო ... ასე ამბობენ ყველგან ყოველთვის უღვთონი, უსჯულონი და ურწმუნონი ...

მორწმუნენო! ღვთისწიერება თუ უღვთოობა, სჯულიერება თუ უსჯულოება, მორწმუნეობა თუ ურწმუნოება კაცთა შორის არ ახალია, – ძველთაგან ძველია. ღმერთის ყოფნა და არყოფნა მარტო ჩვენი დროით როდი განიზომება და აიწონება, ამოიწურება. მას აქვს შორეული წარსული. დასაწყისი ღვთის აღიარებისა და უარყოფისაც ქვეყნის წარმოშობის ხანაში უნდა ვეძიოთ. დიდი, წმიდა და სიბრძნით სავსე საუცხოვო წიგნის ბიბლიის სწავლით ქვეყნიურ სამოთხეში შემოქმედს ღმერთსა და კაცობრიობის წარმომშობელთა პირველ კაცთა ადამ და ევას შორის გამუდმებული ბაასი წარმოებულა; ღმერთსა და კაცთა შორის ბაასს კი ლოცვა და ღვთისმსახურება ეწოდება, რაიც გამომხატველია ადამიანის ღვთისწიერებისა, სულიერებისა და მორწმუნეობისა... აგრეთვე, როგორც უკვე ვთქვით, უღვთოობა, უსჯულოება და ურწმუნოებაც არ ახალია, ძველია, იგიც შორეული წარსულისაა ... საღმრთო წერილის სწავლით ხილულ ქვეყნის გაჩენამდე უხილავ ქვეყანაში ღვთაებრივ ნათელში მყოფთა კეთილ ანგელოზთა შორისაც უჩენია თავი ღვთის ურჩობას. ერთი უმთავრესი ანგელოსთაგანი გამპარტავნებულა, გამაყებულა, გადიდგულეებულა, დამბადებელის ღვთის მსახურება და მორჩილება უუკადრისია, უკუგდია და უარუყვია, მიზანს ვერ მისწდომია და დაცემულა კი; ღვთისაგან თავისუფლებით აღჭურვილს თავისუფლება ასე ბოროტად მოუხმარია. ამ ბოროტად ქცეულს მთავარ სულს ანგელოსთა შორის მიმდევარნიც აღმოსჩენია; და ყველა ამათ ღვთაებრივ ნათელსა შინა ცხოვრების უფლება დაუკარგნიათ. და ამნაირად კეთილად დაბადებულნი ღვთის-მსახურნი თავისუფალი ანგელოსნი გაყოფილან ორ ბანაკად: შექმნილან ერთის მხრივ ღვთის სამსახუროდ და საქებ-სადიდებლად და კაცთა სარწმუნო წინამძღვრებად და სულთა და ხორცთა მცველებად ბანაკნი წმიდათა ანგელოსთა, მთავარ-ანგელოსთა და ყოველთა ზეცისა უხორცოთა ძალთა; და წარმოშობილან ბანაკნი ბოროტთა ანგელოსთა, ანუ ეშმაკთა, მავნე სულთა მოღალატეთა, ... გაუტანელთა, ცილის მწამებელთა, მაბეზღართა, ავ საქმეთა მქნელთა და მრჩეველთა, კაცთა სულიერად და ხორციელად დამღუპველთა, შემმუსვრელთა და უფსკრულში გადამჩეხველთა და წამწყმედელთა ... ამ ნათქვამ საღმრთო წერილის სწავლაში კეთილ და ბოროტ ანგელოსთა წარმოშობის შესახებ დიდი აზრია ჩაქსოვილი და ჩაწნული, მორწმუნენო! ნათქვამი ნათლად ადასტურებს იმას, რომ ქვეყნის დასაბამიდანვე ბრძოლა არსებულა და წარმოებულა მუდმივად სიკეთესა და სიბოროტის, ღვთისწიერებასა და უღვთოობის, სჯულიერებას და უსჯულოების, მორწმუნეობასა და ურწმუნოების შორის...

ბიბლიის წელთ აღრიცხვით ადამ და ევას ქვეყნად მოვლინებიდან ქრისტესშობამდე 5.508 წელს გაუვლია: ქრისტეს შობიდან დღევანდლამდე, როგორც ვიცით ყველამ, 1931 წელიწადია; და, მაშასადამე, სულ კაცთა გაჩენიდან ჩვენამდე ქ. 439 წლის ისტორიული ცხოვრების მანძილია (5508 წ. +1931 წ. = ქ. 439 წ.). და აი, ამ დიდი ხნის განმავლობაში რელიგიური მიმდინარეობაც არსებობს და არ მოსპობილა იგი და რელიგიის წინააღმდეგი ბრძოლა და მისი სასტიკი ზომებიც ფრთა გაშლილია. კაცობრივობის ისტორიას ახსოვს, რომ ბევრჯერ ღვთისწიერობას, სჯულიერობას და მორწმუნეობას გამარჯვების ნიშნად აღუმართავს მაღლა თავისი დროშა; და ბევრჯელაც უღვთოობას, უსჯულოებას და ურწმუნოებას გაულესნია ხანჯალი და

სხვა მრავალ გვარი მახვილი, მუხანათურად უშიშვლებია და მძლავრად მოუქნევია პირველის გასაქრობათ და ძირიან-ფესვიან ამოსაგდებად.

მორწმუნენო! ჩვენ ამ ქვეყნად მოვლინებულნი ადამიანნი, მცირე დროისანი ვართ. საღმრთო წერილის სწავლით, რაც ბევრჯელ გვითქამს ამ წმიდა ამბიონიდან, ჩვენი სიცოცხლე თივისა, ყვავილისა და კვამლის სადარია. ხანგრძლივობა კაცთა სიცოცხლისა დედამიწაზედ იშვიათ შემთხვევებში თუ აღემატება 70-80 წლებს. 'შწირნი ვართ წინაშე უფლისა და წარმავალნი ვითარცა ყოველნი მამანი ჩვენნი» /ნემტთა XXIX, 15/. ამ ნათქვამით ცხოვრების მქონეთათვის ამ ქვეყნად რა უფრო ხელსაყრელია და სამჯობინარი: ღვთის აღიარება, თუ მისი უარყოფა, სჯულის დაცვა თუ მისი აბუჩად აგდება, ფეხთქვეშ გათელვა, შეგინება და უსჯულოების გამეფება? სარწმუნოების თავისუფლება, ხელ-შეუხებლობა, შეწყნარება, შეგუება-შეთვისება და შეყვარება, თუ მისი დევნა, შეუწყნარებლობა, შეუგუებლობა-შეთვისებლობა და მძულვარება ურწმუნოების სასტიკი ფარ-ხმალით, სისხლის სმის და კაცი-ჭამიაობის მდომით? საღმრთო-საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიიდან სანიმუშოდ მოყვანილი მაგალითები გაგვცემენ სწორ პასუხს ამ დასმულ კითხვებზედ.....

62. «სიტყვა თქმული უფლისა ჩვენის იესო ქრისტეს იერუსალიმში დიდებულად შესვლის დღეს [ბზობას\_ბაიაობას]: [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. ხელნაწერი დაზიანებულია. ტექსტი ჩასწორებულია. ბოლოს: «დეკ. დ. გარსიაშვილი.» 3 ფ.

†

დღეს კვირაა და ბზობაა, ქრისტიანენო! ორმოც-დღიანი წმიდა დიდ-მარხვა ჩავატარეთ ასეთი ჩვენი ყოფა-ქცევით კეთილი და საქებური მიმბაძველობა გამოვიჩინეთ, \_ ერთის მხრივ, ძველი სჯულის დამდებ დიდ წინასწარმეტყველის მარხვითა და ლოცვით სინას მთაზე ღვთის მხილველ და ათ მცნებათა მიმღების მოსესი, და, მეორეს მხრივ, ახალ მცნებათა მომცემის, მადლისა და ჭეშმარიტების მქადაგებელ და ნათლის-ღების შემდეგ უდაბნოში 40 დღე-ღამე მარხვა-ლოცვაში დამღამებელ და გამთენებელის ქრისტესისა. თუ კაცი გონიერია, მისთვის სრულიად საკმარისია ეს დრო მისი სულისა და ხორცის განბანვისა, განწმედისა, უკეთურებათა მოსპობისა, ქველმოქმედებისა და განბრწყინვებისათვის ამ ქვეყანაშივე. ნეტარება იმას, რომელმაც გონიერათ ისარგებლა ამ დროთი.

გუშინ გავიხსენეთ ლაზარეს შაბათიც, რომელ დღესაც დიდი საკვირველება მოიმოქმედა იესო ქრისტემ. ზეცით მამა ღვთისაგან წარმოგზავნილმა სასწაულთმოქმედმა ღვთაებრივმა მოძღვარმა იერუსალიმის მახლობლად მდებარე სოფელ ბეთანიაში თვისი მეგობარი ლაზარეს გვამი, უკვე ოთხი დღის დაყროლებული, აკლდამაში მდებარე და დიდ ლოდ მიგორვებული, თვისი ღვთაებრივი ბუნების ძალით გამოიძახა გარე და კვლავ განაცხოველა იგი, რაც დიდი საბუთია ქრისტიანეთა მოლოდინისა, რომ მოვა დრო, როდესაც მომკვდარნი და მიწად ქცეულნი კაცნი, კვალად ქრისტეს დიდებით მოსვლით, ლაზარეს მზგავსად ისევე აღზდგებიან ახალი სულიერი და დაუსრულებელი ნეტარი ცხოვრებისათვის.

დღეს კი ბზობის კვირა დღეა, ან და, ბაიაობა არის საეკლესიო წიგნების წოდებით; ეს დღე დიდი მოგონებაა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს იერუსალიმში დიდებულად

შესვლის დღისა. კარგი დღეა ბზობა, ქრისტეს დღეა, ყველა ქრისტიანისათვის გასახარია იგი! საუფლო დიდ დღესასწაულის მზგავსად ქ. იერუსალიმის და ურიათა ქვეყნის სხვა ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებლებისა, ჩვენც ერთხელ კიდევ საჯაროთ და საქვეყნოთ გამოვთქვამთ და გამოვსახავთ ჩვენს პატივს, დიდებას და თაყვანისცემას ორი სრული, შეურყენელი, ღვთაებრივი და კაცობრივი ბუნების მქონე ქრისტესადმი. ქრისტიანობის პირველ საუკუნოებიდამვე შემოღებულ ამ დიდ ეკლესიურ წესის შესრულებით და დაცვით ქუხილისებური ხმით და გრგვინვით ვაღვიარებთ და ვქადაგებთ, რომ ქრისტე არის «ჭემმარიტად ძე ღვთისა, ცოდვილთა ცხოვნებისათვის მოსული სოფლად, ღმერთი სრული და კაცი სრული. მიუხედავით მორწმუნეთათვის დღეს არსებული ყოველგვარი ჭირისა, რისხვისა და იწროებისა, აწინდელ დიდებულ ბზობა დღეს ჩვენ წმიდის გულით და წრფელი სულით, პოეტ რაფიელ ერისთავის თქმისამებრ, ვლალადებთ და ვიტყვით: «დიდება მოძღვარს, ღვთის ძესა, კურთხევანი და ქებაში»... (იხ. რაფიელ ერისთავის «ბზობა»). ქართველი ერის მოჭირნახულე და მოამაგე პოეტს, რაფიელს დღევანდელ დიდ დღესასწაულის სახარების შინაარსი ზედმიწევნით შეუგვნია და უკლებლივ და სრული სისწორით გაუღექსია და ჩვენი მოზარდი თაობისათვის მიუძღვნია მის კეთილად, ქრისტიანულ ნიადაგზე, ზნეობრივ აღზრდისა და გაწვრთნისათვის. პოეტს ლექსისათვის, შინაარსის მიხედვით, შესაფერ სათაურად მოუძებნია «ბზობა». ქრისტიანენო! დღევანდელი ბზობის გავლენით მე მაგონდება ჩემი პაწიობა, მაგონდება ჩემი საყვარელი, მშობლიური მზრუნველობით მოამაგე, აღმზრდელი, მკვებავი, ტანთ და ფეხთ მცმელი, გონებრივი და ზნეობრივი თვალსაზრისის გამმუქებელი და გამღვიძებელი, უზენაესის სამიებელ გზაზე დამყენებელი, იესო ქრისტეს უხრწნელ ხატის და მის სახარების ჩემ გულსა და გონებაში აღმბეჭდველი და დამწერგველი ტფილისის სასულიერო სასწავლებელი; მახსოვს მისი საკლასო ოთახები და კარ-მიდამო; მახსოვან და ახლაც თვალთწინ მიდგანან ამ სასწავლებლის მასწავლებლები და მოსწავლენი, განსაკუთრებით კი ამხანაგები... «მახსოვს, როცა ბალლი ვიყავ», სხვა ამხანაგ-მოსწავლეებთან ერთად, ამ ლექსის გაზეპირება საყვარელ ნეტარ-ხსენებულ ქართული ენის მასწავლებლის ქრისტეფორე უგრელიძის ხელმძღვანელობით; მისივე ხელმძღვანელობით ყველა მოსწავლეს გვიხაროდა გაზეპირებულ ამ ლექსის ხშირად წარმოთქმა კლასში და სალიტერატურო სადამოებზე, ან და მისივე რჩევა-დარიგებანი სოფლად სახლებში მშობლებთან და ტოლ-ამხანაგებთან ერთად ყოფნის დროს; სიმღერითაც მას ხალისიანად ბევრჯელ ვმღეროდით. ეს ლექსი, მისი შემდგენელი პოეტი რაფიელ ერისთავი და მასწავლებელი ქრისტეფორე უგრელიძე დღესაც ღრმად «ჩამრჩენიან გულს»... მორწმუნენო! სწავლის დროს «საზრდოთ ვხმარობდით ქრისტესა მცნებას»... ქრისტეს მცნებათა ზე-გავლენით ჩვენ ვითვისებდით «კაცთა სიყვარულს, მმობას, ერთობას, თავისუფლებას»... ვეჩვევოდით «მომავლისთვის ბედთანა ბრძოლას» და «სიკეთისათვის» გულთა ვიწვრთნიდით ... «გაჰქრა ის ტკბილად სახსოვარი დროცა!..» ამ უკანასკნელ 10 წლის «დიდმა ნაღველმა, კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა, სრულად მოგვიკლა სიცოცხლის ძალა»... ჩრდილათ ვიქეცით, შევიცვალენით ... მაგრამ მე მიუხედავით ასეთი საერთო უნუგეშო ყოფისა, დღესაც ლექსის «ბზობა» გახსენება ტანში ჟრუანტელსა მგვრის და ენით აუწერელ და გამოუთქმელ დიდ სულიერ კმაყოფილებას და სიამოვნებას განმაცდევინებს. აი ამის გამო ეხლა მინდა ამ წმიდა ამბიონიდან მოგონილი ლექსის წარმოთქმით, თქვენც, მსმენელებო, ამ წამის ჩემ მდგომარეობაში ჩაგაყენოთ და ჩემი ასეთი სულიერი განცდის თანამონაწილენი გაგხადოთ, რაც, ვფიქრობ, უსარგებლო, ურიგო და უადგილო არ იქნება. ჩვენი

ზნეობრივად აღზრდისათვის და განსვენებულთა უკვდავ პოეტ რაფიელისა და ჩემი ქართული ენის საყვარელ და ტკბილად სახსოვარ მასწავლებლის ქრისტეფორე ნიკოლოზის ძის უგრელიძის ხსოვნის აღსანიშნავად ....

«ბზოზა არის, ბზოზა არის! წამო, ვანო, საყდარშია;  
იქ ლაპლაპებს კელეპტრები, ნათელა, და კაშკაშია...  
იქ მოგვცემენ ბზის ტოტებსა, დავითვალოთ ზინზილები:  
თუ შეგვხვდება ბლომად, მაშინ მოგვივა ჭინახულები!..  
ბზა გავირჭოთ ქუდებშია, აღარ დაგვძლევს

წლეულს ყვავი,

არ დაგვცარავს სწავლაშია, ჯეჯილს მიაფაროს თავი.  
წამო, ბიჭო, საყდარშია, კვირაა და ბზოზა არი;  
კარგი დღეა, ქრისტეს დღეა, ყველასათვის გასახარი!..  
ოსტატმა სთქვა: «ხვალ ბზოზაა და საყდარში გვმართებს

კრძალვა!

აი, ვანო, რა მიაძბო მე ოსტატმა, რა მასწავლა:  
ქრისტე ღმერთი ჰქადაგებდა და ჰკურნებდა სნეულებსა,  
აღადგენდა მიცვალებულთ, ჰხსნიდა ეშმაკეულებსა,  
იწყალებდა გლახაკებსა, არ იმხელდა თავისთავსა,  
სიკეთის გზას ასწავლიდა და სდევნიდა ყველა ავსა...  
ერთს დღეს შეჯდა კვიცსა ზედა, თან ეახლნენ

შეგირდები...

სულ რომ გეტყვი ამ ამბავსა, გაოცდები, გაჰკვირდები...  
წაბრძანდა იერუსალიმს, შეიძრა ხალხი ერთიან,  
მოაქვთ და მოჰყავთ საპყარნი, მიწაზე პირ-ქვე

ერთხმიან;

უფენენ დანაკის-კუდსა, მწვანე შტოებსა მრავალსა,  
სამოსელს, ტანით განაძრობს, უფენენ იმის სავალსა.  
ხმა ისმის ხალხის ზრიალის, ვედრება, ღაღადებანი,  
დიდება მოძღვარს, ღვთის ძესა, კურთხევანი და ქებანი.

«ოსანა მაღალთა შინა!» და ამგვარივე ხმა ყრმათა:  
«კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა!...»  
შებრძანდა მოძღვარ დიდებით, სდევნა ვაჭარნი

ტაძრიდგან, \_

მტრედთა მყიდველნი, ზარაფნი, მოსულნი აქვე  
ბაზრიდგან.

ეს ყოფილა ქრისტეს დროსა და დღეს ნიშნად ბზოზა  
არი,

ყველა მიდის საყდრისკენა, ღია არის საყდრის კარი...  
წამო, ბიჭო, საყდარშია, კვირაა და ბზოზა არი,  
კარგი დღეა, ქრისტეს დღეა, ყველასათვის გასახარი!  
იქ მოგვცემენ ბზის ტოტებსა, შიგ გავირჭოთ ქუდებშია,  
ეშმაკი ვეღარას გვაწყენს, შეძვრეს თავის ბუდეშია!»

ამინ

63. “ამ მცნებათა ცხოვრებაში გატარებისათვის”: [ადამიანთა უმეცრების, ღვთის სიყვარულისა და იოანე ნათლისმცემლის შესახებ. I, II ნაწილი] ქადაგების წარმოთქმის ადგილი და თარიღი მითითებული არ არის ხელნაწერი ჩასწორებული და დაზიანებულია. ტექსტს თავფურცელი და დასასრული აკლია. 7 ფ.

†

... ამ მცნებათა ცხოვრებაში გატარებისათვის ღვთაებრივ მოძღვარს დაუთმენია სიბნელეში მყოფთაგან ყურთა გლეჯა, შოლტით და ლერწმით ცემა, ეკლის გვირგვინით ნათელი თავისა და შუბლის შემოსვა ... პირველმცნებათა აღსრულები-სათვის გოლგოთის მთაზედ მიმავალს ტარიგს, მწყემსს და მხსნელს სოფლისას ზურგზე მოკიდებით მძიმე ხის ჯვარი უზიდნია, ჯვარცმულა, პატიოსანი სისხლი დაუღვრია, წყლის მაგიერ ძმარი უგემია, ლახვრითა განგმირულა ... ღვთისა და კაცთა სიყვარულის ქადაგებისათვის ასეთი ტანჯვა-წამებანი მიუყენებიათ იესოსათვის 1900 წელთა უწინ ურიების რელიგიურ და პოლიტიკურ ცხოვრების ხელმძღვანელებს ... ბუნებასაც კი უგრძნია ურიათა ქვეყნის მწიგნობართა, ფარისეველთა და ორგულთაგან სიყვარულის წილ ენით გამოუთქმელი უსამართლობის ჩადენა. ოდეს იესოს განუტევებია ჯვარზედ სული, ცა ვრცელი განცვიფრებულა, სამი საათი უხვად სხივმფენი და სითბოს გამომცემი წითლად ამომავალი მზე დაბნელებულა, იერუსალიმის ტაძრის კრეტსაბმელი ზევიდან ქვევითამდე ორად გაყოფილა, დედამიწა მძლავრად შეძრულა, კლდენი გარღვეულან, საფლავები გახსნილან და იქიდან მრავალნი გვამნი წმიდათა შესვენებულთა ამდგარან ... ბუნებას ასეთი საკვირველი მოვლენებით აღუნიშნავს, დაუგმია, გაუკიცხავს და უღალადნია უსამართლობა პირუტყვთა სადარ კაცთა ... იმ დროს იქ მდგომთა ასის-თავთა და სხვა წარმართ მხედართაც, განუცდიათ და უნახავთ რა მიწისძვრა, დიდათ შეშინებულან, მკერდში ცემით უდიდებიათ ღმერთი და განცვიფრებულთ უთქვამთ სიყვარულითა და სინანულით: ჭეშმარიტად კაცი ესე მართალი იყო. საშინელი სურათის ცქერის ვერ შემძლებელნი და ამტანნი, მწუხარებით განშორებიან ადგილს. ორგულთ რაღა უკეთებიათ? იქნება მათ ჯვარცმის დღეს საშინელებათა ნახულით და გაგონილით მოჰლობიათ გაქვავებული გულნი? იქნებ დაბნელებული გონებანიც გაჰნათლებიათ, სინანულს მისცემიან და წაწყმედილნი სულნიც გაუწმენდიათ? ... პირქვე დამხოვილან ჯვარცმულის წინაშე და ... სიყვარულითა და სინანულით შეუძახნიათ: მომიხსენენ მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა. და იქნებ ასეთებს გოლგოთის მთიდან მაღალი ხმით გადმოუძახნიათ იერუსალიმის მცხოვრებლებ-თათვის: ჭეშმარიტად კაცი ესე მართალ იყო და ჩვენ კი უგუნურებმა და სიბნელეში მყოფებმა ჯვარს ვაცვით იგი? ოჰ, ნეტა ასე ყოფილიყო! იქნება მაშინ ბოროტებას დედამიწის სიღრმეში გადგმული ფესვები დაჰზროდნენ და კაცთა გულთაგან იგი ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრილიყო და ურთიერთისადმი სიყვარულით აღვსილ და გამსჭვალულ ადამის შთამომავალთ ვაებაში აღარ ეცხოვრათ! ... იქნება მძლავრს სუსტის ჩაგვრაზე ხელი აეღო! ... იქნება მოძმეთა მკვლელი კაენები და მოძღვართა გამცემელნი და ვერცხლის მოყვარენი გამქრალიყვნენ დედამიწის პირიდან! მაგრამ ვაი, რომ ასე არ მომხდარა! ...

მადლისა და ჭეშმარიტების დაუღალავად მქადაგებელის გვამი, მორწმუნე სულისა და სიყვარულით აღვსილი გულის მქონე იოსებისაგან ჯვრიდან გარდმოხსნილი, წმინდა არმენაკით წარგრაგნილი, იოსების მიერ განმზადებულ ახალ საფლავშიაც არ

მოუსვენებიათ ... ჯვარცმის დღის პარასკევის შემდეგ, კვლავ შეყრილან ერთად, ბოროტი მოსაზრებით წამდგარან პილატეს წინაშე და მოუხსენებიათ: უფალო! მან მაცთურმან, როს ცოცხალი იყო, სთქვა, რომ მესამე დღეს აღდგება. მოწაფენი მისნი რომ არ მოვიდნენ, რომ არ მოიპარონ გვამი მისი და გაავრცელონ ხმა მის მკვდრეთით აღდგომის შესახებ, დაგვრთე საფლავის დაბეჭდვის ნება და სამ დღემდე მცველების მიჩინება.

პილატეს თანხმობით, კლდეში გამოჭრილ საფლავთან, სადაც იდვა გვამი იესოსი, შესავალში აუქედებიათ დიდი ლოდი და დაუყენებიათ უცხო ქვეყნისა და მოდგმის მცველები ... მესამე დღეს, მახარებელთა ერთხმად მოწმობით, დიდი მიწისძვრა მომხდარა და ანგელოსი უფლისა გადრმოსულა ზეცით, გადაუგორებია აყუდებული ლოდი და დამჯდარა ზედ. მორწმუნეთათვის სანახავად მშვენიერი და სიყვარულით გამომცქირალი ყოფილა ლოდზე მჯდომი ანგელოზი: „ხოლო იყო ხილვა მისი, ვითარცა ელვა, და სამოსელი მისი, სპეტაკ, ვითარცა თოვლი!“ /მათე XXVIII, 2-3/. ქრისტეს დამტირებელნი და მაძიებელნი დედანი შემდეგი ნუგეშისცემით გაუხარებია ანგელოზს: ვიცი, რომ ჯვარცმულ იესო ნაზარეველს ეძებთ, ის აქ არ არის, რადგან როგორცა სთქვა, აღსდგა ... გაეშურენით და შეატყობინეთ მის მოწაფეებს, რათა წავიდნენ გალილეას, სადაც ინახულებენ მას ... წარმართ მცველებს კი, მიწის დიდი ძვრისაგან, სპეტაკ ანგელოსის ნახვით, იესოს ძლევამოსილი მკვდრეთით აღდგომით და საფლავიდან გამოსვლით თავზარი დასცემიათ, პირქვე დამხობილნი მკვდრებს დამსგავსებთან ... მღვდელთმთავართათვის მოუხსენებიათ მომხდარი და ნახული. დიდძალი ვერცხლი მიუციათ უცხო მხრისა და მოდგმის წარმართ მცველთათვის და სიცრუე უთქმევინებიათ: მოწაფენი მისნი ღამე მოვიდნენ და წარიპარეს იგი, ვიდრე გვეძინაო. და ცრუ სიტყვა მცველებისა გავრცელებულია ურიათა შორის დღევანდლამდეო, \_ დასძენს მახარებელი /მათე XXVIII, 15/.

მსმენელებო! უგუნურებით, სიბრმავეთ, ყურთა მოყრუებით, სიავითა და გულღვარძლობით ერთხელ ნათქვამ სიცრუეს მამამთავარ აბრაამისაგან შთამომავლობით გაამპარტავნებულ და გადიდგულეებულ ურიების გულთა შინა ღრმად გაუვლია კვალი და ამ კვალში გადაბნეულ ღვარძლის თესლს მტკიცედ გაუდგამს ფესვები, რომელთა მოთხრა და ამოგდება ვერ მოხერხებულა განვლილ 19 საუკუნის მანძილზე. და არამცთუ ვერ მოხერხებულა, პირიქით, დღეს, მეოცე საუკუნეში, ჩვენ დროში, დიდი ძალისა და წონის ღვარძლი ითესება ბეჯითად და დაუსვენებლივ ... რუსეთში და პატარა საქართველოში ...

დევნულნო სიმართლისათვის! საჭიროა ძირიან-ფესვიანად შეკრება ღვარძლისა და ცეცხლში დაწვა მისი. მაგრამ ამ საქმის შესრულება დროს შერჩევით, მოფიქრებით და სიფრთხილით უნდა, რათა ღვარძლის შეკრებისას არ აღმოიფხვრას იფქლიცა /მათე XIII, 29/. მკის დროს მოსვლამდე. რათა არ განმეორდეს ის დიდი მარცხი, ... ვაცადოთ ღვარძლსა და იფქლს ერთად აღორძინება და მკის დროს, როგორც ქრისტე გვასწავლის, შევკრიბოთ ღვარძლი იგი და შევკრათ ძნულათ და დავწვათ იგი. ხოლო იფქლი იგი შევკრიბოთ საუნჯესა ღვთისა /მათე XIII, 30/...

## II

გუმინწინდელმა /ძველი სტილით 29 მარიაშობისთვის/ იოანე ნათლისმცემლის თავის-კვეთის დღესასწაულმაც მოგვაგონა მეორე დიდი ნიმუში კაცთა მოძულეობისა, სიავკაცობისა, სიბოროტისა...



... ვინ ყოფილა ღვთისაგან მოვლინებული კაცი იოანე? ამ კითხვაზე სწორ და სრულ პასუხს ვკითხულობთ ოთხთავე მახარებელთა სახარებაში. სახარების სწავლით ღვთისაგან მოვლინებული იოანე სასწაულებრივ შობილა ღრმად მოხუცებულების, მართალ ცოლ-ქმრის – მღვდლის ზაქარიასა და ელისაბედისაგან. მღვდელი ზაქარია და ელისაბედი შვილის ყოლის მონატრენი ყოფილან. წმინდა და მართალი ცხოვრებისათვის თავი გადაუდვიათ ლოცვა-ვედრებაში და კეთილ საქმეთა ქმნაში ბადალი არ ჰყოლიათ. ასეთი სათნოიანნი ყოფილან მღვდელი ზაქარია და ელისაბედი, მაგრამ ისინი მაინც ღმერთს სიბერემდე გამოუცდია. ამ ღვთისა და ერთმანეთის ერთგულ ცოლ-ქმარს უზენაესის განგებისათვის მოუწოდვიათ თავისი ბედი და სასოება არ დაუკარგავთ, ღვთისადმი მხურვალე ლოცვა არ მოუშლიათ, მოყვასისადმი სიყვარული გაუორკვეცებიათ.

მახარებელ ლუკას მოთხრობით, მართალი და უბიწო, უკვე ღრმა სიბერით შეპყრობილი მღვდელი ზაქარია, წინასწარმეტყველ მოსესაგან დაწესებულ მღვდლობის ჩვეულების მსგავსად, საკმევლის კმევისათვის, როგორც მორიგე ღვთის მსახური, ერთხელ შესულა ტაძარში. უფლის მლოცველი ერი კი ამ დროს ლოცვისათვის ტაძრის ეზოში მდგარა. საკურთხეველთან მდგომ ზაქარიას სჩვენებია მთავარ-ანგელოსი გაბრიელი. მოხუცებული დიდათ შეშინებული ანგელოსის ხილვით. ცით მოსულ მთავარ-ანგელოს გაბრიელს კი დაუმშვიდებია შეშინებული ღვთის მსახური: ნუ გეშინის ზაქარია, რადგანაც ვედრებანი შენნი შესმენილია და ცოლმან შენმან ელისაბედმა გიშვას შენ მე, რომელსაც სახელად დაარქმევ იოანეს ... გაიხარებთ შენც და მრავალნი სხვანიც ... დედის მუცლიდანვე აღივსება სულითა წმიდითა. იქნება მქადაგებელი ისრაელთა შორის და მომქცევი მათი ღვთისადმი, წინამორბედი და ფეხდაფეხ მიმავალი უფლისა. მღვდელ ზაქარიას შეუძლებლად მიუჩნევია ანგელოსის ნათქვამი და შეჰკამათებია: როგორ ვირწმუნო შენგან ნათქვამი, როცა მე და ჩემი ცოლი მოხუცებულნი ვართ და დღენი დაგვთვლიაო? რაკი არ გჯერა ჩემი ნათქვამი, დასდუმდი იმ დრომდე, სანამ არ ასრულდება ჩემი ნათქვამი – უპასუხია ანგელოსს.

ანგელოსის წასვლის შემდეგ ზაქარია საკურთხეველიდან გამოსულა და მისი დაგვიანებით გაკვირვებულ ხალხთან ლაპარაკი ვედარ შესძლებია, რაც მათ რაღაც ჩვენების ხილვით აუხსნიათ. უტყვი ზაქარია დაბრუნებულია სახლში. ბერწ ელისაბედს ხუთი თვე დაუმაღავს მიდგომილება თვისი, მერე კი ნათესავთ-ნაცნობთათვის გაუმხელთა.

ელისაბედისაგან შობილა მე, რომელიც შობიდან მე-8 დღეს წინადუცვეთიით მთავარანგელოსის დავალებით და ამ დღეს ზაქარიასაც კვლავ ამოუდგამს ენა, აღვსებულა სულითა წმიდითა და უდიდება ღმერთი და უწინასწარმეტყველებია, რომ დაბადებული ყრმა იოანე შეიქმნება წინამორბედი მომავალ მაცხოვრის გზათა გასამზადებლად. მახარებლები სხვას არას მოგვითხრობენ მღვდელ ზაქარიასა და ელისაბედის შესახებ. ისინი დიდი სიხარულის განცდის შემდეგ, ღრმა მოხუცებულები კმაყოფილნი გარდაიცვალნენ. სასწაულებრივ შობილ მათი შვილის შესახებ კი წმიდა სახარებაში დაწვრილებით არის მოთხრობილი მისი აღზრდა, ცხოვრება, უდაბნოში კვება, ქადაგება, მდინარე იორდანეში ხალხის მონათვლა, მისი იესოს შესახებ მოწმობა, მეფე იროდი გალილეველის მხილება, დაპატიმრება და თავის-კვეთა მისი, იესო ქრისტეს აზრი მის შესახებ და სხვა.

იოანეს ადრე დაუტოვებია მშობელთა კერა, გაჰშორებია ქალაქებს, სოფლებს და უცხოვრია განმარტოებით უგზო, უკვალო და უწყლო უდაბნოში. მიზნად დაუსახავს ერთგული ღვთისმსახურება, რის გამოც ასკეტური ცხოვრებისათვის მიუყვია ხელი ...

ამ გზით მომზადებულია თანამემამულეთ შორის სამოქმედოთ. 30 წლამდე უცხოვრია უდაბნოში. სამოსელი აქლემის თმისა სცმია, წელზე სარტყელი ტყავისა ჰრტყმია, ხოლო საზრდელად უხმარია მხალი და თაფლი ველური. 30 წლის შემდეგ ღმერთს ჩაუგონებია დატოვება უდაბნოსი და წასვლა მდინარე იორდანეს ნაპირებზე ხალხთა შორის სინანულის საქადაგებლად და იესო ქრისტეს მოსვლის დროის მოახლოების სადაღადებლად. იოანეს ხალისით დაუტოვებია უდაბნო და მდინარე იორდანეს ნაპირებზე მისვლისთანავე უქადაგნია მასთან დარიგებათა მისაღებად მისულ ხალხთა შორის ნათლისცემა სინანულისა მისატყვებელად ცოდვათა. ასე ასრულებულა 600 წლით წინასწარ თქმული წინასწარმეტყველ ესაიასაგან ... რომელსაც მართალი ცხოვრების მქადაგებლისათვის, იოანესათვის ანგელოსი უწოდებია: „აჰა ესერა, მე წარვაველინო ანგელოსი ჩემი წინაშე პირსა შენსა, რომელმან განჰმზადნეს გზანი შენნი წინაშე პირსა შენსა“ /მარკოზი I, 2/. მას უგულისხმია „შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა“ /მათე III, 2/ ამ სიტყვებით მიუმართავს იოანეს ხალხისათვის და ასეთი შინაარსის ქადაგებისათვის დიდ მეუდაბნოეს ხალხის ნდობა და სიყვარული დაუმსახურებია. იერუსალიმიდან, იორდანის გარემო სოფლებიდან დაუწყვიათ მცხოვრებლებს მრავლად დენა მქადაგებელთან და რომელთაც ყურადღებით და გულდადებით მოუსმენიათ და მიუღიათ სწავლა იოანესი, შეუწინებიათ და აღუარებიათ ცოდვები. ამ პატიოსან და დიდებულ წინასწარმეტყველს მდინარე იორდანეში წყლით ნათელუცია და თან დაურთავს: ჩემ შემდეგ ჩემზე უწინ მყოფელი და უძლიერესი მოდის, რომლის ქალამნების თასმების გახსნის ღირსიც არა ვარ. მე ნათელ-გცემთ თქვენ წყლით, ხოლო მან ნათელ-გცეს თქვენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა /მარკოზი I, 7, 8/. იოანე წინამორბედი და ნათლისმცემელი დამგმობი ყოფილა მხოლოდ სიტყვიერ სინანულისა და კეთილ საქმეებით შემკულ სინანულისათვის უძლევია უპირატესობა და მსმენელთა ყურადღებაც აქეთ მიუქცევია: ჰყავთ უკვე ნათელი ღირსი სინანულისა /მათე III, 8/ \_ ასე დაურიგებია მასთან მისული ფარისევლნი და სადუკეველნი, რომ მარტო გვარიშვილობა და ჩამომავლობა კაცისა არ კმარა ღვთის შვილად გახდომისათვის. თქვენ რომ თავი მოგაქვთ და იქადით მამა აბრამისაგან ჩამომავლობით, მამა აბრამის მზგავსადვე უნდა კეთილ ნაყოფის გამომღები და სიკეთის მთესველნიც იყვნეთ ხალხთა შორის ... უმწიკვლო ადამიანს უქადაგნია უქონელთათვის მქონეთაგან დახმარების გამოღება, მოწყალების გაცემა, დაუგმია კაცთაგან მტაცებლობა, ცარცვა-გლეჯა, ერთმანეთის შევიწროება, ცილის დაწამება ... სახარების სწავლით, აი, ასეთი წმიდა და მართალი კაცი ყოფილა ნათლისმცემელი იოანე ... ასეთი მქადაგებელი ღვთისა და მოყვასის სიყვარულისა თავ-მოკვეთილ იქმნა ბილწი ცხოვრებისა და კაცთმოდულე გულის მქონე ბოროტი მეფის იროდი გალილეველისაგან. რა გამხდარა მიზეზი ამ პატიოსან და დიდებული კაცის თავის მოკვეთისა? სახარების სწავლით იროდი გალილეველი ერთ დროს პატივისმცემელიც კი ყოფილა იოანესი და მისგნით რჩევა-დარიგების მიმღებიც. მას შიში და რიდიც ჰქონია მისი, როგორც მართალი და წმიდა კაცისა /მარკოზი VI, 20/. მაშ, ვის ან რას შეუცვლევინებია და აუყრევინებია გული იოანეზე გალილიის მცხოვრებთა სვე-ბედის გამგებლის იროდისა? ... მიზეზი ყოფილა იოანეს მხრიდან სჯულიერების, ღვთისნიერობის და უცოდველ ცხოვრების დაცვა ურთიერთ სიყვარულის, შეწყნარების ქადაგება, ხოლო იროდის მხრივ უსჯულოების, უღვთოობის ბილწი ყოფაქცევის აღიარება და მიმდევრობა, ქვეშევრდომთა შორის მძულვარების, შუღლისა და უნდობლობა-გაუტანლობის თესლის თესვა.

მეფე იროდის ჰყოლია ძმა, ფილიპე. მას ცოლად ჰყავდა ავ-ხორცი, ზნე-დაცემული, მემრუმე, ქმრის საწოლის შემლახავი დედაკაცი იროდიადა – სჯულიერ ქმრის სიცოცხლეშივე სულითა და ხორციით წაწყმედილი. იგი ხასად დასჯდომია თავის მაზლს, ქმრის ღვიძლ ძმას, მეფე იროდის, რაც მოსეს სჯულით ღვთისა და სინიდისის საწინააღმდეგო იყო. გალილეის მცხოვრებთ შეუტყვიათ ეს სჯულის საწინააღმდეგო საქციელი თავისი მეფისა და უკმაყოფილება გამოუთქვამთ. იოანეს ყურთამდინაც მოუღწევია მეფის სამრახ საქციელის შესახებ გავარდნილ ხმას. არდამრიდე და პირში მთქმელმა, წესიერების მოყვარე იოანემ თურმე უძრახა იროდის ბილწი საქციელი. ეს გამხდარა მიზეზი იოანეს ბედისწერისა. სწყენია იროდის იოანეს მხილება ... ხალხს მორიდებია ... და იოანე სიკვდილით კი არ დაუსჯია, საპყრობილეში ჩაუმწყვდევია. ძმის მკვლელ კანისა და ციურ მოძღვრის გამცემელ იუდა ისკარიოტელის კერძი იროდიადა როდი დაკმაყოფილებულა იროდი მეფის ასეთი განჩინებით ... დღისით თუ ღამით, ცხადად თუ სიზმრად მას მოსვენება ვერ უპოვია, მოუსვენრობას შეუპყრია, მარჯვე დროისათვის მოულოდნია, რომ ჩაეკლა ბოროტ ზრახვათა და საწადელთა ჟინიანობა. მოლოდინს მისთვის არ უმტყუნია. „დღე იყო მარჯვე“ /მარკოზი VI, 21/ ასე ვკითხულობთ მარკოზის წმიდა სახარებაში ... იროდის ვახშამი გაუმართნია გალილიის მთავართა, ათასის თავთა, და აზნაურთათვის და ამნაირად მათ წინაშე მართლმოყვარეობით და პურადობით თავი მოუწონებია და ქედმაღლობა გამოუჩენია ...

64. მე-7-ე კვირიაკე... „იესო მოწაფეებით მივიდა ქალაქ ნაზარეთში“... : [რწმენის არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმით გამყარების შესახებ. ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1927 წ. , 31 ივლისი. ხელნაწერი. 3 ფ.

†

წარსული მე-6 კვირიაკეს წირვის შესრულების დროს წაკითხული სახარების შინაარსი მოკლეთ შემდეგია: ქრისტე იესო მოწაფეებით მივიდა ქალაქ ნაზარეთში. მაშინ მოართვეს მას განრღვეული ცხედარსა ზედა მდებარე. იხილა იესომ სარწმუნოება მათი და რქვა განრღვეულსა მას: ნუ გეშინინ, შვილო! მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი ... აღსდგე, აღაღე ცხედარი შენი, და წარვედ სახლსა შენსა. და იგი მეყსეულად აღსდგა და წარვიდა სახლსა თვისსა. იხილა რა ესე ერმან მან და უკვირდა, და ადიდებდეს ღმერთსა /მათე IX, 1-2; 6-8/.

დღეს, მე-7-ე კვირიაკეს, წირვაზედ წაკითხული სახარების მოკლე შინაარსი ასეთია: იესოს მისდევს ორნი ბრმანი, ჰლაღადებდეს და იტყოდეს: «შემიწყალენ, ჩვენ, მეო დავითისაო ... რქვა მათ იესო: გრწამსა, ვითარმედ ძალმიძს ესე ყოფად? რქვეს მათ: ჰე, უფალო! რქვა მათ იესო: სარწმუნოებისა თქვენისაებრ გეყავნ თქვენ და მეყსეულად აღეხილნეს თვალნი მათნი»...

მოჰგვარეს იესოს კაცი ყრუ და ეშმაკეული. ქრისტემ განსდევნა ეშმაკი და ყრუმ იწყო ლაპარაკი. ამ სასწაულების მნახველი ერი განცვიფრებული ამბობდა, რომ ისრაელთა შორის ასეთი მოვლენა არასოდეს ყოფილა.

საყვარელო! იესო ქრისტეს სიტყვას ყოველთვის თან სდევდა მადლის ქმნაც. ჩვენი ამ ქვეყნიური დანიშნულებაა მადლის ქმნით, კეთილთა საქმეთა მოქმედებით ღვთის

დიდება. ქრისტეს მიერ ამ ქვეყნად თქმული არცერთი სიტყვა არ თქმულა ისე, რომ კეთილი საქმეც თან არ დაჰყოლოდეს. „რა სარგებელ არს, ძმანო ჩემნო, უკეთუ ვინმე ჰსთქვას, სარწმუნოება მაქვს და საქმენი არა ჰქონდენ? შეუძლიან სარწმუნოებასა ხოლო ცხოვნებად მისა? რამეთუ უკეთუ ძმა გინა დაი შიშველ იყვნენ და ნაკლულევან დღიურ საზრდელისა და ჰრქვას ვინმე მათ თქვენგანმან: წარვედით მშვიდობით, განსძელით და გათბით, და არა ჰსცეთ მათ სახმარი (საჭირო) ხორცთა: რა სარგებელ არს? ეგრეცა სარწმუნოება, უკეთუ არა აქვნდეს საქმენი, მკვდარ არს იგი ხოლო ... სთქვას თუ ვინმე: შენ სარწმუნოება, უკეთუ არა აქვნდეს საქმენი მქონან: მიჩვენე მე სარწმუნოება შენი საქმეთაგან შენთა, და მე გიჩვენო შენ საქმეთაგან ჩემთა სარწმუნოება ჩემი. შენ გრწამს, ვითარმედ ერთ არს ღმერთი: კეთილ იქმ; და ეშმაკსაც ჰრწამს და ჰსძრწიან მისგან. ნებავესა ცნობად? ოი, კაცო ამაო, რამეთუ სარწმუნოებაი თვინიერ საქმეთა მკვდარ არს?! აბრაამ, მამა ჩვენი, არა საქმეთაგან განმართლდაა, რამეთუ შესწირა ისააკ, ძე თვისი საკურთხეველსა ზედა“. ჰხედავდა, რამეთუ სარწმუნოება შეეწია საქმეთა მისთა და საქმეთაგან სარწმუნოება სრულ იქმნა და აღესრულა წერილი იგი, რომელი იტყვის: ჰრწმენა აბრაამს ღმერთი, და შეერაცხა მას სიმართლედ, და მეგობარ ღვთისა იწოდა. ხედავდა, რამეთუ საქმეთაგან განმართლდების კაცი, და არა სარწმუნოებისაგან, ხოლო? ... «რამეთუ, ვითარცა ხორცნი თვინიერ სულისა მკვდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოება თვინიერ საქმეთა მკვდარ არს» /კათ. ეპისტ. იაკ. II, 14-24; 26/.

ესე, საყვარელნო! «მონაწერი მოციქულ იაკობის კათოლოკე ეპისტოლედან ნათლად გვიხსნის, რომ თვითეული ჩვენგანი არა მხოლოდ სიტყვით უნდა იყოს მორწმუნე და მაღიდებელი ღვთისა, არამედ ჩვენს რწმენას კეთილნი საქმენიც თან უნდა სდევდნენ. „არა ყოველმან, რომელმან მრქვას მე: უფალო! უფალო! და შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა; არამედ რომელმან ჰყოს ნება მამისა ჩემისა ზეცათასა» /მათე VII, 21/, ბრძანებს მაცხოვარი უფალი ჩვენი იესო ქრისტე. და განა ქრისტე იესომ სიტყვანი თვისნი უთვალავი კეთილი საქმეებითარ შეამკო? მოციქული სიყვარულისა იოანე თვის სახარებას ასე ამთავრებს ქრისტეს მოღვაწეობის შესახებ: „და არიან სხვანიცა მრავალ, რომელ ჰქმნა იესო, რომელნი თუმცა დაიწერებოდეს თვითეულად, არცაღა, ვჰგონებ, ვითარცა სოფელმან ამან დაიტია აღწერილი „წიგნები“ /იოანე XXI, 25/ ... ზნეობრივი ცხოვრების მოტრფიალენო და დამცველნო! სულიერი ცხოვრების მაღიარებელნო! გამოიჩინეთ უნარი, სურვილი და ნდომა და იწყეთ სარგებლობა ამ წიგნებით, რომლებშიაც ფასდაუდებელი საუნჯეა მოთავსებული კაცის გონების ამალღებისა და მისი სულისა და გულის განწმედისათვის. გვახსოვდეს, რომ მორწმუნე კაცი, კეთილთა საქმეებით შემკული, მოციქულ იაკობის სწავლით, მზგავსად მამა აბრაამისა, „მეგობარ ღვთისად“ იწოდების და რწმენა და კეთილი საქმეები სიმართლედ შეერაცხება /კათ. ეპისტ. იაკ. II, 23/. ამ ქვეყნად მოკლე ხნით მომაკვდავებს შეგვეძლოს ქრისტე იესოს მზგავსად თვალთა ზედად აღხილვა და თქმა: „მე გადიდე შენ ქვეყანასა ზედა, საქმე აღვასრულე, რომელი მომეც მე, რათა ვჰყო, მამაო! მოიწია ჟამი ჩემი“ /იოანე XVII, 1, 4/.

ამინ

65. «მე-6-ე კვირიაკე შემდგომად პასექისა“... : [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1927 წ., 29 მაისი. ტექსტი დაუსრულებელია. 4 ფ.

შემდგომად პასექისა ანუ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისა მეექვსე შვიდეულის კვირა დღეს ვდღესასწაულობთ, საყვარელო! ამ დღეს ეწოდება კვირიაკე „შობითგან ბრმისა“. მიზეზი ამგვარი სახელწოდებისა სადღეისოდ დადებული მახარებელი იოანესაგან სახარებისა საკითხავია. დიდი შინაარსისაა ესე საკითხავი. გავიხსენოთ და განვმარტოთ მასში დაფარული აზრი ჩვენი ზნეობრივად აღზრდის, გაწვრთნისა და გაფაქიზებისათვის.

ერთ შაბათს მოვიდა იესო ტაძრად იერუსალიმსა და ყოველი ერი მოვიდოდა მასთან. იესო დაჯდა და ასწავლიდა მათ ... შეხვდა იესოს კაცი შობითგან ბრმა. მოწაფეებმა ჰკითხეს იესოს: მოძღვარო! ეს კაცი რომ ბრმა შობილა, ვინ სცოდა, ამან თუ ამისმა მშობლებმა? იესომ განუმარტა მათ: არც ამან სცოდა, არც ამისმა მშობლებმა. დაბადებითვე იგი ბრმაა მხოლოდ იმიტომ, რომ მაგასზედა გამოსცხადნეს საქმე ღმრთისა ... ჰნერწყვა ქვეყანასა და ნერწყვისაგან შეჰქმნა თიხა, თიხა ესე სცხო ბრმის თვალებსა და უთხრა მას: წადი საბანელსა სილოამისასა და დაიბანე. ბრმა წავიდა საბანელსა, დაიბანა და მაშინვე განიკურნა, დაბრუნდა მხედველი. მეზობლები და წინათ მცნობნი განკურნებულისა, ზოგნი სცნობდნენ რა მას, ამბობდნენ: ეს ის კაცი არ არის, რომელიც ბრმა იჯდა და თხოულობდა; ზოგნი კი ვერ სცნობდნენ ... ეკითხებოდნენ მას: მაშ, როგორ აგეხილნეს თვალნი შენნი? მან უპასუხა: კაცმან, რომელსა ჰქვია იესო თიხა შეჰქმნა, დამცხო თვალთა ჩემთა და მრქვა მე: წარვედ საბანელსა მას სილოამისასა და დაიბანე. მივედ, დავიბანე და აღვიხილნენ. ჰკითხეს მათ ურიათა: სად არის იგი კაცი? მან უპასუხა, რომ არ იცოდა. შობითგან ბრმა მიყვანილ იქმნა ფარისეველთა წინაშე ... ცილობა შეექმნათ ფარისეველთ საწაულთ-მოქმედ იესოს პიროვნებისა გამო. ერთნი ამბობდნენ, „ესე კაცი არ არის ღვთისაგან, რამეთუ შაბათს არ იმარხავს“, მეორეთ კი არ სჯეროდათ ცოდვილი კაცისაგან სასაწაულეების ქმნა. კვლავ ეკითხებოდნენ ბრმათყოფილს: შენ რას იტყვი, ვინ არის ის კაცი, რომელმაც აღვიხილნა თვალნი? იგი პასუხობდა – წინასწარმეტყველი! ურიათა მიერ დაკითხული იქმნენ მშობლები განკურნებულისა, რომელთაც დაამოწმეს: ვიცით, რომ ეს არის მე ჩვენი ბრმად დაბადებული, ხოლო ეხლა როგორ ხედავს, ან ვინ აუხილა თვალნი, არ ვიცითო. შიშისა გამო დასჭირდათ მშობლებს ასეთი პასუხი, რადგანაც ურიანი აძევებდნენ სამლოცველო სახლიდან იმათ, ვინც დიდებულ სასწაულთმოქმედს ქრისტედ აღიარებდა. ურიათ მოუწოდეს განკურნებულს და უთხრეს: მადლობა შესწირე ღმერთს, რომ ხედავ, ხოლო, კაცი კი იგი, რომელმან განკურნა, ჩვენ ვიცით, რომ ცოდვილია. მან მიუგო მათ: ცოდვილია თუ არა ჩემი განმკურნებელი მე არ ვიცი, მხოლოდ ეს ვიცი, რომ ბრმა ვიყავ და ეხლა კი ვხედავ. კვლავ ჰკითხეს მას: რა გიყო შენ? როგორ აღვიხილნა თვალნი? მან მიუგო: მე უკვე გითხარით თქვენ და თქვენ კი არ მომისმინეთ. ახლა რად გინდათ მოსმენა? თქვენც ხომ არ გასურთ მისი მოწაფენი შეიქმნეთ? ურიათა გაჰკიცხეს იგი: შენ ხარ მოწაფე მისი, ხოლო ჩვენ ვართ მოწაფენი მოსესნი. ჩვენ ვიცით, რომ მოსეს ებასებოდა ღმერთი, ხოლო ეს ვინ არის, არ ვიცით. ბრმათყოფილმა მიუგო: საკვირველიც ის არის, რომ თქვენ არ იცით, ვინ არის ჩემი განმკურნებელი ... ცოდვილებს არ უსმენს ღმერთი; ღმერთი უსმენს მხოლოდ მათ, ვინც ღმრთის მსახური და მისი ნების შემსრულებელია. საუკუნითგან არ გაგონილა, რომ ვისმეს აღვიხილნის თვალნი შობითგან ბრმისა ღვთისაგან რომ არ იყოს იგი, ვერც ამგვარ საქმეებს შეიძლებდა. უთხრეს მას ურიათა: ცოდვათა შინა შობილ ხარ და

გამოდევნეს იგი გარეთ. შეიტყო იესომ, რომ ურიათა გამოდევნეს განკურნებული, ჰპოვა იგი და ჰკითხა: შენ გრწამს ძე ღვთისა? მან მიუგო: ვინ არის იგი, უფალო, რომ ვიწამო? მიუგო იესომ: შენ იხილე იგი, რომელი ლაპარაკობს შენთანა, იგი არს. ბრმად ყოფილმა მიუგო: მრწამს უფალი! და თაყვანი სცა მას.

საყვარელნო! ქრისტე იესოს მიერ ქმნილი სასწაული მოვისმინეთ \_ მან შობითგან ბრმა კაცსა მხედველობა მიანიჭა. გარდა ამ სასწაულისა, სხვა მრავალ სასწაულებსა ჰქმნიდა ციური მოძღვარი. რა მიზნით? ქრისტეს სასწაულთმოქმედების მიზანი იყო, ერთი მხრივ, ადამიანთა შეწევნა, დახმარება, ცხონება, ხოლო, მეორეს მხრივ, ღვთიური ძალის გამოჩენა მორწმუნეთა შორის მათი მისდამი რწმენის უფრო განსამტკიცებლად და განსაღრმავებლად. მოწაფეთა კითხვაზე: მოძღვარო! ეს კაცი რომ ბრმა შობილა, ვინ სცოდა, ამან თუ ამისმა მშობლებმა? იესომ მიუგო: არცა მან და არცა ამისმა მშობლებმა. დაბადებითვე იგი ბრმაა მხოლოდ იმიტომ, რომ მაგას ზედა გამოსცხადნეს საქმე ღმრთისა ... იესოს ღვთიურ ძალით დაბადებითვე ბრმას აეხილა თვალნი გვამისა მისისანი და იხილა ქვეყანა, მის მიერ ჯერ არ ხილული და ამით ბედნიერი შეიქმნა. მაგრამ უფრო ბედნიერი იქმნა იმით, რომ დაბადებითგან მოკლებულმა გარკვეულ სულიერ თვალთა ხედვას და ჭეშმარიტებას, იხილა იგი და სცნო იგი \_ “მრწამს, უფალი, ძე ღვთისა“, \_ დაღად-ჰყო მან. ფარისევლთ, ხორციელად თვალთ ხილულთ, თავის სიცოცხლის მანძილზე ნახეს გარე ბუნება, ხოლო ვერ ჩასწვდნენ მის წიაღს და ვერ ჰპოვეს მასში შემოქმედი მისი და ყოვლისმპყრობელი \_ ისინი დაბადებითგან სიკვდილამდე ბრმანი იყვნენ და მით უბედურნი, რადგან ვერ ჰპოვეს ჭეშმარიტება სიცოცხლისა. მათ სულს ვერ მიეკარა მადლი ღვთისა და ვერ განკურნა ისინი, რადგან მათში არ იყო ის ღვთიური ნაპერწკალიც კი, რომელიც შესაფერ დროს მადლითა ღვთისათა სარწმუნოების მთელ კოცონად გადაიქცევა, როგორც ეს პირველ შემთხვევაში ბრმას მოუვიდა; და ამიტომ, ეს უკანასკნელი, ჯერ კიდევ ხორციელად ბრმა, უფრო ბედნიერი და განსპეტაკებული იყო იმ ფარისევლებთან შედარებით, რომელთაც, ხორციელად ხილულთ, სამუდამოდ ჰქონდათ სულიერთა თვალთა ხედვა დახურული და იყვნენ ღვთიურ ცეცხლს მოკლებულნი. რაოდენათ პირველი ამაღლებულია მეორეთა ზედა, იმდენათ, ორხელ, ჩვენ, მორწმუნენი, საყვარელნო, ბედნიერნი ვართ პირველზე; რაოდენათ არ გვიხილავს ქრისტე და გვჯერა, რაოდენათ გვითხრეს და ვიწამეთ. ეს არის უდიდესი ბედნიერება ჩვენნი: „ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვპრწმენე“ /იოანე XX, 24/ ...ჩვენნი ვალთა მხოლოდ რომ ეს ღვთიური ცეცხლი, რომელიც დაბადებიდანვე გვაქვს ჩანერგილი, არ ჩავაქროთ, უფრო გავაცხოველოთ და მძლავრ კოცონად ვაქციოთ და მით სამუდამოდ დავამკვიდროთ სულნი ჩვენნი სასწაულისა ღვთისას ....

66. «ამაღლებასა უფლისა“...: [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1927., 2 ივნისი. ტექსტი დაუსრულებელია. 3 ფ.

†

ხუთშაბათსა მეექვსესა შემდგომად პასექისა ვდღესასწაულობთ ამაღლებასა უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესსა, საყვარელნო!

უფალ იესო ქრისტეს ზეცად ამაღლების შესახებ მოგვითხრობენ მახარებლები მარკოზი (თავი XVI, 9-20) და ლუკა (თავი X, 36-53). მარკოზის მოთხრობა იკითხება

დღევანდელ დღეს ცისკრად, ხოლო ლუკასი – წირვაზე. დღეს წაკითხულ «საქმე წმიდათა მოციქულთა»-დანაც (წირვაზე) გვესმა ყოვლად დიდებული და ღვთივ-ბრწყინვალე დიდებით ამაღლება უფლისა (თავი I, 1-12). მკვდრეთით აღდგომილი დიდებული მოძღვარი 40 დღის განმავლობაში ხშირად ეცხადებოდა მოწაფეთა და მორწმუნეთა; მოაგონებდა მათ თვის მოძღვრებას და ანდერძათ უტოვებდა წასულიყვნენ ყოველსა ქვეყანასა წარმართთა შორის, რათა ესწავებინათ მათთვის მისი სწავლა-მცნებანი; აღუთქვამდა მუდმივ ყოფნას მათ შორის. მახარებელი მათე გადმოგვცემს, სხვათა შორის, ერთ შემთხვევას მკვდრეთით აღდგომილ იესო ქრისტეს ხილვისას მოწაფეთაგან, სახელდობრ: მოწაფენი წარვიდნენ გალილიას; იქ აღვიდნენ ერთ მთაზე, სადაც უბრძანა მათ იესომ-წარვედით და უქადაგეთ ყოველთა წარმართთა და ნათელს-სცემდით სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაიცა გამცნე თქვენ; და აჰა ესერა მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა /მათე XVIII, 16-20/.

მოწაფენი, პირველ დღიდანვე მათი ქრისტეს მიერ მოწოდებისა, გულით შეუთვისდნენ და შეიყვარეს თვისი ღვთაებრივი მოძღვარი. მათ ემძიმებოდათ მასთან დაშორება. ტანჯვა-წამებათა და გოლგოთის ჯვარზე სიკვდილის წინ ქრისტე, ეთხოვებოდა რა მწუხარებას მიცემულ საყვარელ მოწაფეთ, აღუთქვამდა მათ: «არა დაგიტევნე თქვენ ობლად, მოვიდე თქვენდა» /იოანე XIV, 18/. «სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალ არიან... მე წარვიდე და განგიშადო თქვენ ადგილი. და უკეთუ წარვიდე და განგიშადო თქვენ ადგილი, კვალად მოვიდე და წარგიყვანე თქვენ თავისა ჩემისათანა, რათა სადაცა მე ვიყო, მუნცა თქვენ იყვნეთ» /იოანე XIV, 2-3/.

ზეცას დიდებულად ამაღლებულმა მოძღვარმა თვის ნაცვლად მოწაფეთა სული წმიდის მოვლინება აღუთქვა: «და მე ვჰკითხო მამასა ჩემსა და სხვა ნუგეშინის-მცემელი მოგივლინის თქვენ, რათა თქვენ-თანა დაადგრეს უკუნისამდე – სული იგი ჭეშმარიტებისა» ... /იოანე XIV, 16-17/... ხოლო ნუგეშინის-მცემელი იგი სული წმიდა, რომელი მოავლინის სახელითა ჩემითა მამამან მან გასწავოს თქვენ ყოველი და მოგახსენოს თქვენ ყოველივე, რაოდენი გარქუ თქვენ» /იოანე XIV, 26/ ... «და აჰა ესერა, მე მოგივლინო თქვენ აღთქმა იგი მამისა ჩემისა; ხოლო თქვენ დასხედით ქალაქსა ამას შინა იერუსალიმსა ვიდრემდე შეიმოსოთ ძალი მალლით» /ლუკა X, 49/. და განიყვანა ნუგეშ-ცემულნი მოწაფენი მკვდრეთით აღდგომილმა მაცხოვარმა იერუსალიმიდან ვიდრე ბეთანიადმდე მთასა მას ზეთის-ხილთასა. აქ აღიპყრნა ხელნი თვისნი იესომ, და აკურთხა იგინი, და განემორა მათგან და აღვიდოდა ზევად. მოწაფეებმა ზეაღმავალსა უფალსა თაყვანის-ჰსცეს. ღრუბელმან შეიწყნარა ქრისტე თვალთაგან მოწაფეთა. ორი კაცი სამოსლითა სპეტაკითა ზედა-მოადგეს ჯერ ისევ ზეცისაკენ მაცქერალ მოციქულთ და უთხრეს: «კაცნო გალილეველნო! რასა ჰსდგებართ და იცქირებით ზეცას მიმართ. ესე იესო, რომელი ამაღლდა თქვენგან ზევად, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმავალი ზევად» /საქ. წმ-თა მოციქ. I, 11/. მაშინ დაბრუნდნენ მოციქულნი იერუსალიმს სიხარულითა დიდითა. ყოვლად წმიდა მშობელი ქალწული მარიამი .....

67. «სიტყვა ხორციელად შობასა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესა»: [ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგება]. 1927 წ. , 25 დეკემბერი. ხელნაწერს ბოლო ნაწილი აკლია. 2 ფ.

†

1927 წლის უწინ აღსრულდა წინასწარ თქმული ძველი აღთქმის წინასწარმეტყველის მიქეასი: «და შენ, ბეთლემ, ქვეყანა ეგე იუდასი, არა სადა უმრწემეს-ხარ მთავართა შორის იუდასთა; რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამძღვარი, რომელმან დაჰმწყსოს ერი ჩემი ისრაილი» /მათე II, 6/. და აი, ამ წინასწარმეტყველებით უმნიშვნელო ქალაქ ბეთლემს ურიასტანისას ყოვლად წმიდა და უბიწო ქალწულ მარიამისაგან ქვაბსა შინა იშვა და ბაგასა მიიწვინა ქრისტე იესო, ღმერთი ჩვენი, საყვარელნო ქრისტიანენო! ბეთლემს შინა ურიასტანისასა ქრისტეს, ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა ფარულად შობილისათვის გაიხარეს ყოველთა უწინარეს ზეცისა ანგელოზთა ძალითა, განკვირდეს იგინი, მამა ღვთის ბრძანებით მოევლინენ ქვეყნიერობას, ღაღადებდეს და ჰხმობდეს ხმითა სასმენელითა საღმრთოსა ამას გალობასა: «დიდება მაღალსა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა მშვიდობა, კაცთა შორის სათნოება». ბეთლემის მიდამოებში შობის ღამეს ცხოვართა სადარაჯოზედ მდგომარეთა მწყემსთა იხილეს ესე საკვირველება, და ესმათ რა ტკბილი და საამური გალობა იგი ანგელოსთა, მხიარულნი წარვიდნენ მწყემსთა შესაფერის ძღნითა ანგელოსთა მიერ მითითებულ ქვაბსა შინა შობილისა თაყვანისცემად, და ნახულისა და გაგონილისა ყოვლისა ქვეყნისათვის საქადაგებლად. და მათ იხილეს მაცხოვარი ყრმა სახვევლითა შეხვეული და მწოლარე ბაგასა შინა.

ცანი ცათანი ჰქადაგებდენ შობასა მაცხოვრისასა, პირად აქენდათ რა მათ ვარსკვლავი, ვარსკვლავი ესე ბნელსა შინა მსხდომარეთა მოგვთა წინა უძღვოდა ბაბილონით და მოიყვანა იგინი ქვეყანასა ურიასტანისასა და უჩვენა მზე სიმართლისა, ქრისტე ღმერთი ჩვენი, რომელნიცა ძღვენსა საღმრთოსა და რჩეულსა – გუნდრუკსა, მურსა და ოქროსა წმიდასა, შესწირვიდენ. იროდი მეფე, უსჯულო და ბეთლემის უმანკო და უსუსურ 14.000 ჩვილთა სისხლით გაუმადრობით მხეტთა სადარი, განცვიფრებულ იქმნა, რაჟამს ღმერთი ხორცითა გამოსჩნდა მაცხოვრად სულთა კაცთა ნათესავისა ...

68. «სიტყვა მე-17-ესა კვირიაკესა ზედა“... : [იესო ქრისტეს მისვლა ქალაქების ტვიროსისა და სიდონის მიდამოებში. ქადაგების წარმოთქმის ადგილი მითითებული არ არის]. 1928 წ. , 30 სექტემბერი. ხელნაწერი. ტექსტი ჩასწორებულია. 4 ფ.

†

ერთხელ იესო ქრისტე – მოგვითხრობს მახარებელი მათე – თავისი მოწაფეებით გასცდა ურიათა ქვეყნის ჩრდილო საზღვარს და მოვიდა მოსაზღვრედ მცხოვრებ ქანანელთა ქალაქების ტვიროსისა და სიდონის მიდამოებში. ქალაქების საზღვრებიდან აედევნა მას ვინმე ქანანელი დედაკაცი, რომელმაც იწყო გაუთავებელი ღაღადება მიმავალ ღვთაებრივ მოძღვრისადმი ასეთი სიტყვებით: შემიწყალე მე, უფალო, ძეო დავითისა, რამეთუ ასული ჩემი ბოროტად ეშმაკეულ არს. მაგრამ ყოველთვის ყოველთა მსწრაფლშემწე იესომ ამ ხანად უპასუხოდ და უყურადღებოდ დასტოვა დაჟინებული ღაღადი ქანანელი დედაკაცისა. დიდხანს არარას



ეტყოდა მას თხოვნის საპასუხოდ. მოწაფეებმა სთხოვეს საყვარელ მოძღვარს: განუტევე ეს დედაკაცი, რომელიც არ იშლის ღალადებას და ჩვენს დევნასო. იესომ მთხოვნელი დედაკაცის გასაგონად უთხრა მოწაფეებს: მე მხოლოდ მოსული ვარ წარწყმედულთა ისრაილთა სახლის შესაწყნარებლად. მოძღვრის ამნაირმა პასუხმა ქანანელი დედაკაცი მაინც არ შეარყია. დარწმუნებული იყო რა ქრისტეს ყოვლად შემძლეობაში და ყოველთა შეწყალებაში; იგი მიუახლოვდა მაცხოვარს, თაყვანსა ჰსცემდა და ეტყოდა: უფალო, შემიწყალე მე! მაშინ კი უფალი გამოელაპარაკა დედაკაცსა მისი რწმენის გამოცდის მიზნით მოწაფეთა გასაგონად: კეთილი საქმე არა არის გამოვართვათ პური შვილებს და გადავუგდოთ ძაღლებს. მტკიცე რწმენის მქონე ძაღლებს შედარებულმა დედაკაცმა უპასუხა უფალს: ეგრეა, უფალო! მაგრამ ძაღლებიც ხომ ჰსჭამენ თვისთა უფალთა სუფრიდან დაცვივილ ნახორხმალს. ამნაირი პასუხის მოსმენის შემდეგ იესომ მიუგო: ჰოი, დედაკაცო, დიდია სარწმუნოება შენი, იყოს ისე, როგორც შენ გინდა. და იმ ჟამსვე განიკურნა ეშმაკეული ასული ქანანელი დედაკაცისა /მათე XV, 21-28/.

საყვარელო! ამ შინაარსის მოსმენით გავეცანით, ერთი მხრივ, შეურყეველ სარწმუნოებას უბრალო და უსწავლელი ქანანელი დედაკაცისა და, მეორე მხრივ, მის სამაგალითო და ჩვენგნით მისაბამ ლოცვასა და ვედრებას. მტკიცე სარწმუნოებამ და დაუღალავმა ლოცვამ და ღალადებამ ქრისტესადმი ქანანელ დედაკაცს ძლევა განაცდევინეს. და დიდ ხნის გულითად მიზანს – ბოროტად ეშმაკეული ასულის განკურნებას მიაღწევინეს. კაცთმოყვარე იესო ქრისტესაგან მადლისა და წყალობის მიმღებელი ქანანელი დედაკაცი წარმართი იყო, არა მოსეს სჯულისამებრ მცხოვრები. მაშ, როგორ მოხდა, რომ ამ უბრალო და უსწავლელმა სოფლის ქალმა ქვეყანასა ზედა ღვთის დიდების, მშვიდობის და სიყვარულის ქადაგებისათვის ზეციდან მოვლინებული დიდებული მოძღვრის წინაშე გამოიჩინა კლდის სიმაგრის მზგავსი სარწმუნოება, გონიერება, სიმდაბლე, სიმშვიდე და სულგრძელობა? ან როგორ შესძლო მან ასეთი მოკლე, მაგრამ ღრმაშინაარსიანი, ღვთისათვის სასიამოვნო და კაცთა სულისათვის სამაგალითო, სასარგებლო, საქვეყნო და სამარადისო მნიშვნელობის ლოცვის შედგენა: “შემიწყალე მე, უფალო, მეო დავითისაო!”.. და კიდევ: “უფალო, შემიწყალე მე!” /მათე XV, 22, 25/ და მათი საჯაროდ წარმოთქმა? ქრისტესაგან წყალობისა და მადლის მიმღებელი ქანანელი დედაკაცი ურიათა მოსაზღვრედ მდებარე ქანანელთა ქალაქების – ტვიროსისა და სიდონის მცხოვრები იყო. შეუძლებელია, რომ ურიათა შორის თქმულ იესო ქრისტეს ღვთაებრივ სიტყვებს და საკვირველ საქმეებს ურიათა სამშობლოს საზღვრები არ გადაელახათ, არ შეჭრილიყვნენ მოსეს სჯულის გავლენის გარეშე მოსაზღვრედ მცხოვრებ ქანანელთა ქალაქებსა და სოფლებში და არ გამხდარიყვნენ საგნად იქ მცხოვრებ წარმართთა საოჯახო თუ ოჯახგარეშე ლაპარაკისა და მსჯელობისა. ქანანელ დედაკაცსაც, უეჭველია, გაგონილი ჰქონდა სწავლა და სასწაული ქრისტესნი და იქნებ მისთვის ეს შეხვედრა ქრისტესთან პირველიც არ იყო; შეიძლება მან სხვა დროს და სხვა შემთხვევაშიც ნახა პირისპირ მოძღვარი. მოისმინა მისი სწავლა და იხილა მისი საკვირველნი საქმენი, რის გამოც მას ამ დროიდან გულში ჩაესახა ღვთაებრივი სახე ცით მოვლინებული მოძღვრისა და გონებაში წაუშლელად აღებეჭდნენ ჯერ არვისგან თქმული სიტყვანი და ქმნულნი საქმენი მისანი. აი, მხოლოდ ამ მოსაზრებით უნდა აიხსნას ქრისტესთან შეხვედრის ჟამს გამოჩენილი საღ კლდესავით მტკიცე სარწმუნოება ქანანელი დედაკაცისა დამ მის მიერ წარმოთქმული მორწმუნეთათვის სამაგალითო ლოცვა. ნეტარხსენებულ იმერეთის მღვდელმთავარ ეპისკოპოს გაბრიელის სწავლა-განმარტებით, “უბრალო, უსწავლელმა ქანანელმა დედაკაცმა

აჯობა სარწმუნოებით თვით ურიცხვთა ურიათა სწავლულთა, მწიგნობართა, ერის მოძღვართა, რომელნიც ყოველ დღე ხედვიდნენ იესო ქრისტეს, კიდეც იცოდნენ წიგთაგან მისი მოსვლა და ამის მნიშვნელობა, ყოველ დღე ხედვიდნენ მისთა სასწაულთა, გარნა მაინც ურწუნო იყვნენ” /იხ. ეპ. გაბრიელის მოძღვრება მე-17 კვირიაკესა ზედა, ტომი II/.

ქანანელი დედაკაცის გულმოდგინე ლოცვაც მისი მტკიცე სარწმუნოების მზგავსად, გასაკვირველია, მსმენელებო! სასწაულთმოქმედი, ყოველთვის, ყოველგან, ყოველთათვის მსწრაფლ წყალობის გამცემელი უფალი იესო ქრისტე, მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა მომწოდებელი, მათი განმსვენებელი და მძიმე ტვირთის შემსრულებელი, დიდ ხანს ხმას არ სცემდა ხორციელად არა თვის ტომის ქანანელ დედაკაცს ... თითქოს სასტიკად გვეჩვენება დედაკაცისადმი ასეთი მოპყრობა უხვ ქველმოქმედ მოძღვრისა, მაგრამ ნუ ავჩქარდებით, საყვარელნო, და ამგვარი შეხედულებისანი ნუ შევიქმნებით .... დედაკაცმა ერთხელ დასახულ თავის კეთილ მიზანს არ უღალატა, არ დასცხრა, არ დაკარგა იმედი შეწევნისა, შებრალებისა და კვლავ დაბეჯითებით განაგრძო ყოვლადშემძლებელ მოძღვრისადმი დაუცხრომელი ღალადება და მუდარა ეშმაკეული ასულის შებრალებისა და გაჯანსაღების შესახებ და ამნაირად ცდილობდა ეს ფიზიკურად სუსტი, მაგრამ სულიერად ძლიერი არსება, სასწაულთმოქმედ მოძღვრის ყურადღების დამსახურებას ... ჩაგრულთათვის თავდადებული მაცხოვარი ... არც მოციქულთა თხოვნით იბრალეხს იმ განმარტებით, რომ ზეცით მოსულია ამ ქვეყნად არა წარმართთა საშველად, არამედ დაბეჩავებულ ისრაილთა საცხოვნებლად. მაგრამ ბოროტად ეშმაკეული ასულის მშობელი დედა არ სცხრება, არამედ უფრო აღვივებს და უფრო აძლიერებს თავის გულშიმტკიცე რწმენით და მიზნით აღძრულ ლოცვა-ვედრებას. და ბოლოს, თუმცა ქრისტემ იგი ძალღალთა სადარიც გახადა, ავთმყოფ ასულის უსაზღვროდ მოყვარულმა დედამ არც ასეთი შეურაცხყოფა იწყინა, არამედ უფრო გაძლიერებული თხოვნით შეევედრა მადლის გამცემელ და კაცთმოყვარე იესოს, თუნდაც ისეთივე ყურადღებით მოპყრობოდა მას, როგორც კაცი ეპყრობა ძალღალ აღებულ პურის ნახორხმლის გადაყრით. და ამნაირად, წედან თუ სასტიკად გვეჩვენებოდა ასეთი მოპყრობა სოფლის ხსნად მოვლინებულის იესოსი უსწავლელ დედაკაცისადმი, საყვარელნო, ახლა კი ნათელია, თუ რაში ყოფილა ამის მიზეზი. ქრისტემ თვის განზრახ სისასტიკეს მოწაფეთა წინაშე მათდა საყურადღებოდ, საჩვენებლად და განსამტკიცებლად მავედრებელი დედაკაცის სარწმუნოება, სიმდაბლე, სიმშვიდე, მორჩილება, სულგრძელობა და მისი სათნო ცხოვრება შეაჭიდა, შეაბრძოლა, და ფიზიკურად სუსტი დედაკაცი, სულიერი ცხოვრებით მძლეველი გამოიყვანა და ღირსი დასახული მიზნის მიღწევის მაჩვენებელი შემდეგი სიტყვებით: “ჰოი, დედაკაცო, დიდ არს სარწმუნოება ეგე შენი; გეყავნ შენ, ვითარცა გნებავს, და განიკურნა ასული იგი მისი ამიერ ჟამითგან” /მათე XV, 28/.

უფლისა ღვთის ჩვენისა იესო ქრისტეს მიმდევარნო! სადღეისო სახარებაში ხსენებული ქანანელი დედაკაცი დიდი ნიმუშია მტკიცე სარწმუნოებისა და ლოცვისა. ვინც სარწმუნოების მსახურია, იგი მიმბაძველი უნდა იყოს ამ დედაკაცისა. ამ მიზნით დაუწესებია ჩვენთვის, კაცთათვის ეს ქრისტეს მიერ ქმნილი სასწაული მახარებელ მოციქულ მათეს თავის სახარებაში. ქანანელი დედაკაცის ქცევა გვიმტკიცებს, რომ სარწმუნოების გამომსახველია ღვთისადმი ნათელი სულით, ფაქიზი გულით და ზეადვლენილ გონებით შესრულებული ლოცვა-ვედრება.

სარწმუნოება და ლოცვა უერთმანეთოდ არ იგულისხმებიან. ვინც ჭეშმარიტი მორწმუნეა, ის ნამდვილი მლოცველიც არის, ვინც მლოცველია, ის უსათუოდ

სარწმუნოებასაც ემსახურება. მხოლოდ ამგვარი თვისებებით შემკული ადამიანის ღაღადებას ისმენს ღმერთი უფალი ... თუ ჩვენს ლოცვასა შინა ნათხოვნს არ გვისრულებს ღმერთი, სჩანს, ქანანელი დედაკაცისებური სარწმუნოებით არ მიგვიმართნია ღვთისადმი. ამ აზრის საბუთია შემდეგი სწავლა ქრისტესი: “ითხოვდით და მოგეცეს თქვენ, ეძიებდით და ჰპოოთ; ირეკდით და განგალოს თქვენ, რამეთუ ყოველი, რომელი ითხოვდეს, მიიღოს, და რომელი ეძიებდეს, ჰპოოს, და რომელი ირეკდეს, განგალოს” /მათე VII, 7, 8/. მახარებელი ლუკაც სწერს თავის სახრებაში: “გეტყვით თქვენ: ყოველსა რაოდენს ითხოვდეთ ლოცვასა შინა სარწმუნოებით, გეყოს თქვენ”.

სარწმუნოების მოტრფიალენო! სარწმუნოების ნიადაგზე აღმოცენებულ მორწმუნეთათვის სისასტიკისა და შეურაცხყოფის დროს ჩვენ, ქრისტეს სწავლის მიმდევართ, გვმართებს სახედ მივიღოთ ქანანელი დედაკაცის სარწმუნოება და ლოცვა და ვიყვნეთ მარადის მისი მიმბაძველნი. მტკიცედ გვახსოვდეს, რომ მხოლოდ ქანანელი დედაკაცის მზგავსად მყარი სარწმუნოებითა და ლოცვით დავიმსახურებთ ღვთის ყურადღებას და მოვიხვეჭთ მის უხვ მადლს.

ამინ

69. «სიტყვა კვირიაკესა წმიდასა მეერგასისა. ესე არს დღე სული წმიდის გარდამოსვლისა მოციქულთა და ღვთის დედასა მარიამსა ზედა”... : [ქადაგების წარმოთქმის ადგილი მითითებული არ არის]. 1928 წ., 3 ივნისი. ხელნაწერი. ტექსტი ჩასწორებულია, ბოლო ნაწილი აკლია. 5 ფ.

†

ესე არს დღე სული წმიდის გარდამოსვლისა მოციქულთა და ღვთის დედასა მარიამსა ზედა; მოციქულთა და ქალწულ მარიამის სახით დედამიწის პირზე მცხოვრებ ყოველთა მორწმუნეთა ზედა განურჩევლად სქესისა და ჰასაკისა. სიტყვანი ზეთის ხილის მთიდან ზეცას ამაღლებულის ღვთაებრივი მოძღვრის იესოსი: “და აჰა, ესერა მოგივლინო თქვენ აღთქმა იგი მამისა ჩემისა; ხოლო თქვენ დასხედით ქალაქსა ამას შინა იერუსალიმსა, ვიდრემდე შეიმოსოთ ძალი მაღალი” /ლუკა XXIV, 49/ მოციქულებმა გულთა შინა თვისთა ღრმად დაიმარხეს. მნახველნი ქრისტეს დიდებულად ზეცად ამაღლებისა სიხარულით დაბრუნდნენ იერუსალიმში და შეკრებილთ ერთ სამლოცველოში, ეკლესიურ ენით “ჰორად” წოდებულ, ოთახში იწყეს ლოცვა-ვედრება და მარხულობა, რათა ღირსქმნილიყვნენ “ძალი მაღლით” შემოსვისა. ჰა, დღესასწაული მეერგასისა, ანუ ორმოცდამეათე დღისა, არაბეთის უდაბნოში, სინას მთის ძირს მოსე წინასწარმეტყველის მიერ ურიათათვის დაწესებული. მოსეს სჯულის წესისამებრ ურიათა ქვეყნის ყველა მხრიდან ხსენებულ დღესასწაულზე დასასწრებლად იერუსალიმში მრავლად მოსულიყვნენ მლოცველნი. ამ დღეს თვით ბუნებაც აღმოსავლეთის ქვეყნისა თვისის შვენებით დიად სახეს აძლევდა ისედაც დიდ მნიშვნელოვან დღესასწაულს. გარდა ადგილობრივ მცხოვრებთა და სხვათა ქვეყნებიდან მოსულ ურიათა, ამ დღისათვის იერუსალიმში სადღესასწაულოდ იყვნენ მოსულნი მცირე აზიის მცხოვრებთა ერთაგანნი. აგრეთვე რომიდან, ეგვიპტიდან, არაბეთიდან და იმ დროს ცნობილ სხვა ქვეყნებიდან....რა

მიზნით გარდმოხდა ზეცით ძე ღმრთისა და ხორცილი შესძინა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა და განკაცდა? ძე ღვთის გარდმოხდომა ზეცით და ხორცშესხმით განკაცება მისი საჭირო იყო წინა საუკუნეთა განგებითა ღვთის მადლის მოცემისათვის. ნათქვამის საბუთია იოანეს სახარების პირველ თავში აღწერილი: “და სიტყვა იგი ხორციელ იქმნა, და დაემკვიდრა ჩვენ შორის, და ვიხილეთ დიდება მისი, ვითარცა მხოლოდ-შობილისა მამისაებრ, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა. იოანე ჰსწამა მისთვის, ღაღადჰყო და ჰსთქვა: ესე არს, რომლისთვის იგი ვჰსწამე, რომელი ჩემსა შემდგომად მოვალ, ჩემსა უწინარეს იყო, რამეთუ პირველ ჩემსა არს. სავსებისაგან მისისა ჩვენ ყოველთა მოვიღეთ და მადლი მადლისა წილ, რამეთუ სჯული მოსესაგან მოეცა, ხოლო მადლი და ჭეშმარიტება ქრისტე იესოს მიერ იქმნა /იოანე I, 14, 15, 16, 17/. ამავე აზრის საბუთია იოანე ღვთისმეტყველის სახარების XVIII თავის 37-ე მუხლში მოყვანილი შეკითხვა პილატესი და პასუხი ჯვარცმისათვის გამზადებულ ტანჯვა-წამებათა დამთმენელ ქრისტესი: “ჰრქუა იესოს პილატე: უკეთუ მეუფე ხარ შენ? ჰრქვა მას იესო: შენ იტყვი, რამეთუ მეუფე ვარ მე – ამისთვის ვშობილვარ, და ამისთვის მოვივლინე სოფლად, რათა ვჰსწამო ჭეშმარიტი. ყოველი, რომელი ჭეშმარიტებისაგან იყოს, ისმინოს ხმისა ჩემისა. და ამნაირად, მადლის ქმნაში და ჭეშმარიტების ძიებაში ყოფილა წარსულშიც, არის აწმყოში და იქმნება მომავალშიც საყვარელნო ქრისტიანენო, გზა და ხიდი კაცთა მიერ ღვთის ხილვისა. ამას ქრისტეს მოციქულთა თომასა და ფილიპეს შორის გამართული ბაასი მოწმობს: “ჰრქვა მას თომა: უფალო! რა ვიცით ვიდრე ხვალ: და ვითარ შემძლებელ ვართ გზისა მის ცნობად? ჰრქვა მას იესო: მე ვარ გზა, და მე ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრება; არა ვინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ. უკეთიმცა მიცოდეთ მე, მამაცამცა ჩემი იცოდეთ. ამიერითგან იცით იგი, და ვიხილავს იგი. ჰრქვა მას ფილიპე: უფალო! მიჩვენე შენ მამაი შენი, და კმარ-არს ჩვენდა. ჰრქვა მას იესო: ესოდენ-ჟამ თქვენთანა ვარ, და არა მიცი მე, ფილიპე? რომელმან მიხილა მე, იხილა მამაი ჩემი, და შენ ვითარ მეტყვი მე: მიჩვენე ჩვენ მამაი შენი? არა ჰგრწამსა, რამეთუ მე მამისათანა ვარ, და მამა ჩემთან არს? სიტყვათა, რომელთა გეტყვი თქვენ, თავით ჩემით არა გეტყვი, არამედ მამაჩემი, რომელი ჩემთანა არს, იგი იქმს საქმესა /იოანე XIV, 5-11/.

ძველი და ახალი აღთქმის საღმრთო რჯული გვიჩვენებს კიდევ სხვა გზას ღვთის ხილვისას. ეს გზაა კაცთა ხელთა უბრალოება და გულის სიწმინდე. ყოველი კაცი უნდა იყოს წმინდა გულის მქონე და ფაქიზი ყოფაქცევისა, თუ უნდა მას ღვთის ხილვა მისი სასუფეველის დამკვიდრება. ამ პირობის გარეშე კაცთაგანი ვერავინ შესძლებს ხილვას ღვთისას და მის სასუფეველისას. აი, ამ ნათქვამის უტყუარი საბუთებიც: ფსალმუნთმგალიობელი მეფე დავითი ეკითხება მორწმუნეთ: “ვინ აღვიდის მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა”? თვით დავითი იძლევა ამ კითხვაზე პასუხს: “უბრალო სულითა და წმიდა გულითა” /ფს. XXIII 3,4/. მთასა ზედა მჯდომარე ქრისტემ “აღილო პირი თვისი, ასწავებდა მოწაფეთ და ეტყოდა: ნეტარ იყვნენ წმიდანნი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ” /მათე V, 8/.

პავლე მოციქული ებრაელთა მიმართ მიწერილ ეპისტოლეში შემდეგ დარიგებას აძლევს ებრაელთა შორის მყოფ მორწმუნეთ: “შეუდგეთ ყოველთა თანა სიწმიდესა, რომლისა თვინიერ ვერვინ იხილოს უფალი” /ებრ. XII, 14/. ესრეთ, საყვარელნო, გზა და ხიდი უხილავი ღვთის ხილვისა ყოფილა წარსულში, არის აწმყოში ეხლა და იქმნება მომავალშიც მარადის: მადლის ქმნა, ძიება ქრისტეს მიერ დამოწმებულ ჭეშმარიტებისა, სიწმიდე გულისა და ხელთა უბრალოება, ანუ უბრალო და ფაქიზი ყოფაქცევა.

სად იმყოფება ღმერთი? მის მყოფობას არ აქვს საზღვარი. ფსალმუნთმგალობელი დავით მეფე ასე გვისურვებს ღვთის ყველგან არსებობას: ვიდრემე ვიდოდე სულისა შენისაგან, და პირისა შენისაგან ვიდრემე ვილტვოდი. დაღათუ ჰხადე ცად, შენ მუნ ხარ. შთათუვხდე ჯოჯოხეთად ახლოსვე ხარ, დაღათუ ვიპყრნე ფრთენი ჩემნი განთიად და დავემკვიდრო მე დასასრულსა ზღვისასა, და რამეთუ მუნცა ხელი შენი მიძლოდის მე, და და მარჯვენამან შემიწყნარის მე /ფს. 7, 8, 9/.

ასე, საყვარელნო, ღვთის ყველგანმყოფობაში კაცი თვისი გონებით, სულით, გულით, მარჯვენით, ფეხის გადადგმით ვერსად წაუვა და დაემალემა ... საფლავის კარამდის გახსოვდეთ, რომ კაცს შეუძლიან ღმერთთან დაახლოება მხოლოდ ჭეშმარიტების მამიებელი ფხიზელი გონებით, წმიდა გულით და კეთილი ყოფაქცევით. სხვა გზით ღვთის ხილვა შეუძლებელია. მიუწვდომელია არსებობა ღვთისა არამც თუ კაცის გონებისათვის, თვით ციურ მცხოვრებ ანგელოზთათვისაც. საკითხი ესე დიდ საიდუმლოებას შეადგენს. დიდებული პავლე მოციქული ტიმოთეს, ერთგულსა და საყვარელსა შვილსა, ნათქვამი აზრის შესახებ სწერს: ღმერთი “ნათელსა მყოფ არს მიუწვდომელსა, რომელი არა იხილა კაცთაგანმან, არცა ხილვად ხელეწიფების” /ა. ტიმოთ. VI, 17/. იგივე პავლე მოციქული კორინთელთაც ასწავლის ღმრთის მიუწვდომლობას: “ღმრთის არავინ იცის, გარნა სულმანვე ღმრთისაგან” /ა. კორინ. II, 11/. წარსულში მრავლად ყოფილან მაღალი ჭკუა-გონების კაცნი, რომელთაც ბევრი უშრომიათ, რათა გაერკვიათ საკითხი ღვთის არსებობისა, მაგრამ ამ დიდად საქებურ შრომით ამოდ მოღლილან იგინი. საკითხი მათ გონებისათვის ყოველთვის მიუწვდომლივ გამომდგარა. ასეთი სანიმუშო მაგალითი საეკლესიო ისტორიიდან: იყო ვინმე აგვისტინე ნეტარი ცხოვრებით ცნობილი, კაცი მაღალი გონებისა. იგი სწერდა თხზულებას სამპიროვან ღვთაების არსებობაზე. მოღლილი ამ საკითხზე ფიქრით, იგი გავიდა სახლიდან ზღვის პირას დასასვენებლად. სეირნობის დროსაც დასახული მიზანი არ შორდებოდა მას გონებიდან, ცდილობდა რა გაერკვია ეს უდიდესი საიდუმლოება. ამ მდგომარეობაში მყოფმა აგვისტინემ შენიშნა ზღვის პირას არაჩვეულებრივი სილამაზის ჭაბუკი, რომელიც პატარა კოვზით იღებდა ზღვიდან წყალს და ასხამდა პატარა ორმოში. ჭაბუკის ასეთმა შრომამ გააკვირვა აგვისტინე, მივიდა მასთან და ჰკითხა, თუ რას აკეთებს იგი. ჭაბუკმა მიუგო: მინდა ამ კოვზით ამოვწურო ეს ზღვა და ორმოში მოვათავსო. ეს ხომ შეუძლებელია – უთხრა გაკვირვებულმა აგვისტინემ. რასაკვირველია, შეუძლებელია, – მიუგო ჭაბუკმა, მაგრამ მე უფრო ადვილად შევძლებ კოვზით ამ ზღვის ამოწურვას და ამ ორმოში მის მოთავსებას, ვიდრე შენ შენი გონებით მისწვდები სამპიროვან ღვთის არსებობის მიუწვდენელ საიდუმლოებას და მოათავსებ ამ თხზულებაშიო. უთხრა ეს და უმაღლ უხილავი შეიქმნა ჭაბუკი იგი და ესრეთ, საყვარელნო მორწმუნენო!....

70. «მე-4-ე კვირიაკე შემდგომად პასექისა «განრღვეულისა» ... : [ქადაგების წარმოთქმის ადგილი მითითებული არ არის]. 1927 წ. , 5 მაისი. ხელნაწერი ჩასწორებულია. 4 ფ.

იხ. ქადაგება №15.

71. «სიტყვა მირქმასა უფლისასა»... : [ქადაგების წარმოთქმის ადგილი მითითებული არ არის]. 1926 წ., 11 თებერვალი. ხელნაწერი. თავფურცელზე: «წარმოთქმულ იქნას

ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში, თუ მღვდელმთავარი არ იქმნა მწირველი. ვით. ამბროსი.» ტექსტს ბოლო ნაწილი აკლია. 2 ფ.

ურიათა ქვეყნის პატარა, მაგრამ ისტორიულად მნიშვნელოვან ქალაქ ბეთლემში შობილი იესო, მეორმოცე დღეს დღიდან მისი შობისა, დიდი წინასწარმეტყველის მოსეს სჯულისაებრ, მიყვანილ იქმნა იერუსალიმის ტაძარში, სადაც მონაწილენი იყვნენ: ძველი აღთქმის დიდი წინასწარმეტყველი ისაია, დედაღვთისა იესოსი ქალწული მარიამი, მოხუცებული მართალი ხურო იოსები, მოხუცებული მართალი სიმეონ და ქვრივი მოხუცებული, 84 წლის წინასწარმეტყველი ანნა.

კაცთა ნათესავის წარმომშობთა ადამ და ევას დაცემასა და შეცოდებას უმაღვე თან დაჰყვა გახრწნა კაცის ბუნებისა. პირველი კაცის მიერ ჩადენილმა ცოდვამ ჰპოვა ამ ქვეყნად მტკიცე და ფართო ნიადაგი ... ასეთმა მძლავრმა ცოდვამ ნაყოფად კაცის სულიერი და ხორციელი სიკვდილი გამოიღო. და ამნაირად კაცი, ხატად და მზგავსად ღმრთისა დაბადებული, მიეცა ხრწნილებასა და სიკვდილსა. მით შეიქმნა შეურაცხყოფილი, უპატიო, უსახური ... იმ დროს, რჩეულთა აზრით, ერთიდა იყო ნუგეში კაცთა წაბილწული ბუნების განახლებისათვის. ნუგეში ესე იყო ღმრთის მიერ პირველ კაცთა სამოთხიდან გამოდევნის ჟამს აღთქმული მაცხოვარი. მხოლოდ ზეციდან მოვლინებულ წმიდაწმიდათა არსებას შეეძლო განებანა და განეწმინდა ადამიანთა სულთა უკეთურება და სახელმძღვანელოდ სრულიად ახალი სჯულის მოცემა.

ძველი აღთქმის დროის რჩეულთა და გამოჩინებულთა შორის დიდი ისაია წინასწარმეტყველი, ურიასტანის მცხოვრები ... რომელმაც ნათლად განსჭვრიტა ქრისტეს დაბადება ხორციელად ქალწული მარიამისაგან. იგი, თითქოს ქრისტე დროს ამ ქვეყნად მცხოვრები ყოფილიყოს, ისე ნათლად მოგვითხრობს მაცხოვრის ამ ქვეყნიურ თავგადასავალს, თითქოს მასთან შეზრდილიყოს, ეცხოვროს, მოესმინოს მისი სწავლა-მოდღვრებანი...

72. „საზიარებლად განმზადებულთა წინაშე \_ დიდ მარხვის პირველ კვირიაკის პარასკევს პირველ შეწირულის გათავებისას“... : [ქადაგების წარმოთქმის ადგილი მითითებული არ არის]. 1927 წ., 19 მარტი. ხელნაწერი ჩასწორებულია. ტექსტს ბოლო ნაწილი აკლია. 3 ფ.

†

წმიდა საიდუმლო ზიარება, რომლის ღირსებით მიღებისათვის ეკლესიაში თუ სახლში ამ წმიდა დიდმარხვის პირველ კვირიაკეს გულმოდგინებით და ბეჯითად ვლოცულობთ, ვმარხულობთ და სინანულს მივცემივართ, ღვთაებრივი მოძღვრის და ახალ სჯულისმდებელის, უფალ იესო ქრისტეს მიერ არის დაწესებული, მართლმადიდებელნი ქრისტიანენო!

ქრისტე იესომ, მოგვითხრობენ სახარების დამწერნი მათე, მარკოზი და ლუკა, უკანასკნელად მოციქულებთან ერთად პასექის ჭამის დროს: ‘მოიღო პური, და ჰმადლობდა, აკურთხა, განსტეხა და მისცა წმიდათა მოწაფეთა თვისთა, და ჰრქვა: “მიიღეთ და ჰსჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი თქვენთვის განტეხილი მისატყვებელად ცოდვათა». მოწაფეებმა სჭამეს. და მერმე \_ «და მოიღო სასუმელი, და ჰმადლობდა, და მისცა მათ, და ჰრქვა: ჰსვით ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა

თქვენთვის და მრავალთათვის დათხეული მისატევებელად ცოდვათა». და როდესაც მოწაფეთ ჰსვეს, ქრისტემ დასძინა: “ამას ჰყოფდეთ მოსახსენებელად ჩემდა” /მათე XXVI, 26, 27, 28; მარკოზი XIV, 22, 23, 24; ლუკა XXI, 19, 20/. ქრისტეს ბრწყინვალე მკვდრეთით აღდგომისა და მის ღვთაებრივ ზეცას ამაღლების შემდეგ მოციქულებმა მტკიცედ დაიცვეს მცნება ესე დიდებულ მოძღვრისა. თვითონაც ხშირად ეზიარებოდნენ და შეძენილ მორწმუნეთაც აზიარებდნენ დიდებულ ახალმცნებათა მომცემელის მოძღვრის ქვეყნიურ ცხოვრებისა და სიკვდილის მოსახსენებლად. რომ მოციქულნი თავიანთთვის, და თავიანთ დროის და შემდეგ დროთა მორწმუნეთათვისაც სავალდებულოდ სთვლიდნენ ქრისტეს ამ მცნების აღსრულებას, ეს ნათლად სჩანს პავლე მოციქულის მიერ კორინთელთა მიმართ მიწერილ პირველი ეპისტოლედან: «რამეთუ მე მოვიღე უფლისაგან, რომელიცა მიგეც თქვენ, რამეთუ უფალი იესო ქრისტე ღამესა მას, რომელსა მიეცემოდა, მოიღო პური, მადლობდა, განჰსტეხა და ჰსთქვა: მიიღეთ და ჰსჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი, თქვენთვის განტეხილი, ამას ჰყოფდით მოსახსენებელად ჩემდა. ეგრეთვე სასუმელი იგი შემდგომად სერობისა, და ჰსთქვა: ესე სასუმელი ახალი ჰსჯული არს სისხლისა ჩემისა, ამას ჰყოფდით, რავდენ გზისცა ჰსმიდეთ, ჩემდა მოსახსენებელად. რამეთუ, – განაგრძობს მოციქული, – რავდენ გზისა ჰსჭამდეთ პურსა ამას, და ჰსუმიდეთ სასუმელსა ამას, სიკვდილსა უფლისასა მიუთხრობდით, ვიდრემდის მოვიდეს» /I კორინთ. XI, 23-26/. პავლე მოციქულის დასახელებული წერილი ნათელ ჰყოფს, საზიარებლად განზადებულნო, რომ ის, პავლე მოციქული, აძლევს აღსასრულებლად კორინთელთა მორწმუნეთ იმ მცნებას ზიარების შესახებ, რომელიც თვითონ მიუღია უფლისაგან; და რომლის აღსრულება, როგორც მისთვის, პავლე მოციქულისთვის, სავალდებულოა, ისე კორინთელთა მორწმუნეთათვის, და კორინთელთა მორწმუნეთა სახით შემდეგ დროის ქრისტეანეთათვისაც, ვიდრე ქრისტეს მეორედ მოსვლამდე.

რად გვავალებენ ქრისტე და მოციქულნი ზიარების შესრულებას? რა აზრია დაფარული ამ საიდუმლოში? თვით ქრისტემ აუხსნა მოციქულთ ზიარების მნიშვნელობა – ცოდვების მისატევებელად დაუწესებია ქრისტეს საიდუმლო ზიარება, მორწმუნენო! ჩვენ, კაცნი, ხომ ცოდვილნი ვართ. საღმრთო წერილის სწავლით: «არა არს კაცი, რომელი სცხონდეს (ანუ ცხოვრობდეს) და არა ჰსცოდოს». მაშასადამე, ვისაც ცოდვებისაგან განწმენდა უნდა, მან უნდა პურის სახით ჰსჭამოს ნამდვილი ხორცი ქრისტესი და ღვინის სახით ჰსვას ნამდვილი სისხლი ქრისტესი. აი, ქრისტეს მიერ ბოძებული საშვალება ცოდვებისაგან განწმედისა – საიდუმლო ზიარება. აი, ეს ერთი უმთავრესი მხარე ზიარების საჭიროებისა. მეორე და მესამე ამნაირივე მხარე აქვს ზიარებას. ქრისტე ეუბნება მისრულთა მათ მისსა მიმართ ურიათა: «ხოლო რომელი ჰსჭამდეს ხორცსა ჩემსა, და ჰსმიდეს სისხლსა ჩემსა, აქვდეს ცხოვრება საუკუნო; და მე აღვადგინო იგი უკანასკნელსა მას დღესა /იოანე VI, 53/. აქედან სჩანს, რომ პურისა და ღვინის სახით ქრისტეს ხორცის და სისხლის მიმღებთათვის ყოფილა გამზადებული ცხოვრება საუკუნო. ასეთი მორწმუნენი აღზდგებიან ახალ საუკუნო ცხოვრების დასამკვიდრებლად უკანასკნელსა მას დღესა ქრისტეს ბრძანებით. აი, მესამე მხარეც ზიარებისა ... და რომელი ჰსჭამდეს ხორცსა ჩემსა, და ჰსმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემთანა დადგრომილ არს და მე მისთანა /იოანე VI, 56/. ქრისტეს ამ თქმით ზიარების მიმღები ქრისტესთან ბინადრობს და ქრისტე ზიარების მიმღებთან ...

ზიარება შეეძლება მხოლოდ საიდუმლო სინანულის შემსრულებელს. აი, აზრი, მიზანი და საიდუმლო ზიარებისა, საყვარელნო! იზადება კითხვა! ყველა მორწმუნეთ

წოდებულ ქრისტიანებს აქვს უფლება საიდუმლო ზიარების მიღებისა? არა, ზიარებისათვის ეკლესიას წინ წაუმძღვარებია საიდუმლო სინანული. საზიარებლად განმზადებული ჯერ სინანულს უნდა მიეცეს; გული, სული და გონება უნდა განიწმიდოს, უკეთურებანი მოისპოს; სინიდისი თვისი უნდა სამართლის უხილავ სასწორზე დასდოს და ძველისა და ახალ აღთქმათა მცნებათა მოთხოვნის მიხედვით თვითვე გაასამართლოს სინიდისი თვისი. მერე კი მსაჯულებად მიიწვიოს თვისი მოყვასნი და მოძღვარი, რომელთა მიერ გამოტანილ მიუდგომელ მსჯავრს და შესაფერ დარიგებებს უნდა დაუმორჩილოს. უღირსად და მოუმზადებლად ზიარების მიღება ცოდვია. ზიარების უღირსად მიმღებთა შესახებ მოციქული პავლე სწერს: «რომელი ჰსჭამდეს პურსა ამას და ჰსმიდეს სასუმელსა ამას უფლისასა უღირსებით უფლისა, თანამდებ არს იგი ხორცსა და სისხლსა უფლისასა ... ხოლო რომელი არა ღირსად ჰსჭამდეს და ჰსუმიდეს, დასასჯელად თავისა თვისისა ჰსჭამს და ჰსვაძმს, რამეთუ არა გამოიკითხნა ზრახვანი უფლისანი“ /I კორ. XI, 27, 29/...

### მიმოწერა

73. «უწმინდესი და უნეტარესი საქართველოს ერის მამათ-მთავარო და მეუფეო!»: [თბილისის მიტროპოლიტის, ლეონიდეს (ერისკაცობაში ლონგინოზ სოლომონის ძე ოქროპირიძე) სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად არჩევასთან დაკავშირებით (1919 წ. , 23 თებერვალი) მამა დავითის (გარსიაშვილის) მილოცვა კუკიის სასაფლაოს წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის სამრევლოს საბჭოს სახელით]. 1919 წ., მარტი. ტექსტის ბოლოს: «დეკ. დ. გარსიაშვილი. კათოლიკოს-პატრიარქის სასახლის დარბაზი». ხელნაწერი. 2 ეგზ. 3 ფ.

74. «მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესო საყვარელო მეუფეო ეფრემ!»... : [დეკანოზი დავით გარსიაშვილი მღვდელმთავარ ეფრემს ულოცავს სამოცი წლის შესრულებას, უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს და ახსენებს საქართველოს ეკლესიის მამინდელ მდგომარეობას]. 1956 წ., 30 ოქტომბერი. ხელნაწერი. ტექსტის ბოლოს: «დავით გარსიაშვილი. 1956 წ. მოლოტოვის რაიონი, ქ. თბილისი, გოგიეთის ქ. 10». 2 ფ.

75. «მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესო მეუფეო ეფრემ!»: [არჩილ გარსიაშვილი მაღლობას უხდის პატივისცემისა და ყურადღებისათვის, რაც მან მამის, დავით გარსიაშვილისადმი გამოამჟღავნა. განსაკუთრებით იმ სიტყვისათვის, რომელიც მეუფე ეფრემმა მამა დავითის დაკრძალვაზე წარმოთქვა. მოხსენიებულია დავითის ვაჟი გიგლა გარსიაშვილი]. 1957 წ. , 15 აგვისტო. ხელნაწერი. ტექსტის ბოლოს: «შენი არჩილი». 2 ფ.

76. «მის მაღალღირსებას წმ. ნინოს ეკლესიის წინამძღვარს, დეკ. დ. გარსიაშვილს»: [სთხოვს მოსკოვის სასულიერო აკადემიის ეკლესიისათვის წმინდა ნინოს ოთხი ხატიდან ერთი, სანთლის ყუთის წინ ჩამოკიდებული ხატი, წერილის მომტანს გამოატანოს]. 1955 წ., 25 ნოემბერი. ტექსტის ბოლოს: «კ.პ. მელქისედეკი». ხელნაწერი. 1 ფ.



77. «სიონის ტაძრის დეკანოზს დავით გარსიაშვილს»... : [არასასურველი შედეგების თავიდან აცილების მიზნით, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე წინადადებას აძლევს დავით გარსიაშვილს სიონის ტაძარში წარმოსათქმელი სიტყვა წარუდგინოს მას წერილობითი ნებართვის მისაღებად]. 1942 წ. , 15 სექტემბერი. ტექსტის ბოლოს: «სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე». ხელნაწერი. ფურცლის მეორე გვერდზე მინაწერია: „ესე წინადადება მისი უწმინდესობისა გამოწვეულია ჩემ მიერ სიონის საკრებულო ტაძარში წარმოთქმული სიტყვით და პანაშვიდის გადახდით ილია ჭავჭავაძის ხსოვნის აღსანიშნავად „35“ წლის თავზედ დღეიდან მისი ვერაგულად მოკვლისა. კვირა დღეს „31“ აგვისტოს 1942 წ. დეკ. დ. გარსიაშვილი“. 1 ფ.

78. «უწმინდესო და უნეტარესო მეუფეო, წერილობით მინდა გაგიზიაროთ ჩემი მოსაზრებანი»... : [დავით გარსიაშვილის მოხსენება სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კალისტრატესადმი საქართველოში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსის მოსალოდნელი ჩამოსვლის გამო. სთავაზობს: 1. დაარსდეს საქართველოს საკათალიკოსოს ყოველთვიური ჟურნალი; 2. მოზრდილთათვის მომზადდეს საღვთისმეტყველო კურსები; 3. ახლო მომავალში გამოიცეს სასულიერო კრებული]. 1945 წ. , 5 ოქტომბერი. ხელნაწერი. 1 ფ.

79. «დეკანოზს დავით გარსიაშვილს»... : [ცნობა იმის თაობაზე, რომ კათალიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ დააკმაყოფილა დ. გარსიაშვილის თხოვნა კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში მღვდლად გადაყვანის შესახებ. ამასთან, პატრიარქი მადლობას უცხადებს მამა დავითს სიონის ტაძარში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის]. 1945 წ., 19 მაისი. ტექსტის ბოლოს: «სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მდივანი პროტოპრესვიტერი მ. მახათაძე». ხელნაწერი. 1 ფ.

80. «მის უწმინდესობას და უნეტარესობას მცხეთა-ტფილისის მთავარ-ეპისკოპოსს და მანგლისის მიტროპოლიტს, მამასა ჩვენსა, კათალიკოს-პატრიარქს კალისტრატეს»: [დავით გარსიაშვილის წერილი, რომელშიც იგი დაწვრილებით აღწერს კუკიის სასაფლაოს წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის დეკანოზ ლევან ტლაშიაძესთან მომხდარ უთანხმოებას. ამ შემთხვევის გასარკვევად კათალიკოს-პატრიარქის მიერ წარგზავნილი დეკანოზების მ. ხელიძისა და პ. ცქიტიშვილის არაობიექტური შეფასების გამო სთხოვს პატრიარქს პირადად გაერკვეს შექმნილ ვითარებაში, მოითხოვს ღირსებისა და პატივის აღდგენას, იხსენებს თავის ორმოცდათექვსმეტწლიან სამსახურს. ტექსტის ბოლოს: «დეკანოზი დ. გარსიაშვილი.» თავფურცელზე, იისფერი მელნით, სტრიქონებს შორის ჩაწერილია: «დეკანოზ დავით გარსიაშვილისათვის ცნობისათვის. ამ მოხსენებიდან ჩანს...»: [ცხრა პუნქტად ჩამოყალიბებულია დ. გარსიაშვილსა და ლ. ტლაშიაძეს შორის მომხდარი უთანხმოების დასკვნა]. 1950 წ., 5 მაისი. ხელნაწერი. სტრიქონებშია ტექსტი ბოლოში ძნელად იკითხება. 24 ფ.

## მოგონებები. სხვადასხვა...

81. «საპასუხოთ ამხ. თედო სახოკიას“... : [სოსიკო მერკვილაძის მეუღლის, ანას პასუხი თედო სახოკიას წერილზე «ივანე მაჩაბელი». წერილი დაიბეჭდა 1938 წლის 12 ივლისის «ლიტერატურულ საქართველოში» და ეხება ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის – ივანე მაჩაბლის მოულოდნელ გაუჩინარებას]. 1938 წ., 31 ივლისი. ხელნაწერი. ტექსტი დაუმთავრებელია. თან ახლავს 1938 წლის 12 ივლისის «ლიტერატურული საქართველო». ხელნაწერი დაზიანებულია. 2 ფ.

82. «ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე («მოგონება სიმწრისა და სიტკბოებისა»): [დ. გარსიაშვილი მიმართავს გაზეთ «კომუნისტის» მკითხველებს მოგონებით, რომელიც ეხება 1907 წლის 29 აგვისტოს დილას. იმ დილით ილია, მეუღლესთან ერთად, საგურამოში გაემგზავრა. ნახსენები არიან: მარიამ გარსიაშვილი, ექიმი გეგე მაღალაშვილი, შიო ქუჩუკაშვილი, ივანე რატიშვილი]. 1907 წ., 29 აგვისტო. ხელნაწერი. 2 ფ.

83. «ზაქარია (შაქრო) მიხეილის ძე გულისაშვილი, სახალხო სკოლების მასწავლებელი და შემდეგ მღვდელი. მოგონება»: [დაწვრილებით აღწერს მის საქმიანობას, ოჯახურ გარემოს, საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ყურადღება გამახვილებულია ზ. გულისაშვილის დამსახურებაზე საგარეჯოს თეატრალური დასის ჩამოყალიბებასა და საქმიანობაში. მოხსენიებული არიან: ვარლამ და მარიამ გარსიაშვილები, ვანო გულისაშვილი, ზაქარია გულისაშვილის მშობლები: მიხეილ და ანასტასია, ძმა საზონი, დები: ნინო და ელენე, სოფელ გიორგიწმინდის მღვდელი თევდორე გულისაშვილი, მისი ვაჟები: სოლომონი და ლევანი (სონკა და ლენტო), ქალიშვილი სოფიო, ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდური კანტორის წევრი, იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი მაკარი, მისი ძმისშვილი სალომე, სოფ. ყვარლის დეკანოზი ნიკოლოზ ხუციშვილი და მისი ქალიშვილი, შემდეგში ზაქარია გულისაშვილის მეუღლე პარასკევა (პალა), ცნობილი სახალხო მასწავლებელი, საგარეჯოში ბანკის, დეპოს, სამკითხველოს დამაარსებელი ალექსანდრე ცხვედაძე, სოფ. საგარეჯოს თეატრალური დასის წევრები და სხვ.]. 1947 წ., 27 ოქტომბერი. ხელნაწერი. ტექსტის ბოლოს: «დეკ. დ. გარსიაშვილი. ქ. ტფილისი.» ჩამოთვლილია სოფ. საგარეჯოს თეატრალური დასის მიერ დადგმული სპექტაკლ «თამარ ბატონიშვილის» მონაწილეთა გვარები. ხელნაწერი. ორი რვეული. 18 ფ.

84. წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის გეგმარი: [ეკლესიის მიერ დაკავებული ფართობი – 318 კვ. მეტრი]. 4 ეგზ.




85. გორგი სამაგლიშვილი, კრიონ II (ერისკაცობაში). ფოტოგრაფი ა. ს. გერმანი. 6 x 10.



86. უცნობი მამაკაცი. მეორე გვერდზე წარწერა: «ჩემს სულსა და გულს საუკუნო სახსოვრად გიძღვნი. ჩემო სიცოცხლევ იყავ ერთგული შენის ბედისა. შენ ჩემთვის ხარ დაბადებული ჩემთვის სწოვე ძუძუ დედისა აჰა სახე! აბა ნახე თუ გინდოდეს შეინახე თუ არა და შიგ ბუხარში შეუძახე!!!“ ... ფოტოს ქვეშ წარწერა: 1894 წ. , ფოტოგრაფი ა. როინაშვილი. 6,5 x 10,5.



87. მღვდელი გ. თოთიბაძე. ფოტოგრაფი ა. ნორდშტეინი. 6 x 10.



88. დავით გარსიაშვილი. 1953 წ. , 26 თებერვალი. 8,5 x 13.



89. დავით გარსიაშვილი: [სამოქალაქო ტანსაცმელში]. თარიღი მითითებული არ არის. 6 x 10.



90. დავით გარსიაშვილი მეუღლესთან ერთად. ფოტოგრაფი ა.ს. როინაშვილი. 10 x 14.



91. დ. გარსიაშვილის უფროსი ვაჟი გიგლა. თარიღი მითითებული არ არის.  
ფოტოგრაფი პ. ვლადიმეროვი. 4,5 x 10.





92. დ. გარსიაშვილის მეუღლე ერთ-ერთ შვილთან ერთად. თარიღი მითითებული არ არის. 4 x 5.



93. დ. გარსიაშვილის და მარიაში: [ფოტოს მეორე გვერდზე აქვს მინაწერი: «პედაგოგი საეპარქიო სასწავლებლის კურსდამთავრებული»]. თარიღი მითითებული არ არის. ფოტოგრაფი ა. ნორდშტეინი. 6 x 10.



94. დ. გარსიაშვილის შვილები: გიგლა, არჩილი, ბაბილინა, შოთა. თარიღი მითითებული არ არის. 11,5 x 8.



95. შოთა გარსიაშვილი: [შეორე გვერდზე მინაწერია: «სახსოვრად საყვარელ მამიდას.  
შოთა»]. 1923 წ., 29 აგვისტო.  
6 x 8.



96. მარიამ გარსიაშვილი: [მეორე გვერდზე მინაწერია: “Милому сыну отъ нежно любящей его матушки 1898 г. 5 сентября”. ფოტოგრაფი ა. როინაშვილი 10x16.



97. ეფრემი, მიტროპოლიტი ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი: [მეორე გვერდზე მინაწერია: «თქვენო მაღალღირსებავ, მამაო დეკანოზო დავით \_ თქვენს წმ. ლოცვაში მოიხსენებდეთ თქვენ შვილებთან ერთად შეზრდილს ჯიელ მოხუცსაც. ღრმა პატივისცემით \_ ეფრემი, მიტროპოლიტი ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი»]. 1954 წ., 20 მარტი. 6 x 11.



98. ორი უცნობი მამაკაცი. ფოტოგრაფი ა. როინაშვილი. 10 x 16.



99. გიგლა გარსიაშვილი კლასელებთან ერთად. თარიღი მითითებული არ არის. 16 x 14.



100. მ. ბაუნოვი: [მეორე გვერდზე მინაწერია: “Мари Захаревне Гарсиевой на добрую память. М. Бауновъ. 1897 г. 10 июня. Тифлисъ”].

11 x 16.1





101. უცნობი მამაკაცი. თარიღი მითითებული არ არის. მეორე გვერდზე წარწერა არ იკითხება. ფოტოს ქვეშ წარწერაა: “Придворная фотография Б.П.Мищенко”.  
ფოტოგრაფი ბ.მ. კოზაკი.  
6 x 10,5.



102. ნიკო შარაბიძე და ანასტასია ბერიანოვა: [მეორე გვერდზე წარწერაა: “На добрую память дорогой для меня Марии Захаревне въ честь воспоминании, которые очень дороги для меня. Отъ (შემდეგი სიტყვა არ იკითხება) Анастасии Беряновой. 29 июля 1903 года”. ფოტოგრაფი ე. კლარი. 10,5 x 16.



103. უცნობი მამაკაცი. თარიღი მითითებული არ არის. ფოტოგრაფი გ. ბაბალოვი. 6 x 10.



104. გიგლა გარსიაშვილი. უკანა გვერდზე წარწერა: «ბაბოს სახსოვრად, გიგლასაგან.  
1915 წ., 2 მაისი». 9 ხ 13,5.



105. დეკანოზები: პეტრიაშვილი, გარსიაშვილი, საყვარელიძე. 1953 წ. , 22 x 16,5.



106. დავით გარსიაშვილი შვილებთან ერთად. მეორე გვერდზე წარწერა: «დეკანოზი დავით გარსიაშვილი შვილებთან – ბაბილინა, შოთა, არჩილი. 1953 წ. , 26 თებერვალი». 10 x 8.



107. უცნობი მამაკაცი. მეორე გვერდზე წარწერა: «სონას». ფოტოგრაფი პ.ა. ვლადიმეროვი.  
4,5 x 8.

### პირთა ანბანური საძიებელი

ა

ამბროსი 6, 8, 20, 70  
აღნიაშვილი პ. 6  
ახალშენიშვილი ლ. 8

ბ

ბაბალოვი გ. 103  
ბაუნოვი მ. 100

ბერიანოვა ა. 102

ბერიძე ი. 80

## ბ

გაბაშვილი ნ. 8

გამრეკელი გ. 80

გარსიაშვილი ა. 4, 6, 7, 8, 75, 94, 106

გარსიაშვილი ბ. 4, 6, 94

გარსიაშვილი გ. 5, 6, 7, 8, 75, 91, 94, 99, 104, 106

გარსიაშვილი დ. 1, 2, 4, 5, 7, 10, 11, 15, 21, 22, 25, 33, 36, 41, 44, 45, 47, 52, 55, 60, 62, 65, 73, 74, 76, 78, 79, 80, 88, 89, 90, 105, 106, 108

გარსიაშვილი ვ. 83

გარსიაშვილი ზ. 1

გარსიაშვილი მ. 6, 82, 93, 100

გარსიაშვილი ნ. 3

გარსიაშვილი შ. 4, 6, 94, 106

გედევანიშვილი რ. 6

გეგეჭკორი ა. 8

გელოვანი მ. 6

გერმანი 83

გოთუა ლ. 8

გოროდცოვი 6

გრიდნევი ვ. 83

გუდიაშვილი ლ. 8

გულისაშვილი ა. 83

გულისაშვილი გ. 83

გულისაშვილი ე. 83

გულისაშვილი ზ. 83

გულისაშვილი თ. 83

გულისაშვილი ი. 83

გულისაშვილი მ. 83

გულისაშვილი მ. 83

გულისაშვილი ნ. 83

გულისაშვილი ს. 83

გულისაშვილი ს. 83

გურამიშვილი ო. 82

## დ

დავითაშვილი დ. 8

დავით ქუთათელი 18

დგებუაძე ნ. 8

დევდარიანი ს. 8

დევდარიანი ხ. იხ. დავით V

დეკანოზიშვილი ა. 80

დეკანოზიშვილი ვ. 80

## ე

ემჩინოვი კ. 8

ეფრემი ეფრემ II 74, 75, 97

## ვ

ვარდიაშვილი დ. 6

ვლადიმროვი პ. 6

## ზ

ზინობი 8

ზუბოვი 8

## თ

თათარაშვილი ა. 5

თალაკვაძე ნ. 6

თოდრია 6

თოთიბაძე ა. 6, 8, 87

## ი

იაკობაშვილი 8

იუნინი პ. 80

## კ

კალისტრატე 6, 12, 36, 41, 55, 76, 78, 79, 80

კანდელაკი ბ. 18

კანდელაკი დ. 6

კაპანაძე კ. 7

კასრაძე მ. 8

კახაბერი(ა) გ. 8

კახაბერი(ა) დ. 8

კეცხოველი ნ. 8

კვანტალიანი ე. 6

კიკნაძე ი. 5

კირიონი (კირიონ II) 8, 85

კლარი ე. 102

კოზაკი ბ. 101

კრუტიცკი ნ. 5,7



## ლ

ლაზარიშვილი 8  
ლეონიდე 7  
ლეონიძე გ. 7, 73  
ლუკაშვილი ე. 80

## მ

მამალაძე 8  
მარლიშვილი ი. 18  
მატათაშვილი მ. 83  
მატათაშვილი ს. 83  
მაჩაბელი ივ. 81  
მაღალაშვილი გ. 82  
მალრაძე 8  
მახათაძე მ. 79  
მდივანი 6  
მელქისედეკი 76  
მერკვილაძე ა. 81  
მერკვილაძე ს. 81  
მესხი ნ. 8  
მურვანოვი 6  
მჭედლიშვილი გ. 7  
მჭედლიშვილი ვ. 83  
მჭედლიშვილი მ. 8  
მჭედლიშვილი ს. 6

## ნ

ნათიძე ს. 80  
ნატროშვილი 7  
ნაცვლიშვილი ს. 83  
ნორდშტეინი ა. 87, 93

## ო

ოქროპირიძე ლ. იხ. ლეონიდე

## პ

პაპიაშვილი 8  
პავლოვსკაია ბ. 8  
პავლოვსკაია ს. 8  
პეტრიაშვილი 108  
პოლუმორდვინოვი 7

## პოლოსოვი 8

### რ

რატიშვილი ი. 82  
როინაშვილი 86, 90, 95, 98  
რცხილაძე ი. 82

### ს

სავანელი ე. 83  
საყვარელიძე 108  
საყვარელიძე მ. 6, 8  
სამაგლიშვილი გ. იხ. კირიონი  
სემიგალოვა ნ. 80  
სიდამონიძე ე. იხ. ეფრემ  
სვიმონიშვილი კ. 18  
სტეფანე ბოდბელი 18

### ტ

ტარასაშვილი გ. 8  
ტატიშვილი ი. 18  
ტიმოფეევი 8  
ტლაშაიძე ლ. 80  
ტყემალაძე მ. 6

### უ

უგრელიძე ქრ. 62  
უგრეხელიძე ნ. 8  
უთმელიძე კ. 8

### ფ

ფერაძე 8  
ფრეზე 6  
ფხალაძე მ. იხ. მელქისედეკი

### ქ

ქავთარაძე ქ. 8  
ქრისტეფორე (ქრისტეფორე III) 6, 13, 16, 18, 19  
ქუედიანი მ. 83  
ქუჩუკაშვილი შ. 82  
ქურდიანი ს. 83

## ყ

ყანჩაველი ლ. 8  
ყარანგოზიშვილი ვ. 8

## შ

შარაბიძე ნ. 102

## ჩ

ჩარკვიანი ვ. 7  
ჩახავა 8  
ჩიჯავაძე თ. 6  
ჩხიკვაძე ე. 8

## ც

ცინცაძე ვ. იხ. კალისტრატე  
ციცქიშვილი 8  
ციცქიშვილი ქ. იხ. ქრისტეფორე III  
ცქიტიშვილი პ. 80  
ცხვედაძე ალ. 83

## ჭ

ჭავჭავაძე ი. 8, 82  
ჭკადუა 8

## ხ

ხახუტაშვილი დ.  
ხახუტაშვილი მ. 6  
ხელაია ა. იხ. ამბროსი  
ხელიძე მ. 80  
ხმალაძე ვ. 7  
ხოშტარია-ცაგურია თ. 7, 8  
ხუციშვილი ნ. 83  
ხუციშვილი პ. 83

## ჯ

ჯავახიშვილი ივ. 6, 8  
ჯავახიშვილი მ. 8  
ჯაფარიძე 8

## კომენტარები

ამბროსი \_ (1861-1927). ერისკაცობაში ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1921-1927 წწ. იბრძოდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის (ავტოკეფალიის) აღდგენისათვის. ავტორი ანტანტის გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმისა, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას ეხება. საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობის საკითხში იდგა ეროვნულ თვალსაზრისზე. პეტერბურგის «უწყებებსა» და ქართულ პერიოდულ პრესაში «ამბერის» ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს საქართველოს პოლიტიკური და კულტურული, ეკლესიის წარსულისა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ. იბეჭდებოდა ჟურნალებში: «განთიადი», «ცხოვრება». ეროვნული მსოფლმხედველობის გამო, ხელისუფლების მხრივ, განიცდიდა შევიწროებასა და დევნას, იყო დაპატიმრებული. დაკრძალულია სიონის ტაძარში.

აღნაშვილი პეტრე \_ (1896-1937). ბოლშევიკური მოძრაობის მოღვაწე საქართველოსა და ამიერკავკასიაში. 20-იან წლებში მუშაობდა რესპუბლიკის საგანგებო კომისიაში, ხოლო შემდეგ წლებში \_ აფხაზეთში. დახვრიტეს 1937 წელს.

ახალშენიშვილი ლეო \_ ეროვნულ-დემოკრატი. პარტიის ახალგაზრდული მიმართულების სალიკვიდაციო-საინიციატივო ჯგუფის წევრი.

ბაბალოვი გ. \_ ფოტოგრაფი.

გარსიაშვილი არჩილი \_ დავით გარსიაშვილის ვაჟი. 1924 წლის აგვისტოს აჯანყებასთან დაკავშირებით მცირე ხნით იყო დაპატიმრებული.

გარსიაშვილი ბაბილინა \_ დავით გარსიაშვილის ქალიშვილი.

გარსიაშვილი გიორგი (გიგლა) \_ (1900-1924). დაამთავრა თბილისის მე-2 ვაჟთა გიმნაზია. პოლკოვნიკ მაღალაშვილის ქართველი ახალგაზრდების ბატალიონთან ერთად, არასრულწლოვანი მონაწილეობდა ბოლშევიკების წინააღმდეგ აჯიკაბულთან ბრძოლაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი. 1921 წელს მონაწილეობდა საქართველოში ბოლშევიკების მეთერთმეტე ბრიგადის შემოსვლის წინააღმდეგ კოჯორთან გამართულ ბრძოლაში. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1917 წლიდან. იყო 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მზადების აქტიური წევრი. დააპატიმრეს 1924 წლის 1 თებერვალს. ამავე წლის 1 სექტემბერს დახვრიტეს.

გარსიაშვილი დავითი \_ კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის დეკანოზი.

გარსიაშვილი ვარლამი \_ (1867-1879). დ. გარსიაშვილის უფროსი ძმა.

გარსიაშვილი მარიამი \_ დ. გარსიაშვილის და, საეპარქიო სასწავლებლის მასწავლებელი.

გარსიაშვილი ნიკოლოზი \_ სოფ. საგარეჯოს მღვდელი.

გარსიაშვილი შოთა \_ დ. გარსიაშვილის უმცროსი ვაჟი.

გედევანიშვილი რეზო \_ დაპატიმრებული 1924 წელს, პოეტ გიორგი ლეონიძის ცოლისძმა.

გოროდცოვი \_ მისიონერული ეკლესიის მღვდელი, შავრაზმელი, «ჭემმარიტ რუსთა კავშირის» წევრი.

გულისაშვილი გაბო \_ სოფ. საგარეჯოს მასწავლებელი.

გულისაშვილი ზაქარია \_ (1857-1914). მწერალი, პუბლიცისტი, პედაგოგი. იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში: «იმედი», «დროება», «თეატრი».

გულისაშვილი თევდორე \_ თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული, სოფ. გიორგიწმინდის მღვდელი.

გულისაშვილი იერემია \_ სოფ. საგარეჯოს სკოლის მასწავლებელი

გულისაშვილი ლევანი \_ სოფ. გიორგიწმინდის მღვდლის, თევდორე გულისაშვილის ვაჟი.

გულისაშვილი მინადორა \_ სოფ. საგარეჯოს თეატრალური დასის წევრი

გულისაშვილი მიხეილი \_ ზაქარია გულისაშვილის ძმა.

გულისაშვილი ნინო \_ ზაქარია გულისაშვილის და.

გულისაშვილი საზონი \_ ზაქარია გულისაშვილის ძმა.

გულისაშვილი სოლომონი \_ თევდორე გულისაშვილის ვაჟი.

გურამიშვილი ოლღა \_ (1842-1927). ილია ჭავჭავაძის მეუღლე, საზოგადო მოღვაწე. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი, ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის მზრუნველთა საბჭოს წევრი, ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე. ილიას სიკვდილის შემდეგ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა ილიას თბილისის სახლი და საგურამოს მამული. დაკრძალულია ილიას გვერდით, მთაწმინდის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

დავით V \_ (1903-1977). ერისკაცობაში ხარიტონ ჯიბოს ძე დევდარიანი. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1972-1977 წწ.) 1930 წლიდან მსახურებს თბილისში: სიონის საპატრიარქო ტაძარში, ქაშვეთსა და წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიებში. 1956 წლიდან ჯერ არქიმანდრიტია, შემდეგ \_ ეპისკოპოსი (არგვეთისა და ურბნისის

ეპარქია), 1959 წლიდან – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, სსრკ და საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრი. დაკრძალულია სიონის ტაძარში.

დავით ქუთათელი – ეპისკოპოსი.

დგებუაჟე ნიკოლოზი (კოლია) – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. პარტიის ახალგაზრდული მიმართულების სალიკვიდაციო-საინიციატივო ჯგუფის წევრი.

დედარიანი სეითი – მენშევიკთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე.

ემჩინოვი კონსტანტინე – კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მღვდელი.

ეფრემ II – (1896-1972). ერისკაცობაში გრიგოლ შიოს ძე სიდამონიძე. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1960-1972 წწ.) დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი. 1927 წელს ნიკორწმინდის ეპისკოპოსია, 1944 წლიდან ეკავა ქუთაისის გელათის კათედრა, 1952 წლიდან განაგებდა ბათუმ-შემოქმედისა და ჭყონდიდელის ეპარქიას. მინიჭებული ჰქონდა ღვთისმეტყველების დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. დაკრძალულია სიონის ტაძარში.

ვარდიაშვილი დიმიტრი – მღვდელი, ცნობილი ქართველი მომღერლის ანა ვარდიაშვილის მამა. დახვრიტეს 1924 წელს.

ვლადიმროვი პ. – ფოტოგრაფი.

ზინობი – ალექსანდრე ნეველის ეკლესიის წინამძღვარი, ეპისკოპოსად აკურთხა კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკმა.

ზუბოვი – საგანგებო კომისიის გამომძიებელი.

თალაკვაძე ნიკიტა – ქართული სამღვდელოების ჯგუფის წევრი, რომელმაც ხელი მოაწერა 1923 წლის 3 მაისს საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ განცხადებას ქვეყანაში მიმდინარე ანტირელიგიური კამპანიის სტიქიურობისა და მისი სავალალო შედეგების შესახებ.

თოთიბაძე ანტონი – სასულიერო პირი. დ. გარსიაშვილთან, ამბროსი ხელაიასთან, კალისტრატე ცინცაძესთან დაახლოებული პირი.

იაკობაშვილი – საგანგებო კომისიის თანამშრომელი, რომლის დახმარებით ციხიდან გაათავისუფლეს არჩილ გარსიაშვილი.

იუნინი პავლე – წმინდა სამების ეკლესიის მღვდელი.

კალისტრატე – (1866-1952). ერისკაცობაში კალისტრატე მიხეილის ძე ცინცამე. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1932-1952 წწ. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, კიევის სასულიერო აკადემია, ღვთისმეტყველების კანდიდატი. აქტიურად იბრძოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. ამ საკითხს მიუძღვნა წიგნი «ქართული ეკლესიის ავტოკეფალია». აქვს ისტორიული და ლიტერატურული ხასიათის მნიშვნელოვანი გამოკვლევები და წერილები.

კანდელაკი დ. – საქართველოს განათლების კომისარი, მისი შუამდგომლობით გაათავისუფლეს დაპატიმრებული ივ. ჯავახიშვილი.

კასრაძე მიხეილი – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, პარტიის ახალგაზრდული მიმართულების საინიციატივო-სალიკვიდაციო ჯგუფის წევრი.

კახაბერი(ა) გიორგი (გოგი) – დააპატიმრეს 1924 წელს. არალეგალურად გადავიდა საზღვარგარეთ.

კახაბერი(ა) დავითი – მღვდელი, გიორგი კახაბერის მამა, დააპატიმრეს 1924 წელს, დაიხვრიტა ამავე წელს.

კეცხოველი ნიკოლოზი (ნიკო) – (1897-1982). ბოტანიკოსი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ბოტანიკური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი (1945-1952), ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი, რუსთაველის სახ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. ეკუთვნის მხატვრული ნაწარმოებები: «მეცხრე მთაც გადავიარე», «კიდევაც დაიზრდებიან». 20-იან წლებში იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

კვანტალიანი ე. – საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე (1924 წ.).

კიკნაძე ირაკლი – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული მიმართულების სალიკვიდაციო-საინიციატივო ჯგუფის წევრი.

კირონი II – (1855-1918). ერისკაცობაში გიორგი იერონიმეს ძე სამაგლიშვილი. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1917-1918 წწ. საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, კიევის სასულიერო აკადემია. 1883 წელს დაბრუნდა საქართველოში. მუშაობდა თბილისის, გორის, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლებში. 1898 წელს აკურთხეს ალავერდის, ხოლო შემდეგ გორის ეპისკოპოსად. აქტიურად იბრძოდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღსადგენად, რის გამოც რუსული სასულიერო ხელისუფალნი სასტიკად სდევნიდნენ. 1902 წელს ჯერ კამენეც-პოდოლსკში, ხოლო შემდეგ კოვნოში გადაიყვანეს. რამდენიმე წლის შემდეგ ჩამოართვეს ეპარქია, გააგზავნეს ჯერ კურიაჟში, შემდეგ – სანაქსარის მონასტერში. 1912 წელს გადაიყვანეს ხერსონში. 1915 წელს დაუბრუნეს ეპარქიის მართვის უფლება და ვიტებსკის ეპარქია ჩააბარეს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ აკურთხეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. ავტორია ისტორიული, არქეოლოგიური და ფილოლოგიური გამოკვლევებისა. მისი ინიციატივით პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში დაარსდა

აღმოსავლეთის ეკლესიათა ისტორიის კათედრა. მიაკვლია უნიკალურ ძეგლებს – პავლე მოციქულის ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანი და “კორიდეთის ოთხთავი”. 1911 წელს თავისი მდიდარი არქივი გადასცა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას. მისი დახმარებით ორიოლის სასულიერო სემინარიაში ოთხასამდე ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა, ხოლო თხუთმეტმა ქართველმა სტუდენტმა მის ხარჯზე განათლება საზღვარგარეთ მიიღო. დაკრძალულია სიონის ტაძარში.

კლარი ე. – ფოტოგრაფი.

კოზაკი ბ. – ფოტოგრაფი.

ლაზარიშვილი – ქაშვეთის ეკლესიის მღვდელი.

ლეონიდე – (1860-1921). ერისკაცობაში ლონგინოზ სოლომონის ძე ოქროპირიძე. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1918-1921 წწ. დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია. 1888-1897 წწ. იყო მისიონერი, კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სკოლების ინსპექტორი, საქართველოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს წევრი, ზედაზნის, ხირსის, იოანე ნათლისმცემლის მონასტერთა ზედამხედველი, ქართული ბიბლიის ტექსტის გამსწორებელი კომიტეტის წევრი. 1918 წლიდან გორის, იმერეთის, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, თბილისის მიტროპოლიტი (1897-1918).

ლუკაშვილი ერეკლე – წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის დეკანოზი.

მატათაშვილი მაკარი – ქართლ-კახეთის და იმერეთის სინოდური კანტორის წევრი, იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, არქიმანდრიტი.

მატათაშვილი სალომე – მაკარ მატათაშვილის ძმისშვილი.

მაღალაშვილი გეგე – ექიმი, დ. გარსიაშვილის ოჯახთან დაახლოებული პირი.

მალრაძე – ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მგალობელთა გუნდის ლოტბარი.

მდივანი – თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დირექტორი.

მელქისედეკი – (1872-1960). ერისკაცობაში მიხეილ გიორგის ძე ფხალაძე. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1952-1960 წლებში. დაამთავრა ყაზანის სასულიერო აკადემია. მასწავლებლობდა საქართველოსა და რუსეთის სხვადასხვა სასულიერო სემინარიებში. იყო სიონის ტაძრის მღვდელი. ანჩისხატის, ალავერდის, ცხუმის ეპისკოპოსი, ფერისცვალების ეკლესიის წინამძღვარი.

მერკვილაძე ანა – სოსიკო მერკვილაძის მეუღლე.



მერკვილაძე სოსიკო \_ გამომცემელი, ივანე მაჩაბელთან დაახლოებული პირი, ვინც ივ. მაჩაბელი უკანასკნელმა ნახა.

მესხი ნ. \_ დააპატიმრეს 1924 წელს. გაათავისუფლეს ს. გეგეჭკორის რეკომენდაციით.

მურვანოვი \_ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული მიმართულების სალიკვიდაციო კონფერენციის დელეგატი.

მჭედლიშვილი გიგა \_ დააპატიმრეს 1924 წელს, მეტეხის ციხეში იმყოფებოდა ა. გარსიაშვილთან ერთად.

მჭედლიშვილი ვარო \_ სოფ. საგარეჯოს თეატრალური დასის წევრი.

მჭედლიშვილი მიტო \_ დააპატიმრეს 1924 წელს. მოწაფეთა კომიტეტის წევრი. პოეტ იოსებ მჭედლიშვილის ძმა.

ნათიძე სანდრო \_ კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მნათე.

ნორდშტეინი ა. \_ ფოტოგრაფი.

როინაშვილი ალექსანდრე \_ პირველი ქართველი ფოტოგრაფი.

რცხილაძე ირაკლი \_ ეროვნულ-დემოკრატი, პარტიის ახალგაზრდული მიმართულების სალიკვიდაციო-საინიციატივო ჯგუფის წევრი.

სავანელი ეკატერინე \_ სოფ. საგარეჯოს თეატრალური დასის წევრი.

საყვარელიძე მიხეილი \_ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი.

სვიმონიშვილი კოტე \_ დეკანოზი.

სტეფანე ბოდბელი \_ ეპისკოპოსი.

ტატიშვილი იაკობი \_ დეკანოზი.

ტლაშაიძე ლევან \_ კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის დეკანოზი.

ტყემალაძე მარკოზი \_ სიონის ტაძრის დეკანოზი, სათავადაზნაურო გიმნაზიის საღვთო სჯულის მასწავლებელი.

უგრელიძე ქრისტეფორე ნიკოლოზის ძე \_ თბილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი.

ფერაძე გრიგოლ \_ ეპისკოპოსი, მეცნიერი. ჩაატარა გათხრები სინას მთაზე. 1927 წლიდან მოღვაწეობდა ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთსა და სხვა

ქვეყნებში. ბონის უნივერსიტეტში კითხულობდა ძველ ქართულ და ძველ სომხურ ლიტერატურათა კურსებს, ხოლო 1932 წლიდან \_ ოქსფორდში \_ ქართული ეკლესიის ისტორიას. ათონზე შეიძინა 15 ქართული ხელნაწერი. ეხმარებოდა ე. თაყაიშვილს საფრანგეთში გატანილი ქართული საგანძურის დაცვაში. გამოსცემდა ჟურნალებს: “ჯვარი ვაზისა” და “პატროლოჟია”. დაიღუპა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის გაზის კამერაში, სადაც, თავისი სურვილით, მრავალშვილიანი მამის ნაცვლად შევიდა.

ფრეზე \_ გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის მეფისნაცვლის მოადგილე სამოქალაქო დარგში. წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარე.

ქავთარაძე ქაიხოსრო \_ სოციალ-ფედერალისტი.

ქრისტეფორე III \_ (1873-1932). ერისკაცობაში ქრისტეფორე მურმანის ძე ციციშვილი. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1927-1932 წწ. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1905 წელს ხელმძღვანელობდა არალეგალურ კრებას, რომელმაც შეიმუშავა მოთხოვნა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. იყო ურბნისის ეპარქიის მღვდელმთავარი, ეპისკოპოსი, აფხაზეთის მიტროპოლიტი. აქვს ისტორიული და ლიტერატურული ხასიათის გამოკვლევები. დაკრძალულია სიონის ტაძარში.

ქურდიანი მართა \_ სოფ. საგარეჯოს თეატრალური დასის წევრი.

ქურდიანი სოლიკო \_ სოფ. საგარეჯოს თეატრალური დასის წევრი.

ყარანგოზიშვილი ვიქტორი \_ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გასამართლების შემდეგ გადაასახლეს რუსეთში, სადაც შიმშილით თავი მოიკლა.

ჩახავა \_ სამხედრო პირი. დააპატიმრეს 1924 წელს. იმყოფებოდა მეტეხის ციხეში. დახვრიტეს 1924 წლის 30 აგვისტოს.

ჩიჯავაძე თედო \_ მღვდელი. ქართული სამღვდელოების იმ ჯგუფის წევრი, რომელმაც ხელი მოაწერა 1923 წლის 3 მაისს საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ განცხადებას ქვეყანაში მიმდინარე ანტირელიგიური კამპანიის სტიქიურობისა და მისი სავალალო შედეგების შესახებ.

ჩხიკვაძე ელიზბარი \_ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული მიმართულების სალიკვიდაციო კონფერენციის მონაწილე.

ცინცაძე კალისტრატე \_ იხ. კალისტრატე.

ციციშვილი ქრისტეფორე \_ იხ. ქრისტეფორე III.

ცქიტიშვილი პლატონი \_ დეკანოზი.

ცხვედაძე ალექსანდრე – საზოგადო მოღვაწე, საგარეჯოში ბანკის, დეპოსა და სამკითხველოს დამაარსებელი, პედაგოგი, თეატრალური დასის აქტიური წევრი.

ხახუტაშვილი მიხა – მღვდელი. ამბროსი ხელაიას წინააღმდეგ თბილისში ჩატარებული კრების ორგანიზატორი.

ხელიძე მელქისედეკი – დეკანოზი.

ხომტარია-ცაგურია თამარი – საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე.

ხუციშვილი ნიკოლოზი – სოფ. ყვარლის ეკლესიის დეკანოზი.

ხუციშვილი პარასკევა (პალა) – ნიკოლოზ ხუციშვილის ქალიშვილი, ზაქარია გულისაშვილის მეუღლე.